ლევ ტოლსტოი
ჰაჯი-მურატი

I

მინდორ-მინდორ ვბრუნდებოდი შინ. შუა ზაფხული იდგა. მდელოები გაეთიბათ და საცაა ჭვავის მომკას უნდა შესდგომოდნენ. წლის ამ დროს საუცხოოდაა შეხამებული ყვავილები: წითელი, თეთრი, ვარდისფერი, სურნელოვანი ბუსუსებიანი სამყურები; კადნიერი ზიზილები; რძესავით თეთრი, ყვითელგულა გვირილა თავისი შმორიანი ცხარე სუნით; ყვითელი შალგი, თაფლის სურნელი რომ ასდის; ტიტასმაგვარი აშოლტილი, სოსანისფერი და თეთრი მაჩიტელები, მცოცავი ცერცველები: ყვითელი, წითელი, ვარდისფერი, სოსანისფერი კოხტა ცის ფოლიოები; მოვარდისფრო ღინღლებიანი და ოდნავ სურნელოვანი მრავალძარღვა; მზიან ამინდსა და სინორჩეში ხასხასა ცისფერი, ხოლო მწუხრსა და სიბერეში ხან ლურჯი და ხან წითლად შეფერილი ღიღილოები; ნაზი ნუშისებრ სურნელოვანი აბრეშუმა, აყვავებისთანავე რომ ჭკნება.

ნაირ-ნაირი ყვავილების დიდი თაიგული შევკონე და ის იყო შინისკენ გავემართე, რომ თხრილში მშვენიერი ჟოლოსფერი, მთლად აყვავებული ბირკა შევნიშნე, სწორედ ისეთი ჯიშისა, ჩვენში „შავნარას“ რომ ეძახიან და ბალახს გულდაგულ შემოუთიბავენ, ხოლო შემთხვევით თუ მოჭრიან, მთიბავები იმწამსვე გადააგდებენ, ხელებში რომ არ ეჩხვლიტოთ. აზრად მომივიდა მომეწყვიტა ეს ბირკა და თაიგულის შუაში ჩამედო. ჩავცოცდი თხრილში, დავაფეთე ბუსუსებიანი ბზიკი, ყვავილის შუაგულს რომ მიკვროდა და იქ ტკბილად დასძინებოდა. ყვავილის მოგლეჯა დავიწყე, მაგრამ ეს ძალიან ძნელი აღმოჩნდა; გარდა იმისა, რომ ღერო ყოველი მხრით იჩხვლიტებოდა, ცხვირსახოციდანაც კი, რომელიც ხელზე შემოვიხვიე, მისი ეკლები ისე გამიძალიანდა, ხუთი წუთი ვებრძოდი, სათითაოდ ვგლეჯდი ბოჭკოებს. და ბოლოს, როცა ყვავილი მოვწყვიტე, ღერო სულ დაფლეთილი იყო, ყვავილიც უწინდებურად ხასხასა და ლამაზი აღარ ჩანდა. ესეც რომ არა, თავისი სიტლანქითა და ულაზათობით სრულიადაც არ უხდებოდა თაიგულის ნაზ ყვავილებს. ვინანე, ტყუილუბრალოდ მოვუღე-მეთქი ბოლო ყვავილს, რომელიც თავის ადგილას მშვენიერი იყო, და გადავისროლე. „მაინც რა ენერგია და ძალაა სიცოცხლისა. - გავიფიქრე მე, როცა გავიხსენე, რამდენი ჯაფა გადამხდა ყვავილის მოწყვეტისას. - რა თავგანწირვით იბრძოდა და რა ძვირად დათმო სიცოცხლე“.

შინისკენ მიმავალი გზა ნასვენ, ახალმოხნულ შავნიადაგიან მინდორზე გადიოდა. აღმართზე მტვრიან, შავნიადაგიან გზას მივყვებოდი. გადახნული მინდორი მემამულეს ეკუთვნოდა, და ისე ვრცელი იყო, რომ გზის ორივე მხარეს და წინ

გორაკზე შავი, თანაბრად დაკვალული, ჯერ კიდევ დაუფარცხავი ანეულის გარდა არაფერი ჩანდა. მინდორი გულდაგულ მოეხნათ და წამლად ვერ იპოვიდით მცენარეს, ბალახს - ყველაფერი გადაშავებულიყო. ,,რა გამანადგურებელი, შეუბრალებელი არსებაა ადამიანი, რამდენი სხვადასხვა ცოცხალი არსება და მცენარე მოსპო თავისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად‘‘, - ვფიქრობდი და ამ უსიცოცხლო, გადაშავებულ მინდორზე ჩემდა უნებურად დავეძებდი სიცოცხლის რაიმე ნასახს. ჩემ წინ, გზის მარჯვნივ, ბუჩქი მოჩანდა; ბუჩქთან ახლოს მივედი და ვიცანი ისეთივე ,,შავნარა‘‘, რომლის ყვავილი წეღან ტყუილუბრალოდ მოვგლიჯე და გადავაგდე.

,,შავნარას‘‘ ბუჩქს სამი შტო ჰქონდა. ერთი შტო მოეწყვიტათ და ამ შტოს დანარჩენი ნაწილი მოკვეთილი ხელივით გამოშვერილიყო. დანარჩენ ორს თითო ყვავილღა შერჩენოდა. ეს ოდესღაც წითელი ყვავილები ახლა გაშავებულიყვნენ. ერთი ღერო გადამტვრეული იყო და მისი ნახევარი, რომელზეც ტალახიანი ყვავილი ჩანდა, ძირს ეკიდა. მეორეს თუმცა შავი მიწის ტალახი მოსდებოდა, თავი მაინც მაღლა აეწია. ეტყობოდა, ბუჩქზე ბორბალს გადაევლო, ბუჩქი კვლავ წამომართულიყო და ამიტომ იყო გადახრილი, მაგრამ მაინც იდგა; თითქოს სხეულის ნაწილი მოეგლიჯათ, შიგნეული გამოეფატრათ, ხელი მოეკვეთათ, თვალები დაეთხარათ, ის კი მაინც იდგა და არ ნებდებოდა ადამიანს, რომელმაც ირგვლივ ყველა მოძმე გაუნადგურა.

,,რა ენერგიაა! - გავიფიქრე მე, - ყველაფერი დაამარცხა ადამიანმა, მილიონობით ბალახი მოსპო, ეს კი მაინც არ ნებდება‘‘.

და მომაგონდა ძველი კავკასიური ამბავი, რომლის ერთი ნაწილის მოწმე მე გახლდით, ნაწილი მის მომსწრეთაგან მოვისმინე და ნაწილიც თავად წარმოვიდგინე. ეს ამბავი, ისე როგორც ჩემმა მეხსიერებამ შემოინახა და წარმოდგენამ შეთხზა, ასეთია.

ეს მოხდა 1851 წლის დამლევს.

ნოემბრის ცივ საღამოს ჰაჯი-მურატი ცხენით შედიოდა წივას სურნელოვანი კვამლით ახრჩოლებულ ჩაჩნეთის მტრულად გაწყობილ აულ მაჰკეტში.

ის იყო მიწყდა მუეძინის დაძაბული სიმღერა, რომ ფიჭის უჯრედებივით ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი ქოხებისკენ მიმავალი ცხვარ-ძროხის ბღავილს გამოეყო და წივას სუნით გაჟღენთილ მთის სუფთა ჰაერში მკაფიოდ გაისმა შადრევნის ქვემოთ მოჩხუბარ მამაკაცთა ხორხისმიერი ბგერები და ბავშვებისა და ქალების ხმა.

ეს ჰაჯი-მურატი იყო, შამილის ნაიბი, სახელგანთქმული თავისი გმირობით: ჰაჯი-მურატი სადმე ისე არ წავიდოდა თუ თავისი ალამივით თან არ ახლდა მის გარშემო მოჯირითე ათობით მიურიდი. ახლა კი ყაბალახსა და ნაბადში გახვეული, რომლის ქვემოდანაც შაშხანა მოუჩანდა, ერთი მიურიდის თანხლებით მიდიოდა, ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ნაკლებად შეემჩნიათ და სწრაფი, შავი თვალებით ფრთხილად აცქერდებოდა სახეზე გზად შემხვედრ მცხოვრებლებს.

გამოვიდა თუ არა ჰაჯი-მურატი აულის შუაგულ ადგილას, მოედნისკენ მიმავალ ქუჩას გვერდი აუქცია და მარცხნივ ვიწრო შესახვევს გაჰყვა. შესახვევში მეორე სახლს რომ მიადგა, შეჩერდა და ირგვლივ მიმოიხედა. სახლის წინ, ჩარდახთან არავინ იყო, ხოლო ბანზე, ახალშელესილ თიხის საკვამურთან ტყაპუჭწამოხურული კაცი იწვა. მას ჰაჯი-მურატმა მათრახის ტარი მსუბუქად შეახო და ენის წკლაპუნით შეეხმიანა.

მოხუცი ტყაპუჭიდან გამოძვრა: ღამის ქუდი ეხურა და დახეული, გაზინთული ახალუხი ეცვა, უწამწამო, წითელი, წყლიანი თვალები ჰქონდა. თვალები რომ გაახილა, მათ მალი-მალ ახამხამებდა. ჰაჯი-მურატმა მოხუცს ჩვეულებრივი ,,სალამ ალეიქუმ" უთხრა და სახე გამოაჩინა.

უკბილო მოხუცმა ჰაჯი-მურატი იცნო, გაიღიმა და ჩაიჩიფჩიფა: - ალეიქუმ სალამ, - გამხდარ ფეხებზე წამოიმართა, საკვამურის გვერდით დადებულ ხის ქუსლებიან ქოშებში წაყო ფეხები. აუჩქარებლად გაუყარა ხელები დაჭმუჭნილი, უსაპირო ტყაპუჭის სახელოებში და ბანზე მიდგმულ კიბეს პირშექცევით ჩაჰყვა. ჩაცმისა და ჩამოსვლის დროს მოხუცი თავს აკანტურებდა და განუწყვეტლივ ჩიფჩიფებდა. წვრილ, დანაოჭებულ კისერზე მზე მოჰკიდებოდა. მიწაზე რომ დაადგა ფეხი, სტუმართმოყვრულად ჩაავლო ცალი ხელი ჰაჯი-მურატის ცხენის აღვირს, მეორე ხელი კი უზანგს, მაგრამ ჰაჯი-მურატის მარდი და ღონიერი მიურიდი სწრაფად დაქვეითდა, მოხუცს გვერდით უბიძგა და შეცვალა იგი.

ჰაჯი-მურატი ჩამოხტა ცხენიდან და ოდნავ კოჭლობით ჩარდახში შევიდა. მის შესახვედრად კარიდან გამოიჭრა თხუთმეტიოდე წლის ბიჭი და მოსულებს გაკვირვებით მიაპყრო მწიფე მოცხარივით შავი, ანთებული თვალები.

- გაიქეცი მეჩეთში, მამაშენს დაუძახე, - უბრძანა ბიჭს მოხუცმა, შემდეგ ჰაჯი-მურატს გაუსწრო და ქოხის მსუბუქი, ჭრიალა კარი გაუღო. ჰაჯი-მურატი ქოხში რომ შედიოდა, შიდა კარიდან გამოვიდა არცთუ ისე ახალგაზრდა, კაფანდარა, გამხდარი ქალი. მას ყვითელი ხალათი, წითელი ახალუხი და ლურჯი შარვალი ეცვა. ქალს ბალიშები მოჰქონდა.

- კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს ოჯახში, - უთხრა ქალმა ჰაჯი-მურატს. მერე წელში მოიხარა და სტუმრებისთვის წინა კედელთან ბალიშები დააწყო.

- გიცოცხლოს შვილები, - მიუგო ჰაჯი-მურატმა, ნაბადი მოიძრო, შაშხანა და ხმალი მოიხსნა და მოხუცს გადასცა.

მოხუცმა შაშხანა და ხმალი ფრთხილად ჩამოჰკიდა მასპინძლის იარაღის გვერდით ლურსმანზე, ორ დიდ ტაშტს შორის. ტაშტები ბზინავდა გლუვად შელესილ და სუფთად შეთეთრებულ კედელზე.

- ჰაჯი-მურატმა უკან დამბაჩა გაისწორა, ქალის მიერ დაწყობილ ბალიშებთან მივიდა, ჩოხა აიკეცა და დაჯდა. მოხუცმა მის პირდაპირ შიშველი ფეხები მოირთხა, თვალები დახუჭა და ხელისგულები ზევით აღაპყრო. ჰაჯი-მურატიც ასევე მოიქცა. მერე ორივემ ილოცა, სახეზე ხელები ჩამოისვა და წვერის ბოლოსთან შეაერთა.

- ნე ხაბარ? - ჰკითხა ჰაჯი-მურატმა მოხუცს, ,,ახალი რა არისო?"

- ხაბარ იოქ, ,,ახალი არაფერია", - მიუგო მოხუცმა, იგი წითელი, უსიცოცხლო თვალებით ჰაჯი-მურატს სახეზე კი არა, მკერდზე უყურებდა. - მე საფუტკრეში ვცხოვრობ, ახლაღა მოვედი ვაჟის სანახავად. მან იცის.

ჰაჯი-მურატი მიხვდა, რომ მოხუცს არ სურდა ეთქვა, რომ იცოდა, რისი გაგებაც ჰაჯი-მურატს ეწადა და ოდნავ დაუქნია თავი, მეტი არაფერი უკითხავს.

- ახალი კარგი არაფერია, - ალაპარაკდა მოხუცი, - ახალი მხოლოდ ისაა, რომ კურდღლები ბჭობენ, როგორ გააძევონ არწივები. არწივები კი ხან ერთს გლეჯენ და ხან მეორეს. გასულ კვირას რუსმა ძაღლებმა მიჩიკელებს თივა გადაუწვეს, გაწყდეს მათი ჯიში და ჯილაგი, - ჩახრინწული ხმით, გულღვარძლიანად თქვა მოხუცმა.

შემოვიდა ჰაჯი-მურატის მიურიდი. იგი ღონიერ ფეხებს მსუბუქად და ფართოდ ადგამდა სოხანეზე. ჰაჯი-მურატივით მანაც მოიძრო ნაბადი, მოიხსნა შაშხანა, ხმალი და თვითონვე ჩამოჰკიდა იმ ლურსმანზე, ჰაჯი-მურატის იარაღი რომ ეკიდა. მხოლოდ ხანჯალი და დამბაჩა დაიტოვა თან.

- ვინ არის? - ჰკითხა მოხუცმა ჰაჯი-მურატს და შემოსულზე მიუთითა.

- ჩემი მიურიდია, ელდარი ჰქვია, - მიუგო ჰაჯი-მურატმა.

- კეთილი, - თქვა მოხუცმა და ელდარს ანიშნა, ჰაჯი-მურატის გვერდით ქეჩაზე დამჯდარიყო.

ელდარმა ფეხი მოირთხა და უწყინარი, ლამაზი თვალები მიაპყრო ლაპარაკის გუნებაზე მოსული მოხუცის სახეს. მოხუცი ჰყვებოდა, გასულ კვირას მათმა ბიჭებმა როგორ დაიჭირეს ორი ჯარისკაცი: ერთი მოკლეს, ხოლო მეორე ვედენოში გაგზავნესო შამილთან. ჰაჯი-მურატი დაბნეული უსმენდა, კარისკენ იცქირებოდა და ყურს უგდებდა გარედან შემოჭრილ ხმაურს. სახლის წინ, ჩარდახთან კაცის ფეხის ხმა მოისმა, კარმა გაიჭრიალა და მასპინძელი შემოვიდა.

სახლის პატრონი სადო ორმოციოდე წლის კაცი იყო, გრძელი ცხვირი, მოკლე წვერი და თავისი თხუთმეტი წლის ვაჟივით შავი თვალები ჰქონდა, თუმცა მთლად მასავით არ უბრიალებდა. ბიჭი მამასთან ერთად შემოვიდა სახლში და კართან დაჯდა. მასპინძელმა კართან ხის ქოშები გაიხადა, დიდი ხნის გაუპარსავი, შავად წამოშლილი თმით დაფარულ თავის კეფაზე ძველი, გაქუცული ფაფახი მოიგდო და მაშინვე ჰაჯი-მურატის პირდაპირ ჩაცუცქდა.

მასპინძელმა, ისევე როგორც მოხუცმა, თვალები დახუჭა, ხელისგულები ზევით აღაპყრო, ილოცა: ხელებით სახე მოიწმინდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ლაპარაკი. მან თქვა, შამილს ნაბრძანები აქვს ჰაჯი-მურატი ცოცხალი ან მკვდარი შეიპყროს, აქედან მხოლოდ გუშინ წავიდნენ შამილის კაცები. ხალხს ეშინია ეურჩოს შამილის ნება-სურვილს და ამიტომ სიფრთხილე გვმართებსო.

- ჩემს სახლში, - თქვა სადომ, - ჩემს ყონაღს, სანამ პირში სული მიდგას, ხელს ვერავინ ახლებს, ხოლო კარს გარეთ რა მოხდება ამაზე ფიქრია საჭირო.

ჰაჯი-მურატი ყურადღებით უსმენდა და მოწონების ნიშნად თავს უქნევდა. როცა სადომ ლაპარაკი დაამთავრა, მან უთხრა: - კეთილი, ახლა რუსებთან კაცი უნდა გავგზავნოთ და წერილი გავატანოთ. ჩემი მიურიდი წავა, ოღონდ მეგზური დასჭირდება.

- ჩემს ძმას, ბათას, ვაახლებ, - მიუგო სადომ, - ბათას დაუძახე, - მიმართა მან თავის ვაჟს.

ბიჭი, თითქოს ზამბარას მოსწყდაო, მარდად წამოხტა და ხელების ქნევით სწრაფად გაიჭრა ქოხიდან. ათიოდე წუთის შემდეგ დაბრუნდა გარუჯულ, დაძარღვულ,

ფეხებმოკლე ჩაჩანთან ერთად. ჩაჩანს ეცვა შავი, ჩამოშვებული პაჭიჭები და სახელოებზე ფოჩებშემოვლებული დაძენძილი ყვითელი ჩოხა. ჰაჯი-მურატი ახალმოსულს მიესალმა და მაშინვე მიუკიბ-მოუკიბავად, მოკლედ უთხრა: - შეგიძლია ჩემი მიურიდი რუსებთან მიიყვანო?

- შემიძლია, - სწრაფად და მხიარულად ალაპარაკდა ბათა, - ყველაფერი შემიძლია. წინ ვერც ერთი ჩაჩანი დამიდგება. სხვა გაგეგზავნება, ყველაფერს შეგპირდება, მაგრამ არაფერს არ გაგიკეთებს. მე კი შემიძლია.

- კეთილი, გასამრჯელოდ სამს მიიღებ, - უთხრა ჰაჯი-მურატმა და სამი თითი უჩვენა.

ბათამ თავი დაუქნია, გავიგეო და დასძინა. ჩემთვის ფული არაფერს არ ნიშნავს, პატიოსნება მიკარნახებს ვემსახურო ჰაჯი-მურატს. მთებში ყველა იცნობს ჰაჯი-მურატს, იციან, როგორ ჟლეტდა რუს ღორებს...

- კარგი, - თქვა ჰაჯი-მურატმა, - თოკი გრძელი სჯობია, ენა მოკლეო.

- მაშ გავჩუმდები, - მიუგო ბათამ.

- სადაც არღუნი უხვევს, ხრამის პირდაპირ, ტყეში მინდორზე ორი ზვინი დგას, იცი?

- ვიცი.

- იქ ჩემი სამი მხედარი მელოდება, - უთხრა ჰაჯი-მურატმა.

- აია, - თავი დაუქნია ბათამ.

- იკითხავ ხან-მაგომას. ხან-მაგომამ იცის, რა გააკეთოს და რა ილაპარაკოს. მიიყვანე რუსების უფროსთან, თავად ვორონცოვთან. შეგიძლია?

- მივიყვან.

- მიიყვანე და უკანაც წამოიყვანე. შეგიძლია?

- შევძლებ.

- მიიყვან. ტყეში დაბრუნდები. მე იქ დაგხვდები.

- ყველაფერს გავაკეთებ, - უთხრა ბათამ, წამოდგა, ხელები გულზე დაიკრიფა და გავიდა.

- გეხშიც კაცია გასაგზავნი, - უთხრა ჰაჯი-მურატმა მასპინძელს, როცა ბათა გავიდა, - გეხში აი, რა გვინდა. - ის იყო წამოიწყო და ჩოხის ერთი ქილა ამოსწია, მაგრამ მაშინვე ხელი უშვა და გაჩუმდა, რადგან ქოხში ორი ქალი შემოვიდა.

ერთი იყო სადოს მეუღლე, სწორედ ის, ხანში შესული და გამხდარი ქალი, რომელიც წეღან ბალიშებს აწყობდა. მეორე სრულიად ახალგაზრდა იყო, წითელი შარვალი და მწვანე ახალუხი ეცვა, მთელი გულ-მკერდი ვერცხლის ფულების ყელსაბამით დაეფარა. გამხდარ მხრებშუა ზურგზე გადაგდებული არცთუ ისე გრძელი, მაგრამ მსხვილი, ხეშეში შავი ნაწნავის ბოლოზე ვერცხლის მანეთიანი ეკიდა; ისეთივე მოცხარივით შავი თვალები ჰქონდა, როგორც მამასა და ძმას და მხიარულად

უბრწყინავდა. ცდილობდა, ახალგაზრდულ სახეზე სიმკაცრე გამოხატვოდა. იგი სტუმრებისაკენ არ იხედებოდა, მაგრამ ჩანდა, რომ მათ აქ ყოფნას გრძნობდა.

სადოს ცოლს მოჰქონდა დაბალი, მრგვალი მაგიდა, რომელზედაც ეწყო პილგიშები, ერბოიანი ბლინები, ჩაი, ყველი, ლავაშები და თაფლი, ხოლო გოგონას ტაშტი, კუმგანი და პირსახოცი ეჭირა.

სადო და ჰაჯი-მურატი დუმდნენ, სანამ წითელჩუსტებიანი ქალები ჩუმად მოძრაობდნენ და საჭმელს სტუმრების წინ ალაგებდნენ. ვიდრე ქალები ოთახში იყვნენ, ელდარი ქანდაკებასავით უძრავად იჯდა და უწყინარი თვალები გადაჯვარედინებული ფეხებისთვის მიეპყრო. როცა ქალები გავიდნენ და მათი მსუბუქი ნაბიჯების ხმა სრულიად მიწყდა, ელდარმა მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა თავისუფლად, ხოლო ჰაჯი-მურატმა ჩოხის ერთი ქილა ამოიღო, ტყვია ამოაძრო და დაგრაგნილი წერილი გამოაცოცა.

- შენს ვაჟს გადაეცი, - უთხრა სადოს და წერილი უჩვენა.

- პასუხი სად მოგიტანოს?

- შენ შეგატყობინოს, შენ კი მე გამაგებინე.

- კეთილი, - თქვა სადომ და წერილი ჩოხის ქილაში ჩადო. შემდეგ კუმგანი აიღო და ტაშტი ჰაჯი-მურატისაკენ გააჩოჩა. ჰაჯი-მურატმა ახალუხის სახელოები მტევნებს ზემოთ თეთრ, დაკუნთულ მკლავებზე აიკაპიწა და ხელები შეუშვირა ცივ, გამჭვირვალე წყალს, კუმგანიდან რომ უსხამდა სადო: ჰაჯი-მურატმა სუფთა, ხამ პირსახოცზე ხელები შეიმშრალა და საჭმლისკენ მიიწია. ასევე მოიქცა ელდარიც. სტუმრები სანამ საჭმელს მიირთმევდნენ, სადო პირდაპირ უჯდა მათ და რამდენჯერმე გადაუხადა მადლობა აქ მოსვლისთვის, კართან მჯდომი ბიჭი ანთებულ შავ თვალებს არ აშორებდა ჰაჯი-მურატს, იღიმებოდა, თითქოს ღიმილით მამის ნათქვამს ადასტურებდა.

თუმცა ჰაჯი-მურატი ერთი დღე-ღამის უჭმელი იყო, მაინც მხოლოდ ორიოდე ლუკმა პური და ყველი გადაყლაპა და ხანჯლის ქარქაშის შიგნიდან ამოღებული პატარა დანით პურს თაფლი წაუსვა.

- ჩვენი თაფლი კარგია. სხვა წლებთან შედარებით წელს თაფლი უკეთესიცაა და ბევრიც გვაქვს, - თქვა მოხუცმა, ეტყობოდა, კმაყოფილი იყო, რომ ჰაჯი-მურატი მის თაფლს მიირთმევდა.

- გმადლობთ, - უთხრა ჰაჯი-მურატმა და საჭმელს მოსცილდა.

ელდარს კიდევ უნდოდა ეჭამა, მაგრამ ისიც, თავისი მიურშიდის მსგავსად, მაგიდას გაშორდა და ჰაჯი-მურატს ტაშტი და კუმგანი მიართვა.

სადომ იცოდა, რომ ჰაჯი-მურატის სტუმრობით სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდა, რადგან ჰაჯი-მურატთან შამილის წაჩხუბების შემდეგ ჩაჩნეთის ყველა მცხოვრებს გამოუცხადეს: ვინც ჰაჯი-მურატს მიიღებს, სიკვდილი არ ასცდებაო. ისიც იცოდა, აულის მცხოვრებთ ყოველ წუთს შეიძლებოდა გაეგოთ, მის სახლში ჰაჯი-მურატი რომ იყო და სტუმრის გაცემა მოეთხოვათ. მაგრამ ეს არამცთუ აწუხებდა, ახარებდა კიდეც. თავის მოვალეობად მიაჩნდა დაეცვა სტუმარი ყონაღი, თუნდაც ეს

სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა, უხაროდა და თანაც ამაყობდა ამით, რომ ისე იქცეოდა, როგორც საჭირო იყო.

- სანამ ჩემს სახლში ხარ და თავი კისერზე მაბია, თითსაც ვერავინ დაგაკარებს, - გაუმეორა მან ჰაჯი-მურატს.

ჰაჯი-მურატმა ყურადღებით შეხედა მის ანთებულ თვალებს და რაკი დარწმუნდა, სიმართლეს ამბობდა, ერთგვარი აღტაცებით უთხრა: - იხარე და იცოცხლე!

კეთილი სიტყვისთვის მადლობის ნიშნად სადომ გულზე მიიდო ხელი.

სადომ ბუხარში ცეცხლი შეანთო, ქოხის დარაბები დახურა და საყონაღოდან ძალიან გულმხიარული და აღგზნებული გავიდა ქოხის იმ ნაწილში, სადაც მისი ჯალაბი ცხოვრობდა. ქალებს ჯერ კიდევ არ ეძინათ, ისინი საუბრობდნენ სახიფათო სტუმრებზე, რომლებიც მათ საყონაღოში ღამეს ათევდნენ.

II

იმავე ღამით ვოზდვიჟენსკოეს მეწინავე ციხესიმაგრიდან, რომელიც თხუთმეტი ვერსით იყო დაშორებული იმ აულს, სადაც ჰაჯი-მურატი ღამეს ათევდა, ჩაჰგირინის ჭიშკარში გავიდა სამი ჯარისკაცი და ერთი უნტერ-ოფიცერი. ჯარისკაცებს ფაფახები ეხურათ, მხარზე თოფები და დახვეული ფარაჯები გადაეკიდნათ. ეცვათ ჯუბაჩები და დიდი ჩექმები, რომელთა ყელი მუხლებს სცილდებოდა. მაშინ კავკასიაში მყოფი ჯარისკაცები ასეთ ჩექმებს ატარებდნენ. ჯარისკაცები ჯერ გზაზე მიდიოდნენ, ხუთასიოდე ნაბიჯის შემდეგ მარჯვნივ გადაუხვიეს, ხმელი ფოთლების შარიშურში ოციოდე ნაბიჯი გაიარეს და გადატეხილ ჭადართან შეჩერდნენ. ჭადრის შავი ტანი სიბნელეშიც კარგად ჩანდა. ჩვეულებრივ, ამ ჭადართან აგზავნიდნენ ხოლმე გუშაგს.

სანამ ჯარისკაცები ტყეში მიდიოდნენ, მოკაშკაშე ვარსკვლავები თითქოს ხეთა წვერებს მისდევდნენ, ახლა კი, შეჩერდნენ და ხეების შიშველ ტოტებს შორის ბრწყინავდნენ და კაშკაშებდნენ.

- მადლობა ღმერთს, - ცივად თქვა უნტერ-ოფიცერმა პანოვმა, ხიშტწამოცმული გრძელი თოფი მხრიდან მოიხსნა და ბრახუნით მიაყუდა ხეს. ჯარისკაცებიც ასევე მოიქცნენ.

- ასეა, დამიკარგავს, - გაბრაზებით ჩაიბურტყუნა პანოვმა, - ან დამავიწყდა, ან გზაზე ამომივარდა.

- რას ეძებ? - თამამად და მხიარულად ჰკითხა ერთმა ჯარისკაცმა.

- ჩიბუხს, ეშმაკმა უწყის , სად დაიკარგა!

- ტარი მთელია? - თამამად იკითხა იმავე ჯარისკაცმა.

- ტარი აგერ არის.

- პირდაპირ მიწას რომ მოვარგოთ ტარი?

- რას მეუბნები!

- ამ საქმეს ხელად მოვაგვარებთ.

საგუშაგოზე თამბაქოს მოწევა აკრძალული იყო, თუმცა ეს ნამდვილი საგუშაგო კი არა, უფრო სწორედ, მეწინავე სადარაჯო იყო, სადაც ჯარისკაცებს იმისთვის გზავნიდნენ, რომ მთიელებს უწინდებურად არ შეძლებოდათ შეუმჩნევლად მოეგორებინათ ქვემეხი და სიმაგრისთვის ყუმბარები დაეშინათ. ამიტომ პანოვს საჭიროდ არ მიაჩნდა თამბაქოს მოწევაზე უარი ეთქვა და მხიარული ჯარისკაცის წინადადებას დაეთანხმა. მხიარულმა ჯარისკაცმა ჯიბიდან დანა ამოიღო და მიწის ამოჩიჩქნა დაიწყო. მან პაწია ორმო ამოთხარა. მოასწორა და ჩიბუხის ტარი გაუკეთა. მერე ორმოში თუთუნი ჩაყარა, დატკეპნა და ჩიბუხიც მზად იყო. ასანთი აინთო და ერთი წუთით გაანათა მუცელზე დაწოლილი ჯარისკაცის ფართოყვრიმალებიანი სახე. ჩიბუხის ტარში ქსუტუნი გაისმა და პანოვმა ანთებული წეკოს სასიამოვნო სუნი იგრძნო.

- გამართე? - თქვა მან.

- მაშ, როგორ!

- რა ყოჩაღი ხარ, ავდეევ, რა მოხერხებული! აბა მეც მიმიშვი.

ავდეევი გვერდზე გადაბრუნდა, პანოვს ადგილი დაუთმო და პირიდან კვამლი გამოუშვა.

ჯარისკაცებმა წეკოს მოწევით რომ გული იჯერეს, საუბარი გააბეს.

- ამბობენ, ასეულის უფროსი კვლავ ჩამძვრალაო ყუთში, წაუგია, - ზუსტად თქვა, ერთ-ერთმა ჯარისკაცმა.

- დაგვიბრუნებს, - თქვა პანოვმა.

- ცხადია, კარგი ოფიცერია, - დაემოწმა ავდეევი.

- კარგი, კარგი - პირქუშად განაგრძო საუბრის წამომწყებმა, - მაგრამ მე ვფიქრობ, ასეული უნდა მოელაპარაკოს: თუ აიღე, გვითხარი, რამდენი აიღე და როდის მოგვცემ.

- როგორც ასეული განსჯის, - თქვა პანოვმა, ჩიბუხს რომ მოსცილდა.

- ცხადია, ხალხს დიდი ძალა აქვს, - დაემოწმა ავდეევი.

- შვრია საყიდელია, ჩექმებიც უნდა შევიძინოთ საგაზაფხულოდ, ფული გვჭირდება, მან კი მთლად წაგვართვა... - გაიძახოდა უკმაყოფილო.

- გეუბნები, როგორც ასეულს უნდა-მეთქი, - გაიმეორა პანოვმა, - ეს პირველი შემთხვევა არ არის! აიღებს და დაგვიბრუნებს.

კავკასიაში იმ დროს თითოეული ასეული თავის ხალხს ირჩევდა და ისინი განაგებდნენ მთელ მეურნეობას. ასეული ხაზინიდან სულზე ექვს მანეთს და ორმოცდაათ კაპიკს ღებულობდა და თვითონვე ყიდულობდა სურსათ-სანოვაგეს: რგავდნენ კომბოსტოს, თიბავდნენ ბალახს, თივას იმზადებდნენ, ჰქონდათ საზიდრები და თავი მოჰქონდათ ასეულის მაძღარი ცხენებით. ასეულის ფული კი ჩაკეტილი იყო ყუთში, ყუთის გასაღები ასეულის მეთაურთან ინახებოდა, ამიტომ

ასეულის მეთაური ხშირად სესხს ასეულის ყუთიდან იღებდა. ასე მოხდა ახლაც და სწორედ ამაზე ლაპარაკობდნენ ჯარისკაცები. პირქუშ ჯარისკაცს ნიკიტინს უნდოდა მეთაურისთვის ანგარიში მოეთხოვა. პანოვსა და ავდეევს კი ეს საჭიროდ არ მიაჩნდათ.

პანოვის შემდეგ ნიკიტინმა გააბოლა. მერე ფარაჯა დაიგო, დაჯდა და ხეს მიეყრდნო. ჯარისკაცები მიჩუმდნენ, მხოლოდ შარიშური ისმოდა; მაღლა, მათ ზემოთ, ქარი ხეთა კენწეროებს აშრიალებდა. უცებ ამ განუწყვეტელ წყნარ შრიალში ტურების კივილი, ჩხავილი, ტირილი, ხარხარი მოისმა.

- გესმით, როგორ გააბეს ამ წყეულებმა, - თქვა ავდეევმა.

- შენ დაგცინიან სიფათი რომ გვერდზე მოგქცევია, - გაისმა მეოთხე ჯარისკაცის წვრილი ხახოლური ხმა.

კვლავ მიწყნარდა ყველაფერი, მხოლოდ ქარი არხევდა ხეების ტოტებს და ხან დამალავდა, ხან გამოაჩენდა ვარსკვლავებს.

- რაო, ანტონიჩ, - უცებ ჰკითხა მხიარულმა ავდეევმა პანოვს, - ხანდახან რომ მოიწყენ ხოლმე?

- რომელ მოწყენაზე ლაპარაკობ? - უხალისოდ უპასუხა პანოვმა.

- მე კი ხანდახან ისეთი მოწყენილობა შემომაწვება, ისეთი, თვითონაც არ ვიცი, რა ვქნა.

- ამას დამიხედეთ! - თქვა პანოვმა.

- მაშინ რომ ფული გავანიავე, ისიც ხომ მოწყენილობისგან მოხდა. ისე ამიტანა მოწყენილობამ, ისე, რომ გავიფიქრე, მოდი, ერთი გამოვბრუჟდები-მეთქი.

- ღვინისგან უარესიცაა მოსალოდნელი.

- არც ის დამკლებია. სად წაუხვალ?

- მერედა, რისთვის მოგიწყენია?

- მე? ოჯახზე ვფიქრობ.

- რაო, მდიდრულად ცხოვრობდით?

- მდიდრულად არა, მაგრამ შეძლებულად ვცხოვრობდით, კარგად ვცხოვრობდით, - თქვა ავდეევმა და დაიწყო იმის მოყოლა, რაც არაერთხელ ეამბნა იმავე პანოვისათვის.

- მე ჯარში ჩემი სურვილით წამოვედი ძმის მაგიერ, - ჰყვებოდა ავდეევი, - მას ოთხი შვილი ჰყავდა, მე კი, ის იყო, ქალი შემრთეს. დედა შემეხვეწა, ვიფიქრე: რა მიჭირს! წავალ, იქნებ ჩემი სიკეთეც მოაგონდეთ-მეთქი. მივედი ბატონთან. ბატონი კარგი გვყავდა. მან მითხრა: „ყოჩაღ, წადიო“. ასე წამოვედი ძმის მაგიერ.

- კარგი გიქნია, - უთხრა პანოვმა ავდეევს.

- ახლა კი, ანტონიჩ, მოწყენილი ვარ, ყველაზე უფრო ის მადარდებს, რატომ წამოვედი ძმის მაგიერ, ის ახლა მეფურად ცხოვრობს, მე კი აქ ვიტანჯები და რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უარესია. რას იზამ, ასეთი ბედი მქონია.

ავდეევი ერთხანს დუმდა.

- იქნებ კვლავ გაგვებოლებინა? - იკითხა მან.

- მოდი, გააწყვე ჩიბუხი!

მაგრამ არ დასცალდათ. ის იყო, ავდეევი ადგა და ჩიბუხის გაწყობა დააპირა, რომ ქარის შარიშურში გზაზე ნაბიჯების ხმა მოისმა. პანოვმა თოფი აიღო და ნიკიტინს ფეხი ჰკრა. ნიკიტინი წამოდგა და ფარაჯა აიღო. წამოდგა მესამეც - ბონდარენკო.

- ო, ძმებო, რა სიზმარი ვნახე...

ავდეევმა ბონდარენკო გააჩუმა, ჯარისკაცებმა სული განაბეს და მიაყურადეს. ვიღაცეები ახლოვდებოდნენ. მათ ჩექმები არ ეცვათ და მსუბუქად მოაბიჯებდნენ. წყვდიადში სულ უფრო გარკვევით მოისმოდა ფოთლებისა და ხმელი ტოტების ლაწალუწი. მერე ჯარისკაცებმა გაიგონეს საუბარი იმ განსაკუთრებულ ხორხისმიერ ენაზე, რომელზედაც ჩაჩნები ლაპარაკობდნენ. ჯარისკაცები ახლა არა მარტო ისმენდნენ, არამედ ხედავდნენ კიდეც ორ ლანდს, ხეებს შორის რომ მოდიოდნენ. ერთი ლანდი უფრო დაბალი იყო, მეორე მაღალი. როცა ლანდები ჯარისკაცებს გაუთანასწორდნენ, თოფმომარჯვებული პანოვი ორ ამხანაგთან ერთად გზაზე გამოვიდა.

- ვინ მოდის? - შეჰყვირა მან.

- მშვიდობიანი ჩაჩანი, - თქვა დაბალმა. ეს ბათა იყო. - თოფი იოქ, ხმალი იოქ, - ამბობდა და თავის თავზე უთითებდა. - კინეზი გვინდა.

მაღალი ჩუმად იდგა ამხანაგის გვერდით. იარაღი არც მას ჰქონდა.

- მსტოვარია. ესე იგი, პოლკის უფროსთან უნდათ რომ წავიყვანოთ, - აუხსნა პანოვმა ამხანაგებს.

- კინეზი ვორონცოვი ძლიერ უნდა, დიდი საქმე უნდა, - ამბობდა ბათა.

- კარგი, კარგი, მიგიყვანთ, - უთხრა პანოვმა. - წაიყვანეთ შენ და ბონდარენკომ. - მიმართა შემდეგ ავდეევს, - მორიგეს რომ ჩააბარებ, ისევ დაბრუნდი, იცოდე ფრთხილად იყავი, წინ გაიგდე, თორემ, ხომ იცი, ეგ თავგადახოტრილები როგორი მარდები არიან.

- მერე ის რისთვის მიჭირავს? - თქვა ავდეევმა და ხიშტიანი თოფი ისე მოიქნია, თითქოს ვიღაცას უნდა დააძგეროსო. - ერთს ისეთს ვატაკებ, რომ სულს გავაფრთხობინებ.

- რაღას გამოდგება, თუ მოკალი! - უთხრა ბონდარენკომ. - აბა, მოვუსვათ!

როცა ორი ჯარისკაცისა და მსტოვრების ფეხის ხმა მიწყდა, პანოვი და ნიკიტინი თავიანთ ადგილზე დაბრუნდნენ.

- რა ეშმაკი დაათრევთ ღამღამობით! - თქვა ნიკიტინმა.

- ალბათ ასეა საჭირო, - მიუგო პანოვმა. - ცოტა აგრილდა კიდეც, - დაუმატა მან, მერე ფარაჯა გაშალა, მოისხა და ხესთან დაჯდა.

ორი საათის შემდეგ ავდეევი და ბონდარენკო დაბრუნდნენ.

- ჩავაბარეთ, პოლკის მეთაურისას ჯერ კიდევ არ სძინავთ. პირდაპირ მას მივუყვანეთ, როგორც გინდა ისე თქვი, ჩემო ძმაო, და კაი ბიჭები არიან ეგ თავმოტვლეპილები... - განაგრძობდა ავდეევი, - ღმერთმანი! მერედა, რა არხეინად ვისაუბრეთ.

- ნამდვილად ასე იზამდი, - უკმაყოფილოდ უთხრა ნიკიტინმა.

- მერწმუნეთ, სულ რუსებს ჰგვანან. ერთი ცოლიანია, - „ქალი, - ვეკითხები, - ბარ? - „ბარ“, - მეუბნება. - „შვილები ბარ?“ - ვეკითხები, - „ბარ“. „ბევრი?“ - „ორი“, - მეუბნება. ასე გავაბით საუბარი. კარგი ბიჭები არიან.

- როგორ არა, კარგები არიან, - თქვა ნიკიტინმა, - მაგრამ თუ დაგიმარტოხელა, წელებს დაგაყრევინებს.

- მგონი, საცაა ინათებს, - თქვა პანოვმა.

- ჰო, ვარსკვლავებიც იბჟუტებიან, - დაუმატა ავდეევმა და დაჯდა. ჯარისკაცები კვლავ გაჩუმდნენ.

III

ყაზარმებისა და ჯარისკაცთა პატარა სახლების ფანჯრებში დიდი ხანია სინათლე ჩაქრა, მაგრამ ციხესიმაგრის ერთ-ერთ საუკეთესო სახლში კი ჯერაც განათებული იყო ყველა ფანჯარა. ეს სახლი ეჭირა ქურის პოლკის უფროსს, მთავარსარდლის შვილს, ფლიგელ-ადიუტანტ თავად სემიონ მიხაილოვიჩ ვორონცოვს. იგი თავის მეუღლესთან, მარია ვასილიევნასთან ერთად ცხოვრობდა აქ. ეს ქალი სილამაზით მთელ პეტერბურგში იყო ცნობილი. პატარა, კავკასიურ ციხესიმაგრეში ვორონცოვი ისე ჩინებულად მოეწყო, როგორც აქ არავის არასოდეს უცხოვრია. ვორონცოვს, განსაკუთრებით კი მის მეუღლეს, ეჩვენებოდა, რომ უბრალოდ კი არა, ხელმოკლედაც ცხოვრობდნენ. თუმცა აქაურებს ძალიან აკვირვებდათ მათი არაჩვეულებრივი ფუფუნება.

ახლა ღამის თორმეტ საათზე, დიდ სასტუმროში, სადაც მთელ ოთახში ეფინა ნოხი და ჩამოშვებული იყო მძიმე ფარდები, ოთხი სანთლის განათებულ ლომბერის მაგიდას უსხდნენ სტუმარ-მასპინძელი და ბანქოს თამაშობდნენ. მოთამაშეთაგან ერთ-ერთს, მასპინძელს, თვით ვორონცოვს, მოგრძო პირისახის ქერა პოლკოვნიკს, ფლიგელ-ადიუტანტის ვენზელები და აქსელბანტები ამშვენებდა. მისი პარტნიორი გახლდათ პეტერბურგის უნივერსიტეტის კანდიდატი, პირქუში შესახედაობის, თმაგაჩეჩილი ახალგაზრდა. იგი ვორონცოვის კნეინამ ახლახან გამოიწერა მასწავლებლად თავისი პატარა ვაჟისათვის, პირველი ქმრიდან რომ ჰყავდა. მათ წინააღმდეგ თამაშობდა ორი ოფიცერი: ერთი მათგანი სახეფართო და წითელლოყება, გვარდიიდან გადმოსული, ასეულის მეთაური პოლტორაცკი იყო, ხოლო მეორე, ლამაზ სახეზე ცივი გამომეტყველება რომ აღბეჭდოდა, - პოლკის ადიუტანტი. თვითონ კნეინა მარია

ვასილიევნა წარმოსადეგი, დიდრონთვალება, შავთვალწარბა ლამაზმანი, პოლტორაცკის უჯდა გვერდით. ხაბარდის კალთით ოდნავ ეხებოდა ოფიცერს ფეხზე და მის ქაღალდებში იჭვრიტებოდა. მარია ვასილიევნას სიტყვები, გამოხედვა, ღიმილი, სხეულის მიხრა-მოხრა და სუნამო, რომლის სურნელიც ქალბატონს ასდიოდა, პოლტორაცკის ყველაფერს ავიწყებდა, გარდა მისი სიახლოვის შეგრძნებისა. ამიტომ პოლტორაცკი შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და უფრო და უფრო აღიზიანებდა პარტნიორს.

როცა პოლტორაცკიმ ტუზი დააგდო, ადიუტანტი ჭარხალივით გაწითლდა და თქვა: - არა, ეს შეუძლებელია! ტუზი ისევ დაგვეწვა!

პოლტორაცკი, თითქოს ახლა გაიღვიძა და არაფერი გაეგებაო, შორიშორ ჩამჯდარი, კეთილი შავი თვალებით შესცქეროდა უკმაყოფილო ადიუტანტს.

- არა უშავს, აპატიეთ! - ღიმილით მიუგო მარია ვასილიევნამ, - ხომ გეუბნებოდით, - მიმართა მან პოლტორაცკის.

- კი მაგრამ, თქვენ ასე არ გითქვამთ, - უთხრა გაღიმებულმა პოლტორაცკიმ.

- ნუთუ? - ღიმილითვე ჰკითხა კნეინამ. ამ საპასუხო ღიმილმა ისე ძლიერ ააღელვა და გაახარა პოლტორაცკი, ჭარხალივით გაწითლდა, მერე ბანქოს ხელი დასტაცა და აჭრა დაუწყო.

- შენ არ უნდა აჭრა, - მკაცრად უთხრა ადიუტანტმა და თეთრი, ბეჭდიანი ხელით ისე დაიწყო ბანქოს ჩამორიგება, თითქოს რაც შეიძლება ჩქარა უნდოდა მოეცილებინა თავიდან.

სასტუმროში თავადის კამერდინერი შემოვიდა და ვორონცოვს მოახსენა, მორიგე გთხოვთო.

- მაპატიეთ ბატონებო, - ინგლისურ კილოზე რუსულად თქვა ვორონცოვმა. - შენ, Marie ჩემს მაგივრად დაჯდები.

- თანახმა ხართ? - იკითხა კნეინამ, თან აბრეშუმის შარიშურით მაღალი ტანი სწრაფად და მსუბუქად წამომართა და სახე ბედნიერი ქალის ღიმილით გაებადრა.

- მე ყოველთვის ყველაფერზე თანახმა ვარ, - უპასუხა ადიუტანტმა ძლიერ კმაყოფილმა იმით, რომ ახლა მოწინააღმდეგედ ეყოლებოდა თამაშის სრულიად უცოდინარი კნეინა. გაღიმებულმა პოლტორაცკიმ კი ხელები გაასავსავა მხოლოდ.

რობერს ამთავრებდნენ, როცა თავადი დაბრუნდა, განსაკუთრებით მხიარული და აღგზნებული.

- იცით, რას შემოგთავაზებთ?

- რას?

- შამპანური დავლიოთ.

- საამისოდ ყოველთვის მზად ვარ, - წარმოთქვა პოლტორაცკიმ.

- ო, ეს ძალიან სასიამოვნოა, - დასძინა ადიუტანტმაც.

- ვასილი! აბა, მოგვართვი, - თქვა თავადმა.

- რატომ გიხმეს? - ჰკითხა მარია ვასილიევნამ ქმარს.

- მორიგე იყო და კიდევ ერთი კაცი.

- ვინ? რაო? - სულმოუთქმელად ჰკითხა მარია ვასილიევნამ.

ვორონცოვმა მხრები აიჩეჩა და უპასუხა: - ვერ გეტყვი.

- ვერ მეტყვი, - გაიმეორა მარია ვასილიევნამ, - ვნახოთ.

მოიტანეს შამპანური, სტუმრებმა თითო ჭიქა შამპანური დალიეს და როგორც კი თამაშს მორჩნენ და ანგარიში გაასწორეს, გამომშვიდობება დაიწყეს.

- თქვენი ასეული ხვალ ტყეშია გამწესებული, არა? - ჰკითხა პოლტორაცკის თავადმა.

- დიახ. მერე რა?

- მაშ, ხვალ შევხვდებით, - უთხრა თავადმა და გაიღიმა.

- ფრიად მოხარული ვარ, - მიუგო პოლტორაცკიმ, თუმცა კარგად არ ესმოდა, რასაც ვორონცოვი ეუბნებოდა. მხოლოდ იმას ფიქრობდა, როგორ ჩამოართმევდა ახლა ხელს მარია ვასილიევნას, რომელსაც დიდი თეთრი ხელები ჰქონდა.

მარია ვასილიევნამ, როგორც ყოველთვის, არათუ მაგრად ჩამოართვა ხელი, ძლიერადაც შეარხია პოლტორაცკის ხელი. კიდევ ერთხელ მოაგონა შეცდომა, აგურს რომ გადახვედითო და, როგორც პოლტორაცკის მოეჩვენა, მომხიბლავად, ალერსიანად და მრავლისმეტყველად გაუღიმა.

პოლტორაცკი შინ აღფრთოვანებული მიდიოდა. მის გუნება-განწყობილებას ახლა ამოიცნობდნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც მაღალ საზოგადოებაში აღზრდილან და განმარტოებული სამხედრო ცხოვრების რამდენიმე თვის შემდეგ ისევ შეხვდნენ ადრინდელი წრის ქალს, სწორედ ისეთს, როგორიც ვორონცოვის კნეინა იყო.

იგი პატარა სახლს მიადგა, სადაც ამხანაგებთან ერთად ცხოვრობდა, და კარს მიაწვა, მაგრამ დაკეტილი დაუხვდა. დააკაკუნა. კარი მაინც არ იღებოდა. პოლტორაცკის გული მოუვიდა და დაკეტილ კარს ფეხითა და ხელით ბრახაბრუხი აუყენა. ფეხის ხმა მოისმა და პოლტორაცკის შინაყმამ, მსახურმა ვავილომ რაზა გადასწია.

- რამ მოგაფიქრა ჩაკეტვა?! ყეყეჩო!

- განა შეიძლება, ალექსეი ვლადიმირ...

- ისევ გამობრუჟულხარ. მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა...

პოლტორაცკის უნდოდა ეთხლიშა მისთვის, მაგრამ გადაიფიქრა.

- კარგი ჯანდაბას შენი თავი. აანთე სანთელი.

- ახლავე.

- ვავილო მართლაც ნასვამი იყო და დალია, რადგან კაპტენარმუსის დღეობაზე გახლდათ. შინ რომ დაბრუნდა, თავისი ცხოვრება კაპტენარმუს ივან მაკეიჩის ცხოვრებას შეადარა და დაფიქრდა. ივან მაკეიჩს შემოსავალი ჰქონდა, ცოლიანი იყო და იმედოვნებდა, ერთ წელიწადში თავი დაეხსნა. ვავილო კი ბავშვობაშივე წაიყვანეს მაღალ წრეში, ესე იგი, ბატონების მსახურად. ჰოდა, უკვე ორმოცზე მეტი წლის კაცს ცოლი ჯერაც არ შეურთავს და თავის დაუდევარ ბატონთან ერთად სალაშქრო ცხოვრების ჭაპანს ეწეოდა. ბატონი კარგი იყო, ცოტას კი ეჩხუბებოდა, მაგრამ ეს რა ცხოვრებაა! „კავკასიიდან დაბრუნების შემდეგ აზატობის წერილის მიცემას დაპირდა, თუმცა სად ჯანდაბაში წავიდე ამ წერილით... ძაღლური ცხოვრებაა!“ - ფიქრობდა ვავილო და ისე მოერია ძილი, იმის შიშით, რომ არავინ შემოვიდეს და რამე არ წაიღოსო, კარი გადარაზა და დაიძინა.

პოლტორაცკი შევიდა ოთახში, სადაც თავის ამხანაგთან, ტიხონოვთან ერთად იძინებდა. ტიხონოვმა გაიღვიძა.

- რაო, წააგე? - ჰკითხა მან.

- არა, ჩვიდმეტი მანეთი მოვიგე და ერთი ბოთლი კლიკოც ვხუხეთ.

- და თან მარია ვასილიევნას შეჰყურებდი?

- და მარია ვასილიევნას შევყურებდი, - გაიმეორა პოლტორაცკიმ.

- საცაა უნდა ავდგეთ, - უთხრა ტიხონოვმა, - ექვსზე უნდა გავიდეთ.

- ვავილო! - დაიძახა პოლტორაცკიმ, - იცოდე, ხვალ ზუსტად ხუთზე გამაღვიძე.

- მეჩხუბებით და როგორ გაგაღვიძოთ?

- გეუბნები, გამაღვიძე-მეთქი, გესმის?

- მესმის.

ვავილომ ჩექმები და ტანსაცმელი აიღო და ოთახიდან გავიდა. პოლტორაცკი კი ლოგინში ჩაწვა, სახემოღიმარმა, პაპიროსს მოუკიდა და სანთელი ჩააქრო. სიბნელეში თვალწინ ედგა მარია ვასილიევნას გაბრწყინებული სახე.

ვორონცოვებთანაც მაშინვე არ დაუძინიათ. სტუმრები წავიდნენ თუ არა, მარია ვასილიევნა მეუღლესთან მივიდა, წინ გაუჩერდა და მკაცრად უთხრა: - Eh bien, vous allez me dire ce que c ’est?

- Mais, me chere…

- Pas de „me chere!“ C’ est un emissaire n’est-ce pas?[1]

- Quand meme je ne puis pas vous le dire!

- Vous ne pouvez pas? Alors c’est moi qui vais le dire.

- vous? [2]

- ჰაჯი-მურატი იყო, ხომ? - უთხრა კნეინამ. ეს რამდენიმე დღეა ესმოდა ჰაჯი-მურატთან მოლაპარაკების ამბავი და ფიქრობდა, ჩემს ქმართან თვითონ ჰაჯი-მურატი იყოო.

ვორონცოვმა ვერ იუარა, მაგრამ ცოლს იმედი გაუცრუა, როცა უთხრა: ჰაჯი-მურატი კი არა, მსტოვარი მოვიდა და მაცნობა: ჰაჯი-მურატი ხვალ იმ ადგილას შეგხვდება, სადაც ტყის ჩეხვაა დანიშნულიო.

ციხესიმაგრეში ცხოვრება ერთფეროვნად მიდიოდა. ახალგაზრდა ვორონცოვები - ცოლიც და ქმარიც - ძალიან გაახარა ამ ამბავმა. ცოლ-ქმარმა სამ საათამდე ისაუბრა, თუ როგორ გაახარებდა ეს ცნობა მამას, და დასაძინებლად წავიდნენ.

IV

სამი ღამე თეთრად გაათენა ჰაჯი-მურატმა, რომ შამილის მოგზავნილი მიურიდებისაგან თავი დაეღწია და მაშინვე ჩაიძინა, როგორც კი სადომ ღამე მშვიდობისა უსურვა და სახლიდან გავიდა. ტანთგაუხდელად ეძინა, თავი ხელზე ედო, იდაყვი ბუმბულის წითელ ბალიშებში ჩაფლობოდა. ეს ბალიშები მასპინძელმა ამოუდო. ჰაჯი-მურატის მახლობლად, კედელთან ელდარს ეძინა. გულაღმა იწვა, ისე გაეშხვართა ძალოვანი ახალგაზრდული სხეული, მისი მაღალი მკერდი და თეთრი ჩოხის შავი ქილები უფრო მაღლა მოჩანდა, ვიდრე ბალიშიდან გადმოწეული ახალგაპარსული ლურჯი თავი. ბავშვივით გამობურცულ, ოდნავ შეღინღლულ ზედა ტუჩს ხან კუმშავდა, ხან ხსნიდა, თითქოს რაღაცას ხვრეპდა. ჰაჯი-მურატივით ჩაცმულს ეძინა. ქამარში დამბაჩა გაერჭო და ხანჯალი ეკიდა. ბუხარში ფიჩხი იწვოდა, პატარა ღუმელში ძლივს ჭიატობდა ღამის სანათური.

შუაღამისას საყონაღოში კარმა გაიჭრიალა, ჰაჯი-მურატი წამოხტა და დამბაჩაზე იტაცა ხელი. ოთახში სადო შემოვიდა. იგი მსუბუქად მოაბიჯებდა სოხანეზე.

- რა გინდა? - ისეთი კილოთი ჰკითხა ჰაჯი-მურატმა, თითქოს არასოდეს არ უძინიაო.

- უნდა მოვიფიქროთ, - თქვა სადომ და ჰაჯი-მურატის წინ ჩაცუცქდა. - ვიღაც ქალს ბანიდან დაუნახიხარ აქეთ მომავალი, იმას ქმრისთვის უთქვამს, ახლა კი მთელმა აულმა იცის ეს ამბავი. ჩემს ცოლთან მეზობლის ქალმა მოირბინა, მოხუცებმა მეჩეთთან მოიყარეს თავი და უნდათ ჰაჯი-მურატი დააკავონო.

- უნდა წავიდე - თქვა ჰაჯი-მურატმა.

- ცხენები მზადაა, - უთხრა სადომ და სასწრაფოდ გამოვიდა ქოხიდან.

- ელდარ, - წაიჩურჩულა ჰაჯი-მურატმა. ელდარმა გაიგონა თუ არა თავისი სახელი და თანაც მიურშიდის ხმა, მაშინვე წამოიმართა ღონიერ ფეხებზე და ფაფახი შეისწორა. ჰაჯი-მურატმა იარაღი აისხა და ნაბადი მოიხურა. ასევე მოიქცა ელდარიც. ისინი ჩუმად გავიდნენ ჩარდახში. შავთვალა ბიჭუნამ ცხენები მიჰგვარა მათ. დუმილით მოცულ ქუჩაზე როგორც კი ცხენების ფლოქვების ხმა გაისმა, მეზობელი ქოხის კარიდან ვიღაცამ თავი გამოჰყო და ხის ქოშების კაკუნ-კაკუნით გორაკისკენ მეჩეთში გაიქცა.

უმთვარო ღამე იყო, მაგრამ ვარსკვლავები კაშკაშებდნენ შავ ცაზე. სიბნელეშიც ილანდებოდა ქოხების სახურავთა მოხაზულობა, სხვა შენობებზე უფრო ნათლად მაინც მინარეთიანი მეჩეთი მოჩანდა აულის ზემო ნაწილში, მეჩეთიდან აღწევდა ხმების გუგუნი.

ჰაჯი-მურატმა სწრაფად აიტაცა თოფი, ვიწრო უზანგში ფეხი შეჰყო, უხმაუროდ, შეუმჩნევლად გადაევლო ცხენს და უნაგირის მაღალ ბალიშზე უჩუმრად დაჯდა.

- ღმერთმა გიზღოს სამაგიერო, - უთხრა მასპინძელს, თან მარჯვენა ფეხის ჩვეული მოძრაობით მეორე უზანგს ეძებდა. მერე ბიჭს ცხენი რომ ეჭირა, მათრახი ოდნავ შეახო, გზიდან გამეცალეო. ბიჭმა გზა დაუთმო და ცხენმა, თითქოს თვითონ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა, შესახვევიდან მთავარი ქუჩისკენ მხნედ გაუტია. ელდარი უკან მიჰყვა ჰაჯი-მურატს. ქურქმოცმული სადო ხელებს სწრაფად იქნევდა და თითქმის მისდევდა მათ, ვიწრო ქუჩის ხან ერთ მხარეს გადარბოდა, ხან მეორეზე. აულის ბოლოს, გზაზე, გამოჩნდა ერთი მოძრავი ლანდი, მერე მეორე...

- სდექ! ვინ მოდის! შეჩერდი! - დაიყვირა ვიღაცამ და ჰაჯი-მურატს რამდენიმე კაცმა გზა გადაუღობა.

შეჩერების ნაცვლად ჰაჯი-მურატმა დამბაჩა იძრო, ცხენი უფრო გააფიცხა და პირდაპირ გზაზე მდგომი ადამიანებისაკენ გააქროლა. ისინი სწრაფად დაიშალნენ და ჰაჯი-მურატმა უკანმოუხედავად, დიდი თოხარიკით თავქვე დაუშვა ცხენი გზაზე. ელდარი ჩორთით მისდევდა. მათ ზურგს უკან ორჯერ გაისროლეს, ორმა ტყვიამ გაიზუზუნა, მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს არ მოხვედრია. ჰაჯი-მურატი კვლავ თოხარიკით მიჰქროდა. სამასიოდე ნაბიჯის შემდეგ ოდნავ აქოშინებული ცხენი შეაჩერა და დააყურადა. წინ, ქვემოთ, სწრაფი მდინარის შხუილი ისმოდა. აულიდან მამლების ყივილი აღწევდა. ამ ბგერებს შორის ჰაჯი-მურატის უკან მოისმა მოახლოებული ცხენების ფლოქვების თქარუნი და ადამიანთა ლაპარაკი. ჰაჯი-მურატმა ცხენი დაძრა და ისეთივე თანაბარი ჭენებით გასწია წინ.

მდევრები მიჰქროდნენ და ჩქარა დაეწიენ ჰაჯი-მურატს. მას ოცი ცხენოსანი მოსდევდა. ესენი იყვნენ აულის მცხოვრებლები, რომლებსაც გადაეწყვიტათ ჰაჯი-მურატი დაეჭირათ, ან უკიდურეს შემთხვევაში, შამილთან რომ თავი გაემართლებინათ, ისე მოქცეულიყვნენ, თითქოს მისი დაჭერა სურდათ. როცა მდევრები იმდენად მოახლოვდნენ, რომ სიბნელეში გამოჩნდნენ, ჰაჯი-მურატი შეჩერდა, სადავეს ხელი უშვა. მარცხენა ხელის ჩვეული მოძრაობით შაშხანის შალითა გახსნა, მარჯვენათი კი შაშხანა ამოიღო. ელდარიც ასევე მოიქცა.

- რა გინდათ? - დაუყვირა მათ ჰაჯი-მურატმა. - ჩემი დაჭერა? აჰა, დამიჭირეთ! - დაიძახა და შაშხანა ასწია. აულის მცხოვრებნი შეჩერდნენ.

შაშხანა ისევ ხელში ეჭირა ჰაჯი-მურატს, მან ღარტაფში დაიწყო დაშვება. ცხენოსნები შორიახლო მისდევდნენ, როცა ჰაჯი-მურატი ღარტაფის მეორე მხარეზე გადავიდა, უკან მომავალმა მდევრებმა დაუყვირეს, სათქმელი გვაქვს, მოგვისმინეო. ჰაჯი-მურატმა საპასუხოდ შაშხანა დასცალა და ცხენი გააჭენა. როცა ცხენი დააოკა, აღარც მდევართა ხმა აღწევდა მის ყურთასმენამდე და აღარც მამლების ყივილი, მხოლოდ გარკვევით ისმოდა ტყიდან წყლის ჩხრიალი, და ხანდახან ჭოტის კივილი. სულ ახლოს ჩანდა ტყის შავი კედელი. ეს იყო სწორედ ის ტყე, სადაც ჰაჯი-მურატს თავისი

მიურიდები ელოდნენ. როგორც კი ტყეს მიუახლოვდა, შეჩერდა, ხარბად ჩაისუნთქა ჰაერი, მერე დაუსტვინა და დააყურადა. ერთი წუთის შემდეგ ტყიდან ასეთივე სტვენა მოისმა. ჰაჯი-მურატმა გზიდან გადაუხვია და ტყეში შევიდა. ასიოდე ნაბიჯი გადადგა და ხეების ტოტებს შორის დაინახა კოცონი, ცეცხლის ირგვლივ შემომსხდარ ადამიანთა ლანდები და ალით ნახევრად განათებული, დაბორკილი უნაგირიანი ცხენი.

კოცონის ირგვლივ მსხდომთაგან ერთ-ერთი სწრაფად წამოხტა, ჰაჯი-მურატთან მივიდა, სადავე და უზანგი დაუჭირა. ეს იყო ავარიელი ხანეფი, ჰაჯი-მურატის ძმადნაფიცი, ვინც მის მეურნეობას განაგებდა.

- ცეცხლი ჩააქრეთ! - თქვა ჰაჯი-მურატმა და დაქვეითდა.

იქ მყოფებმა ცეცხლი ჩააქრეს. ალმოდებული მუგუზლები ფეხით დატკეპნეს.

- იყო ბათა? - ჰკითხა ჰაჯი-მურატმა და დაგებულ ნაბადთან მივიდა.

- იყო. დიდი ხანია წავიდა ხან-მაგომასთან ერთად.

- რომელი გზით წავიდნენ?

- ამ გზით, - მიუგო ხანეფიმ და იმ გზის საპირისპირო მხარეზე მიუთითა, საიდანაც ჰაჯი-მურატი მოვიდა.

- კეთილი, - თქვა ჰაჯი-მურატმა, შაშხანა მოიხსნა და მის გატენას შეუდგა. - სიფრთხილე გვმართებს, მომდევდნენ, - მიმართა კაცს, ცეცხლს რომ აქრობდა.

ეს იყო ჩაჩანი გამზალო. გამზალო ნაბადთან მივიდა, აიღო შალითაში ჩადებული შაშხანა და უხმაუროდ გაემართა მინდვრის ბოლოსკენ, იქითკენ, საიდანაც ჰაჯი-მურატი მოვიდა. ელდარი ცხენიდან ჩამოხტა, ჰაჯი-მურატისა და თავის ცხენებს მაღლა ააწევინა თავი და ხეებს მიაბა. მერე ისევე, როგორც გამზალომ, მხარზე შაშხანა გადაიკიდა და მინდვრის მეორე მხარეზე დადგა. კოცონი უკვე ჩააქრეს და ტყე უწინდებურად შავად არ მოჩანდა, ცაზე კი თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინც ანათებდნენ ვარსკვლავები.

ჰაჯი-მურატმა შეხედა ვარსკვლავებს, უკვე ცის თავანზე ასულ ხომლს და გამოთვალა, შუაღამე დიდი ხნის გადასული უნდა ყოფილიყო, ღამის ლოცვის დრო დამდგარიყო. ჰაჯი-მურატმა ხანეფს სთხოვა კუმგანი, მას ყოველთვის ხურჯინით რომ დაჰქონდა, ნაბადი მოისხა და წყლისკენ გასწია.

ფეხთ გაიხადა, განიბანა და ჰაჯი-მურატი ფეხშიშველი დადგა გაშლილ ნაბადზე, მერე ფეხები მოირთხა, თითებით ყურები დაიცო, თვალები დახუჭა და აღმოსავლეთისაკენ პირშექცეულმა ლოცვები აღავლინა.

ლოცვა რომ დაამთავრა, დაბრუნდა თავის ადგილას, სადაც ხურჯინები ელაგა, ნაბადზე დაჯდა, მუხლებზე დაიყრდნო ხელები, დახარა თავი და ჩაფიქრდა.

ჰაჯი-მურატს ყოველთვის სწამდა თავისი ბედისწერა. როცა რაიმეს ჩაიფიქრებდა წინასწარ მტკიცედ სჯეროდა, რომ მიზანს მიაღწევდა. მართლაც იშვიათად თუ უმტყუნებდა ბედი. ასე გრძელდებოდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მთელი მისი

მშფოთვარე სამხედრო ცხოვრების მანძილზე და იმედი ჰქონდა, რომ ამჯერადაც ასე მოხდებოდა. წარმოიდგინა. როგორ წარუძღვებოდა ვორონცოვის მოცემულ ჯარს შამილის წინააღმდეგ, ტყვედ ჩაიგდებდა შამილს, შურს იძიებდა მასზე, რუსი მეფე დააჯილდოებდა და კვლავ იქნებოდა მმართველი მარტო ავარიისა კი არა, მთელი ჩაჩნეთისა. ამ ფიქრებში ვერც კი შენიშნა ისე ჩაეძინა.

დაესიზმრა: თითქოს თავისი ერთგული, ვაჟკაცებით, სიმღერითა და ყვირილით: „ჰაჯი-მურატი მოდისო“ შამილისკენ მიქროდა, ხელთ იგდებდა მას თავის ცოლებთან ერთად. ესმოდა, როგორ ტიროდნენ და ქვითინებდნენ შამილის ცოლები. ჰაჯი-მურატს გამოეღვიძა: სიმღერა „ლია ილიახა“ ყვირილი „ჰაჯი-მურატი მოდის!“ და შამილის ცოლების ტირილი აღმოჩნდა ტურების კივილი, ტირილი და ხარხარი, რამაც ის გამოაღვიძა. ჰაჯი-მურატმა თავი წამოსწია, ხეების ტოტებს შორის აღმოსავლეთით გახედა ცას, უკვე რომ ნათდებოდა, და მის შორიახლო მდგომ მიურიდს ჰკითხა ხან-მაგომას ამბავი. როცა გაიგო, ხან-მაგომა ჯერაც არ დაბრუნებულაო, თავი ჩაქინდრა და მაშინვე ისევ ჩათვლიმა.

ჰაჯი-მურატი ხან-მაგომას მხიარულმა ხმამ გამოაღვიძა: ხან-მაგომა ელჩად იყო გაგზავნილი და ახლა ბათასთან ერთად დაბრუნდა. მაშინვე მიუჯდა ჰაჯი-მურატს და მოუყვა, როგორ შეხვდნენ ჯარისკაცები და მიიყვანეს თვით თავადთან, როგორ ელაპარაკა თავადს, როგორ უხაროდა თავადს და დაჰპირდა მათ დილით შეხვედროდა იქ, სადაც რუსები ტყის ჩეხვას იწყებდნენ. - მიჩიკის იქით, შალინის მინდორზე. ბათა სიტყვას აწყვეტინებდა ამხანაგს, შიგადაშიგ თავის წვრილმან ამბებს ჩაურთავდა ხოლმე.

ჰაჯი-მურატმა დაწვრილებით გამოჰკითხა. სახელდობრ როგორი სიტყვებით შეხვდა ვორონცოვი ჰაჯი-მურატის წინადადებას რუსების მხარეზე გადასვლის თაობაზე: ხან-მაგომაც და ბათაც ერთხმად ამბობდნენ, თავადმა პირობა მოგვცა - ჰაჯი-მურატს სტუმარივით მივიღებ და საქმეს ისე მოვაწყობ, თავი კარგად იგრძნოსო. ჰაჯი-მურატმა გზის შესახებაც იკითხა და, როცა ხან-მაგომამ დაარწმუნა, გზა კარგად იცოდა და პირდაპირ მიიყვანდა, ჰაჯი-მურატმა ფული ამოიღო და ბათას დაპირებული სამი მანეთი გაუწოდა; თავისიანებს კი უბრძანა, ხურჯინიდან ამოეღოთ მისი ოქროს ზარნიშიანი იარაღი და ჩალმიანი ფაფახი, მიურიდებიც გააფრთხილა - მომზადებულიყვნენ, რომ რუსებთან ღირსეულად წარმდგარიყვნენ. სანამ იარაღს, უნაგირს, მოსართავებსა და ცხენებს წმენდნენ, ვარსკვლავები მიიბჟუტნენ, ინათა და გარიჟრაჟის წინამორბედმა სიომაც დაჰქროლა.

V

დილაადრიანად, ჯერ კიდევ ბინდბუნდში, ჩაჰგირინის ჭიშკრის იქით, ათი ვერსის დაშორებით, ცულებით შეიარაღებულმა ორმა ასეულმა, რომლებსაც პოლტორაცკი მეთაურობდა, მსროლელნი შარად გაშალა და როგორც კი ინათა, ტყის ჩეხვას შეუდგა. რვა საათი იქნებოდა, როცა კოცონებზე აშიშინებული და ატკაცუნებული ნედლი ტოტების სურნელოვან ბოლთან ერთად ნისლი მაღლა აცურდა და ტყის მჩეხავებმა აქამდე რომ ერთმანეთის მარტო ლაპარაკი ესმოდათ, ხუთ ნაბიჯზე ვერაფერს არჩევდნენ, ახლა კოცონებიც დაინახეს და ტყეში გამავალი ჩახერგილი გზაც. ნისლში მზე ხან ნათელ ლაქად გამოჩნდებოდა, ხანაც გაუჩინარდებოდა მინდორზე, გზის შორიახლო. დოლებზე ისხდნენ: პოლტორაცკი, მისი სუბალტერნ-ოფიცერი

ტიხონოვი, მესამე ასეულის ორი ოფიცერი და პაჟთა კორპუსში სწავლის დროინდელი ამხანაგი პოლტორაცკისა, ყოფილი კავალერგარდი, ამჟამად დუელის გამო ჩამოქვეითებული ბარონი ფრეზე. დოლების გარშემო მიმობნეულიყო საუზმის დროს გადაყრილი ქაღალდები, პაპიროსის ნამწვები და ცარიელი ბოთლები. ოფიცრებმა არაყი გადაჰკრეს, წაიხემსეს და ახლა პორტერს მიირთმევდნენ. მედოლე მერვე ბოთლს ხსნიდა. პოლტორაცკის თუმცა არ გამოუძინია, იგი სულიერად ისე კარგ გუნებაზე, აგზნებული და გულმხიარული გახლდათ, როგორც ყოველთვის თავის ჯარისკაცებსა და ამხანაგებს შორის იქ, სადაც საფრთხე იყო მოსალოდნელი.

ოფიცრები გაცხოველებით საუბრობდნენ ახალ ამბავზე - გენერალ სლეპცოვის სიკვდილზე. ამ სიკვდილში ვერავინ ხედავდა სიცოცხლის უმნიშვნელოვანეს მომენტს - სიცოცხლის დასასრულს და იმ წყაროსთან დაბრუნებას, საიდანაც იგი იშვა; ხედავდნენ მხოლოდ გულადი ოფიცრის ვაჟკაცობას, ოფიცრისა, რომელიც ხმლით ეკვეთა მთიელებს და გაშმაგებით კაფავდა მათ.

თუმცა ყველამ იცოდა, განსაკუთრებით ბრძოლებში ნამყოფმა ოფიცრებმა, რომ მაშინ არც კავკასიის ომში და არც სხვაგან არსად, არასოდეს არ ხდებოდა ხმლით ისეთი ხელჩართული ჩეხვა, როგორიც ყოველთვის ივარაუდება ან აღწერენ (და თუ ხდებოდა ხმლითა და ხიშტით ასეთი ხელჩართული ბრძოლა, მაშინ ხმლით ჩეხავდნენ და ხიშტზე აგებდნენ მხოლოდ გაქცეულებს), ხელჩართული ბრძოლის ამ ფიქციას ოფიცრები მაინც აღიარებდნენ და იგი მშვიდად სიამაყესა და ხალისს ჰგვრიდა მათ. ამ სიამაყით და სიხალისით აღვსილი ოფიცრები, ზოგი ვაჟკაცურად, ზოგიც პირიქით, ფრიად უბრალო პოზაში, დოლებზე ჩამომსხდარიყვნენ, აბოლებდნენ თამბაქოს, სვამდნენ, ხუმრობდნენ და არავინ არ ფიქრობდა სიკვდილზე, რომელიც, სლეპცოვისა არ იყოს, შეიძლებოდა ყოველ მათგანს სტუმრებოდა. მართლაც, შუა საუბარში რომ იყვნენ, თითქოს მათი მოლოდინის დასამტკიცებლად, გზის მარცხნივ გაისმა შაშხანის ტკაცუნი. ტყვიამ ლაღად გაიზუზუნა სადღაც ნისლიან ჰაერში და ხეს მოხვდა. მტრის ამ სროლის საპასუხოდ ჯარისკაცებმა რამდენჯერმე აახმიანეს თავიანთი თოფები.

- ოჰო! - მხიარულად წამოიძახა პოლტორაცკიმ. - შარში ისვრიან! აბა, ძმაო კოსტია, - მიმართა მან ფრეზეს, - მგონი ბედმა გაგიღიმოს. გასწი ასეულში. ახლა იმისთანა ბრძოლას გავაჩაღებთ, უკეთესი არ იქნება! წარგადგენთ კიდეც, რომ დაგაწინაურონ.

ჩამოქვეითებული ბარონი ფეხზე წამოხტა და სწრაფად გაემართა იმ მხარეს, სადაც მისი ასეული იდგა. პოლტორაცკის თავისი პატარა ყაბარდოული წაბლა მოჰგვარეს. ის მოახტა ცხენს, ასეული დააწყო და წაიყვანა შარისაკენ, საიდანაც სროლა მოისმოდა. შარი ტყის განაპირას, დაქანებულ, მოშიშვლებულ ხევთან იდგა. ქარი ტყისკენ უბერავდა და არა მარტო ხევის ჩასასვლელი, მისი მეორე მხარეც ხელისგულივით მოჩანდა.

როცა პოლტორაცკი შარს მიუახლოვდა, მზემ ნისლიდან გამოაჭყიტა და ხევის მოპირდაპირე მხარეს, მეორე პატარა ტყის დასაწყისთან, ასიოდე საჟენის დაშორებით რამდენიმე მხედარი გამოჩნდა. ესენი ის ჩაჩნები იყვნენ, რომლებიც ჰაჯი-მურატს მოსდევდნენ და უნდოდათ რუსებთან მისი მისვლა ენახათ. ერთმა მათგანმა შარს ესროლა. იქიდანაც რამდენიმე ჯარისკაცმა უპასუხა. ჩაჩნებმა უკან დაიხიეს და სროლაც შეწყდა. მაგრამ, როცა პოლტორაცკი ასეულის თანხლებით მივიდა, ბრძანა,

კვლავ ესროლათ და განკარგულების გაცემისთანავე შარის მთელ ხაზზე გაისმა თოფების გაბმული ლაღი, გამამხნევებელი ტკაცატკუცი, რის კვალდაკვალ ლამაზად იფანტებოდა კვამლი. ჯარისკაცებს ახარებდა ეს გართობა, შაშხანების გატენას ჩქარობდნენ და მათ ზედიზედ ცლიდნენ, ჩაჩნები ალბათ გაფიცხდნენ. ცხენები გამოაჭენეს და რამდენჯერმე ერთიმეორეს მიყოლებით ესროლეს ჯარისკაცებს. ერთ-ერთი გასროლის დროს ჯარისკაცი დაიჭრა. ეს ჯარისკაცი გახლდათ საგუშაგოდ გამოგზავნილი ავდეევი. როცა ამხანაგები მივიდნენ, ის პირქვე იწვა, მუცლის ჭრილობაზე ორივე ხელი მოეკიდა და აქეთ-იქით თანაბრად ირხეოდა.

- ის იყო თოფი უნდა გამეტენა და რაღაცამ გაიჩხაკუნა, - ამბობდა ავდეევის ყოფილი მეწყვილე ჯარისკაცი, - ვხედავ, მას ხელიდან თოფი გაუვარდა.

ავდეევი პოლტორაცკის ასეულში ირიცხებოდა. თავმოყრილი ჯარისკაცების დანახვაზე, პოლტორაცკი მათკენ გაემართა.

- რა იყო, ძმობილო, მოგხვდა? - ჰკითხა მან ავდეევს. - სად მოგხვდა?

ავდეევს ხმა არ ამოუღია.

- თქვენო კეთილშობილებავ, ის იყო, თოფი უნდა გამეტენა და, - ალაპარაკდა ავდეევის ყოფილი მეწყვილე ჯარისკაცი, - რაღაცამ გაიჩხაკუნა. ვხედავ ხელიდან თოფი გაუვარდა.

- ნწუუ, ნწუუ - ენა გააწკლაპუნა პოლტორაცკიმ. - გტკივა, ავდეევ?

- არ მტკივა, მაგრამ სიარული არ შემიძლია. ნეტა ღვინო მომცა, თქვენო კეთილშობილებავ!

იშოვეს არაყი, უფრო სწორად, სპირტი, რომელსაც კავკასიაში ჯარისკაცები სვამდნენ, და შუბლშეკრულმა პანოვმა ავდეევს პატარა ხუფში ჩასხმული სპირტი პირთან მიუტანა. ავდეევმა მოსვა, მაგრამ ხუფი მაშინვე ხელით მოიშორა.

- გული არ იღებს, - თქვა მან, - შენ თვითონ დალიე.

პანოვმა სპირტი დალია.

ავდეევმა კვლავ სცადა ადგომა, მაგრამ ისევ დაჯდა. ფარაჯა გაშალეს და ავდეევი ზედ დააწვინეს.

- თქვენო კეთილშობილებავ, პოლკოვნიკი მოდის, - უთხრა პოლტორაცკის ფელდფებელმა.

- კარგი, აქაურობას შენ მიხედე, - მიუგო პოლტორაცკიმ, მათრახი დაიქნია და ვორონცოვის შესახვედრად სწრაფი ჩორთით გაემართა.

ვორონცოვი ინგლისური წმინდა სისხლის წითურ ულაყზე იჯდა. თან ახლდა პოლკის ადიუტანტი, კაზაკი და თარჯიმანი ჩაჩანი.

- ეს რა ამბავია თქვენთან? - ჰკითხა მან პოლტორაცკის.

- აი, ერთი ჯგუფი გამოვიდა და თავს დაესხა ჩვენს შარს, - უპასუხა პოლტორაცკიმ.

- არა მჯერა, ალბათ ყველაფერი თქვენ წამოიწყეთ.

- მე არა, თავადო, - ღიმილით უთხრა პოლტორაცკიმ, - თვითონ გვეძალებოდნენ.

- გავიგე, ჯარისკაცი დაჭრესო?

- დიახ, ძალიან სამწუხაროა, კარგი ჯარისკაცია.

- მძიმედაა დაჭრილი?

- მგონი მძიმედ, მუცელშია დაჭრილი.

- მე კი, იცით, სად მივდივარ? - ჰკითხა ვორონცოვმა.

- არ ვიცი.

- ნუთუ ვერ ხვდებით?

- ვერა.

- ჰაჯი-მურატი ჩვენს მხარეზე გადმოვიდა და ახლა შეგვხვდება.

- შეუძლებელია!

- გუშინ მისი მსტოვარი მოვიდა, - თქვა ვორონცოვმა, იგი ძლივს იკავებდა სიხარულით გამოწვეულ ღიმილს. - ახლა ალბათ შალინის მინდორზე მელოდება, მსროლელები იმ მინდვრამდე გაშალეთ და მერე ჩემთან მოდით.

- მესმის, - უთხრა პოლტორაცკიმ, ხელი ფაფახზე მიიდო და თავისი ასეულისკენ გასწია. მარჯვენა მხარეს თვითონ გაშალა შარი, ხოლო მარცხენა მხარეს ამის გაკეთება ფელდფებელს უბრძანა, ამასობაში ოთხმა ჯარისკაცმა დაჭრილი ციხესიმაგრეში შეიყვანა.

პოლტორაცკი უკვე ვორონცოვთან ბრუნდებოდა, როცა წამოწეული ცხენოსნები დაინახა. პოლტორაცკი შეჩერდა და დაელოდა მათ.

ყველაზე წინ მიდიოდა თეთრფაფარა ცხენზე ამხედრებული, თეთრ ჩოხასა და ჩალმიან ფაფახში გამოწყობილი, ოქროთი მოსევადებულ იარაღში ჩამჯდარი წარმოსადეგი კაცი. ეს ჰაჯი-მურატი იყო. ჰაჯი-მურატი პოლტორაცკისთან მივიდა და თათრულად რაღაც უთხრა. პოლტორაცკიმ წარბები ასწია, ხელები გაშალა - ვერაფერი გავიგეო, და გაიღიმა. ჰაჯი მურატმა ღიმილზე ღიმილითვე უპასუხა. ამ ღიმილმა თავისი ბავშვური გულუბრყვილობით გააოცა პოლტორაცკი. მას ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ასეთი იქნებოდა ეს საშინელი მთიელი. პირიქით, მოელოდა პირქუშ, ცივ, უცხო კაცს, მის წინ კი იდგა ძალიან უბრალო ადამიანი, რომელიც ისე კეთილად იღიმებოდა, თითქოს უცხო კი არა, დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყო. მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა განსაკუთრებული, ეს გახლდათ შორიშორ ჩამჯდარი თვალები, რომლებიც ყურადღებით, გამჭრიახად და მშვიდად იყურებოდნენ სხვის თვალებში..

ჰაჯი-მურატის ამალა ოთხი კაცისაგან შედგებოდა. მათ შორის იყო ხან-მაგომაც. სიცოცხლით სავსე კაცი, წუხელ რომ ვორონცოვს ეწვია. მას ღაჟღაჟა ლოყები, შავი,

ნათელი თვალები და მრგვალი სახე ჰქონდა. იყო კიდევ ერთი - ჩაფსკვნილი, ბარჯგვლიანი, წარბებგადაბმული კაცი - თავლინელი ხანეფი. იგი ჰაჯი-მურატის მთელ ქონებას განაგებდა და ახლა გატენილხურჯინიანი მარქაფი ცხენი მოჰყავდა. ამალიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ორი კაცი: ქალივით ტანწერწეტა, მხრებგანიერი ახალგაზრდა, რომელსაც ოდნავ აკოკრებული ქერა წვერ-ულვაში და ლამაზი, უწყინარი თვალები ჰქონდა, - ეს იყო ელდარი, და ცალთვალა, უწარბო და უწამწამო ჩაჩანი გამზალო. მას წითური წვერები შეეკრიჭა, ცხვირსა და სახეზე ნაჭრილობევი აჩნდა.

გზაზე ვორონცოვი გამოჩნდა. პოლტორაცკიმ ჰაჯი-მურატს მასზე ანიშნა. ჰაჯი-მურატი ვორონცოვისკენ გაემართა, როცა მიუახლოვდა, მარჯვენა ხელი მკერდზე მიიდო, თათრულად რაღაც თქვა და ცხენი შეაჩერა. ჩაჩანმა თარჯიმანმა მისი ნათქვამი გადათარგმნა: - ამბობს, რუს ხელმწიფეს ვნებდებიო, მინდა მას ვემსახუროო. დიდი ხანია მსურდა ეს, მაგრამ შამილი არ მიშვებდაო.

თარჯიმანს რომ მოუსმინა, ვორონცოვმა ჰაჯი-მურატს ნატისხელთათმანიანი ხელი გაუწოდა. ჰაჯი-მურატმა შეხედა ამ ხელს, წამით შეყოვნდა, მაგრამ მერე მაგრად ჩამოართვა და კიდევ რაღაცა თქვა, თან ხან თარჯიმანს უყურებდა, ხანაც ვორონცოვს.

- ამბობს, შენ გარდა არავისთან არ მინდოდა გადმოსვლა, რადგან სარდარის შვილი ხარ და შენ დიდ პატივს გცემდიო.

ვორონცოვმა მადლობის ნიშნად თავი დაუკრა. ჰაჯი-მურატს კიდევ რაღაცა თქვა და თავის ამალაზე მიუთითა.

- ამბობს, ესენი ჩემი მიურიდებია და, ისევე როგორც მე, რუსებს ესაუბრებიანო.

ვორონცოვმა მათაც შეხედა და თავი დაუკრა.

მხიარულმა, შავთვალა, უწამწამო ხან-მაგომამ ასევე დაუკრა თავი და, ალბათ, რაღაც სასაცილო უთხრა ვორონცოვს, რადგან ბანჯგვლიანმა ავარიელმა გაიღიმა და ქათქათა კბილები გამოაჩინა.

წითურმა გამზალომ ცალი თვალი მხოლოდ ერთი წამით შეანათა ვორონცოვს და ისევ თავისი ცხენის ყურებს მიაშტერდა.

როცა ვორონცოვი და ჰაჯი-მურატი თავიანთი ამალის თანხლებით ციხესიმაგრისკენ მიდიოდნენ, შარიდან მოხსნილი და ერთად შექუჩებული ჯარისკაცები შენიშვნებს გამოთქვამდნენ: - რამდენი კაცი დაღუპა ამ წყეულმა, ახლა კი ნახე, არაფერს დააკლებენ, - თქვა ერთმა.

- მაშ, როგორ, შამილის პირველი მეთაური იყო. ამიერიდან კი ალბათ...

- ყოჩაღი ჯიგიტი კი არის, რაღა თქმა უნდა.

- წითური კი, წითური, მხეცივით იბღვირება.

- ოჰ, ეტყობა, რაც ძაღლია.

ყველამ განსაკუთრებით წითური შენიშნა.

იქ, სადაც ტყეს ჩეხდნენ, გზის ახლოს მყოფი ჯარისკაცები ჰაჯი-მურატის სანახავად გამოიქცნენ. ოფიცერმა დაუყვირა მათ, მაგრამ ვორონცოვმა შეაჩერა იგი.

- აცალე, ნახონ თავიანთი ძველი ნაცნობი. შენ იცი, ვინ არის ეს კაცი? - ინგლისური აქცენტით ნელი ხმით ჰკითხა ვორონცოვმა ერთ მის ახლოს მჯდომ ჯარისკაცს.

- ვერაფრით ვერ ვიცანი, თქვენო ბრწყინვალებავ!

- ჰაჯი-მურატი გაგიგონია?

- როგორ არ გამიგონია, თქვენო ბრწყინვალებავ, ბევრჯერ დაგვიმარცხებია კიდეც.

- კი მაგრამ, არც მას დაუყრია ჩვენთვის ხეირი.

- სწორედ აგრეა, თქვენო ბრწყინვალებავ, - მიუგო ჯარისკაცმა. იგი კმაყოფილი იყო, რომ უფროსს გამოელაპარაკა.

ჰაჯი-მურატი გრძნობდა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ და თვალებში ხალისიანი ღიმილი უკრთოდა. ვორონცოვი ფრიად კარგ გუნებაზე დაბრუნდა ციხესიმაგრეში.

VI

ვორონცოვი ძალიან კმაყოფილი იყო, რომ მას, სწორედ მას მოუხდა შამილის შემდეგ რუსეთის მეორე მთავარი, უძლიერესი მტრის გადმობირება და მიღება. მხოლოდ ერთი რამ იყო არასასიამოვნო: ვოზდვიჟენსკოეს ჯარების სარდალი იყო გენერალი მელერზაკომელსკი და წესით მთელი საქმიანობა მისი მეშვეობით უნდა წარემართა. ვორონცოვმა კი ყველაფერი თვითონ გააკეთა, გენერალისთვის არაფერი უცნობებია. ამას კი შეიძლებოდა ერთგვარი უსიამოვნება მოჰყოლოდა, და ეს აზრი ცოტა არ იყოს, უშხამავდა სიამოვნებას.

ვორონცოვმა, სახლს რომ მიუახლოვდა, ჰაჯი-მურატის მიურიდები პოლკის ადიუტანტს ჩააბარა, ხოლო თვითონ ჰაჯი-მურატი შინ წაიყვანა.

კნეინა მარია ვასილიევნა ჰაჯი-მურატს სასტუმრო ოთახში შეხვდა, მორთულ-მოკაზმული, სახემოღიმარი, თან ახლდა ვაჟიშვილი, ექვსი წლის ლამაზი, თმახუჭუჭა ბიჭი. ჰაჯი-მურატმა ხელები გულზე მიიდო და თარჯიმნის მეშვეობით რამდენადმე საზეიმოდ განაცხადა: ჩემი თავი თავადის ყონაღად მიმაჩნია, რადგანაც მან შინ მიმიღო, ხოლო ყონაღის მთელი ოჯახი ისეთივე წმიდათა წმიდაა ყონაღისათვის, როგორც თვითონ ყონაღი. მარია ვასილიევნას ჰაჯი-მურატის გარეგნობაც მოეწონა და მანერებიც. ჰაჯი-მურატი რომ კნეინას დიდი თეთრი ხელის გაწოდებისთანავე აენთო და გაწითლდა, ამან კნეინა კიდევ უფრო კეთილად განაწყო ახალმოსულის მიმართ. კნეინამ სტუმარს სთხოვა დამჯდარიყო, მერე ჰკითხა, მიირთმევდა თუ არა ყავას, და ყავის მოტანა ბრძანა, თუმცა ჰაჯი-მურატმა უარი თქვა ყავაზე, როცა მოუტანეს. მას ცოტა ესმოდა რუსული, მაგრამ ლაპარაკი არ შეეძლო და როცა ვერ იგებდა, იღიმებოდა. ეს ღიმილი მარია ვასილიევნას ისევე მოეწონა, როგორც პოლტორაცკის. მარია ვასილიევნას თავისი ხუჭუჭთმიანი, თვალციმციმა ბიჭუნა, ბულკას რომ ეძახდა, გვერდით ედგა და თვალს არ აშორებდა ჰაჯი-მურატს, რომლის შესახებაც სმენოდა - არაჩვეულებრივი მეომარიაო.

ვორონცოვმა ჰაჯი-მურატი მეუღლესთან დატოვა. თვითონ კი კანცელარიაში წავიდა, რათა გაეცა განკარგულება, რომ უფროსებისათვის ჰაჯი-მურატის გადმოსვლა ეცნობებინათ. დაწერა თუ არა მოხსენება მარცხენა ფლანგის უფროსის კოზლოვსკის სახელზე გროზნოში გასაგზავნად, ხოლო წერილი მამის სახელზე, მაშინვე შინისკენ გამოეშურა. ვორონცოვს ეშინოდა მეუღლე არ განაწყენებოდა ეს უცხო და საშიში კაცი რომ დაუტოვა, კაცი, რომლისთვისაც არც შეურაცხყოფა უნდა მიეყენებინათ და არც ძალიან მოჰფერებოდნენ. მაგრამ მისი შიში უსაფუძვლო იყო. ჰაჯი-მურატი სავარძელში იჯდა, მუხლზე დაესვა ბულკა, ვორონცოვის გერი, თავი დაეხარა და ყურადღებით უსმენდა თარჯიმანს, სახემოღიმარ მარია ვასილიევნას ნათქვამს რომ უთარგმნიდა. მარია ვასილიევნა მას ეუბნებოდა: თუ ყოველ ყონაღს მისცემთ ნივთს, რაც ყონაღს მოეწონება, მალე ადამივით დედიშობილა მოგიწევთ სიარულიო...

თავადის შემოსვლისთანავე ჰაჯი-მურატმა მუხლებიდან ჩამოსვა ამით გაკვირვებული და განაწყენებული ბულკა, წამოდგა და მხიარულ სახეზე მკაცრი, სერიოზული გამომეტყველება აესახა. ის მხოლოდ მაშინ დაჯდა, როცა ვორონცოვი დაეშვა სავარძელზე, განაგრძო საუბარი და მარია ვასილიევნას უპასუხა: ჩვენი წესი ასეთია, რაც ყონაღს მოეწონება, უნდა მისცეო.

- შენი ვაჟი ყონაღია, - თქვა მან რუსულად და ხუჭუჭა თმაზე ხელი გადაუსვა ბულკას, რომელიც ისევ შეაცოცდა მუხლზე.

- დიდებულია ეს შენი ყაჩაღი, - ფრანგულად უთხრა მარია ვასილიევნამ ქმარს.
- ბულკას მოეწონა მისი ხანჯალი და ჰაჯი-მურატმა აჩუქა.

ბულკამ ხანჯალი მამინაცვალს აჩვენა.

- C’ets un objet de prix[3] - თქვა მარია ვასილიევნამ.

- Il faudra trouver L’occasion de lui faire cadeau[4], - მიუგო ვორონცოვმა.

ჰაჯი-მურატი იჯდა, თვალები დაეხარა, ბიჭს უყურებდა, ხუჭუჭ თმაზე ხელს უსვამდა და ეუბნებოდა: - ჯიგიტი, ჯიგიტი.

- შესანიშნავი ხანჯალია, შესანიშნავი, - თქვა ვორონცოვმა და ნახევრად ამოსწია ქარქაშიდან ფხაბასრი ფოლადის ხანჯალი, რომელსაც შუაზე ღარი მოუყვებოდა - მადლობა გადაუხადე.

- ჰკითხე, რით შემიძლია ვემსახურო, - უთხრა ვორონცოვმა თარჯიმანს.

თარჯიმანმა გადათარგმნა ვორონცოვის ნათქვამი. ჰაჯი-მურატმა მაშინვე უპასუხა: არაფერი არ მჭირდება, მხოლოდ ისეთ ადგილას მიმიყვანოს, სადაც ლოცვა შემეძლებაო. ვორონცოვმა კამერდინერი იხმო და უბრძანა, ჰაჯი-მურატის სურვილი შეესრულებინა.

როგორც კი ჰაჯი-მურატი მისთვის განკუთვნილ ოთახში განმარტოვდა, სახე შეეცვალა. გაუქრა კმაყოფილი და ალერსიანი, მხიარული გამომეტყველება
და შეფიქრიანდა.

ვორონცოვმა გაცილებით უკეთესად მიიღო, ვიდრე მოელოდა. მაგრამ რაც უფრო უკეთესი იყო ეს მიღება, მით უფრო ნაკლებად ენდობოდა ჰაჯი-მურატი ვორონცოვსა

და მის ოფიცრებს. ყველაფერის ეშინოდა. იმისიც, რომ შეიპყრობდნენ, ბორკილებს დაადებდნენ, გააციმბირებდნენ, ან მოკლავდნენ, ამიტომ ფრთხილად ეჭირა თავი.

მან შემოსულ ელდარს ჰკითხა, სად მოათავსეს მიურიდები, ცხენები და იარაღი ხომ არ ჩამოურთმევიათო.

ელდარმა მოახსენა, ცხენები თავადის თავლაში მოათავსეს, მიურიდები კი ფარდულში არიან, იარაღიც ზედა აქვთ და თარჯიმანი საჭმლითა და ჩაით უმასპინძლდებაო.

შეფიქრიანებულმა ჰაჯი-მურატმა თავი გააქნია, გაიხადა და ლოცვას შეუდგა. ლოცვის შემდეგ ბრძანა თავისი ვერცხლის ხანჯალი მოეტანათ. მან ჩაიცვა, ქამარი შემოირტყა, მერე ტახტზე ფეხები მოირთხა და დაელოდა, რა მოხდებოდა.

ხუთ საათზე თავადთან სადილზე მიიწვიეს.

სადილზე ფლავის გარდა არაფერი არ უჭამია, ფლავი თეფშზე იმ ადგილიდან გადაიღო, საიდანაც მარია ვასილიევნამ.

- ეშინია არ მოგწამლოთ, საიდანაც მე ავიღე, მანაც იქიდან აიღო, - უთხრა მარია ვასილიევნამ ქმარს და ჰაჯი-მურატს მაშინვე თარჯიმნის მეშვეობით მიმართა, კიდევ როდის ილოცებო.

ჰაჯი-მურატმა ხუთი თითი ასწია და მზეზე მიუთითა.

- მაშასადამე, მალე.

ვორონცოვმა ბრეგეტი ამოიღო და ზამბარას თითი დააჭირა, - საათმა დარეკა და აღნიშნა ოთხი და ერთი მეოთხედი საათი. ჰაჯი-მურატი, ეტყობოდა, გააკვირვა მისმა რეკვამ, ითხოვა კიდევ დაერეკათ და საათი ეჩვენებინათ.

-Voila L’occasion! Donnez-lui la montre[5] - უთხრა მარია ვასილიევნამ ქმარს.

ვორონცოვმა მაშინვე შესთავაზა ჰაჯი-მურატს საათი. ჰაჯი-მურატმა ხელები მკერდზე მიიდო და საათი გამოართვა. მან რამდენჯერმე დააჭირა თითი ზამბარას, რეკვას უსმენდა და მოწონების ნიშნად თავს აქნევდა.

ნასადილევს თავადს მოახსენეს, მელერ-ზაკომელსკის ადიუტანტი მოვიდაო.

ადიუტანტმა თავადს უთხრა: გენერალმა გაიგო ჰაჯი-მურატის გადმოსვლის ამბავი და ძალიან უკმაყოფილოა, რადგან ამაზე მისთვის არ მოუხსენებიათ, ახლა კი მოითხოვდა დაუყოვნებლივ მიეყვანათ ჰაჯი-მურატი. ვორონცოვმა უპასუხა, გენერლის ბრძანება შესრულებული იქნებაო, შემდეგ თარჯიმნის მეშვეობით ჰაჯი-მურატს მელერის ბრძანება აცნობა და სთხოვა, მასთან გაჰყოლოდა.

მარია ვასილევნამ გაიგო თუ არა ადიუტანტის მოსვლის მიზეზი, მაშინვე მიხვდა, რომ მის მეუღლესა და გენერალს შორის შეიძლებოდა უსიამოვნება მომხდარიყო. ამიტომ, მეუღლის წინააღმდეგობის მიუხედავად, მასთან ერთად გენერალთან წასასვლელად მოემზადა.

- Vous feriez beaucoup mieux de rester; c’est mon affaire, mais pas la votre[6].

- Vous ne pouvez pas m’empecher d’aller voir madame la generale[7].

- შეგეძლო სხვა დრო გამოგენახა.

- მე კი ახლა მსურს.

რაღა გაეწყობოდა. ვორონცოვი დაეთანხმა და სამივენი ერთად წავიდნენ.

როცა ოთახში შევიდნენ, მელერმა ცივი თავაზიანობით მიაცილა მარია ვასილიევნა თავის მეუღლესთან, ადიუტანტს კი უბრძანა, ჰაჯი-მურატი მისაღებ ოთახში შეეყვანა და მის ბრძანებამდე არსად გაეშვა.

- გთხოვთ, - უთხრა მან ვორონცოვს, კაბინეტის კარი გააღო და თავადი წინ გაუშვა.

კაბინეტში გენერალი თავადის წინ შეჩერდა და მისთვის სკამი არც კი შეუთავაზებია, უთხრა: - მე ვარ აქ ჯარის უფროსი და ამიტომ მტერთან ყოველგვარი მოლაპარაკება ჩემი მეშვეობით უნდა ხდებოდეს. რატომ არ მომახსენეთ ჰაჯი-მურატის გადმოსვლის ამბავი?

- ჩემთან მოვიდა მსტოვარი და გამანდო ჰაჯი-მურატის სურვილი, მე ჩამბარებოდა, - უპასუხა მღელვარებისგან გაფითრებულმა ვორონცოვმა. იგი განრისხებული გენერლისაგან უხეშობას მოელოდა, ამავე დროს მისი მრისხანება თანდათან თვითონაც გადაედო.

-მე გეკითხებით, რატომ არ მომახსენეთ?

- ვფიქრობდი მომეხსენებინა, ბარონო მაგრამ...

- მე თქვენთვის ბარონი კი არა, თქვენო აღმატებულება ვარ.

ამ დროს ბარონის დიდხანს შეკავებულმა ბრაზმა უცებ იფეთქა. გენერალმა გადმოანთხია გულში დაგროვილი ბოღმა.

- ჩემს ხელმწიფეს განა იმისთვის ვემსახურები ოცდაშვიდი წელიწადი, რომ სამსახურში გუშინ მოსულმა ადამიანებმა, რომლებიც ნათესაური ურთიერთობით სარგებლობენ, ჩეს ცხვირწინ აკეთონ ის, რაც მათ არ ეკითხებათ!

- თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ ნუ ამბობთ იმას, რაც სიმართლეს არ შეეფერება, - გააწყვეტინა ვორონცოვმა.

- მე სიმართლეს ვამბობ და უფლებას არ მოგცემთ... - თქვა კიდევ უფრო გაბრაზებულმა გენერალმა.

ამ დროს კაბის შრიალით შემოვიდა მარია ვასილიევნა და დაბალ-დაბალი, მორიდებული ქალი, მელერ-ზაკომელსკის მეუღლე.

- აბა, რასა ბრძანებთ, ბარონ Simon.-ს არ სურდა თქვენთვის უსიამოვნება მოეყენებინა... - დაიწყო მარია ვასილიევნამ.

- მე კნეინა, ამაზე არ ვლაპარაკობ...

- იცით, უმჯობესია, შეწყვიტოთ საუბარი. მოგეხსენებათ: ცუდი დავა კარგ ჩხუბს სჯობიაო. უჰ, ამას რას ვამბობ... - თქვა კნეინამ და გადაიკისკისა.

გაბრაზებული გენერალი ლამაზი ქალის მომხიბლავ ღიმილს დაემორჩილა, მან ულვაშებში ჩაიღიმა.

- ვაღიარებ, რომ მართალი არ ვიყავი, - თქვა ვორონცოვმა, - მაგრამ...

- ჰოდა, მეც გავცხარდი, - თქვა მელერმა და თავადს ხელი გაუწოდა. ისინი დაზავდნენ - გადაწყვიტეს ჰაჯი-მურატი დროებით დაეტოვებინათ მელერის სახლში, შემდეგ კი მარცხენა ფლანგის უფროსთან გადაეგზავნათ.

ჰაჯი-მურატი მეზობელ ოთახში იჯდა და თუმცა არ ესმოდა რას ლაპარაკობდნენ, მაინც გაიგო, რისი გაგებაც სჭირდებოდა: გენერალი და ვორონცოვი დაობდნენ მასზე, შამილი რომ მიატოვა, ამას რუსებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და თუ არ გადაასახლებდნენ, ან არ მოკლავდნენ, შეეძლო ბევრი რამ მოეთხოვა რუსებისაგან. გარდა ამისა, ჰაჯი-მურატმა ისიც გაიგო, რომ მელერ-ზაკომელსკი თუმცა უფროსი იყო, არა ჰქონდა ისეთი მნიშვნელობა, როგორც მის ხელქვეით ვორონცოვს. მნიშვნელოვანი იყო ვორონცოვი და არა მელერ-ზაკომელსკი. ამიტომ, როცა მელერ-ზაკომელსკიმ ჰაჯი-მურატი იხმო და გამოკითხვა დაუწყო, ჰაჯი-მურატს თავი ამაყად და ზვიადად ეჭირა და განაცხადა: მთიდან თეთრი მეფის სამსახურისათვის წამოვედი და ყველაფერს მხოლოდ სარდალს, ესე იგი, მთავარსარდალს, თავად ვორონცოვს თბილისში მოვახსენებო.

VII

აჭრილი ავდეევი მიიყვანეს ჰოსპიტალში, რომელიც მოთავსებული იყო ციხესიმაგრის გასასვლელთან, ყავრით დახურულ პატარა სახლში, და საერთო პალატის ერთ-ერთ ცარიელ საწოლზე დააწვინეს. პალატაში იყო ოთხი ავადმყოფი: ერთს სახადი სჭირდა და სიცხისაგან ბორგავდა, მეორე - გაფითრებული, უპეებჩალურჯებული, ციებ-ცხელებიანი, პაროქსიზმის მოლოდინში, განუწყვეტლივ ამთქნარებდა. დანარჩენი ორი ავადმყოფი ამ სამი კვირის წინათ, უკანასკნელი თარეშის დროს დაეჭრათ, ერთი ხელის მტევანში (იგი ზეზე იყო), მეორე მხარში (იგი საწოლზე იჯდა). სახადიანის გარდა ყველანი ავდეევს შემოეხვივნენ და მხლებელ ჯარისკაცებს გამოკითხვა დაუწყვეს.

- ზოგჯერ სეტყვასავით დაგაყრიან, მაგრამ მაინც გადარჩები ხოლმე, ახლა კი მხოლოდ ხუთიოდეჯერ გაისროლეს, - ამბობდა ავდეევის ერთ-ერთი მომყვანი.

- ასეთია ბედისწერა.

- ოჰ! - ხმამაღლა აღმოხდა ავდეევს, როცა საწოლზე აწვენდნენ. როგორც კი დააწვინეს, შეიკრა და აღარ დაუკვნესია, მხოლოდ შეუსვენებლივ ამოძრავებდა ტერფებს. მას ჭრილობაზე ხელები ედო და გაშეშებული იყურებოდა წინ.

ექიმი მოვიდა და ბრძანა, გადმოებრუნებინათ დაჭრილი, რომ ენახა, ტყვია უკან ხომ არ იყო გასული.

- ეს რაღაა? - იკითხა ექიმმა და ზურგსა და უკანალზე გადაჯვარედინებული თეთრ ნაიარევებზე მიუთითა.

- ეს ძველია, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, - დაიკრუსუნა ავდეევმა...

ეს იყო ლოთობაში განიავებული ფულის გამო მოხდილი სასჯელის ნაკვალევი.

ავდეევი კვლავ გადააბრუნეს. ექიმი დიდხანს უტრიალებდა ზონდს მუცელში და ტყვია იპოვნა, მაგრამ ამოღება ვერ შეძლო. ავდეევს ჭრილობა შეუხვია, წებოვანი სალბუნი დაადო და წავიდა. ჭრილობას რომ უსინჯავდნენ და უხვევდნენ, ავდეევს კრინტი არ დაუძრავს და თვალდახუჭული იწვა. ექიმის წასვლისთანავე თვალი გაახილა და გაკვირვებით მიმოიხედა გარშემო. ავდეევმა თვალი მიაპყრო ავადმყოფებსა და ფერშალს, მაგრამ მათ კი არა, თითქოს სხვა რამეს ხედავდა, რომელიც ძალიან აკვირვებდა.

მოვიდნენ ავდეევის ამხანაგები - პანოვი და სერეგინი. ავდეევი ისევ ისე იწვა და გაოცებული იყურებოდა. ამხანაგები დიდხანს ვერ იცნო, თუმცა პირდაპირ თვალებში შეჰყურებდა მათ.

- პიოტრ, შინ ხომ არ გინდა, რამე დამაბარო, - ჰკითხა პანოვმა.

ავდეევმა არა უპასუხა რა, თუმცა სახეში შეჰყურებდა პანოვს.

- შინ ხომ არ შეუთვლი რამეს-მეთქი! - კვლავ ჰკითხა პანოვმა ავდეევს და ცივ, ძვალმსხვილ ხელზე შეეხო.

ავდეევი თითქოს გამოფხიზლდა.

- აჰა, ანტონიჩი მოვიდა!

- ჰო, მოვედი, რამეს ხომ არ შეუთვლი შინ? სერეგინი დაწერს.

- სერეგინ, - წარმოთქვა ავდეევმა და ძლივს გადაიტანა მზერა სერეგინზე. - დაწერ? ...მაშ, მისწერე: თქვენმა ვაჟმა პეტრუხამ თქვენი ჭირი წაიღო-თქო... ძმისა მშურდა. ამას წინათაც გეუბნებოდი, ახლა კი, მე თვითონ მიხარია. კარგად იყოს, ღმერთმა ხელი მოუმართოს, მე მოხარული ვარ. სწორედ ასე მისწერე.

ეს თქვა და დიდხანს დუმდა, თვალები პანოვისთვის მიეპყრო.

- ჰო, ჩიბუხი თუ იპოვე? - მოულოდნელად ჰკითხა მან პანოვს.

პანოვმა თავი გააქნია და არაფერი არ უპასუხა.

- ჩიბუხი, ჩიბუხი თუ იპოვე-მეთქი? - გაიმეორა ავდეევმა.

- ჩანთაში აღმოჩნდა.

- მაშ ასე, ახლა კი სანთელი მომეცით, მე ახლა მოვკვდები, - თქვა ავდეევმა.

ამ დროს პოლტორაცკიც მოვიდა თავისი ჯარისკაცის სანახავად.

- რა იყო, ძმაო, ცუდადა ხარ? - ჰკითხა მან.

ავდეევმა თვალები დახუჭა და უარის ნიშნად თავი გააქნია, ღაწვმაღალი პირისახე გაფითრებოდა და გამკაცრებოდა. მან არაფერი უპასუხა, ოღონდ პანოვს გაუმეორა: - მომეცი სანთელი, ვკვდები!

ავდეევს სანთელი ხელში მისცეს, მაგრამ მას თითები არ დაემორჩილა, ამიტომ სანთელი თითებშუა ჩაუდეს და რომ არ დავარდნოდა ხელი მიაშველეს. პოლტორაცკი წავიდა; მისი წასვლიდან ხუთი წუთის შემდეგ ფერშალმა ავდეევს გულზე ყური მიადო და თქვა - გარდაიცვალაო.

ავდეევის გარდაცვალება თბილისში გაგზავნილ პატაკში ასე იყო აღწერილი: „23 ნოემბერს ქურის პოლკის ორი ასეული ციხესიმაგრიდან ტყის საჩეხად გავიდა. შუადღეს მთიელთა საკმაოდ დიდი გუნდი მოულოდნელად თავს დაესხა ტყის მჩეხავებს. შარმა უკან დახევა დაიწყო. ამ დროს მეორე ასეული ხიშტებით ეკვეთა მთიელებს და უკუაგდო ისინი. ბრძოლაში ორი რიგითი ჯარისკაცი მსუბუქად დაიჭრა, ერთი მოკლეს. მთიელებმა კი დაკარგეს ასამდე მოკლული და დაჭრილი“.

VIII

სწორედ იმ დღეს, როცა პეტრუხა ავდეევი ვოზდევიჟენსკოეს ჰოსპიტალში კვდებოდა, მისი მოხუცი მამა და ცოლი იმ ძმისა, რომლის მაგივრადაც ის ჯარისკაცად წავიდა, აგრეთვე უფროსი ძმის გასათხოვარი გოგონა მოყინულ კალოზე შვრიას ლეწავდნენ. წინა ღამეს დიდი თოვლი მოვიდა, დილისთვის კი მაგრად მოყინა. მოხუცმა ჯერ კიდევ მამლის მესამე ყივილზე გაიღვიძა და როგორც კი სარკმელში მთვარის ნათელი შუქი შენიშნა, ღუმელიდან ჩამოძვრა, ფეხთ ჩაიცვა, ქურქი მოისხა, ქუდი დაიხურა და კალოსკენ წავიდა. ორი საათის მუშაობის შემდეგ მოხუცი ქოხში დაბრუნდა და ვაჟიშვილი და დედაკაცები გააღვიძა. როცა დედაკაცები და გოგონა კალოზე მოვიდნენ, კალო გასუფთავებული დახვდათ, ხის ნიჩაბი თეთრ, ფხვიერ თოვლში იყო ჩარჭობილი, მის გვერდით ჩანდა ტარით თოვლში ჩასობილი წნელებისაგან შეკრული ცოცხი. შვრიის ძნები დასუფთავებულ კალოზე ორ რიგად, გრძელი თოკივით იყო გაფენილი და თავთავი თავთავზე იდო.. საცეხველები აიღეს და ლეწვას შეუდგნენ. საცეხველებს სამსამჯერ თანაბრად ურტყამდნენ თავთავებს. მოხუცი მძიმე საცეხველს ღონივრად ურტყამდა ნამჯას და ლეწავდა. გოგონა ნამჯას ზემოდან ზომიერად სცემდა, რძალი კი აბრუნებდა.

მთვარე ჩავიდა და განთიადმაც მოატანა. ლეწვას უკვე ამთავრებდნენ, როცა მომუშავეებთან ჯუბასა და ქუდში გამოწყობილი უროსი ვაჟი აკიმი მოვიდა.

- შენ რას დაყიალობ უსაქმურად? - დაუყვირა მამამ, ლეწვას თავი მიანება და საცეხველს დაეყრდნო.

- ცხენებს ხომ უნდა მოვლა?

- ცხენებს მოვლა უნდა, - გამოაჯავრა მამამ, - დედაბერი მოუვლის. აიღე საცეხველი, ნამეტანი მოგედო ქონი, შე ლოთო!

- რა იყო, შენ დამალევინე თუ? - ჩაიბუზღუნა შვილმა.

- რაო? - საცეხველი აღარ დაურტყამს და მრისხანედ ჰკითხა მოღუშულმა მოხუცმა.

ვაჟმა ჩუმად აიღო საცეხველი და ახლა ოთხი საცეხველით მუშაობდნენ: ტრაპ-ტა-პა-ტაპ; ტრაპ-ტა-პა-ტაპ... ტრაპ, - დაკრავდა მოხუცი მძიმე საცეხველს სამი დარტყმის შემდეგ.

- ამის ქეჩოს შეხედე კაი ბატონივით რომ გასუქებია. მე კი წელზე შარვალი არ მიმაგრდება, - ჩაილაპარაკა მოხუცმა, მან თავისი დარტყმა გამოტოვა და რიტმი რომ არ დაეკარგა, საცეხველი ჰაერში შეატრიალა.

ლეწვა მოათავეს და ქალებმა ფოცხებით დაიწყეს ბზის მოგროვება.

- სისულელე ჩაიდინა პეტრუხამ, შენ მაგივრად რომ წავიდა, ჭკუაზე მოგიყვანდნენ ჯარში, ის კი შინ ხუთ შენისთანად ღირდა.

- გეყოფა, მამი, - თქვა რძალმა და გალეწილი ულოები გადაისროლა.

- როგორ, ექვსი სული გამოვკვებო და ერთმაც არ იმუშაოს? პეტრუხა ხშირად ორი კაცის საქმეს ასრულებდა. თქვენსავით კი არა...

ეზოდან გამოკვალული პატარა ბილიკით დედაბერი მოვიდა. მაგრად შემოეჭირა შალის ფეხსახვევები, მის ახალ ქალამნებს თოვლზე ჭრაჭაჭრუჭი გაუდიოდა. მამაკაცებმა განიავებული მარცვლეული გორად დაახვავეს. დედაკაცები და გოგონა დაგვას შეუდგნენ.

- მამასახლისმა შემოირა. საბატონო ბეგარაზე უნდა გამოხვიდეთო აგურის საზიდავად, - თქვა დედაბერმა. - საუზმე გავაწყვე, წამოდით, რაღას უყურებთ...

- კარგი, ლურჯა შეაბი და წადი - უთხრა მოხუცმა აკიმს. - გაფრთხილებ, ისე ნუ მოიქცევი, როგორც ამას წინათ, შენს მაგივრად რომ ვაგე პასუხი. გაიხსენებ კაცი პეტრუხას, აბა რა!

- როცა პეტრუხა შინ იყო, მაშინ მას აგინებდი, - შეუღრინა ვაჟმა მამას, - არ არის და ახლა მე მახრჩობ.

- ალბათ ღირსი ხარ, - ასევე გაბრაზებით უთხრა დედამ, - პეტრუხას შენ ვერ შეედრები.

- კარგი ჰო! - თქვა ვაჟმა.

- სწორედ რომ კარგია. ფქვილი ლოთობაში გაანიავე და ახლა ამბობ, კარგიო.

- ძველ ამბავს ხუთჯერ არ იხსენებენ, - თქვა რძალმა, მერე საცეხველები დადეს და შინ წავიდნენ.

მამასა და შვილს შორის უთანხმოება დიდი ხანია დაიწყო, თითქმის იმ დროიდან, როცა პეტრუხა ჯარში წავიდა. ჯერ კიდევ მაშინ იგრძნო მოხუცმა, რომ ცხენიდან ვირზე გადაჯდა. მართალია, კანონით, როგორც მოხუცი ფიქრობდა, ოჯახიდან უშვილო კაცი უნდა წასულიყო. აკიმს ოთხი შვილი ჰყავდა, პიოტრს კი - არც ერთი, მაგრამ პიოტრი მამამისივით მუშაკაცი, მოხერხებული, გამჭრიახი, ღონიერი, გამძლე და, რაც მთავარია, შრომისმოყვარე იყო. ის ყოველთვის მუშაობდა. თუ მომუშავეებს გვერდით ჩაუვლიდა, მამამისივით მაშინვე მიეშველებოდა: ან ცელით ერთ-ორ სვრელს გაიტანდა, ან ურემს დატვირთავდა, ან ხეს მოჭრიდა, ან შეშას დაჩეხავდა.

მამას ებრალებოდა იგი, მაგრამ რა ექნა. ჯარისკაცობა სიკვდილს ნიშნავდა. ჯარისკაცი ოჯახისთვის დაკარგული გახლდათ და მისი გახსენება, სულის აფორიაქება საჭირო აღარ იყო. მხოლოდ ხანდახან, უფროსი ვაჟისთვის ახლანდელივით შოლტი რომ გადაეკრა, მოხუცი იხსენებდა პეტრუხას. დედაც ხშირად იგონებდა უმცროს ვაჟს და დიდხანს, თითქმის მთელი ორი წელი სთხოვდა ქმარს, პეტრუხასთვის ცოტა ფული გაეგზავნა. მაგრამ მოხუცი დუმდა.

ავდეევების ოჯახი მდიდარი იყო. მოხუცს ფულიც ჰქონდა გადანახული. მაგრამ ის არაფერის გულისთვის ხელს არ ახლებდა იმ თანხას. ახლა, როცა დედაბერმა გაიგონა, ქმარმა უმცროსი ვაჟი გაიხსენა, გადაწყვიტა, კიდევ ეთხოვა, შვრიას რომ გაყიდდნენ შვილისთვის ერთი მანეთი მაინც გაეგზავნა. მოხუცები რომ მარტო დარჩნენ და ახალგაზრდები საბატონო ბეგარაზე წავიდნენ, დედაბერმა ქმარს პირობა დაადებინა, შვრიაში აღებული ფულიდან პეტრუხასთვის ერთი მანეთი გაეგზავნა. ჰოდა, როცა გორებად დაზვინთული 48 ფუთი შვრია სამ მარხილში ჯვალოებზე დაყარეს. ზემოდანაც ჯვალოები გადააფარეს და ეს საფენი ხის სარჭებით გულმოდგინედ დაამაგრეს, დედაბერმა ქმარს ბარათი მისცა. ბარათი მან მედავითნეს უკარნახა და დააწერინა. ქმარიც დაჰპირდა, რომ ქალაქში წერილთან ერთად ნაჩვენები მისამართით მანეთსაც გაგზავნიდა.

მოხუცს ახალი ქურქი და ხიფთანი ეცვა და სუფთა, თეთრი შალის ფეხსახვევები შემოეხვია. მან აიღო წერილი, ჩადო ქისაში გადაიწერა პირჯვარი, დაჯდა წინ მარხილზე და ქალაქისკენ გაემართა. უკანა მარხილით შვილიშვილი მიჰყვებოდა. ქალაქში მოხუცმა წერილი წააკითხა მეეზოვეს და მას ყურადღებით და მოწონებით უსმენდა.

პეტრუხას დედის ბარათში ჯერ ჩაწერილი იყო დედის ლოცვა-კურთხევა, მერე ყველასაგან მოკითხვა, შემდეგ ნათლიას გარდაცვალების ამბავი, ბოლოს ის, რომ აქსინიამ (პიოტრის ცოლმა) ,,არ ისურვა ჩვენთან ცხოვრება და ხელზე მოსამსახურედ დადგა. ამბობენ, კარგად და პატიოსნად ცხოვრობსო“. ამის მერე მოხსენებული იყო საჩუქარიც - მანეთიანი. ამას მოყვებოდა ის, რაც თვალებზე ცრემლმომდგარ, დაღონებულ დედაბერს მედავითნესთვის ეთხოვა სიტყვა-სიტყვით დაეწერა: ,,და კიდევ, ჩემო საყვარელო შვილო, ჩემო მტრედო, პეტრუშენკა, ცრემლით დავივსე თვალები შენს დარდში. ჩემო თვალისჩინო, მზეო, ვისი იმედით დამტოვე...“ - ამ ადგილას დედაბერი აღრიალდა, იტირა და თქვა: - ასე დარჩეს.

და წერილში ასე დარჩა ეს სიტყვები, მაგრამ როგორც ჩანდა, პეტრუხას არ ეწერა მიეღო არც ცნობა, რომ მისი ცოლი შინიდან წავიდა, არც მანეთი, არც დედის უკანასკნელი სიტყვები. ეს წერილი და ფული უკან დაბრუნდა, უწყებაც მოვიდა, რომ პეტრუხა ომში დაიღუპა, ,,როცა მეფეს, მამულსა და მართლმადიდებელ სარწმუნოებას იცავდა“. ასე დაწერა სამხედრო მწერალმა.

დედაბერმა, ეს ცნობა რომ მიიღო, იღრიალა, სანამ დრო ჰქონდა, მერე კი მუშაობას შეუდგა. პირველსავე კვირას ეკლესიაში წავიდა და სეფისკვერის ნაჭრები ჩამოარიგა, რომ ,,კეთილმა ადამიანებმა მოიხსენიონ მონა ღვთისა პიოტრ“.

ჯარისკაცის მეუღლემ აქსინიამაც იტირა, როცა ,,საყვარელი ქმრის“ სიკვდილის ამბავი გაიგო, რომელთანაც მან ,,მხოლოდ ერთი წელი იცხოვრა“. ებრალებოდა მეუღლე და მთელი თავისი დაღუპული ცხოვრება. მოთქმის დროს იხსენიებდა:

„პიოტრ მიხაილოვიჩის ქერა თმას, მის სიყვარულს და თავის და ობოლ ვანკას მწარე ცხოვრებას“. თანაც მწარედ უსაყვედურებდა პეტრუხას, რომ მან ძმა შეიბრალა და არ შეიცოდა საწყალი მეუღლე, სხვის კარდაკარ მოხეტიალე ცოლი“.

გულის სიღრმეში კი აქსინიას უხაროდა პიოტრის სიკვდილი. ის ხელმეორედ დაორსულდა ნოქრისაგან, რომელთანაც ცხოვრობდა, და ახლა არავის შეეძლო გაეკიცხა იგი, ნოქარიც ცოლად შეირთავდა, როგორც ეუბნებოდა, როცა სიყვარულზე ითანხმებდა.

IX

მიხაილ სემიონოვიჩ ვორონცოვი ინგლისში აღიზარდა, იგი რუსი ელჩის შვილი იყო. მაღალი წოდების რუს მოხელეებთან შედარებით ვორონცოვს იმ დროისთვის იშვიათი ევროპული განათლება ჰქონდა მიღებული. ხელქვეითებთან იყო პატივმოყვარე, რბილი და თავაზიანი, ხოლო უფროსებთან მოხერხებული კარისკაცი. ვორონცოვს ცხოვრება ხელისუფლებისა და მორჩილების გარეშე ვერ წარმოედგინა. ჰქონდა ყველა უმაღლესი ჩინი და ორდენი და ითვლებოდა დახელოვნებულ სამხედრო პირად, კრასნოესთან ნაპოლეონის დამმარცხებლადაც კი, ორმოცდათერთმეტ წელს სამოცდაათ წელს იყო გადაცილებული, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. მხნედ დადიოდა და, რაც მთავარია, ჰქონდა მოქნილი და გამჭრიახი ჭკუა, რასაც საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებასა და პოპულარობის განმტკიცება-გაფართოებას ახმარდა. ის ფლობდა დიდ სიმდიდრეს, თავისას და თავისი მეუღლის, გრაფინია ბრანიცკაიას სიმდიდრეს. ძალიან დიდ თანხას ღებულობდა მეფისნაცვლის პოსტზე და შემოსავლის უმეტეს ნაწილს ყირიმის სამხრეთ ნაპირზე სასახლისა და ბაღის მოწყობაზე ხარჯავდა.

1851 წლის 7 დეკემბერს, საღამოს, თბილისში, მის სასახლეს კურიერის ტროიკა მიადგა. დაღლილმა, მტვრისგან გაშავებულმა ოფიცერმა, რომელმაც გენერალ კოზლოვსკისგან ჰაჯი-მურატის რუსების მხარეზე გადმოსვლის ცნობა მოიტანა, ტროიკაში ჯდომისგან დახუთული ფეხები გამართა. გუშაგს ჩაუარა და მეფისნაცვლის სახლის ფართო წინკარში შევიდა. საღამოს ექვსი საათი იყო. ვორონცოვი სადილზე მიდიოდა, როცა მოახსენეს, კურიერი მოვიდაო. ვორონცოვმა მაშინვე მიიღო კურიერი და ამიტომ რამდენიმე წუთით დააგვიანდა სადილზე. როცა სასტუმრო ოთახში შევიდა, სადილად მოწვეული ოციოდე კაცი, რომელთაგან ზოგი კნეინა ელიზავეტა ქსავერიევნასთან იჯდა და ზოგიც ჯგუფ-ჯგუფად იდგა ფანჯრებთან, წამოიშალა და შემოსვლისკენ შემობრუნდა. ვორონცოვს ეცვა თავისი ჩვეულებრივი, უეპოლეტო შავი სამხედრო ნახევარსამხრეებიანი სერთუკი და კისერზე თეთრი ჯვარი ეკიდა. გაპარსულ ცბიერ სახეზე ღიმილი დასთამაშებდა, თვალებს ჭუტავდა და შეკრებილებს ათვალიერებდა.

ვორონცოვი ოთახში მსუბუქი, ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა, ქალებს ბოდიში მოუხადა, რომ დაიგვიანა. მამაკაცებს მიესალმა, მერე მივიდა ორმოცდახუთი წლის, აღმოსავლური გარეგნობის მსუქან, მაღალ, ულამაზეს ქართველ კნეინა მანანა ორბელიანთან და ხელი გაუწოდა, რომ სუფრასთან მიეყვანა. კნეინა ელიზავეტა ქსავერიევნამ თვითონ გაუწოდა ხელი ახალჩამოსულ, ჯაგარივით ულვაშაშლილ, ქერა გენერალს. ქართველმა თავადმა თავადის მეუღლის მეგობარი გრაფინია შუაზელი მიიწვია. ექიმი ანდრეევსკი, ადიუტანტები და სხვები, ზოგი ქალების

თანხლებით, ზოგიც მარტონი ამ სამ წყვილს უკან მიჰყვნენ. ხიფთანებსა, წინდებსა და მაშიებში გამოწყობილი ლაქიები სკამებს ხან გასწევდნენ და ხან გამოსწევდნენ, სტუმრები რომ დამსხდარიყვნენ. მეტრდოტელი ვერცხლის ბადიიდან დიდის ამბით ასხამდა ოხშივარადენილ წვნიანს.

ვორონცოვი გრძელ მაგიდას შუა ადგილას მიუჯდა. მოპირდაპირე მხარეს მისი მეუღლე დაჯდა გენერალთან ერთად. ვორონცოვს მარჯვნივ მხარს უმშვენებდა თავისი ბანოვანი, ორბელიანის ულამაზესი ქალი, მარცხნივ კი - ტანადი, შავგვრემანი, ლოყებღაჟღაჟა, დიდებული სამკაულებით მორთული ქართველი თავადის ასული, რომელიც განუწყვეტლივ იღიმებოდა.

- Excellentes, chere amie,[8] - მიუგო ვორონცოვმა კნეინას, როცა მან ჰკითხა, რა ცნობები მოიტანა კურიერმა. – Simon a eu de la chance[9] , - თქვა და ისე დაიწყო თხრობა, მაგიდასთან მსხდომ ყველა სტუმარს გაეგონა განსაცვიფრებელი ახალი ამბავი (თუმცა ვორონცოვისთვის ეს არც ისე ახალი იყო, რადგან მოლაპარაკება დიდი ხანია მიმდინარეობდა), რომ შამილის საქვეყნოდ ცნობილი უმამაცესი თანაშემწე ჰაჯი-მურატი რუსების მხარეზე გადმოვიდა და დღეს თუ ხვალ თბილისში ჩამოიყვანდნენ.

ყველა, მათ შორის ახალგაზრდობა, ადიუტანტები და მოხელეებიც კი, რომლებიც სუფრის ბოლოში ისხდნენ და რაღაცაზე ჩუმად იცინოდნენ, სმენად გადაიქცა.

- თქვენ კი, გენერალო, შეხვედრიხართ ამ ჰაჯი-მურატს? - ჰკითხა კნეინამ თავის მეზობელს, ქერა და ჯაგარაულვაშიან გენერალს, როცა თავადმა საუბარი შეწყვიტა.

- რამდენიმეჯერ, კნეინავ! - მიუგო გენერალმა და მოყვა, ორმოცდასამ წელს, მთიელების მიერ გერგებილის აღების შემდეგ ჰაჯი-მურატი როგორ შეეფეთა გენერალ პასეკის რაზმს და თითქმის მათ თვალწინ როგორ მოკლა პოლკოვნიკი ზოლოტუხინი.

ვორონცოვი კმაყოფილების ღიმილით უსმენდა გენერალს, ეტყობოდა, სიამოვნებდა, რომ გენერალი საუბარში ჩაება. მაგრამ ვორონცოვის სახეს უცებ დაბნეული და დაღვრემილი გამომეტყველება დაეტყო.

საუბრის საღერღელაშლილი გენერალი ჰყვებოდა, მეორედ სად შეეჯახა ჰაჯი-მურატს.

- ეს ხომ ისაა, - ამბობდა გენერალი, - ალბათ გახსოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ხმელა პურის ექსპედიციის დროს რომ ჩაგვისაფრდა და მიშველება გახდა საჭირო.

- სად? - ჰკითხა ვორონცოვმა და თვალი მოჭუტა.

მამაცმა გენერალმა „მიშველება“ უწოდა იმ ბრძოლას, რომელიც დარღოს ბედუკუღმართი ლაშქრობის დროს მოხდა და თავადი ვორონცოვის მთელი რაზმი თავის მეთაურთან ერთად შეიძლებოდა მთლიანად ამოწყვეტილიყო, ახალმოსული ჯარები რომ არ მიშველებოდა. ყველამ იცოდა, რომ ვორონცოვის მეთაურობით მოწყობილი დარღოს ლაშქრობა, რომლის დროსაც რუსებმა უამრავი მოკლული, დაჭრილი ჯარისკაცი და რამდენიმე ზარბაზანი დაკარგეს, სამარცხვინო ამბავი იყო. ამიტომ თუ ვინმე ამ შემთხვევაზე ვორონცოვის თანდასწრებით ხმის ამოღებას გაბედავდა, უნდა ელაპარაკა იმ აზრით, რომლითაც ვორონცოვმა მეფეს უპატაკა, ესე იგი, რომ ეს იყო რუსთა ჯარების ბრწყინვალე გმირობა. სიტყვა „მიშველება“ კი

პირდაპირ მიუთითებდა, ეს ლაშქრობა ბრწყინვალე გმირობა კი არა, შეცდომა იყო. რამაც უამრავი ხალხი შეიწირა. ამას ყველა მიხვდა, ამიტომ სტუმრების ერთ ნაწილს თუ თავი ისე ეჭირა, თითქოს გენერლის სიტყვების მნიშვნელობა ვერ გაიგეს, მეორე ნაწილი შიშით მოელოდა, ამის შემდეგ რა მოხდებოდა. ზოგმა კიდევ ღიმილით გადახედა ერთმანეთს. მხოლოდ ქერა, ჯაგარაულვაშებიანი გენერალი ვერ ამჩნევდა ვერაფერს და თხრობით გატაცებულმა მშვიდად უპასუხა: - მიშველებაზე მოგახსენებთ, თქვენო ბრწყინვალებავ.

ამ საყვარელ თემაზე რაკი ერთხელ წამოიწყო საუბარი, გენერალი დაწვრილებით მოჰყვა: „ჰაჯი-მურატმა როგორ მარჯვედ გაკვეთა შუაზე რაზმი და რომ არ მიშველებოდნენ, - ის განსაკუთრებული სიყვარულით ხაზს უსვამდა სიტყვა „მიშველებას“, - ყველა დაიღუპებოდა, იმიტომ...“

გენერალმა ვერ მოასწრო ყველაფრის თქმა, რადგან მანანა ორბელიანი მიხვდა საქმის ვითარებას, გენერალს სუბარი შეაწყვეტინა და ჩამოუგდო ლაპარაკი, თუ როგორ მოეწყო გენერალი თბილისში. გენერალს გაუკვირდა, გადახედა ყველას, მათ შორის სუფრის ბოლოში მჯდომ თავის ადიუტანტსაც, რომელიც დაჟინებით და მრავალმეტყველად მისჩერებოდა, და უცებ ყველაფერს მიხვდა; მას კნეინასთვის პასუხი არ გაუცია, წარბები შეჰყარა, გაჩუმდა ჩქარა, დაუღეჭავად დაიწყო წინ თეფშზე დადებული გემრიელი საჭმლის ყლაპვა, რომელიც არც ოდესმე ენახა და არც გემო იცოდა მისი.

ყველამ უხერხულობა იგრძნო, მაგრამ ეს უხერხული მდგომარეობა გამოასწორა ვორონცოვის მეუღლის მეორე მხარეს მჯდომმა ქართველმა თავადმა, რომელიც ძალზე ქარაფშუტა, მაგრამ არაჩვეულებრივად მოხერხებული, დაოსტატებული მლიქვნელი კარისკაცი იყო. მან თითქოს არაფერი შეენიშნოს, ჰაჯი-მურატის მიერ ახმედ-ხან მეხთულელის ქვრივის მოტაცებაზე წამოიწყო ხმამაღლა ლაპარაკი.

- ღამით შემოიჭრა სოფელში, სტაცა ხელი, რაც ენება, და თავისიანებთან ერთად მოქუსლა.

- რად უნდოდა მაინცდამაინც ეს ქალი? - ჰკითხა კნეინამ.

- ის მისი ქმრის მტერი იყო, ბევრი სდია, მაგრამ ხანს სიცოცხლეში ვერსად შეხვდა და ამიტომ ქვრივის მოტაცებით იძია შური.

კნეინამ ეს ფრანგულად გადაუთარგმნა თავის ძველ მეგობარს, გრაფინია შუაზელს, რომელიც ქართველი თავადის გვერდით იჯდა.

- Quelle horreur[10], - თქვა გრაფინიამ, თვალები დახუჭა და თავი გააქნია.

- სრულიადაც არა, - ღიმილით თქვა ვორონცოვმა, - მე მითხრეს, რომ ის ტყვე ქალს რაინდული პატივისცემით ეპყრობოდა და მერე გაუშვა კიდეც.

- დიახ, როცა გამოსასყიდი მიიღო.

- თავისთავად ცხადია, მაგრამ მაინც კეთილშობილურად მოიქცა.

თავადის ამ სიტყვებმა ჰაჯი-მურატის შესახებ შემდგომ საუბარს ახალი მიმართულება მისცა. კარისკაცები მიხვდნენ, რომ რაც უფრო მეტ მნიშვნელობას

მისცემდნენ ჰაჯი-მურატს, ეს მით უფრო სასიამოვნო იქნებოდა თავადი ვორონცოვისათვის.

- საოცრად გულადია ეს კაცი! შესანიშნავი ადამიანია.

- დიახაც რომ ასეა, ორმოცდაცხრა წელს, დღისით-მზისით შემოიჭრა თემირ-ხან-შურაში და დუქნები ერთიანად გაძარცვა.

სუფრის ბოლოში მჯდარი სომეხი, რომელიც იმხანად თემირხან-შურაში ყოფილიყო, დაწვრილებით მოჰყვა ჰაჯი-მურატის ამ გმირობის ამბავს. საერთოდ, მთელმა სადილმა ჰაჯი-მურატზე საუბარში ჩაიარა. ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, ყოველი მათგანი ერთსულოვნად აქებდა მის სიმამაცეს, ჭკუასა და დიდსულოვნებას. ვიღაცა იმასაც მოჰყვა, თუ როგორ გასცა მან ოცდაექვსი ტყვის მოკვლის ბრძანება, მაგრამ ამაზეც ჩვეულებრივად უპასუხეს: - რა გაეწყობა! A la guerre comme a la guerre[11].

- ის უსათუოდ დიდი კაცია.

- ის რომ ევროპაში დაბადებულიყო, შეიძლებოდა ახალი ნაპოლეონი გამხდარიყო, - თქვა ქარაფშუტა ქართველმა თავადმა, რომელსაც მლიქვნელობის ნიჭი ჰქონდა.

მან იცოდა, რომ ნაპოლეონის ყოველგვარი ხსენება, რომელზე გამარჯვების გამოც ვორონცოვი კისერზე თეთრ ჯვარს ატარებდა, თავადისთვის სასიამოვნო იყო.

- ჰო, ნაპოლეონი თუ არა, კავალერიის მარჯვე გენერალი მაინც იქნებოდა. დიახ, - თქვა ვორონცოვმა.

- ნაპოლეონი თუ არა, მიურატი მაინც.

- მისი სახელიც ხომ ჰაჯი-მურატია.

- რაკი ჰაჯი-მურატი ჩამოსცილდა, დადგა შამილის აღსასრულიც, - თქვა ვიღაცამ.

- ისინი გრძნობენ, რომ ახლა (ეს „ახლა“ ნიშნავდა: ვორონცოვის დროს) ვეღარ გაძლებენ, - თქვა მეორემ.

- Tout cela est grace a vous[12] - თქვა მანანა ორბელიანმა.

თავადი ვორონცოვი ცდილობდა დაეოკებინა მლიქვნელობის ტალღები, წალეკვას რომ უქადდა მას, მაგრამ ეს ტალღები სიამოვნებდა კიდეც და თავისი ბანოვანი, კარგ ხასიათზე დამდგარმა, სასტუმრო ოთახში გაიყვანა.

ნასადილევს, როცა სასტუმრო ოთახში ყავა მოართვეს, თავადი ყველას განსაკუთრებული ალერსით ეპყრობოდა, და ქერა, ჯაგარაულვაშიან გენერალთან რომ მივიდა, ცდილობდა, თავი ისე დაეჭირა, თითქოს ვერ შენიშნა მისი უხერხულობა.

ყველა სტუმართან მისვლის შემდეგ თავადი ბანქოს სათამაშოდ დაჯდა. ის მხოლოდ ძველებურ ლომბერს თამაშობდა. თავადის პარტნიორები იყვნენ: ქართველი თავადი, სომეხი გენერალი, რომელმაც ლომბერის თამაში თავადის კამერდინერისგან ისწავლა და, მეოთხე - თავისი ძალაუფლებით ცნობილი ექიმი ანდრეევსკი.

ვორონცოვმა წინ დაიდო ალექსანდრე პირველის პორტრეტიანი ოქრო სათუთუნე, ატლასის ბანქოს შემოაგლიჯა ქაღალდი და უნდოდა ჩამოერიგებინა, რომ კამერდინერი, იტალიელი ჯოვანი შემოვიდა და ვერცხლის სინზე დადებული წერილი შემოუტანა.

- ისევ შიკრიკია, თქვენო ბრწყინვალებავ!

ვორონცოვმა ბანქო დადო, პარტნიორებს ბოდიში მოუხადა, წერილი გახსნა და კითხვა დაიწყო: წერილი ვაჟისა იყო. ის სწერდა ჰაჯი-მურატის გადმოსვლისა და მელერ-ზაკომელსკისთან შეჯახების ამბავს.

კნეინა მივიდა თავადთან და ჰკითხა, რას იწერებოდა შვილი.

- ისევ იმას. Il a eu quelques desagrement avec le commandant de la place. Simon a eu tort. But all is well what ends well[13], - თქვა, წერილი მეუღლეს გადასცა და პარტნიორებს, მოკრძალებით რომ ელოდნენ მას, მიმართა ბანქო აეღოთ.

როცა ბანქო ჩამოარიგეს, ვორონცოვმა სათუთუნე გახსნა და გააკეთა ის, რასაც კარგ ხასიათზე ყოფნის დროს აკეთებდა: სიბერისგან დანაოჭებული თეთრი ხელებით სათუთუნედან ერთი მწიკვი ფრანგული თუთუნი ამოიღო, ცხვირთან მიიტანა და შეიყარა.

X

მეორე დღეს, როცა ჰაჯი-მურატი ვორონცოვთან გამოცხადდა, თავადის მისაღები ხალხით იყო სავსე. ამ ხალხში ერია თავადთან გამოსამშვიდობებლად მოსული გუშინდელი ჯაგარაულვაშიანი გენერალი, რომელსაც მთლიანი ფორმა ეცვა და ორდენები ეკიდა. იყო აგრეთვე პოლკის მეთაური, რომელსაც პოლკის სურსათ-სანოვაგის განიავებისთვის სასჯელი ემუქრებოდა. აქ იყო მდიდარი სომეხიც, ექიმი ანდრეევსკი რომ მფარველობდა: სომეხს არაყი ჰქონდა იჯარით აღებული და ახლა კონტრაქტის განახლებას ცდილობდა. აქ იყო სულ შავებით შემოსილი, ომში მოკლული ოფიცრის ქვრივი, რომელიც პენსიის დასანიშნავად ან ბავშვების სახელმწიფო ხარჯზე აყვანის სათხოვნელად ჩამოსულიყო. აქ იყო დიდებულ ქართულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ქართველი თავადი, რომელიც ცდილობდა გაუქმებული საეკლესიო მამული მისთვის დაემტკიცებინათ; აქ იყო ბოქაული, რომელსაც ხელში დიდი გრაგნილი - კავკასიის დაპყრობის ახალი გეგმის პროექტი ეჭირა. აქ იყო ერთი ხანიც, ჩამოსული მხოლოდ იმისთვის, რომ შინ თავისიანებისთვის ეთქვა, თავადთან ვიყავიო.

ყველა რიგს ელოდებოდა. ისინი ლამაზ, ქერათმიან ახალგაზრდა ადიუტანტს სათითაოდ შეჰყავდა თავადის კაბინეტში.

როცა მისაღებ ოთახში მხნე ნაბიჯით და ოდნავ კოჭლობით შევიდა ჰაჯი-მურატი, ყველამ მიაპყრო თვალი და მას ოთახის სხვადასხვა კუთხიდან ჩურჩულით წარმოთქმული თავისი სახელი შემოესმა.

ჰაჯი-მურატს გრძელი, თეთრი ჩოხა ეცვა, ყავისფერი ახალუხის საყელოზე ვერცხლის წვრილი სირმა ჰქონდა შემოვლებული. ფეხზე შავი პაჭიჭები და შავი მესტები ეცვა, მესტები ხელთათმანებივით შემოტმასნოდა ფეხზე. გაპარსულ თავზე ჩალმიანი

ფაფახი ეხურა, ეს სწორედ ის ჩალმა იყო, რომლის გამოც ჰაჯი-მურატი ახმედ-ხანის დაბეზღებით გენერალმა კლუგენაუმ ციხეში ჩასვა და რომელიც შამილის მხარეზე ჰაჯი-მურატის გადასვლის მიზეზი გახდა. ჰაჯი-მურატმა ჩქარი ნაბიჯით გაიარა მისაღები ოთახის პარკეტზე. ოდნავ კოჭლობის გამო ის მთელ წერწეტ ტანს ხრიდა ფეხისკენ, რომელიც მეორეზე მოკლე იყო. მისი შორიშორ ჩამჯდარი თვალები მშვიდად იყურებოდნენ და თითქოს ვერავის ამჩნევდნენ.

ლამაზი ადიუტანტი მიესალმა ჰაჯი-მურატს და სთხოვა დამჯდარიყო, სანამ ის თავადს მოახსენებდა. მაგრამ ჰაჯი-მურატმა დაჯდომაზე უარი თქვა, ხელები ხანჯალზე დაიწყო, ცალ ფეხს დაეყრდნო და ასე იდგა, თან იქ მყოფთ ზიზღით ათვალიერებდა.

თარჯიმანი, თავადი თარხანოვი, მივიდა ჰაჯი-მურატთან და გამოესაუბრა. ჰაჯი-მურატმა უხალისოდ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად უპასუხა. კაბინეტიდან გამოვიდა ყუმუხი თავადი, რომელიც ბოქაულს უჩიოდა. ამის შემდეგ ადიუტანტმა იხმო ჰაჯი-მურატი, მიიყვანა კაბინეტის კართან და შიგ შეუშვა.

ვორონცოვმა ჰაჯი-მურატი მიიღო მაგიდის კიდესთან ფეხებზე მდგარმა.

მთავარსარდალს დაბერებული, თეთრი სახე გუშინდელივით აღარ უღიმოდა, მკაცრი და საზეიმო იერი გადაჰკრავდა.

შემოვიდა თუ არა დიდ ოთახში, სადაც შუაში უზარმაზარი მაგიდა იდგა, ხოლო ფართო ფანჯრებს მწვანე ჟალუზები ჰქონდა, ჰაჯი-მურატმა გარუჯული ხელები მკერდზე მიიდო იქ, სადაც თეთრი ჩოხა ჯვარედინდებოდა, და ნელა, მკაფიოდ და მოკრძალებით ყუმუხურ დიალექტზე, რომელზეც ის კარგად ლაპარაკობდა, თვალებდახრილმა წარმოთქვა: - დიდი მეფისა და თქვენი მფარველობისთვის მიმინდვია თავი. პირობას გაძლევთ, ერთგულად, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვემსახურო თეთრ მეფეს და ვიმედოვნებ სასარგებლო ვიქნები ჩემი და თქვენი მტრის - შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვორონცოვმა თარჯიმანს მოუსმინა და ჰაჯი-მურატს შეხედა, ხოლო ჰაჯი-მურატმა ვორონცოვს სახეზე მიაპყრო მზერა.

ამ ორი ადამიანის თვალები პირდაპირ შეხვედრისას ერთმანეთს ბევრს ეუბნებოდნენ, რაც სიტყვებით არ გამოითქმოდა და სრულებით არ შეესაბამებოდა თარჯიმნის ნათქვამს. ისინი პირდაპირ, უსიტყვოდ ეუბნებოდნენ ერთმანეთს მთელ ჭეშმარიტებას: ვორონცოვის თვალები ამბობდნენ, რომ არც ერთი სიტყვა არ სჯერა ჰაჯი-მურატის ნათქვამისა, იცის, რომ ის ყოველივე რუსულის მტერია და ყოველთვის ასეთი დარჩება, ახლა კი ასე სჭირდებოდა და მხოლოდ იმიტომ დამორჩილდა. ჰაჯი-მურატსაც ესმოდა ის, მაგრამ მაინც არწმუნებდა ვორონცოვს თავის ერთგულებაში. ჰაჯი-მურატის თვალები კი ღაღადებდნენ, რომ ამ მოხუცს ომზე კი არა, სიკვდილზე უნდა ეფიქრა, რომ ის, მართალია მოხუცია, მაგრამ, ამავე დროს, ცბიერია და მასთან ფრთხილად უნდა მოიქცეს. ვორონცოვი გრძნობდა ამას და მაინც ეუბნებოდა ჰაჯი-მურატს იმას, რაც ომის წარმატებისთვის საჭიროდ მიაჩნდა.

- გადაეცი მას, - უთხრა ვორონცოვმა თარჯიმანს (ის ახალგაზრდა ოფიცრებს შენობით მიმართავდა), - რომ ჩვენი ხელმწიფე იმდენადვე მოწყალეა, რამდენადაც

ყოვლისშემძლე და ალბათ ჩემის თხოვნით შეიწყალებს მას და თავის სამსახურში მიიღებს. გადაეცი? - იკითხა მან, როცა ჰაჯი-მურატს შეხედა, - მანამდე კი, სანამ ჩემი მბრძანებლისგან შეწყალების უფლებას მივიღებ, გადაეცი, რომ მე ვკისრულობ მის მიღებასაც და იმასაც, რომ მისი აქ ყოფნა სასიამოვნო იყოს.

ჰაჯი-მურატმა ერთხელ კიდევ მიიდო ხელები მკერდზე და გაცხოველებით დაიწყო ლაპარაკი.

მან თქვა, როგორც ეს თარჯიმანმა გადასცა ვორონცოვს, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ავარიას განაგებდა, ოცდაცხრამეტ წელს, ერთგულად ემსახურებოდა რუსებს და არასოდეს არ უღალატებდა მათ, ახმედ-ხანს გენერალ კლუგენაუსთან მისთვის ცილი რომ არ დაეწამებინა.

- ვიცი, ვიცი, - თქვა ვორონცოვმა (თუმცა კიდევაც რომ სცოდნოდა, დიდი ხნის გადავიწყებული ექნებოდა). - ვიცი, - თქვა და დაჯდა, თანაც ჰაჯი-მურატს კედელთან მდგარ ტახტზე მიუთითა. მაგრამ ჰაჯი-მურატი არ დაჯდა, მხრები უცნაურად აიჩეჩა და ნიშნად, რომ ასეთი საპატიო ადამიანის თანდასწრებით დაჯდომას ვერ ბედავდა.

- ახმედ-ხანიც და შამილიც - ორივენი ჩემი მტრები არიან, - განაგრძო ჰაჯი-მურატმა და თარჯიმანს მიმართა, - უთხარი თავადს, რომ ახმედ-ხანი მოკვდა და შურისძიება ვერ შევძელი, მაგრამ შამილი ჯერ კიდევ ცოცხალია და ისე არ მოვკვდები, სამაგიერო არ გადავუხადო, - ჰაჯი-მურატმა წარბები შეიკრა და ყბები მაგრად დააჭირა ერთმანეთს.

- დიახ, დიახ, - დამშვიდებით განაგრძობდა ვორონცოვი, - მერედა, როგორ უნდა შამილს სამაგიერო გადაუხადოს? - უთხრა თარჯიმანს. - გადაეცი, რომ შეუძლია დაჯდეს.

ჰაჯი-მურატმა ისევ იუარა დაჯდომა და დასმულ შეკითხვაზე უპასუხა: სწორედ იმისთვის გადმოვედი რუსების მხარეზე, მათ შამილის განადგურებაში დავეხმაროო.

- კარგი, კარგი, - თქვა ვორონცოვმა, - მაინც რისი გაკეთება სურს? - დაჯექი, დაჯექი.

ჰაჯი-მურატი დაჯდა და თქვა: თუ ლეკების ხაზზე გამგზავნიან და ჯარს მომცემენ, მაშინ პირობას ვიძლევი - ავამხედრო მთელი დაღესტანი ისე, რომ შამილი ვერაფერს გახდეს.

- ეს კარგია, ეს შესაძლებელია, - თქვა ვორონცოვმა. - მოვიფიქრებ.

თარჯიმანმა გადასცა ჰაჯი-მურატს ვორონცოვის სიტყვები.

ჰაჯი-მურატი ჩაფიქრდა.

- უთხარი სარდარს, - თქვა ჰაჯი-მურატმა, - რომ ჩემი ოჯახი მტრის ხელშია და სანამ ჩემი ოჯახი მთაში იმყოფება, ხელ-ფეხი შეკრული მაქვს და სამსახური არ შემიძლია. ის მომიკლავს ცოლს, დედას, დამიხოცავს ბავშვებს, თუ პირდაპირ მის წინააღმდეგ გავილაშქრებ. თავადმა მხოლოდ გამოიხსნას ჩემი ოჯახი, გადაცვალოს იგი ტყვეებზე და მაშინ ან მოვკვდები, ან ბოლოს მოვუღებ შამილს.

- კარგი, კარგი, - თქვა ვორონცოვმა, - ვიფიქრებ ამაზე. ახლა კი შტაბის უფროსთან წავიდეს და დაწვრილებით მოახსენოს თავისი მდგომარეობა, თავისი განზრახვა და სურვილები.

ასე დამთავრდა ჰაჯი-მურატისა და ვორონცოვის პირველი შეხვედრა.

იმავე დღეს, საღამოს, ახალ, აღმოსავლური გემოვნებით მოწყობილ თეატრში იტალიური ოპერა გადიოდა. ვორონცოვი თავის ლოჟაში იჯდა. პარტერში ჩალმიანი კოჭლი ჰაჯი-მურატის შესამჩნევი ფიგურა გამოჩნდა. ის ვორონცოვის მიერ მიჩენილი ადიუტანტის, ლორის-მელიქოვის თანხლებით შემოვიდა და პირველ რიგში დაჯდა. აღმოსავლური, მუსულმანური ღირსებით ეჭირა თავი, სახეზე გაკვირვების ნიშანწყალიც არ გაჰკარებია. პირიქით, ერთგვარი გულგრილობით უყურა ჰაჯი-მურატმა პირველ აქტს, მერე ადგა, მშვიდად შეათვალიერა დარბაზში მყოფნი და გავიდა ისე, რომ ყველა მაყურებლის ყურადღება მიიპყრო.

მეორე დღეს ორშაბათი იყო, ჩვეულებრივი საღამო ვორონცოვების ოჯახში. სინათლით გაჩახჩახებულ დიდ დარბაზში ზამთრის ბაღში მიმალული მუსიკა უკრავდა. ახალგაზრდები და არცთუ ისე ყმაწვილი ქალები, რომელთაც ისეთი ტანსაცმელი ემოსათ, ყელი, ხელები და თითქმის მკერდიც მოშიშვლებოდათ, მკვეთრი ფერის მუნდირიან მამაკაცებს ჩაკონებულნი ტრიალებდნენ. წითელ ფრაკებსა, წინდებსა და წაღებში გამოწყობილი ლაქიები შემაღლებულ ბუფეტთან შამპანურს ასხამდნენ და მანდილოსნებთან კამფეტები მიმოჰქონდათ. ,,სარდარის“ მეუღლე, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ისიც ასევე ნახევრად გაშიშვლებული, სტუმრებს შორის დადიოდა, გულთბილად იღიმებოდა და თარჯიმნის მეშვეობით რამდენიმე ალერსიანი სიტყვა უთხრა ჰაჯი-მურატს, რომელიც, როგორც გუშინ თეატრში, ისევე გულგრილად ათვალიერებდა სტუმრებს. დიასახლისის შემდეგ ჰაჯი-მურატთან მივიდნენ სხვა გატიტვლებული ქალებიც და ყველანი ურცხვად იდგნენ მის წინ, იღიმებოდნენ და ეკითხებოდნენ ერთსა და იგივეს: როგორ მოსწონდა ის, რასაც ხედავდა? თვითონ ვორონცოვიც, ოქროს ეპოლეტები, აქსელბანტები და ლენტი რომ ეკეთა და ყელზე თეთრი ჯვარი ეკიდა, მივიდა ჰაჯი-მურატთან და ჰკითხა იგივე. ალბათ ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ჰაჯი-მურატს არ შეიძლებოდა არ მოსწონებოდა ის, რასაც ხედავდა. ჰაჯი-მურატმა ვორონცოვსაც იგივე უპასუხა, რაც სხვებს - ჩვენთან ასეთი რამ არ იციანო. მას არ უთქვამს კარგი იყო თუ ცუდი, რომ მათთან ასეთი რამ არ იცოდნენ.

ჰაჯი-მურატი შეეცადა აქაც, ბალზეც კი მოლაპარაკებოდა ვორონცოვს თავისი ოჯახის გამოსყიდვაზე, მაგრამ ვორონცოვმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს არ გაუგონიაო, და ჩამოსცილდა. შემდეგ ლორის-მელიქოვმა უთხრა ჰაჯი-მურატს, რომ აქ საქმეზე ლაპარაკის ადგილი არ იყო.

როცა საათმა თერთმეტი დარეკა და ჰაჯი-მურატმა ეს მარია ვასილევნას ნაჩუქარ საათზე შეამოწმა, ლორის-მელიქოვს ჰკითხა, შეიძლებოდა თუ არა წასვლა. ლორის-მელიქოვმა უთხრა, შეიძლება, მაგრამ აჯობებდა კი დარჩენილიყავიო. მიუხედავად ამისა, ჰაჯი-მურატი არ დარჩა და მის განკარგულებაში მყოფი ფაეტონით იმ ბინაში გაემგზავრა, რომელიც მას გამოუყვეს.

XI

ჰაჯი-მურატის თბილისში ჩამოსვლის მეხუთე დღეს მთავარ-სარდლის დავალებით მასთან მივიდა მეფისნაცვლის ადიუტანტი ლორის-მელიქოვი.

- ჩემი თავიც და ხელებიც მზადაა ემსახუროს სარდარს, - თქვა ჰაჯი-მურატმა თავისი ჩვეულებრივი დიპლომატიური გამომეტყველებით, როცა თავი დახარა და ხელები მკერდზე მიიდო. მიბრძანე, - დაუმატა მან და ლორის-მელიქოვს ალერსიანად შეაჩერდა თვალებში.

ლორის-მელიქოვი მაგიდასთან სავარძელში ჩაჯდა. ჰაჯი-მურატიც მის პირდაპირ დაბალ ტახტზე ჩამოჯდა, ხელებით მუხლებზე დაეყრდნო, თავი დახარა და ყურადღებით დაუწყო მოსმენა, რასაც ლორის-მელიქოვი ეუბნებოდა. ლორის-მელიქოვი თათრულად თავისუფლად ლაპარაკობდა და უთხრა, თავადმა თუმცა იცის ჰაჯი-მურატის წარსული, სურს თვითონ მისგან მოისმინოს მთელი მისი თავგადასავალი.

- შენ მომიყევი, - უთხრა ლორის-მელიქოვმა, - მე კი ჩავწერ, მერე რუსულად გადავთარგმნი და თავადი ხელმწიფეს გაუგზავნის.

ჰაჯი-მურატი გაჩუმდა (ის არასოდეს არავის არ აწყვეტინებდა სიტყვას, ყოველთვის ელოდებოდა, ხომ არ იტყოდა კიდევ რამეს თანამოსაუბრე), მერე თავი ასწია, ფაფახი უკან გადაიწია და სახეზე ის განსაკუთრებული ბავშვური ღიმილი გადაეფინა, რომლითაც ჯერ კიდევ მარია ვისილიევნა მოაჯადოვა.

- ეს შეიძლება, - თქვა მან, ალბათ ნასიამოვნებმა იმით, რომ მის თავგადასავალს ხელმწიფე წაიკითხავდა.

- მომიყევი (თათრულში არ არის თქვენობით მიმართვა) ყველაფერი თავიდან, აუჩქარებლად, - უთხრა ლორის-მელიქოვმა და ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო.

- ეს შეიძლება, მაგრამ ბევრი, ძალიან ბევრია მოსაყოლი. ბევრი დავიდარაბა გადამხდა, - თქვა ჰაჯი-მურატმა.

- ერთ დღეს თუ ვერ მოასწრებ, მეორე დღეს დაამთავრებ, - მიუგო ლორის-მელიქოვმა.

- თავიდან დავიწყო?

- ჰო, სულ თავიდან: სად დაიბადე, სად ცხოვრობდი.

ჰაჯი-მურატმა თავი დახარა და დიდხანს იჯდა ასე, მერე ტახტთან დადებული პატარა ჯოხი აიღო, სპილოს ძვლისტარიანი, ოქროთი მოსევადებული ხანჯლის ქვემოდან სამართებელივით მჭრელი ფოლადის დანა ამოიღო და დაიწყო ჯოხის ჩორკნა და თავისი ამბის მოყოლა.

- დაწერე: დავიბადე ცელმესში, პატარა აულში, რომელიც, როგორც ჩვენთან, მთაში იტყვიან, ვირის თავის ოდენაა. ჩვენგან არც ისე შორს, ორიოდე გასროლის მანძილზე, ხუნძახია, ხანების ადგილსამყოფელი. ჩვენი ოჯახი მათთან დაახლოებული იყო. დედაჩემს უფროსი ხანისთვის, აბუნუნცალ-ხანისთვის ძუძუ უწოვებია, ამის გამო გავხდი მეც ხანების ახლობელი. სულ სამი ხანი იყო. აბუნუნცალხანი - ჩემი ძმის ოსმანის ძუძუმტე, უმა-ხანი - ჩემი ძმადნაფიცი და ბულაჩ-ხანი - უმცროსი, სწორედ ის, რომელიც შამილმა ხრამში გადააგდო. თუმცა ამაზე მერე. თხუთმეტი წლისა

ვიქნებოდი, როცა აულებში მიურიდებმა დაიწყეს სიარული. ისინი ხის ხმლებს ურტყამდნენ ქვებზე და ყვიროდნენ: „მუსულმანებო, ჰაზავატი!“ ყველა ჩაჩანი მიურიდების მხარეზე გადავიდა: მერე თანდათან ავარიელებიც მიჰყვნენ მათ. მე მაშინ სასახლეში ვცხოვრობდი. ხანებთან ძმასავით ვიყავი: რასაც მოვისურვებდი, ვაკეთებდი და გავმდიდრდი კიდეც. ცხენებიც მყავდა, მქონდა იარაღიც და ფულიც. განცხრომით ვცხოვრობდი და არაფერი მქონდა სადარდებელი. ასე ვცხოვრობდი ყაზი-მოლას მოკვლამდე, სანამ მის ადგილს ჰამზათი დაიჭერდა. ჰამზათმა ხანებს ელჩი გამოუგზავნა და შემოუთვალა, თუ ჰაზავატს არ მიიღებთ, ხუნძახს ავაოხრებო. აქ დაფიქრება იყო საჭირო. ხანებს რუსებისა ეშინოდათ, ეშინოდათ აგრეთვე ჰაზავატის მიღებისა, ამიტომ ხანის მეუღლემ მის მეორე ვაჟთან უმა-ხანთან ერთად თბილისში გამომგზავნა იმ მიზნით, რომ რუსების მთავარი უფროსისთვის მეთხოვა ჰამზათისგან დაცვა. მთავარი უფროსი მაშინ როზენი იყო, ბარონი. მან არც მე, არც უმახანი არ მიიღო. უბრძანა ჩვენთვის გადმოეცათ, რომ დაგვეხმარებოდა, მაგრამ არაფერი დახმარება არ გაუწევია. მხოლოდ ეს კი იყო, რომ მისმა ოფიცრებმა დაიწყეს ჩვენთან სიარული და უმა-ხანთან ბანქოს თამაში. ისინი უმა-ხანს ღვინოს ასმევდნენ და ცუდ ადგილებში დაჰყავდათ. უმა-ხანმა ყველაფერი, რაც მას ებადა, რუსებთან ბანქოში წააგო. ის ხარივით ღონიერი და ლომივით მამაცი იყო, მაგრამ სულიერად - წყალივით სუსტი. უკანასკნელ ცხენსაც და იარაღსაც წააგებდა, მე რომ არ წამეყვანა თბილისიდან. თბილისში ყოფნის შემდეგ აზრი შემეცვალა და მე ხანის მეუღლესა და ხანებს თხოვნა დავუწყე, მიეღოთ ჰაზავატი.

- რატომ შეგეცვალა აზრი? - ჰკითხა ლორის-მელიქოვმა. - არ მოგეწონა რუსები?

ჰაჯი-მურატმა ერთხანს იყუჩა.

- არა, არ მომეწონა, - გადაჭრით თქვა მან და თვალები დახუჭა. - გარდა ამისა, კიდევ იყო ისეთი საქმე, რომ ჰაზავატის მიღება ვამჯობინე.

- რა იყო ეს საქმე?

- რა საქმე და, ცელმესთან მე და ხანებს სამ მიურიდთან მოგვიხდა შეტაკება: ორი გაგვექცა, მესამე კი დამბაჩით მოვკალი. როცა მასთან იარაღის ასართმევად მივედი, ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. შემომხედა. „შენო, მითხრა, მომკალი, მაგრამ მე არა მიშავს. - შენ კი მუსულმანი ხარ, ახალგაზრდა და ღონიერი. მიიღე ჰაზავატი. ასეთია ღვთის ნება“.

- და შენც მიიღე?

- კი არ მივიღე, დავფიქრდი, - თქვა ჰაჯი-მურატმა და განაგრძო: - როცა ჰამზათი ხუნძახს მოადგა, მას მოხუცები მივუგზავნეთ და შევუთვალეთ, რომ ჰაზატავის მიღებაზე თანახმა ვიყავით, ოღონდ ვინმე მცოდნე კაცი გამოეგზავნა, რომ ჩვენთვის ჰაზავატის მიღების წესები ესწავლებინა. ჰამზათმა ბრძანება გასცა მოხუცებისთვის ულვაშები მოეპარსათ, ცხვირის ნესტოები გაეხვრიტათ, ცხვირებზე კვერები ჩამოეკიდათ და უკან გაებრუნებინათ. მოხუცებმა გვითხრეს, ჰამზათი მზად არის შეიხი გამოგზავნოს, რომ ჰაზავატის მიღება გვასწავლოსო, ოღონდ ხანის მეუღლემ მძევლად უმცროსი შვილი უნდა გაგზავნოსო. ხანის მეუღლემაც დაიჯერა და ჰამზათთან ბულაჩ-ხანი გაგზავნა. ჰამზათმა კარგად მიიღო ბულაჩ-ხანი, მერე ბრძანა, მასთან უფროსი ვაჟებიც გაეგზავნათ. ჰამზათმა შემოთვალა, მსურს ხანებს ისე

ვემსახურო, როგორც მამაჩემი ემსახურებოდა მათ მამასო. ხანის მეუღლე უძლური, სულელი და თავხედი ქალი იყო, როგორც ყველა ქალი, როცა ისინი თავის ნებაზე ცხოვრობენ. შეეშინდა ორი შვილის გაგზავნისა და მხოლოდ ერთი - უმა-ხანი გაუშვა. მეც მას გავყევი. მიურიდები ერთ ვერსზე შემოგვეგებნენ, მღეროდნენ, ისროდნენ და ჩვენ გარშემო ჯირითობდნენ. როცა მივედით, ჰამზათი კარვიდან გამოვიდა, უმა-ხანის უზანგთან მივიდა და იგი ხანივით მიიღო. უთხრა: ,,მე თქვენი ოჯახისთვის არავითარი ბოროტება არ გამიკეთებია და არცა მაქვს განზრახვა ასეთი რამ ჩავიდინო, ოღონდ არ მომკლათ და ხელს ნუ შემიშლით, ხალხს ჰაზავატი მივაღებინო. მე კი ჩემი ჯარით ისევე მოგემსახურებით, როგორც მამაჩემი ემსახურებოდა მამათქვენს. ნება მომეცით, თქვენს სახლში ვიცხოვრო. მე ჩემი რჩევით გაგიწევთ დახმარებას, თქვენ კი, რაც გსურდეთ, ისე გააკეთეთ". უმა-ხანი სიტყვაჩლუნგი კაცი იყო. არ იცოდა, რა ეპასუხა და დუმდა. მაშინ მე ვთქვი, თუ ასეა, ჰამზათი წავიდეს ხუნძახში, ხანის მეუღლე და ხანი მას პატივისცემით მიიღებენ-მეთქი. მაგრამ სიტყვა ბოლომდე არ მათქმევინეს და აქ პირველი შეტაკება მომიხდა შამილთან, რომელიც იქვე, იმამის გვერდით იდგა.

,,შენ კი არა, ხანს ეკითხებიან", - მითხრა მან.

მე გავჩუმდი, ჰამზათმა კი უმა-ხანი კარავში შეიყვანა. მერე ჰამზათმა თავისთან მიმიხმო და მიბრძანა, მის ელჩებთან ერთად ხუნძახში წავსულიყავი. მეც წავედი. ელჩებმა ხანის მეუღლეს ურჩიეს, უფროსი ხანიც გაეგზავნა ჰამზათთან. მე აქ ღალატი შევნიშნე და ხანის მეუღლეს ვუთხარი, არ გაეგზავნა შვილი, მაგრამ ქალებს იმდენი ჭკუა აქვთ, რამდენიც კვერცხს თმა. ხანის მეუღლემ დაუჯერა ჰამზათს და შვილს უბრძანა წასულიყო. აბუნუნცალს წასვლა არ უნდოდა. მაშინ დედამ უთხრა: ,,გეტყობა, გეშინიაო". მან ფუტკარივით იცოდა, სად ეკბინა თავისი ვაჟისთვის მეტი ტკივილი რომ მიეყენებინა. აბუნუნცალი აენთო. შეწყვიტა დედასთან ლაპარაკი და ბრძანა, ცხენი შეეკაზმათ. მეც გავყევი, ჰამზათმა უკეთესად მიგვიღო, ვიდრე უმა-ხანი. ის ორი გასროლის მანძილზე მთის ძირას შემოგვეგება. უკან ალმიანი ცხენოსნები მოსდევდნენ, ისინი მღეროდნენ ,,ლა ილახა ილ-ალა", ისროდნენ თოფს, ჯირითობდნენ. როცა ბანაკს მივუახლოვდით, ჰამზათმა ხანი კარავში შეიყვანა, მე კი ცხენებთან დავრჩი. მე მთის ძირას ვიყავი, როცა კარავში სროლა ატყდა. მივირბინე კარავთან. პირქვე დამხობილი უმა-ხანი სისხლის გუბეში ცურავდა, აბუნუნცალი კი მიურიდებს ებრძოდა. ნახევარი სახე ჩამოკვეთილი ჰქონდა და ეკიდა. მას ცალი ხელით სახის ჩამოთლილი ნაწილი ეჭირა, მეორეთი კი ხანჯალს იქნევდა და უმოწყალოდ ხოცავდა ყველას, ვინც ახლოს მივიდოდა. ჩემ თვალწინ ჰამზათის ძმა მოკლა და ახლა სხვაც უნდა მიეყოლებინა, მაგრამ ამ დროს მიურიდებმა ესროლეს და ისიც დაეცა.

ჰაჯი-მურატი შეჩერდა. მისი გარუჯული სახე ცეცხლივით აენთო და თვალებზე სისხლი მოაწვა.

- მე შემეშინდა და გავიქეცი.

- ნუთუ? - ჰკითხა ლორის-მელიქოვმა. - მე კი მეგონა, შენ არასოდეს არაფრის გშინებია.

- მერე არასოდეს; მას შემდეგ ხშირად მაგონდებოდა ეს სირცხვილი და როცა მომაგონდებოდა, აღარაფრისა მეშინოდა.

XII

ახალ კი კმარა, უნდა ვილოცო, - თქვა ჰაჯი-მურატმა, ჩოხის გულჯიბიდან ვორონცოვის ნაჩუქარი ბრეგეტი ამოიღო, ფრთხილად დააჭირა ზამბარას ხელი, მერე ყური მიადო; ბავშვურ ღიმილს ძლივს იკავებდა და უსმენდა. საათმა თორმეტი და მეოთხედი აღნიშნა.

- ყოჩაღ ვორონცოვის ფეშქაშია, - თქვა მან ღიმილით. - კაი კაცია.

- ჰო, კარგია, - დაუმოწმა ლორის-მელიქოვმა, - საათიც კარგია. მაშ, შენ ილოცე, მე კი დაგელოდები.

- იახში, კარგი, - უთხრა ჰაჯი-მურატმა და საწოლ ოთახში შევიდა.

მარტო დარჩენილმა ლორის-მელიქოვმა ჰაჯი-მურატის ნაამბობიდან წიგნაკში მთავარი ჩაიწერა, მერე პაპიროსს მოუკიდა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. როცა საწოლი ოთახის მოპირდაპირე კართან მივიდა, ვიღაცეების ჩქარი თათრული ლაპარაკი შემოესმა. მიხვდა, რომ ისინი ჰაჯი-მურატის მიურიდები იყვნენ, კარი გააღო და შიგ შევიდა.

ოთახში განსაკუთრებული, მქისე, ტყავის სუნი იდგა, რაც ესოდენ დამახასიათებელია მთიელთათვის. ფანჯარასთან, იატაკზე, ნაბადი გაეშალა და ზედ იჯდა ცალთვალა წითური გამზალო; იგი აღვირს წნავდა. დახეული და გაზინზლული ახალუხი ეცვა. გამზალო გაცხარებით ლაპარაკობდა ჩახრინწული ხმით, მაგრამ ლორის-მელიქოვის შემოსვლისთანავე გაჩუმდა, მისთვის ყურადღება არ მიუქცევია და თავისი საქმე განაგრძო. გამზალოს პირდაპირ მხიარული ხან-მაგომა იდგა; თეთრი კბილები უჩანდა, შავად მოელვარე უწამწამო თვალებს ახამხამებდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა, ლამაზ ელდარს მკლავები დაეკაპიწებინა და ლურსმანზე ჩამოკიდებულ უნაგირის მოსართავებს ჭიმავდა. მთავარი მუშაკაცი და მეურნეობის განმგებელი ხანეფი ოთახში არ ჩანდა. ის სამზარეულოში სადილს აკეთებდა.

- რაზე კამათობთ? - ჰკითხა ლორის-მელიქოვი ხან-მაგომას მისალმების შემდეგ.

- ეს სულ შამილს აქებს, - უთხრა ხან-მაგომამ და ლორის-მელიქოვს ხელი გაუწოდა. - ამბობს: შამილი დიდი კაციაო, სწავლულიც, წმინდანიც და ჯიგიტიცო.

- მაშ რატომ წამოვიდა, თუ ასე აქებს?

- წამოვიდა, მაგრამ აქებს, - მიუგო თვალებგაბრწყინებულმა ხან-მაგომამ კბილების კრეჭით.

- მართლა მიგაჩნია ის წმინდანად? - ჰკითხა ლორის-მელიქოვმა.

- წმინდანი რომ არ იყოს, ხალხი არ დაუჯერებდა, - სხაპასხუპით მიაყოლა გამზალომ.

- წმინდანი შამილი კი არა, მანსური იყო, - მიუგო ხან-მაგომამ, - ის ნამდვილი წმინდანი იყო. მისი იმამობის დროს ხალხიც სხვაგვარი იყო. აულებში ხალხი ჩოხის კალთებს უკოცნიდა, ცოდვებს ინანიებდა და ეფიცებოდა, რომ ამიერიდან ცუდს არ ჩაიდენდა. მოხუცები ამბობდნენ: მაშინ მთელი ხალხი წმინდანივით ცხოვრობდა -

თუთუნს არ ეწეოდნენ, არ სვამდნენ, თავის დროზე ლოცულობდნენ, შეურაცხყოფას მიუტევებდნენ ერთმანეთს და სისხლსაც შეარჩენდნენო. მაშინ ფულს ან ნივთს თუ იპოვნიდნენ, ლიტანზე კრავდნენ და გზის პირას დებდნენ. ღმერთიც ხელს უმართავდა ხალხს და ისე კი არ იყო, როგორც ახლაა, - თქვა ხან-მაგომამ.

- მთებში არც ახლა სვამენ და არ ეწევიან თუთუნს, - მიუგო გამზალომ.

- ,,ლამოროი'' მთიელების აბუჩად ასაგდები სახელი იყო.

- ლამოროი მთიელია. სწორედ მათში ცხოვრობენ არწივები, - მიუგო გამზალომ.

- ყოჩაღ შენ! მარჯვედ მომიჭერი, - კბილების კრეჭით წააქეზა ხან-მაგომამ, რომელსაც ძალიან გაუხარდა თავისი მოწინააღმდეგის მარჯვე პასუხი.

დაინახა თუ არა ლორის-მელიქოვის ხელში ვერცხლის საპაპიროსე, ხან-მაგომამ მოწევის ნებართვა ითხოვა. როცა ლორის-მელიქოვმა უთხრა, მოწევა აკრძალული გვაქვსო, ხან-მაგომამ ცალი თვალი ჩაუკრა, ჰაჯი-მურატის საწოლ ოთახზე თავით ანიშნა და უთხრა: სანამ არ მხედავენ, შეიძლებაო. და მაშინვე დაიწყო მოწევა, ოღონდ კვამლს არ ყლაპავდა, თანაც მოუხერხებლად აცმაცუნებდა წითელ ტუჩებს, როცა კვამლს უშვებდა.

- არ ვარგა ასე, თქვა გაბრაზებულმა გამზალომ და ოთახიდან გავიდა. ხან-მაგომამ მასზეც თვალით ანიშნა ლორის-მელიქოვს, თუთუნის მოწევა განაგრძო და ლორის-მელიქოვს გამოკითხვა დაუწყო, სად შეიძლებოდა აბრეშუმის ახალუხისა და თეთრი ფაფახის ყიდვა.

- განა ასე ბევრი ფული გაქვს?

- მაქვს, მოვახერხებ, - თვალის ჩაკვრით უპასუხა ხან-მაგომამ.

- აბა ერთი ჰკითხე, საიდან აქვს ფული, - თქვა ელდარმა და ლამაზი, მოღიმარი სახე ლორის-მელიქოვისკენ მოაბრუნა.

- საიდან და მოვიგე, - სხაპასხუპით ალაპარაკდა ხან-მაგომა და მოჰყვა, გუშინ თბილისში სეირნობისას როგორ შეეფეთა ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილ ხალხს - რუს დენშჩიკებს და სომხებს, რომლებიც ფულობანას თამაშობდნენ. დიდ თანხას იყვნენ ჩასული კონში: სამ ოქროს და ბევრ ვერცხლს. ხან-მაგომა მაშინვე მიხვდა საქმის ვითარებას. შავი ფული, რომელიც ჯიბეში ჰქონდა, გააჩხარუნა და თქვა, მთელ თანხაზე ვთამაშობო.

- როგორ თუ მთელ თანხაზე, განა იმდენი გქონდა? - ჰკითხა ლორის-მელიქოვმა.

- სულ თორმეტი კაპიკი მქონდა, - კბილების კრეჭით მიუგო ხან-მაგომამ.

- რომ წაგეგო?

- მაშინ იქნებოდა სეირი.

და ხან-მაგომამ დამბაჩაზე მიუთითა.

- ვითომ რაო, მისცემდი?

- რაზე უნდა მიმეცა. გავიქცეოდი. თუ ვინმე წინ გადამეღობებოდა, მოვკლავდი, მორჩა და გათავდა.

- მერე, მოიგე?

ლორის-მელიქოვს კარგად ესმოდა, რა ადამიანები იყვნენ ხან-მაგომა და ელდარი. ხან-მაგომა მხიარული და მოქეიფე ბიჭი იყო, მან არ იცოდა სად დაეხარჯა მოჭარბებული ენერგია, მუდამ მხიარული და ქარაფშუტა აინუნში არ აგდებდა თავის და სხვის სიცოცხლეს. ასეთი ხასიათის გამო გადმოსულიყო ახლა რუსებთან. ხვალ კი ზუსტად იმავე მიზეზის გამო შეეძლო კვლავ უკან დაბრუნებოდა შამილს. ელდარიც არ იყო ძნელი გამოსაცნობი. იგი გახლდათ ფრიად ერთგული კაცი მიურშიდისა, წყნარი, ღონიერი და მტკიცე. მხოლოდ წითური გამზალისი ვერა გამოიცნო რა ლორის-მელიქოვმა. იგი ხედავდა, რომ გამზალო არა მარტო ერთგული იყო შამილისა, დაუოკებელი სიძულვილით, ზიზღითა და ღვარძლით იყო გამსჭვალული რუსებისადმი. ამიტომ ვერ გაეგო ლორის-მელიქოვს, რატომ გადმოვიდა გამზალო რუსების მხარეზე. ლორის-მელიქოვი ფიქრობდა და ამ აზრს რამდენიმე უფროსი მოხელეც იზიარებდა, რომ ჰაჯი-მურატის გადმოსვლა და შამილთან მისი მტრობა თვალთმაქცობა იყო, რომ ის მარტო იმისთვის გადმოვიდა, რუსების სუსტი უბნები გაეგო, მერე მთებში გაქცეულიყო და თავისი ძალები რუსების სუსტი უბნისკენ გადმოესროლა. გამზალო მთელი არსებით ამართლებდა ამ ეჭვს. „ამათაც და თვით ჰაჯი-მურატმაც, - ფიქრობდა ლორის-მელიქოვი, - იციან განზრახვის დამალვა, მაგრამ გამზალოს ვერ დაუფარავს სიძულვილი და ამხელს თავის თავს“.

ლორის-მელიქოვმა სცადა მასთან გასაუბრება. ჰკითხა, ხომ არ მოგეწყინაო აქ? მაგრამ გამზალომ ისე, რომ სამუშაო არც მიუტოვებია, ცალი თვალით ალმაცერად შეხედა ლორის-მელიქოვს და ჩახრინწული ხმით ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ღრენით უპასუხა: - არა, არა ვარ მოწყენილი.

ასევე უპასუხა დანარჩენ კითხვებზეც.

სანამ ლორი-მელიქოვი ნუქერების ოთახში იმყოფებოდა, ჰაჯი-მურატის მეოთხე მიურიდიც შემოვიდა. ეს იყო ავარიელი ხანეფი, მას სახე და კისერი ბანჯგვლიანი ჰქონდა, ხოლო გამობურცული მკერდი ხშირი ბალნით დაფარული. ხანეფი ჩუმი, ღონიერი მუშა გახლდათ. ყოველთვის თავის საქმეში იყო გართული და ელდარივით უსიტყვოდ ემორჩილებოდა თავის პატრონს.

როცა ხანეფი ნუქერების ოთახში ბრინჯისთვის შემოვიდა, ლორის-მელიქოვმა შეაჩერა და ჰკითხა, სადაური ხარ, დიდი ხანია ჰაჯი-მურატთან იმყოფებიო?

- ხუთი წელია, - უპასუხა ხანეფმა ლორის-მელიქოვის კითხვაზე. - ჩვენ ერთი აულიდან ვართ. მამაჩემმა მისი ბიძა მოკლა, მას კი ჩემი მოკვლა უნდოდათ, - თქვა ხანეფმა და ხშირი წარბების ქვემოდან მშვიდად შეხედა ლორის-მელიქოვს. - მაშინ ვთხოვე ძმად შევფიცულიყავით.

- რას ნიშნავს ძმადნაფიცობა?

- მე ორი თვე თავი არ მომიპარავს, ფრჩხილები არ მომიქნია და ისე მივედი მათთან, მათ ჰაჯი-მურატის დედასთან ფატიმათთან მიმიყვანეს. ფატიმათმა ძუძუზე კბილი დამადგმევინა და გავხდი ჰაჯი-მურატის ძმადნაფიცი.

მეზობელ ოთახში ჰაჯი-მურატის ხმა გაისმა. ელდარმა მაშინვე გაიგონა თავისი ბატონის ძახილი, ხელები შეიხოცა და ფართო, ჩქარი ნაბიჯებით შევიდა სასტუმრო ოთახში.

- თავისთან გვეძახის, - უთხრა ლორის-მელიქოვს, როცა დაბრუნდა.

ლორის-მელიქოვმა მხიარულ ხან-მაგომას კიდევ ერთი პაპიროსი მისცა და სასტუმრო ოთახისკენ გასწია.

XIII

როდესაც ლორის-მელიქოვი სასტუმრო ოთახში შევიდა, ჰაჯი-მურატი მხიარული სახით შეეგება.

- მაშ, განვაგრძო? - ჰკითხა ჰაჯი-მურატმა და ტახტზე ჩამოჯდა.

-დიახ, უსათუოდ, - მიუგო ლორის-მელიქოვმა. - მე შევიარე შენს ნუქერებთან და გამოველაპარაკე. ერთი მხიარული ყმაწვილია, - დაუმატა მან.

- ჰო, ხან-მაგომა, უდარდელი კაცია, - თქვა ჰაჯი-მურატმა.

- მე კი მომეწონა ლამაზი ახალგაზრდა.

- აჰ, ელდარი. ის მართალია, ახალგაზრდაა, მაგრამ რკინასავით უდრეკია.

ისინი მცირე ხანს დუმდნენ.

- მაშ, განვაგრძო?

- დიახ, დიახ.

- მე გიამბე, როგორ დახოცეს ხანები. როგორც კი დახოცეს ისინი, ჰამზათი ხუნძახში შემოვიდა და ხანების სასახლე დაიკავა, - დაიწყო ჰაჯი-მურატმა. - ცოცხალი დარჩა მხოლოდ ხანის მეუღლის დედა. ჰამზათმა ის თავისთან დაიბარა. ქალმა მას ლანძღვა დაუწყო. ჰამზათმა თავის მიურიდს ასელდერს თვალი ჩაუკრა, მანაც უკნიდან დაჰკრა ხანის მეუღლის დედას და სული გააფრთხობინა.

- ქალი მაინც რიღასთვის მოკლა? - შეეკითხა ლორის-მელიქოვი.

- მაშ, როგორ უნდა მოქცეულიყო; ცალ ფეხს რომ გადააბიჯებ, მეორეც უნდა მიაყოლო. მთელი საგვარეულო უნდა ამოეწყვიტა, ასეც მოიქცნენ. შამილმა უმცროსი ხანიც მოკლა, ხრამში გადააგდო. მთელი ავარია ჰამზათს დაემორჩილა, მხოლოდ მე და ჩემს ძმას არ გვინდოდა მის წინაშე ქედის მოხრა. ჩვენ ხანების სისხლი უნდა აგვეღო. ჰამზათს ისე მოვაჩვენეთ თავი, თითქოს ვემორჩილებოდით, მაგრამ მხოლოდ იმაზე ვფიქრობდით, როგორ აგვეღო სისხლი, მოვეთათბირეთ პაპას და გადავწყვიტეთ, როცა ჰამზათი სასახლიდან გამოვიდოდა, დრო გვეხელთა და საფარიდან მოგვეკლა იგი. როგორც ჩანს, ვიღაცამ მოგვაყურადა, დაგვაბეზღა და ჩვენი განზრახვა ჰამზათს გაუმხილა. მან კი პაპა დაიბარა და გააფრთხილა: „იცოდე, თუ შენი შვილიშვილები მართლა ცუდ რამეს მიპირებენ, შენ და მათ ერთ სახრჩობელაზე ჩამოგკიდებთ. მე საღვთო საქმეს ვაკეთებ და ჩემი ხელის შეშლა არ შეიძლება. წადი და გახსოვდეს ჩემი ნათქვამი“. ბაბუა შინ მოვიდა და გვიამბო

ყველაფერი. მაშინ გადავწყვიტეთ, არ დაგვეხანებინა და დღესასწაულის პირველ დღესვე მეჩეთში მოგვეღო ჰამზათისათვის ბოლო.

ამაზე ამხანაგებმა უარი გვითხრეს. დავრჩით მარტო მე და ჩემი ძმა. ჩვენ ავიღეთ ორ-ორი დამბაჩა, ნაბდები მოვისხით და წავედით მეჩეთში. შემოვიდა ჰამზათი ოცდაათი ხმალამოწვდილი მიურიდის თანხლებით. ყოველ მათგანს შიშველი ხმალი ეჭირა. ჰამზათის გვერდით მოდიოდა ასელდერი - მისი საყვარელი მიურიდი. სწორედ ის, ხანის მეუღლის დედას თავი რომ მოჰკვეთა. მან დაგვინახა თუ არა, დაგვიყვირა - ნაბდები მოიხსენითო და ჩემთან მოვიდა. მე მომარჯვებული ხანჯალი გულში გავუტარე და მაშინვე ჰამზათისკენ გავეშურე. მაგრამ ამასობაში ჩემმა ძმამ ოსმანმა უკვე ესროლა მას. ჰამზათი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ხანჯლით ჩემი ძმისკენ გამოიწია, მაგრამ თავში დავკარი და ბოლო მოვუღე. მიურიდები ოცდაათი კაცი იყო, ჩვენ კი - ორნი. მათ ჩემი ძმა ოსმანი მოკლეს, მე კი თავი დავაღწიე, ფანჯრიდან გადავხტი და გავიქეცი. როცა ჰამზათის მკვლელობა გაიგეს, მთელი ხალხი ფეხზე დადგა. მიურიდები კი გაიქც-გამოიქცნენ და ვინც არ გაიქცა, ხალხმა მუსრი გაავლო.

ჰაჯი-მურატი შეჩერდა და მძიმედ ამოიხვნეშა.

- ყველაფერმა ამან კარგად ჩაიარა, - განაგრძო მან, - მაგრამ ბოლოს ყველაფერი აირია. ჰამზათის ადგილას შამილი დაჯდა. მან ელჩების პირით შემომითვალა, რუსების წინააღმდეგ გამომყევიო. თუკი უარს ვიტყოდი, მემუქრებოდა - ხუნძახს ავაოხრებ და შენც ბოლოს მოგიღებთ. მე შევუთვალე, რომ არც მასთან მივიდოდი და არც ჩემთან მოვუშვებდი.

- რატომ არ წახვედი მასთან? - ჰკითხა ლორის-მელიქოვმა.

- ჰაჯი-მურატმა წარბები შეიკრა და ცოტა ხნის შემდეგ უპასუხა: - არ შეიძლებოდა. შამილს ჩემი ძმის - ოსმანისა - და აბუნუნცალ-ხანის სისხლი ემართა. მე არ წავედი მასთან. გენერალმა როზენმა ოფიცრის ჩინი გამომიგზავნა და ავარიის გამგებლობა ჩამაბარა. ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ როზენმა ავარიის ზედამხედველად ჯერ ყაზიყუმიხის ხანი მაჰმუდ-მირზა დანიშნა, მერე კი - ახმედ-ხანი. ახმედ-ხანს ძალიან ვეჯავრებოდი. მას თავის ვაჟის საცოლედ ხანის ქვრივის ქალიშვილი, სალთანეთი უნდოდა. სალთანეთი არ გაატანეს და ეგონა, მე ვიყავი დამნაშავე. მას ვძულდი და ხშირად აგზავნიდა ნუქერებს ჩემ მოსაკლავად, მაგრამ მათ თავი დავაღწიე. მაშინ გენერალ კლუგენაუსთან ცილი დამწამა, უთხრა, ვითომ ავარიელებს ვუბრძანე ჯარისკაცებისთვის შეშა არ მიეცათ, ისიც მოახსენა, რომ ჩალმა დავიხურე, აი ეს, - ჰაჯი-მურატმა ფაფახზე გაკეთებული ჩალმა აჩვენა ლორის-მელიქოვს, - ეს თითქოს იმას ნიშნავდა, რომ მე შამილის მხარეზე გადავედი. გენერალმა არ დაუჯერა და ბრძანა, ჩემთვის ხელი არ ეხლოთ. მაგრამ, როცა გენერალი თბილისში წავიდა, ახმედ-ხანი თვითნებურად მოიქცა: ჯარისკაცების ასეული დამასია, ბორკილები გამიყარა და ზარბაზანზე მიმაბა. ექვსი დღე ასე ვყავდი... მეშვიდე დღეს ზარბაზანს მომხსნეს და თემირ-ხან-შურაში წამიყვანეს ორმოცი თოფებდატენილი ჯარისკაცის თანხლებით. ხელები შეკრული მქონდა და თუ გაქცევას დავაპირებდი, ნაბრძანები იყო მოვეკალით. ეს ვიცოდი, მოკსოხის მახლობლად ვიწრო ბილიკის მარჯვნივ ორმოცდაათი საჟენი სიღრმის ხრამი ჩანდა. მე ჯარისკაცის მარჯვნივ გადავედი და ხრამის პირას დავჯექი. ჯარისკაცს ჩემი შეჩერება უნდოდა, მაგრამ ხრამში გადავხტი და ჯარისკაციც თან გადავიყოლე. ჯარისკაცი მოკვდა, მე კი, აი, გადავრჩი. ნეკნები,

თავი, ხელები, ფეხი - ყველაფერი დავიმტვრიე. დავიწყე ცოცვა, მაგრამ ვეღარ შევძელი. თავბრუ დამეხვა და დამეძინა. როცა გამომეღვიძა, ვხედავ, სისხლში ამოსვრილი ვარ. დამინახა მწყემსმა. ხალხს დაუძახა და აულში წამიყვანეს. ნეკნები და თავი შემიხორცდა, შემიხორცდა ფეხიც, მაგრამ დამიმოკლდა.

ჰაჯი-მურატმა კოჭლი ფეხი გამოსწია.

- მემსახურება, ესეც კარგია, - თქვა მან. - ხალხმა როგორც კი გაიგო, ჩემთან სიარული დაიწყო. მოვიკეთე და ცელმესში გადავედი. ავარიელებმა ისევ მთხოვეს მათი უფროსი გავმხდარიყავი. - მშვიდი, ურყევი სიამაყის გრძნობით თქვა ჰაჯი-მურატმა, - მეც დავთანხმდი.

ჰაჯი-მურატი სწრაფად წამოდგა, ხურჯინიდან პორტფელი ამოიღო, ხოლო იქიდან ორი გაყვითლებული წერილი და ლორის-მელიქოვს გაუწოდა. წერილები გენერალ კლუგენაუსგან იყო გამოგზავნილი, ლორის-მელიქოვმა წაიკითხა. პირველ წერილში ეწერა: ,,პრაპორშჩიკო ჰაჯი-მურატ, შენ ჩემთან მსახურობდი. მე შენი კმაყოფილი ვიყავი და კეთილ კაცად მიმაჩნდი, რამდენიმე ხნის წინათ გენერალ-მაიორმა ახმედ-ხანმა დამარწმუნა, რომ მოღალატე ხარ, რომ ჩალმა დაიხურე, შამილთან კავშირი გააბი და ხალხს რუსი უფროსების წინააღმდეგ ამხედრებ. მე ვბრძანე შენი დაჭერა და ჩემთან მოიყვანა, მაგრამ შენ გაიქეცი: ვერაფერს ვიტყვი, ეს კარგია თუ ცუდი, რადგან არ ვიცი, მართალი ხარ თუ არა. ახლა მომისმინე. თუ დიდი მეფის წინაშე შენი სინდისი წმინდაა, თუ არაფერი დაგიშავებია, გამოცხადდი ჩემთან. ნურავისი ნუ გეშინია. მე ვარ შენი მცველი. ხანი ვერაფერს დაგაკლებს; ის თვითონ ჩემი ხელქვეითია და ნურაფრისა ნუ გეშინია''.

შემდეგ კლუგენაუ წერდა, რომ თავისი სიტყვის პატრონი იყო, ყოველთვის სამართლიანად იქცეოდა და ისევ ურჩევდა ჰაჯი-მურატს მისკენ გადასულიყო.

ლორის-მელიქოვმა წერილის კითხვა დაამთავრა თუ არა, ჰაჯი-მურატმა მეორე წერილი ამოიღო, მაგრამ ლორის-მელიქოვისთვის არ გადაუცია, ჯერ მოუყვა, როგორ უპასუხა პირველ წერილზე; - მივწერე: ჩალმას იმიტომ კი არ ვატარებდი, თითქოს შამილს ვემხრობოდი, არამედ სულის საოხად. ხოლო შამილთან გადასვლა არც მინდა და არც შემიძლია, რადგან მისი წყალობით დაიხოცნენ მამაჩემი, ჩემი ძმები და ნათესავები, მაგრამ არც რუსებისკენ შემიძლია გადმოსვლა, რადგან შეურაცხყოფა მომაყენეს-მეთქი. მაშინ გენერალმა ეს წერილი გამომიგზავნა, - თქვა ჰაჯი-მურატმა და ლორის-მელიქოვს მეორე გაყვითლებული წერილი გაუწოდა.

,,წერილზე პასუხისთვის მადლობა მომიხსენებია, - წაიკითხა ლორის-მელიქოვმა, - შენ იწერები, რომ არ გეშინია უკან დაბრუნებისა, მაგრამ გიაურის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა ამის საშუალებას გართმევს. გარწმუნებ, რუსული კანონი სამართლიანია და შენ თვითონ ნახავ იმის დასჯას, ვინაც შეურაცხყო - მე უკვე ნაბრძანები მაქვს გამოირკვიონ ეს საქმე. მისმინე, ჰაჯი-მურატ. მე უფლება მაქვს შენზე ნაწყენი ვიყო, რადგან შენ ჩემი და ჩემი სინდის-ნამუსისა არა გჯერა, მაგრამ მომიტევებია, რადგან ვიცი, საერთოდ, მთიელების ურწმუნო ხასიათი. უკეთუ სინდისი წმინდა გაქვს, თუ ჩალმას მხოლოდ სულის საოხად იკეთებდი, მაშინ მართალი ყოფილხარ და თამამად შეგიძლია რუსეთის ხელისუფლებას და მე თვალებში შემოგვხედო. ხოლო ის, ვინც შენ შეურაცხყო, გარწმუნებ, დაისჯება, შენი ქონება დაგიბრუნდება, ნახავ და გაიგებ, რას ნიშნავს რუსული კანონი. მით უმეტეს,

რომ რუსები სხვანაირად უყურებენ ყველაფერს. მათ თვალში შენ ოდნავადაც არ დამცირებულხარ. იმის გამო, რომ ვიღაც არამზადამ შეურაცხყო. მე თვითონ ვუბრძანე გიმრელებს ჩალმა ეტარებინათ და მათ მოქმედებას როგორც საჭიროა, ისე ვადევნებ თვალყურს. მაშასადამე, ვიმეორებ, საშიში არაფერია. მოდი იმ კაცის თანხლებით, რომელსაც ახლა გიგზავნი; ის ჩემი ერთგულია, ის შენი მტრების მონა კი არაა, მეგობარია ადამიანისა, ვინც მთავრობაში განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს".

- მე არ დავუჯერე მას, - თქვა ჰაჯი-მურატმა, როცა ლორის-მელიქოვი წერილის კითხვას მორჩა, - არ წავედი კლუგენაუსთან. ჩემთვის მთავარი იყო ახმედ-ხანზე შურისძიება. ამას კი რუსების დახმარებით ვერ შევძლებდი. ამ დროს ახმედ-ხანი ცელმესს გარს შემოერტყა და უნდოდა დავეჭირე ან მოვეკალი. მე ძალიან ცოტა ხალხი მყავდა და მისი გამკლავება არ შემეძლო. სწორედ ამ დროს შამილის კაცმა წერილი მომიტანა. შამილი დახმარებას მპირდებოდა ახმედ-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში და თუ მას მოვკლავდი, მთელი ავარიის გამგებლობას მაძლევდა. მე დიდხანს ვფიქრობდი, ბოლოს გადავწყვიტე, შამილის მხარეზე გადავსულიყავი. იმ დროიდან რუსებს განუწყვეტლივ ვებრძოდი.

და ჰაჯი-მურატმა ყველა თავისი მხედრული საქმიანობა უამბო. ძალიან ბევრი იყო ეს საქმეები. ლორის-მელიქოვმა ნაწილობრივ იცოდა მათზე. ჰაჯი-მურატის ყველა ლაშქრობა და თავდასხმა განსაცვიფრებელი იყო არაჩვეულებრივი სწრაფი გადასვლებით, გაბედული იერიშით და ყოველთვის გამარჯვებით გვირგვინდებოდა.

- ჩემსა და შამილს შორის არასოდეს არ იყო მეგობრული განწყობილება, - დაამთავრა ჰაჯი-მურატმა თავისი ამბავი. - მას ჩემი ეშინოდა და კიდეც ვჭირდებოდი. მაგრამ მოხდა ერთი შემთხვევა, რამაც სამუდამოდ გაგვთიშა. მკითხეს, ვინ იქნებოდა შამილის შემდეგ იმამი. მე ვუპასუხე - იმამი იქნება ის, ვისაც ხმალი უჭრის-მეთქი. ეს შამილს გადასცეს. მან ჩემი მოშორება გადაწყვიტა და ტაბასარანში მიკრა თავი. წავედი, ათასი ცხვარი და სამასი ცხენი მოვიტაცე. მაგრამ შარი მომდო, თითქოს მისი განკარგულება ზუსტად არ შემესრულებინოს. ნაიბობიდან გადამაყენა და მიბრძანა, მთელი ფული სულ მისთვის გამეგზავნა. მე ათასი ოქრო გავუგზავნე. მერე თავისი მიურიდები გამომიგზავნა და მთელი მამული წამართვა, ბოლოს თავისთან დამიბარა. ვიცოდი, ჩემი მოკვლა უნდოდა და არ წავედი, ჩემ დასაჭერად კაცები გამოგზავნა, მაგრამ თავი დავაღწიე და ვორონცოვს ჩავბარდი. მხოლოდ ოჯახი ვერ წამოვიყვანე. დედაც, ცოლიც და ვაჟიც მის ხელშია. უთხარი სარდარს, რომ სანამ ჩემი ოჯახი იქ არის, ვერაფერს გავაკეთებ.

- მოვახსენებ, - უთხრა ლორის-მელიქოვმა.

- ეცადე, ჩემი და შენი რამ გაყო, მხოლოდ დამეხმარე თავადთან. მე გათოკილი ვარ და თოკის ბოლო შამილს უჭირავს ხელში.

ამ სიტყვებით დაამთავრა ჰაჯი-მურატმა ლორის-მელიქოვთან საუბარი.

XIV

ვორონცოვმა ოც დეკემბერს რუსეთის სამხედრო მინისტრს ჩერნიშევს წერილი მისწერა. წერილი ფრანგულად იყო დაწერილი.

„უკანასკნელი ფოსტით, ძვირფასო თავადო, არაფერი მომიწერია თქვენთვის, რადგან, უპირველეს ყოვლისა, ვფიქრობდი, რა მოგვეხერხებინა ჰაჯი-მურატისთვის და, გარდა ამისა, ორი-სამი დღე ისედაც თავს უქეიფოდ ვგრძნობდი. ჩემს უკანასკნელ წერილში ჰაჯი-მურატის გადმოსვლაზე გაცნობებდით: ის თბილისში რვაში ჩამოვიდა, მეორე დღეს გავეცანი მას. რვა თუ ცხრა დღე მოლაპარკება მქონდა და ვფიქრობდი, ბოლოს და ბოლოს, რისი გაკეთება შეეძლო ჩვენთვის, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ მოვქცეოდით ახლა, როცა ის ძალზე წუხს თავისი ოჯახის ბედზე და უაღრესად გულწრფელად აცხადებს, რომ სანამ მისი ოჯახი შამილის ხელშია, ის პარალიზებულია, ჩვენი სამსახურისათვის ძალა არ შესწევს და არ შეუძლია გამოხატოს თავისი მადლობა იმ კეთილი მიღებისა და შეწყალებისათვის, რაც მას აღმოვუჩინეთ. ძვირფასი ადამიანების ამბის უცოდინარობა ისე მოქმედობს მასზე, თითქოს ციებ-ცხელებით იყოს შეპყრობილი. ჩემ მიერ დანიშნული პირები, რომლებიც მასთან ცხოვრობენ, მარწმუნებენ, რომ მთელი ღამეები არ სძინავს. თითქმის არაფერს ჭამს, ხშირად ლოცულობს და მხოლოდ ითხოვს რამდენიმე კაზაკთან ერთად ცხენით გასეირნებას, - მისთვის ეს ერთადერთი შესაძლებელი გართობა და მოძრაობაა. რაც მრავალი წლის მანძილზე შეძენილი ჩვევის შედეგია. ჩემთან ყოველდღე მოდის იმის გასაგებად, მაქვს თუ არა რაიმე ცნობა მის ოჯახზე და მთხოვს გავცე ბრძანება სხვადასხვა ხაზზე მათი ტყვეების შეკრებისა, რომლებიც ჩვენს განკარგულებაში იმყოფებიან, და შევთავაზო შამილს გასაცვლელად. ტყვეებს ის ცოტაოდენ ფულსაც დაუმატებს. არის ხალხი, რომელიც მისთვის ამ თანხას გაიღებს. ის ყოველთვის მიმეორებდა: „გადამირჩინეთ ოჯახი და მერე მომეცით თქვენი სამსახურის საშუალება (მისი აზრით, უმჯობესია ლეკების ხაზზე), და თუ ერთი თვის განმავლობაში დიდ სამსახურს არ გაგიწევთ, დამსაჯეთ ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნიოთ“.

მე ვუპასუხე, რომ ეს სრულიად სამართლიანად მეჩვენება და ჩვენთან შეიძლება ბევრი პიროვნებაც გამოჩნდეს, რომლებიც არც დაენდობიან მას, ვიდრე მისი ოჯახი მთებში იქნება და არა ჩვენთან მძევლების სახით; დავპირდი, რომ ყველაფერს გავაკეთებდი ჩვენი წესდებით, არა მაქვს უფლება გამოსასყიდი ფული მივცე იმაზე დასამატებლად, რასაც თვითონ იშოვის, შევპირდი - დასახმარებლად რაიმე სხვა საშუალებას გამოვნახავ-მეთქი. ამის შემდეგ გულახდილად ვუთხარი ჩემი აზრი, რომ შამილი არავითარ შემთხვევაში არ დაუბრუნებს ოჯახს და შეიძლება პირდაპირ გამოუცხადოს კიდეც, რომ შესაძლებელია აპატიოს შეცოდებანი და დაუბრუნოს წინანდელი თანამდებობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთებში დაბრუნების პირობას მისცემს, ხოლო თუ ამას ასე არ იზამს, სიკვდილით დაემუქრება დედამისს, ცოლსა და ექვს შვილს. მე ვკითხე, გულახდილად მითხარი, რას გააკეთებ, შამილმა რომ ასე გამოგიცხადოს-მეთქი. ჰაჯი-მურატმა თვალები და ხელები ზეცისკენ აღაპყრო და მითხრა: ყველაფერი ღვთის ნებაა, მაგრამ მე არასოდეს დავუბრუნდები მტერს, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, შამილი არ შემიწყნარებს და მალე გამომასალმებს წუთისოფელსო. რაც შეეხება მისი ოჯახის განადგურებას, არა ჰგონია შამილი ასე წინდაუხედავად მოიქცეს; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დაღესტანში ბევრია გავლენიანი პირი, რომლებიც ასეთ განზრახვაზე ხელს ააღებინებენ. ბოლოს მან რამდენიმეჯერ გამიმეორა, რომ როგორიც არ უნდა იყოს მომავლისთვის ღვთის ნება, ახლა მთელი მისი ფიქრი და გონება მიპყრობილია ოჯახის გამოსყიდვისკენ; ღვთის სახელით შემევედრა დავეხმარო და ნება მივცე დაბრუნდეს ჩაჩნეთის მიდამოებში, სადაც ჩვენი უფროსების საშუალებით და ნებართვით შეიძლება კავშირი დაამყაროს

ოჯახთან. ნიადაგ მიიღოს ცნობები ოჯახის ნამდვილ მდგომარეობასა და გამოსყიდვის საშუალებებზე: ის ამბობს, რომ ბევრი პირი და ნაიბიც ამ მტრულად განწყობილ ქვეყანაში მეტნაკლებად მასზე არის დამოკიდებული; რომ მთელს ამ მოსახლეობაში, რომელიც უკვე რუსებს ემორჩილება ან ნეიტრალურია, მისთვის ადვილი იქნებოდა ჩვენების დახმარებით ოჯახთან კავშირის დამყარება და იმ მიზნის შესრულება, რაც დღედაღამ არ ასვენებს. ამ საქმის მოგვარება კი მას შვებას მიანიჭებდა. მისცემდა რუსებისთვის სამსახურისა და ნდობის მოპოვების საშუალებას. მოითხოვს კვლავ გროზნოში გაგზავნას ოცი ან ოცდაათი ცხენოსანი მამაცი კაზაკის თანხლებით, რომლებიც მას დაიცავენ მტრისგან, ხოლო ჩვენთვის მის მიერ გამოთქმული მოსაზრება ჭეშმარიტების თავდებობა იქნება.

თქვენ გამიგებთ, ძვირფასო თავადო, რომ ყველაფერმა ამან ძალიან ჩამაფიქრა, ვინაიდან, რაც არ უნდა იყოს, დიდი პასუხისმგებლობა მაწევს. უდიდესი წინდაუხედაობა იქნებოდა, რომ ჰაჯი-მურატს მთლიანად მივნდობოდი; მაგრამ მისთვის გაქცევის საშუალება რომ წაგვერთმია, ციხეში უნდა ჩაგვესვა; ეს კი, ჩემის აზრით, უსამართლო და არაპოლიტიკური ზომა იქნებოდა. ასეთი ღონისძიება, რომლის შესახებ ცნობა სწრაფად გავრცელდებოდა დაღესტანში, ზიანს მოგვიტანდა და იქ ჩვენ სურვილს ჩაუხშობდა ყველას (ისინი კი ბევრნი არიან), ვინც მზად არის ასე თუ ისე აშკარად გაილაშქროს შამილის წინააღმდეგ. მათ ძალიან აინტერესებთ, თუ რა მდგომარეობაშია იმამის ყველაზე მამაცი და გაბედული თანაშემწე, რომელიც იძულებული გახდა ჩვენთან გადმოსულიყო. ჰაჯი-მურატს ტყვესავით რომ მოვქცეოდით, შამილისადმი მისი ღალატის სასურველი ეფექტი გაქრებოდა ჩვენთვის.

ამიტომ, ჩემი აზრით, სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო, თუმცა ვგრძნობ, რომ შეიძლებოდა ბრალი დაგედოთ და დიდ შეცდომად მიგეჩნიათ, თუ ჰაჯი-მურატი ხელახლა გაქცევას დააპირებდა. სამსახურში და ისიც ასეთ დახლართულ საქმეებში, მე ვიტყოდი შეუძლებელია ერთი პირდაპირი გზით სიარული ისე, რომ შეცდომის რისკი არ გასწიო და შენს თავზე პასუხისმგებლობა არ აიღო. მაგრამ რაკი გზა პირდაპირი ჩანს, უნდა იარო - რაც იქნება, იქნება.

გთხოვთ, ძვირფასო თავადო, ეს საქმე განსახილველად გადასცეთ მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს და მე ბედნიერი ვიქნები, თუ ჩვენი უავგუსტოესი მბრძანებელი ჩემს საქციელს მოიწონებს. ყველაფერი, რასაც ზემოთ გწერთ, მივწერე აგრეთვე გენერლებს: ზავადსკის და კოზლოვსკის, რათა უშუალო კავშირი იქონიოს კოზლოვსკიმ ჰაჯი-მურატთან. მე ჰაჯი-მურატი გავაფრთხილე, რომ კოზლოვსკის ნებადაურთველად არც არაფრის გაკეთება შეუძლია და არც არსად წასვლა. განვუცხადე, უმჯობესია ჩვენს ბადრაგთან ერთად იაროს, თორემ შამილი გაავრცელებს ხმას - ჰაჯი-მურატი დაჭერილი ჰყავთო, მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, რომ ის არასოდეს არ წავიდოდა ვოზდვიჟენსკოეში, რადგანაც ჩემი ვაჟი, რომელსაც ის პირველად ჩაბარდა და რომელიც მას თავის ყონაღად მიაჩნია, იმ ადგილს არ განაგებს და შესაძლოა რაიმე გაუგებრობა მოხდეს. სხვათა შორის ვოზდვიჟენსკოე ძალზე ახლოა ჩვენთან მტრულად განწყობილ დიდძალ მოსახლეობასთან, ხოლო იმ ურთიერთობისთვის, რომელიც მას სურს დაამყაროს თავის რწმუნებულებთან, გროზნო ყოველმხრივ ხელსაყრელი ადგილია.

გარდა ოცი რჩეული კაზაკისა, რომლებიც მისივე თხოვნით ერთი ნაბიჯითაც არ შორდებიან ჰაჯი-მურატს, გავგზავნე როტმისტრი ლორის-მელიქოვი, ღირსეული,

ჩინებული და ძალიან ჭკვიანი ოფიცერი, თათრულად მოლაპარაკე, იგი ჰაჯი-მურატს კარგად იცნობს და ჰაჯი-მურატიც, მგონი, ენდობა. ათი დღე აქ ყოფნის დროს ჰაჯი-მურატი ცხოვრობდა ერთ სახლში პოდპოლკოვნიკ თავად თარხანოვთან, შუშის მაზრის უფროსთან ერთად, რომელიც აქ სამსახურებრივ საქმეებზე იმყოფებოდა. თარხანოვი ნამდვილად ღირსეული კაცია და სავსებით ვენდობი. მან ასევე დაიმსახურა ჰაჯი-მურატის ნდობა და მხოლოდ მისი მეშვეობით, რადგანაც თათრული ენის ზედმიწევნით მცოდნეა, ვმსჯელობდით ყველაზე საფრთხილო და საიდუმლო საქმეებზე.

მე ვეთათბირე თარხანოვს ჰაჯი-მურატის თაობაზე და სავსებით დამეთანხმა, რომ ან ისე უნდა მოვქცეულიყავით, როგორც მე მოვიქეცი, ან ჰაჯი-მურატი ციხეში უნდა ჩაგვესვა და მკაცრი ზომები მიგვეღო მის მიმართ, - ვინაიდან თუ ცუდად მოექცევი, მერე ძნელია მისი მეთვალყურეობა, - ანდა სულ უნდა გაგვეძევებინა ამ მხარიდან. მაგრამ ეს ორი უკანასკნელი ღონისძიება არამცთუ გააქარწყლებდა იმ სარგებლობას, რაც ჰაჯი-მურატისა და შამილის განხეთქილების გამო შეიძლებოდა გვენახა, არამედ უთუოდ შეაჩერებდა შამილის ხელისუფლების წინააღმდეგ მთიელთა უკმაყოფილებისა და მღელვარების ყოველგვარ შესაძლებლობას. თავადმა თარხანოვმა მითხრა: დარწმუნებული ვარ, ჰაჯი-მურატი სიმართლეს ამბობს და მას ეჭვი არ ეპარება, რომ შამილი არასოდეს არ აპატიებს და სიკვდილით დასჯის, მიუხედავად დაპირებული შეწყნარებისა. ერთადერთი, რასაც შეიძლებოდა ჩაეფიქრებინა ჰაჯი-მურატთან ურთიერთობის დროს, ეს არის რელიგიისადმი ჰაჯი-მურატის ერთგულება. ჰაჯი-მურატი არ მალავს, რომ შამილმა შეიძლება ამ მხრივ იმოქმედოს მასზე. მაგრამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შამილი ვერასოდეს ვერ დაარწმუნებს ჰაჯი-მურატს, რომ სიცოცხლეს არ მოუსპობს ან ახლა, ან მისი დაბრუნებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ.

აი, ყველაფერი, ძვირფასო თავადო, რაც მინდოდა თქვენთვის მეცნობებინა აქაური ამბების ამ ეპიზოდზე!“

XV

თბილისიდან ეს მოხსენება 24 დეკემბერს გაგზავნეს. ხოლო ახალი, ორმოცდათორმეტი წლის წინა დღეს ფელდეგერმა ათიოდე ცხენი მოქანცა, ათი მეეტლე დაასისხლიანა და მოხსენება თავად ჩერნიშნევს, მაშინდელ სამხედრო მინისტრს გადასცა.

1852 წლის პირველ იანვარს ჩერნიშევმა იმპერატორ ნიკოლოზს სხვა საქმეებთან ერთად ვორონცოვის მოხსენებაც წარუდგინა.

ჩერნიშევს არ უყვარდა ვორონცოვი, ვინაიდან იგი საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა, არ უყვარდა აგრეთვე დიდი სიმდიდრისა და იმის გამოც, რომ ვორონცოვი ნამდვილი ბატონი გახლდათ, ჩერნიშევი კი, რაც არ უნდა იყოს parvenu[14], რაც მთავარია, იმპერატორი განსაკუთრებული კეთილგანწყობილებით ეპყრობოდა ვორონცოვს, ამიტომ ჩერნიშევი ყოველგვარ შემთხვევას იყენებდა, რომ როგორმე ევნო ვორონცოვისთვის, კავკასიის საქმეებზე უწინდელ მოხსენებაში ჩერნიშევმა შეძლო ვორონცოვის მიმართ ნიკოლოზის უკმაყოფილება გამოეწვია იმის გამო, რომ უფროსების დაუდევრობით მთიელებმა თითქმის მთლიანად

გაანადგურეს ისედაც მცირე კავკასიური რაზმი. ახლა მას განზრახული ჰქონდა ჰაჯი-მურატის შესახებ ვორონცოვის განკარგულება ვორონცოვის საწინააღმდეგოდ შეებრუნებინა, ჩერნიშევს უნდოდა შთაეგონებინა ხელმწიფისთვის, რომ ვორონცოვი ყოველთვის, განსაკუთრებით რუსების საზიანოდ, მფარველობას უწევდა და იწყნარებდა ადგილობრივ მოსახლეობას და ჰაჯი-მურატის კავკასიაში დატოვება უგუნური საქციელი იყო. ჩერნიშევის აზრით, ჰაჯი-მურატი უთუოდ ჩვენი თავდაცვის საშუალებების დასათვალიერებლად გადმოვიდა, ამიტომ უმჯობესი იყო ჰაჯი-მურატი რუსეთის ცენტრში გაეგზავნათ და მხოლოდ მაშინ გამოეყენებინათ, როცა მის ოჯახს მთებიდან გამოიხსნიდნენ და ჰაჯი-მურატის ერთგულებაშიც დარწმუნდებოდნენ.

მაგრამ ამ გეგმის განხორციელება ჩერნიშევმა ვერ შეძლო მხოლოდ იმიტომ, რომ პირველი იანვრის დილით ნიკოლოზი განსაკუთრებით უგუნებოდ იყო და ვისგანაც არ უნდა ყოფილიყო, არ მიიღებდა არავითარ წინადადებას მხოლოდ წინააღმდეგობის გრძნობის გამო. მით უმეტეს, არ ეჭაშნიკებოდა მიეღო წინადადება ჩერნიშევისა, რომელსაც ითმენდა მხოლოდ იმისთვის, რომ ჯერჯერობით შეუცვლელ კაცად თვლიდა და რომელიც არამზადად მიაჩნდა, რადგან იცოდა დეკაბრისტების პროცესზე როგორ ცდილობდა ზაქარია ჩერნიშევის დაღუპვას და მისი ქონების დაუფლებას. ასე რომ, ნიკოლოზის უგუნებობის გამო ჰაჯი-მურატი კავკასიაში დარჩა და მისი ბედი ისე არ შეიცვალა, როგორადაც შეიძლებოდა შეცვლილიყო, ჩერნიშევს რომ თავისი მოხსენება სხვა დროს გაეკეთებინა.

ათის ნახევარზე, ოცგრადუსიან ყინვასა და ბურუსში ჩერნიშევის მსუქანა, პატარა მარხილის კოფოზე მჯდარმა წვერებიანმა მეეტლემ, რომელსაც ლაჟვარდისფერი ხავერდის წოწლოკინა ქუდი ეხურა, ზამთრის სასახლის მცირე შესასვლელთან მიაქროლა მარხილი, სწორედ ისეთი, როგორითაც ნიკოლოზი სეირნობდა, და მეგობრულად მიესალმა თავის მეგობარს, თავად დოლგორუკის მეეტლეს. დოლგორუკის მეეტლეს თავისი ბატონი მოეყვანა და უკვე დიდი ხანია მარხილი იდგა სასახლის შესასვლელთან, სადავეები მსხვილ, დაბამბულ დასაჯდომქვეშ ამოედო და გათოშილ ხელებს ისრესდა.

ჩერნიშევს ეცვა თახვის ნაცრისფერბეწვიანი საყელოთი გაწყობილი ფარაჯა და მამლისფრთიანი სამკუთხა ფორმის ქუდი ეხურა. მან გადასწია დათვის ტყავი, მარხილიდან ფრთხილად გადმოყო გათოშილი, უკალოშო ფეხები (ის ამაყობდა, კალოშებს რომ არ იცვამდა), ნაძალადევი მხნეობით და დეზების ჟღარუნით გაიარა ხალიჩაზე და შევიდა მეკარის მიერ მორიდებით გაღებულ კარში. როცა ფარაჯა წინკარში ფართიფურთით შემოგებებულ მოხუც კამერლაქიას ხელში მიუგდო, ჩერნიშევი სარკესთან მივიდა, დახვეული პარიკიდან ქუდი ფრთხილად მოიხადა და სარკეში ჩაიხედა. მან მოხუცის ხელების ჩვეულებრივი მოძრაობით დაიხვია ქოჩორი და თმა საფეთქელზე, გაისწორა ჯვარი, აქსელბანტები, დიდი ვენზელებიანი ეპოლეტები და მერე სუსტი, ბებრული ნაბიჯებით აუყვა ნოხდაფენილ, დაქანებულ კიბეს.

კარებთან საპარადო ფორმაში გამოწყობილ და პირფერულად თავდახრილ კამერ-ლაქიებს რომ ჩაუარა, ჩერნიშევი მისაღებ ოთახში შევიდა. მას მოკრძალებით შეეგება მორიგე, ახალდანიშნული ფლიგელ-ადიუტანტი, რომელიც ბრწყინავდა ახალ მუნდირში, ეპოლეტებსა და აქსელბანტებში. მორიგეს ღაჟღაჟა, ჯერ კიდევ ბადრი

სახე, შავი, პატარა ულვაში და საფეთქლებზე თვალებამდე ჩამოვარცხნილი თმა ჰქონდა, სწორედ ისეთივე, როგორიც იმპერატორ ნიკოლოზს. თავადი ვასილი დოლგორუკი, სამხედრო მინისტრის ამხანაგი, რომელსაც გამოყეყეჩებულ სახეზე მოწყენილობა აღბეჭდვოდა და ისეთივე ბაკენბარდები, ულვაშები და საფეთქლები ამშვენებდა, როგორიც ნიკოლოზს, ჩერნიშევის შესახვედრად წამოდგა და მიესალმა მას.

- L’empereur?[15] - მიმართა ჩერნიშევმა ფლიგელ-ადიუტანტს და კაბინეტის კარზე თვალით ანიშნა.

- Sa Majeste vient de rentrer[16] - თითქოს თავისი ხმის ჟღერადობით ტკბებაო, მიუგო ფლიგელ-ადიუტანტმა და კარისკენ ისეთი მსუბუქი ნაბიჯით და ნარნარად გასწია, რომ თავზე წყლით სავსე ჭიქა რომ დგმოდა, წვეთიც არ დაიღვრებოდა. იგი მივიდა კართან, რომელიც უხმაუროდ იღებოდა, და იმ ადგილისადმი უდიდესი პატივისცემით, სადაც შედიოდა, უცებ გაუჩინარდა კარს იქით.

ამ დროს დოლგორუკიმ პორტფელი გახსნა და შიგ ჩალაგებული ქაღალდები შეამოწმა.

წარბებშეკრული ჩერნიშევი ოთახში ნელა მიმოდიოდა და იგონებდა ყველაფერს, რაც იმპერატორისთვის უნდა მოეხსენებინა. ჩერნიშევი კაბინეტის კართან იდგა, როცა კარი კვლავ გაიღო და იქიდან უწინდელზე უფრო გაბრწყინებული და მოკრძალებული ფლიგელ-ადიუტანტი გამოვიდა და მინისტრი და მისი ამხანაგი ჟესტით მიიწვია ხელმწიფესთან.

ხანძრის შემდეგ ზამთრის სასახლის მშენებლობა დიდი ხნის მოთავებული იყო და ნიკოლოზი უკვე ზედა სართულზე ცხოვრობდა. კაბინეტი, რომელშიც ის მინისტრებსა და დიდ მოხელეებს მოხსენებით ღებულობდა, ოთხ ფანჯრიანი და ძალიან მაღალჭერიანი ოთახი იყო. მთავარ კედელზე ალექსანდრე პირველის დიდი პორტრეტი ეკიდა. ფანჯრებს შორის ორი ბიურო იდგა. კედლებთან რამდენიმე სკამი იყო ჩამწკრივებული. ოთახის შუაგულში უზარმაზარი საწერი მაგიდის წინ ნიკოლოზის სავარძელი და მისაღები ხალხისთვის სკამები იდგა.

ნიკოლოზს შავი უეპოლეტო და ნახევარსამხრეებიანი სერთუკი ეცვა, უზარმაზარ ღიპზე მაგრად შემოეჭირა ტანისამოსი, ის მაგიდასთან იჯდა, მთელი ტანით უკან გადაწეულიყო და უსიცოცხლო მზერით შეჰყურებდა შემოსულებს. გრძელი, თეთრი სახე ჰქონდა, ფართო დაქანებული შუბლი პარიკთან ოსტატურად შეერთებულ და დავარცხნილ საფეთქლებშუა გამოსწეოდა, პარიკი მელოტ თავს უფარავდა. ეს სახე დღეს განსაკუთრებით ცივი და უძრავი იყო. ნიკოლოზის მუდამ უსიცოცხლო თვალები ჩვეულებრივზე უფრო უსიცოცხლოდ გამოიყურებოდნენ, აპრეხილი ულვაშების ქვემოთ მოკუმული ტუჩები და მაღალ საყელოს დაყრდნობილი მსუქანი, ახლად გაპარსული ლოყები, დახუჭუჭებული ბაკენბარდები და საყელოზე დაბჯენილი ნიკაპი ნიკოლოზის სახეს უკმაყოფილებისა და თითქმის მრისხანების გამომეტყველებას აძლევდნენ. იმპერატორის ასეთი უგუნებობის მიზეზი დაღლილობა იყო, ხოლო დაღლილობის მიზეზი კი ის, რომ წინა ღამეს მასკარადს დაესწრო და, როგორც ჩვეულებრივ, კავალერგარდის ჩიტიანი ჩაჩქანით დასეირნობდა. მის გარშემო ხან მჭიდროდ შეიკვრებოდა ხალხი, ხან კი შიშით გვერდს აუვლიდნენ მის უზარმაზარ და ამაყ ფიგურას. ნიკოლოზი ისევ იმ

ნიღბოსანს შეხვდა, რომელიც წინა მასკარადზე არ გამოუჩნდა და შეჰპირდა, მომავალ მასკარადზე შეგხვდებითო. გუშინდელ მასკარადზე ნიღბოსანი მივიდა ნიკოლოზთან და მასაც აღარ გაუშვია ქალი. იმპერატორმა ის წაიყვანა ამ მიზნისთვის საგანგებოდ განკუთვნილ ლოჟაში, სადაც თავის მანდილოსანთან მარტო დარჩენა შეეძლო. ისინი მდუმარედ მიუახლოვდნენ ლოჟის კარს. ნიკოლოზმა მიმოიხედა, თვალებით კაპელდინერს დაუწყო ძებნა, მაგრამ ის არ ჩანდა. შუბლშეჭმუხნილმა ნიკოლოზმა თვითონვე ჰკრა ხელი კარს და წინ ქალი გაატარა.

- Il y a quelqu’ un[17] - თქვა ნიღბოსანმა და გაჩერდა.

ლოჟა მართლაც დაკავებული აღმოჩნდა. ხავერდგადაკრულ პატარა სავარძელზე ერთმანეთთან ახლოს ისხდნენ ულანის ოფიცერი და ახალგაზრდა, ლამაზი, ხუჭუჭთმიანი, დომინოში გამოწყობილი ნიღაბმოხსნილი ქალი. როცა წელგამართული ნიკოლოზის მრისხანე ფიგურა მთელი ტანით დაინახა, ქერათმიანმა ქალმა სასწრაფოდ აიფარა სახეზე ნიღაბი, ხოლო შიშის ზარისგან რეტდასხმული ულანის ოფიცერი სავარძლიდან ვეღარ წამოდგა, ნიკოლოზს გაშეშებული თვალებით მიაშტერდა.

მართალია, ნიკოლოზი მიჩვეული იყო, რომ ხალხში შიშის ზარს იწვევდა, მაგრამ ეს შიში მაინც მუდამ სიამოვნებას ჰგვრიდა და ზოგჯერ უყვარდა კიდეც შიშით გაოგნებულ ადამიანთა გაოცება სრულიად საწინააღმდეგო კონტრასტით - ალერსიანი მოპყრობით. იგი ახლაც ასე მოიქცა.

- აბა, ძმაო, შენ ჩემზე ახალგაზრდა ხარ, - მიმართა მან შიშისაგან რეტდასხმულ ოფიცერს, - შეგიძლია დამითმო ადგილი.

ოფიცერი წამოხტა. ჯერ გაფითრდა, მერე გაწითლდა, წელში მოიხარა და ჩუმად გაჰყვა ლოჟიდან ნიღაბაფარებულ ქალს. ნიკოლოზი მარტოდ დარჩა თავის მანდილოსანთან.

ნიღბიანი ქალი შვედი გუვერნიორი ქალის ოცი წლის ლამაზი ქალწული აღმოჩნდა. ამ გოგონამ ნიკოლოზს უამბო, რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში შეუყვარდა იგი პორტრეტით, აღმერთებდა და გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მისი ყურადღება დაემსახურებინა. აი, მიაღწია კიდეც მიზანს და, როგორც თვითონ ამბობდა, მეტი არაფერი უნდოდა. ეს გოგონა ნიკოლოზმა იმ ბინაში წაიყვანა, სადაც ქალებს ხვდებოდა ხოლმე და მასთან საათზე მეტი დაჰყო.

ნიკოლოზი იმავე ღამეს დაბრუნდა თავის ოთახში, დაწვა ვიწრო, მაგარ საწოლზე, რომლითაც ის ამაყობდა, და გადაიფარა ლაბადა. ეს ლაბადა ნიკოლოზს ნაპოლეონის ქუდივით სახელგანთქმულად მიაჩნდა (ამას ამბობდა კიდეც). მას დიდხანს არ დაეძინა. ხან ამ გოგონას შეშინებული და აღტაცებული თეთრი სახის გამომეტყველება აგონდებოდა, ხან თავისი მუდმივი საყვარლის ნელიდოვას ღონიერი და გათქვირებული მხარ-ბეჭი და ორივეს ერთმანეთს ადარებდა. ხოლო ცოლიანი კაცის გარყვნილება რომ კარგი არ იყო, ეს ფიქრადაც არ გაუტარებია, და თუ ვინმე ამისთვის გაამტყუნებდა, ძალიან გაუკვირდებოდა. მაგრამ, თუმცა დარწმუნებული იყო, ისე ვიქცევი, როგორც საჭიროაო, რაღაც უსიამოვნო გრძნობა აწუხებდა და ეს გრძნობა რომ ჩაეხშო, დაიწყო ფიქრი, რაც ყოველთვის ამშვიდებდა, - ფიქრი იმაზე, თუ რა დიდი კაცი იყო თავად.

ნიკოლოზს გვიან ჩაეძინა, მაგრამ მაინც, როგორც ყოველთვის, რვა საათზე ადგა. მისთვის ჩვეულ ტუალეტს მორჩა, უზარმაზარი, მსუქანი ტანი ყინულით დაიზილა და წარმოთქვა ჩვეულებრივი, ბავშვობიდანვე გაზეპირებული ლოცვები, ეს ლოცვები იყო „გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ“, „მწამს ერთი ღმერთი“, „მამაო ჩვენო“. და ისე ჩააბულბულა, რომ წარმოთქმულ სიტყვებს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა. შემდეგ მცირე გასასვლელიდან სანაპიროზე გავიდა ფარაჯასა და ქუდში გამოწყობილი.

სანაპიროზე შემოხვდა სამართლისმცოდნეობის სასწავლებლის მუნდირ-შლაპიანი მოწაფე, ისეთივე ზორბა ტანისა, როგორიც თვითონ იყო. როცა დაინახა მუნდირი სასწავლებლისა, რომელიც მას თავისუფალი აზროვნების გამო არ უყვარდა, ნიკოლოზი შეიჭმუხნა, მაგრამ მოწაფის ბრგე აღნაგობამ და იმან, რომ მოწაფე გულმოდგინედ გაიჭიმა, იდაყვი განსაკუთრებულად გამოსწია და ისე მიესალმა. ხელმწიფის უკმაყოფილება შეანელა.

- რა გვარი ხარ? - ჰკითხა მან.

- პოლოსატოვი! თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ!

- ყოჩაღ!

მოწაფეს შლაპასთან მიღებული ხელი ისევ ისე ეჭირა. ნიკოლოზი შეჩერდა.

- სამხედრო სამსახური გინდა?

- არა, თქვენო იმპერატორობითო უდიდებულესობავ!

- რეგვენო! - ნიკოლოზი მობრუნდა. გზა განაგრძო და დაიწყო წარმოთქმა ენაზე მომდგარი პირველივე სიტყვებისა. „კოპერვეინ, კოპერვეინ“. - რამდენჯერმე გაიმეორა გუშინდელი გოგონას სახელი. „საძაგლობაა. საძაგლობაა“. ის არ ფიქრობდა, რაზე ლაპარაკობდა, მაგრამ თავის გრძნობას ახშობდა იმით, რომ ნათქვამზე გადაჰქონდა გულისყური: „ეჰ, რა იქნებოდა რუსეთი უჩემოდ, - გაიფიქრა როცა იგრძნო, რომ უკმაყოფილება ისევ ეუფლებოდა. - რა იქნებოდა უჩემოდ არა მარტო რუსეთი, ევროპაც“. და მოაგონდა პრუსიის მეფე. თავისი ცოლის ძმა, მისი სისუსტე და სისულელე და თავი გადააქნია.

როცა პარმაღს მიუახლოვდა, ელენა პავლოვნას კარეტა დაინახა. კარეტაზე მორთული ლაქია იჯდა. კარეტა სალტიკოვის შესასვლელს უახლოვდებოდა. ნიკოლოზისთვის ელენა პავლოვნა იმ ჭკუათხელი ადამიანების განსახიერება იყო, რომლებიც მსჯელობდნენ არა, მარტო მეცნიერებაზე, პოეზიაზე, არამედ ხალხის მართვა-გამგეობაზეც და ეგონათ, რომ უკეთესად შეეძლოთ საკუთარი თავის გაძღოლა, ვიდრე ნიკოლოზი უძღვებოდა მათ. ნიკოლოზმა იცოდა, რომ რაც არ უნდა დაეთრგუნა ასეთი ხალხი, ისინი მაინც ადრინდელ მდგომარეობას უბრუნდებოდნენ. ნიკოლოზს მოაგონდა ახლახან გარდაცვლილი ძმა მიხეილი და მწუხარე და ნაღვლიანმა გრძნობამ შეიპყრო. პირქუშად შეიჭმუხნა და კვლავ დაიწყო ენაზე მომდგარი პირველივე სიტყვების ჩურჩული. მხოლოდ მაშინ შეწყვიტა ჩურჩული, როცა სასახლეში შევიდა. თავის ოთახში სარკის წინ გაისწორა ბაკენბარდები, საფეთქლებსა და კეფაზე გაკეთებული თმა, მერე ულვაშები გადაიგრიხა და შევიდა კაბინეტში, სადაც საქმეებს მოახსენებდნენ ხოლმე.

ნიკოლოზმა პირველი ჩერნიშევი მიიღო. ჩერნიშევმა სახეზე მაშინვე შეატყო და, რაც მთავარია, მის თვალებში ამოიკითხა, რომ ნიკოლოზი კარგ გუნებაზე არ იყო. მან იცოდა ნიკოლოზის გუშინდელი ამბავი და უხასიათობის მიზეზსაც მაშინვე მიხვდა. ნიკოლოზი ცივად მიესალმა, დაჯდომა შესთავაზა და უსიცოცხლო თვალები მიაპყრო.

ჩერნიშევის მოხსენებაში პირველი საქმე ეხებოდა საინტენდანტოს მოხელეების ქურდობას. მერე იყო პრუსიის საზღვარზე ჯარების გადაჯგუფების საქმე; შემდეგ მოდიოდა იმ პირებისთვის საახალწლო ჯილდოების დანიშვნა, რომლებიც წინა სიაში გამორჩათ, ამას მოჰყვებოდა ვორონცოვის მოხსენება ჰაჯი-მურატის გადმოსვლაზე და ბოლოს არასასიამოვნო საქციელი სამედიცინო აკადემიის სტუდენტისა, რომელიც პროფესორის მოკვლას შეეცადა.

ნიკოლოზს არათითზე ოქროს ბეჭედი ეკეთა. იგი ტუჩებმოკუმული ჩუმად უსმენდა მოხსენებას ქურდობაზე, დიდ თეთრ ხელებს ქაღალდებს უსვამდა და ჩერნიშევის შუბლსა და ქოჩორს თვალს არ აშორებდა.

ნიკოლოზის რწმენით ყველა ქურდობდა. მან იცოდა, რომ ახლა საჭირო იყო საინტენდანტოს მოხელეების დასჯა და გადაწყვიტა, ყველანი ჯარისკაცებად გაემწესებინა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ეს ხელს არ შეუშლიდა იმათ, ვინც განთავისუფლებულთა ადგილებს დაიკავებდა, ეკეთებინათ იგივე. მოხელეების თვისება ქურდობა იყო, ნიკოლოზის მოვალეობა კი - მათი დასჯა, და თუმცა ნიკოლოზს ეს მობეზრებული ჰქონდა, მაინც კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას.

- ჩანს, ჩვენთან, რუსეთში, მარტო ერთი კაცია პატიოსანი, - თქვა მან.

ჩერნიშევი მაშინვე მიხვდა, რომ ეს ერთადერთი პატიოსანი კაცი, თვითონ ნიკოლოზი იყო და მოწონების ნიშნად გაუღიმა.

- ალბათ ასეა, თქვენო უდიდებულესობავ, - მიუგო ნიკოლოზს.

- დამიტოვე, რეზოლუციას დავადებ, - უთხრა ნიკოლოზმა, ქაღალდი აიღო და მაგიდის მარცხენა მხარეს გადასდო.

ამის შემდეგ ჩერნიშევმა დაიწყო მოხსენება ჯილდოებისა და ჯარების გადაჯგუფებაზე. ნიკოლოზმა სიას გადახედა, რამდენიმე გვარი ამოშალა და მერე მოკლედ და გადაჭრით გასცა განკარგულება პრუსიის საზღვარზე ორი დივიზიის გაგზავნის შესახებ.

ნიკოლოზს არაფრით არ შეეძლო პრუსიის მეფისთვის ეპატიებინა ორმოცდარვა წლის შემდეგ მიცემული კონსტიტუცია და, მიუხედავად იმისა, რომ ცოლის ძმას წერილებსა და სიტყვებში უდიდესი მეგობრული გრძნობით მიმართავდა, მაინც საჭიროდ მიაჩნდა პრუსიის საზღვარზე ჯარები ჰყოლოდა. ეს ჯარები შეიძლება იმისთვისაც გამოეყენებინა, რომ პრუსიაში ხალხის მღელვარების შემთხვევაში (ნიკოლოზს ყველგან მღელვარება ელანდებოდა) ისინი ცოლის ძმის ტახტის დასაცავად გამოეყვანა ისევე, როგორც გამოიყვანა ჯარი უნგრელების წინააღმდეგ ავსტრიის დასაცავად. საზღვარზე ეს ჯარები აგრეთვე იმისთვისაც იყო საჭირო, რომ

პრუსიის მეფისადმი ნიკოლოზის რჩევა-დარიგებებს მეტი წონა და მნიშვნელობა ჰქონოდა.

,,ეჰ, რა იქნებოდა ახლა რუსეთი, მე რომ არ ვყოფილიყავი‘‘. - კვლავ გაიფიქრა ნიკოლოზმა.

- კიდევ რა არის? - იკითხა მან.

- კავკასიიდან ფელდეგერია ჩამოსული, - უთხრა ჩერნიშევმა და დაიწყო მოხსენება იმაზე, რასაც ვორონცოვი ჰაჯი-მურატზე იწერებოდა.

- ოჰო! - თქვა ნიკოლოზმა. - კარგი დასაწყისია.

-ჩანს, თქვენი უდიდებულესობის მიერ შედგენილ გეგმას თავისი ნაყოფი გამოაქვს, - უთხრა ჩერნიშევმა.

თავისი სტრატეგიული ნიჭის შექება ძალიან ესიამოვნა ნიკოლოზს, ვინაიდან თუმცა ამაყობდა საკუთარი სტრატეგიული ნიჭით, გულის სიღრმეში მაინც გრძნობდა, რომ სწორედ იგი არ გააჩნდა. ახლა უნდოდა უფრო დაწვრილებით მოესმინა ქება.

- შენ როგორღა გესმის? - ჰკითხა მან.

- მე ასე მესმის, თქვენი უდიდებულესობის გეგმით რომ დიდი ხნის წინათ ეხელმძღვანელათ, თანდათანობით, თუნდაც ნელა გვევლო წინ, გაგვეჩეხა ტყე, მარაგი გაგვენადგურებინა, მაშინ კავკასია დიდი ხნის დაპყრობილი გვექნებოდა. ჰაჯი-მურატის გადმოსვლა მე მხოლოდ ასე მესმის. ის მიხვდა, რომ მეტი წინააღმდეგობა აღარ შეიძლებოდა.

- მართალია, - დაუმოწმა ნიკოლოზმა.

მიუხედავად იმისა, რომ ტყის გაჩეხვისა და სურსათ-სანოვაგის განადგურებით მტრის მხარეში ნელა მოქმედების გეგმა ერმოლოვსა და ველიამინოვს ეკუთვნოდა და სავსებით ეწინააღმდეგებოდა ნიკოლოზის გეგმას, რომლის მიხედვითაც ერთი დარტყმით უნდა აეღოთ შამილის რეზიდენცია და გაეჩანაგებინათ ყაჩაღების ეს ბუდე (ამ გეგმით მოეწყო კიდეც 1845 წელს დარღოს ექსპედიცია, უამრავი ადამიანის სიცოცხლე რომ შეიწირა), მიუხედავად იმისა, ნელა მოქმედების, ტყეების თანდათანობით გაჩეხვისა და სურსათ-სანოვაგის განადგურების გეგმას ნიკოლოზი თავის თავს მიაწერდა. თუ ნელა მოქმედების, ტყეების გაჩეხვისა და სურსათ-სანოვაგის განადგურების გეგმა მას ეკუთვნოდა, მაშინ ცხადი იყო, რომ ლაპარაკი ამ გეგმის სრულიად საწინააღმდეგო, ორმოცდახუთი წლის სამხედრო ღონისძიებაზე, რომლის განხორციელებასაც ნიკოლოზი იჟინებდა, არ შეიძლებოდა. მაგრამ ნიკოლოზი ლაპარაკობდა ამაზე და ამაყობდა 1845 წლის ექსპედიციის თავისი გეგმითაც და ნელა წინსვლის გეგმითაც, თუმცა ეს ორი გეგმა სრულიად ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. გარშემომყოფი ხალხის განუწყვეტელმა და სინამდვილის საწინააღმდეგო პირფერობამ ნიკოლოზი იქამდე მიიყვანა, რომ გეგმებში თავის წინააღმდეგობებს უკვე ვეღარ ამჩნევდა, თავის საქციელს და სიტყვებს ვერ უფარდებდა სინამდვილეს, ლოგიკას, ან უბრალო საღ აზროვნებასაც კი, და მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ყველა მისი განკარგულება, როგორი უაზრო, უსამართლო და ერთმანეთს შორის შეუთანხმებელიც არ უნდა ყოფილიყო, აზრიანიც,

სამართლიანიც და ერთმანეთში შეთანხმებულიც ხდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ თვითონ იძლეოდა.

ასეთივე იყო ნიკოლოზის გადაწყვეტილება სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის სტუდენტის შესახებ. სტუდენტის ამბავი კავკასიაზე მოხსენების შემდეგ აცნობა ნიკოლოზს ჩერნიშევმა.

საქმის ვითარება ასეთი იყო. ახალგაზრდა კაცმა ორჯერ ვერ ჩააბარა გამოცდა და მესამეჯერ რომ აბარებდა, გამომცდელმა მესამეჯერაც ჩაჭრა. ნერვებაშლილმა სტუდენტმა აქ უსამართლობა დაინახა, მაგიდაზე ხელი დასტაცა ჯაყვას, გააფთრებული ეკვეთა პროფესორს და რამდენიმე ადგილას უმნიშვნელოდ დაჭრა.

- რა გვარია? - ჰკითხა ნიკოლოზმა.

- ბჟეზოვსკი.

- პოლონელია?

- წარმოშობით პოლონელია და კათოლიკეა, - მიუგო ჩერნიშევმა.

ნიკოლოზმა წარბები შეიკრა.

მან ბევრი უბედურება აგემა პოლონელებს. ამ უბედურებათა მიზეზის ასახსნელად ნიკოლოზს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ყველა პოლონელი არამზადაა. ნიკოლოზსაც პოლონელები არამზადებად მიაჩნდა და ეჯავრებოდა ისინი. ამიტომ არავითარ უბედურებას არ ერიდებოდა მათ მიმართ.

- ცოტა ხანს დამიცადე, - უთხრა მან ჩერნიშევს, - თვალები დახუჭა და თავი ჩაქინდრა.

ჩერნიშევმა იცოდა (ეს არაერთხელ გაეგონა ნიკოლოზისაგან), რომ როცა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა უნდოდა, რამდენიმე წამით უნდა ჩაფიქრებულიყო. ამ დროს ზეშთაგონება გადმოვიდოდა მასზე და მხოლოდ ამის შემდეგ პოულობდა პასუხს და ყველაზე სწორი დასკვნა თავისთავად მოსდიოდა, თითქოს შინაგანი ხმა უკარნახებდა, რა უნდა გაეკეთებინა. ახლაც იმაზე ფიქრობდა, როგორ დაეკმაყოფილებინა პოლონელებისადმი აღძრული ბოროტების გრძნობა, რომელიც ამ სტუდენტის ამბავმა გაუღვიძა, და შინაგანმა ხმამ შემდეგი გადაწყვეტილება უკარნახა.

ნიკოლოზმა აიღო მოხსენება და არეზე მსხვილად წააწერა.

,,სიკვდილით დასჯას იმსახურებს, მაგრამ, მადლობა ღმერთს, სიკვდილით დასჯა ჩვენში არ არსებობს და არც ჩემი საქმეა მისი შემოღება. თორმეტჯერ გაატარონ ათას კაცს შორის. ნიკოლოზი‘‘, - მოაწერა ხელი თავისი მეტად არაბუნებრივი, მსხვილი კალიგრაფიით.

ნიკოლოზმა იცოდა, რომ თორმეტი ათასი შპიცრუტენი იყო არა მარტო ნამდვილი ტანჯვით სიკვდილი, არამედ გადამეტებული სიმკაცრეც, რადგან ხუთი ათასი დარტყმა კმაროდა, რომ ყველაზე ღონიერი ადამიანი მოგეკლა. მაგრამ მას სიამოვნებდა ეს ულმობელი სიმკაცრე და სასიამოვნო იყო ფიქრი იმაზე, რომ ჩვენში სიკვდილით დასჯა არ არსებობდა.

როცა სტუდენტის შესახებ მოხსენებას რეზოლუცია წააწერა, ქაღალდი ჩერნიშევისაკენ გასწია და უთხრა: - აი, წაიკითხე.

ჩერნიშევმა წაიკითხა და ნიშნად იმისა, რომ ამგვარმა ბრძნულმა გადაწყვეტილებამ გააოცა, მოკრძალებით დახარა თავი.

- თან ყველა სტუდენტი გამოიყვანეთ მოედანზე, რომ დასჯას დაესწრონ, - დაუმატა ნიკოლოზმა.

,,მათთვის სასარგებლო იქნება. მე მოვსპობ, ძირფესვიანად ამოვძირკვავ მათ რევოლუციურ სულს", - გაიფიქრა მან.

- მესმის, - თქვა ჩერნიშევმა, ცოტა ხანს იყუჩა, მერე ქოჩორი შეისწორა და კავკასიის მოხსენებას დაუბრუნდა

- მაშ, რას მიბრძანებთ, მიხეილ სემიონიჩს რა მივწერო?

- მტკიცედ შეასრულოს ჩემი სისტემით საცხოვრებლების დარბევა, სურსათ-სანოვაგის განადგურება ჩაჩნეთში და მოსახლეობის აწიოკება თარეშებით, - უთხრა ნიკოლოზმა.

- ჰაჯი-მურატზე რაღას მიბრძანებთ? - შეეკითხა ჩერნიშევი.

- ვორონცოვი ხომ იწერება, რომ მისი გამოყენება კავკასიაში უნდა.

- განა ეს სახიფათო არ არის? - თქვა ჩერნიშევმა და ნიკოლოზს თვალი აარიდა. - ვშიშობ, რომ მიხეილ სემიონიჩი მეტად გულუბრყვილო კაცია.

- შენ კი რას ფიქრობ? - მკვახედ შეეკითხა ნიკოლოზი, როცა მიხვდა ჩერნიშევის განზრახვას - გაეპამპულებინა ვორონცოვის განკარგულება.

- მე ვფიქრობ, რუსეთში მისი გამოგზავნა უფრო უსაშიშრო იქნება.

- შენ ფიქრობ, - დაცინვით უთხრა ნიკოლოზმა. - მე კი ასე არ ვფიქრობ და ვორონცოვს ვეთანხმები, ასეც მისწერე.

- მესმის, - მიუგო ჩერნიშევმა და ფეხზე ამდგარმა გამოსამშვიდობებლად თავი დაუკრა.

გამოემშვიდობა დოლგორუკიც, რომელმაც მთელი ამ მოხსენების განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე სიტყვა თქვა ნიკოლოზის შეკითხვაზე ჯარების გადაჯგუფებასთან დაკავშირებით.

ჩერნიშევის შემდეგ ნიკოლოზმა გამოსამშვიდობებლად მისული დასავლეთის მხარის გენერალ-გუბერნატორი ბიბიკოვი მიიღო.

როცა ამბოხებული გლეხების წინააღმდეგ ბიბიკოვის მიერ მიღებული ზომები მოიწონა (ამ გლეხებს მართლმადიდებლობა არ უნდოდათ), ნიკოლოზმა ბრძანა ყველა ურჩი სამხედრო სასამართლოს წესით დაესაჯათ. ეს კი ნიშნავდა მათ დასჯას მწყობრში გავლით. გარდა ამისა, ბრძანა ჯარისკაცად გაემწესებინათ გაზეთის

რედაქტორი, რომელმაც დაბეჭდა ცნობები რამდენიმე ათასი სახელმწიფო გლეხის საუფლისწულო გლეხებად ჩარიცხვის შესახებ.

- მე ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ საჭიროდ მიმაჩნია. - თქვა ნიკოლოზმა, - და ამაზე მსჯელობის უფლებას არავის მივცემ.

ბიბიკოვს ესმოდა რაოდენ მკაცრი იყო განკარგულება უნიატების შესახებ და რაოდენ უსამართლო სახელმწიფო, ესე იგი, იმ დროს ერთადერთი თავისუფალი ხალხის საუფლისწულოზე, ანუ, მეფის საგვარეულოს ყმებად გადაყვანის შესახებ, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა არ შეიძლებოდა. ნიკოლოზის განკარგულებას თუ არ დაეთანხმებოდა, ეს იმას ნიშნავდა, დაეკარგა ის ბრწყინვალე მდგომარეობა, რომლის მოპოვებასაც ორმოცი წელი მოანდომა და რომლითაც სარგებლობდა. ამიტომ მორჩილად დახარა შავთმიანი, ჭაღარაშერეული თავი იმის ნიშნად, რომ მზად იყო უყოყმანოდ აღესრულებინა ნიკოლოზის მკაცრი, უგუნური და უსინდისო უმაღლესი ნება-სურვილი.

გაუშვა თუ არა ბიბიკოვი, ნიკოლოზი გაიზმორა, სჯეროდა, რომ თავისი მოვალეობა კარგად შეასრულა, საათს დახედა და წავიდა, რათა გამოსასვლელად ჩაეცვა. მან ეპოლეტებიანი და ორდენებ-ლენტიანი მუნდირი ჩაიცვა და მისაღებ დარბაზში გამოვიდა. ასზე მეტი მუნდირიანი მამაკაცი და გულამოჭრილ, კოხტა კაბებში გამოწყობილი ქალები განსაზღვრულ ადგილას იდგნენ და გულის ფანცქალით ელოდნენ მის გამოსვლას.

ნიკოლოზი უსიცოცხლოდ იყურებოდა, მკერდი გამობურთოდა, დაჭიმული ღიპი ქამრის ზემოთ და ქვემოთ გამოზრდოდა, ასე გამოვიდა მომლოდინე ხალხთან. ის გრძნობდა, რომ ყველა გულის ფანცქალითა და პირმოთნეობით უყურებდა მას და კიდევ უფრო მედიდური გამომეტყველება მიიღო. როცა თვალს მოჰკრავდა ნაცნობ სახეებს, იგონებდა, თუ ვინ და რა იყო, ჩერდებოდა და ხან რუსულად, ხან ფრანგულად რამდენიმე სიტყვას ეტყოდა, მერე კი ცივი, უსიცოცხლო მზერით აშტერდებოდა მათ და ისმენდა მათსავე ნათქვამს.

მილოცვების მოსმენის შემდეგ ნიკოლოზი ეკლესიაში წავიდა.

ღმერთიც თავის მსახურთა მეშვეობით, ისევე როგორც ერისკაცები, ესალმებოდა და ქება-დიდებას ასხამდა ნიკოლოზს. თუმცა მას მობეზრებული ჰქონდა ყველაფერი. ეს, მაინც იღებდა ამ მისალმებებსა და შექებას, როგორც დამსახურებულს. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც მსოფლიოს კეთილდღეობა და ბედნიერება ნიკოლოზზე იყო დამოკიდებული და, თუმცა ამის გამო იღლებოდა, მაინც არ ეუბნებოდა მსოფლიოს უარს დახმარებაზე. წირვის შემდეგ მორთულ-მოკაზმულმა, თმადავარცხნილმა დიაკვანმა ,,მრავალჟამიერი'' იგალობა და მგალობლებმა ამ სიტყვას შესანიშნავი ხმა შეუწყვეს. ნიკოლოზმა მიმოიხედა, შენიშნა ფანჯარასთან მდგარი დიდებულბეჭებიანი ნელიდოვა, შეადარა გუშინდელ ქალიშვილს და უპირატესობა ნელიდოვას მიანიჭა.

წირვის შემდეგ ნიკოლოზი დედოფალთან წავიდა და ოჯახურ წრეში რამდენიმე წუთი გაატარა. ეხუმრებოდა შვილებსა და ცოლს. შემდეგ ერმიტაჟი გაიარა, კარის მინისტრ ვოლკონსკისთან შევიდა და სხვათა შორის დაავალა, გუშინდელი

ქალიშვილის დედისთვის მისი განსაკუთრებული თანხიდან ყოველწლიური პენსია დაენიშნა. მინისტრისაგან რომ გამოვიდა, ჩვეულებრივ, სასეირნოდ გაემართა.

იმ დღეს სადილი პომპეუსის დარბაზში იყო გამართული. უმცროსი შვილების - მიხეილისა და ნიკოლოზის გარდა მოწვეული იყვნენ ბარონი ლივენი, გრაფი რჟევუსკი, დოლგორუკი, პრუსიის დესპანი და პრუსიის მეფის ფლიგელ-ადიუტანტი.

იმპერატორისა და დედოფლის გამობრძანების მოლოდინში, პრუსიის დესპანსა და ბარონ ლივენს შორის საინტერესო საუბარი გაიმართა პოლონეთიდან უკანასკნელად მიღებულ შემაშფოთებელ ამბებზე.

- La Pologne et Caucase, ce sont les deux cauteres de la Russie, - თქვა ლივენმა. – Il nous faut cent mille hommes a peu pres dans chacun de ces deux pays[18].

დესპანმა მოსაჩვენებლად გაიკვირვა.

- Vous dites, la Pologne[19], - უთხრა მან.

- Oh, oul, c’etait un coup de maitre de Maeternich de nous en avoir laisse d’ ambarras[20].

სწორედ ამ დროს შემოვიდა დედოფალი. იგი ჩვეულებისამებრ თავს აკანტურებდა და პირზე ღიმილი შეყინვოდა. მას ნიკოლოზიც შემოჰყვა.

სუფრაზე ნიკოლოზი ჰაჯი-მურატის გადმოსვლის ამბავს მოჰყვა და თქვა, კავკასიის ომი ახლა მალე უნდა დამთავრდეს ჩემი განკარგულების შედეგად - ტყეების გაჩეხვისა და სიმაგრეთა სისტემით მთიელების შევიწროების გზითო.

დესპანმა გადახედა პრუსიის ფლიგელ-ადიუტანტს, რომელსაც ჯერ კიდევ დილით ელაპარაკებოდა ნიკოლოზის უბადრუკ სისუსტეზე - რომ მას თავისი თავი უდიდეს სტრატეგად მიაჩნდა. დესპანი ახლა ძალიან აქებდა ამ გეგმას, რაც ნიკოლოზის სტრატეგიულ ნიჭს კიდევ ერთხელ ადასტურებდა.

ნასადილევს ნიკოლოზი ბალეტზე წავიდა, სადაც ასობით გაშიშვლებული ტრიკოიანი ქალი ტრიალებდა მის თვალწინ. ერთი ქალი განსაკუთრებულად მოეწონა ნიკოლოზს. მოიხმო ბალეტმეისტერი, მადლობა უთხრა და ბრძანა, ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ეჩუქებინათ ბალეტმეისტერისთვის.

მეორე დღეს, ჩერნიშევის მოხსენების დროს, ნიკოლოზმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ვორონცოვისადმი გაცემული განკარგულება იმის თაობაზე, რომ ახლა, როცა ჰაჯი-მურატი გადმოვიდა, საჭირო იყო ჩაჩნეთზე გაძლიერებული თავდასხმები და კორდონის ხაზით მისი შევიწროვება.

ჩერნიშევმაც ეს მისწერა ვორონცოვს და მეორე ფელდეგერი ცხენების ჭენებით და მეეტლეების თავ-პირის მტვრევით თბილისისკენ გაფრინდა.

XVI

ნიკოლოზის მოწერილობის შესასრულებლად 1852 წლის იანვარში ჩაჩნეთზე თავდასხმა მოაწყვეს.

თავდასხმისთვის განკუთვნილი რაზმი შედგებოდა ოთხი ქვეითი ბატალიონისგან, ორასი კაზაკისა და რვა ზარბაზნისგან. კოლონა გზაზე მიდიოდა. მის ორივე მხარეს ხევებში ხან აღმა და ხან დაღმა, უწყვეტ შარად მიედინებოდნენ ეგერები. მათ მაღალყელიანი ჩექმები და ჯუბები ეცვათ. ეხურათ ფაფახები, მხრებზე თოფები და ტყვიების აშურმები ჰქონდათ გადაკიდებული. როგორც ყოველთვის, მტრის მიწაზე რაზმი, რამდენადაც შეიძლებოდა, ჩუმად მიდიოდა, მხოლოდ ხანდახან ნარვალებზე დანჯღრეული ზარბაზნები გაიჟღარუნებდა, ხანაც დაიფრუტუნებდა ან დაიხვიხვინებდა არტილერიის ცხენი, რომელსაც არ ესმოდა სიჩუმის შესახებ გაცემული ბრძანება. ხანაც ისმოდა გაბრაზებული მეთაურის ხრინწიანი, დაოკებული ხმით გაცემული ბრძანება, რომ შარი ძალიან გაიწია, ან ძალიან ახლოსაა, ან ძალიან შორსაა კოლონისაგან. მხოლოდ ერთხელ დაირღვა სიჩუმე იმით, რომ ნარეკალას პატარა ბუჩქიდან, რომელიც შარსა და კოლონას შორის იყო, უცბად ჯერ თეთრმუცლიანი და ნაცრისფერზურგიანი დედალი თხა გამოხტა და მერე ასეთივე ვაცი. ვაცს პატარა, მოკაუჭებული რქები ზურგზე გადაეყარა. ლამაზმა და დამფრთხალმა ცხოველებმა ისე ახლოს ჩაუქროლეს კოლონას, რომ ზოგიერთი ჯარისკაცი ყვირილითა და ხორხოცით გამოუდგა უკან, რათა ხიშტზე წამოეგო ისინი; მაგრამ თხებმა პირი იბრუნეს, შარს დაუსხლტნენ და მთებისკენ მოჰკურცხლეს. უკან მისდევდათ რამდენიმე ცხენოსანი და ასეულის რამდენიმე ძაღლი.

ჯერ კიდევ ზამთარი იდგა, მაგრამ მზე ცაზე სულ უფრო მაღლა მიიწევდა. შუადღისას, როცა დილით ადრე გამოსულ რაზმს ათიოდე ვერსი ექნებოდა გავლილი, მზემ ისე დააცხუნა, ჩამოცხა, სხივებიც ისე აკაშკაშდა, თვალს ვერ გაუსწორებდით ფოლადის ხიშტებს და ზარბაზნების სპილენძზე პატარა მზეებივით მოკიაფე ათინათებს.

უკან დარჩა რაზმის მიერ ახლახან გადალახული სწრაფი, ანკარა მდინარე. წინ პატარა ხევებიანი გადახნული მინდვრები და ველები იყო; კიდევ უფრო წინ კი ტყეებით დაფარული და იდუმალებით მოცული შავი მთები; შავი მთების იქით კლდეები ჩანდა, ხოლო ჰორიზონტზე მუდამ მომხიბვლელი, მუდამ ცვალებადი, მზის სხივებზე ალმასავით მოციმციმე თოვლიანი მთები.

მეხუთე ასეულის წინ შავ სერთუკსა და ფაფახში გამოწყობილი, მხარზე ხმალგადაკიდებული, გვარდიიდან ახალი გადმოსული მაღალ-მაღალი, ლამაზი ოფიცერი ბუტლერი მიაბიჯებდა. ბუტლერი სიცოცხლის სიხარულით გამოწვეულ სიმხნევეს და ამავე დროს სიკვდილის საშიშროებას გრძნობდა. მას სურდა მოქმედება და სიკვდილის საშიშროებას გრძნობდა. მას სურდა მოქმედება და სწამდა, რომ მონაწილე იყო უზარმაზარი კოლონისა, რომელსაც ერთი ნება მართავდა. ბუტლერი დღეს მეორედ გამოდიოდა ბრძოლაში და სიამოვნებდა ფიქრი იმაზე, რომ საცაა დაუწყებენ სროლას, თვითონ კი არამცთუ თავს არ დაუხრის ზარბაზნიდან გამოტყორცნილ ყუმბარას და ყურადღებას არ მიაქცევს ტყვიების ზუზუნს, როგორც ეს ერთხელ გააკეთა, თავს მაღლა ასწევს, მეგობრებსა და ჯარისკაცებს ღიმილით გადახედავს და გულგრილად სულ სხვა საგანზე დაიწყებს ლაპარაკს.

რაზმმა კარგი გზიდან ნასიმინდარზე მიმავალი, თითქმის გაუკვალავი ბილიკისკენ გადაუხვია და მიუახლოვდა ტყეს. ამ დროს საიდანღაც ავბედითი სტვენით გამოიქროლა ყუმბარამ, გზის გვერდით, ნასიმინდარზე აღალის შუაში დაეცა და მიწა ზეატყორცნა.

- იწყება, - ხალისიანი ღიმილით უთხრა ბუტლერმა გვერდით მომავალ ამხანაგს.

მართლაც, ყუმბარის სროლასთან ერთად ტყიდან გამოჩნდა ალმებიანი ცხენოსანი ჩაჩნების გუნდი. რაზმის შუაგულში დიდი მწვანე ალამი მოჩანდა. ასეულის ძველმა ძალზე შორსმხედველმა ფელდფებელმა ახლომხედველ ბუტლერს უთხრა, ეს თვითონ შამილი უნდა იყოსო. ჩაჩნების გუნდი თავქვე დაეშვა, მერე უახლოესი ხევის წვერზე მარჯვნივ გამოჩნდა და ისევ ქვემოთ დაიწყო დაშვება. შავ, თბილ სერთუკსა და თეთრი კრაველის ფაფახში გამოწყობილი დაბალ-დაბალი გენერალი თავისი იორღათი ბუტლერის ასეულთან მივიდა და ბუტლერს უბრძანა წასულიყო მარჯვნივ, ქვემოთ ჩამავალი ცხენოსნების წინააღმდეგ. ბუტლერმა სწრაფად წაიყვანა ასეული ნაჩვენები მიმართულებით, მაგრამ ხევში ჩასვლაც ვერ მოასწრო, რომ ზურგს უკან ორი ზარბაზნის ერთმანეთზე მიყოლებული გრგვინვა მოესმა. ბუტლერმა მიმოიხედა: ორი ზარბაზნიდან შავმოიისფრო ბოლის ორი ღრუბელი ავარდა და ხევის გასწვრივ გაიშალა. ჩაჩნები, ეტყობოდა, არტილერიას არ ელოდნენ და უკან დაიხიეს. ბუტლერის ასეულმა გაქცეულ მთიელებს ტყვია დაუშინა და მთელი ღარტაფი თოფისწამლის ბოლში გაეხვია. მხოლოდ ღარტაფს ზემოდან მოჩანდა, თუ როგორ სწრაფად გარბოდნენ მთიელები და უკანდადევნებულ კაზაკებს სროლით იგერიებდნენ. რაზმი დაედევნა მთიელებს და მეორე ხევის კალთაზე აულიც გამოჩნდა.

კაზაკების კვალდაკვალ ბუტლერი თავისი ასეულით სირბილით შევიდა აულში. იქ კაცი არ ჭაჭანებდა. ჯარისკაცებს ნაბრძანები ჰქონდათ გადაებუგათ ხორბალი, თივა და ქოხებიც კი. ცეცხლის ალში გახვეულ მთელ აულს მწველი კვამლი ეფინებოდა. ჯარისკაცები დაძრწოდნენ ამ კვამლში და ქოხებიდან ეზიდებოდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ, განსაკუთრებით დასდევდნენ და ხოცავდნენ ქათმებს, რომელთა წაყვანა ვერ მოეხერხებინათ მთიელებს. ოფიცრები კვამლს მოერიდნენ, მოშორებით ჩამოსხდნენ, ისაუზმეს და გადაჰკრეს კიდეც. ფელდფებელმა მათ რამდენიმე ფიჭა თაფლი მოართვა. ჩაჩნები არსად ჩანდნენ. ნაშუადღევს უკანდახევის ბრძანება მოვიდა. ასეულები აულის მახლობლად კოლონად დააწყვეს და ბუტლერი არიერგარდში მოექცა. როგორც კი დაიძრნენ, ჩაჩნებიც გამოჩდნენ, რაზმს კვალდაკვალ მისდევდნენ და სროლით მიაცილებდნენ.

როდესაც რაზმი გაშლილ ადგილას გამოვიდა, მთიელები ჩამორჩნენ. ბუტლერის ასეულში არავინ არ დაჭრილა და იგი ძალზე მხიარული და კარგ გუნებაზე ბრუნდებოდა უკან.

რაზმმა უკანვე რომ გამოფონა ის მდინარე, რომელიც ამ დილით გადალახა, და სიმინდის ყანებსა და ველებზე გამოიშალა, ასეულების მომღერლები დაწინაურდნენ და წამოიწყეს სიმღერები.

წყნარი ამინდი იდგა. ჰაერი ისეთი გრილი, სუფთა და გამჭვირვალე იყო, რომ ასეულ ვერსობით დაშორებული თოვლიანი მწვერვალები სულ ახლოს ჩანდა და როცა მომღერლები გაყუჩდებოდნენ, მოისმოდა თანაბარზომიერი ნაბიჯების ხმა და ზარბაზნის ჟღრიალი, რომლის ფონზე იწყებდნენ და ამთავრებდნენ სიმღერებს. სიმღერა, რომელსაც ბუტლერის მეხუთე ასეულში მღეროდნენ, პოლკის სადიდებლად შეთხზა იუნკერმა და საცეკვაო მოტივზე სრულდებოდა შემდეგი მისამღერით: „То ли дело, то ли дело, егеря, егеря!“[21]

ბუტლერი ცხენით მოდიოდა თავისი უახლოესი უფროსის მაიორ პეტროვის გვერდით, რომელთანაც ერთ ბინაში ცხოვრობდა. ბუტლერს ძალზე ახარებდა თავისი გადაწყვეტილება, რომ დატოვა გვარდია და გადმოვიდა კავკასიაში. გვარდიიდან მისი გადმოსვლის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ პეტერბურგში ბანქოში წააგო ყველაფერი, რაც გააჩნდა. მას ეშინოდა, გვარდიაში ყოფნისას თამაშისგან თავს ვერ შევიკავებო, თუმცა წასაგები აღარაფერი ჰქონდა. ახლა კი ყველაფერი დამთავრებული იყო. ცხოვრება გადასხვაფერდა. უფრო კარგი და ვაჟკაცური გახდა. ახლა ბუტლერს გაკოტრებაც და გადაუხდელი ვალებიც დაავიწყდა. კავკასია, ომი, ჯარისკაცები, ოფიცრები და ლოთი, კეთილი, მამაცი მაიორი პეტროვი - ყველაფერი ისე სასიამოვნოდ ეჩვენებოდა, ხანდახან თავის თავსაც არ უჯერებდა, რომ მამაც კავკასიელებთან იმყოფებოდა, ამ შესანიშნავ მხარეში და არა პეტერბურგში, არა პაპიროსის კვამლით გაბოლილ ოთახებში, სადაც თამაშობდა ბანქოს, სძულდა ბანქოს დამრიგებელი და საშინელ თავის ტკივილს გრძნობდა.

„То ли дело, то ли дело, егеря, егеря!“ - მღეროდნენ მისი მომღერლები. ბუტლერის ცხენი ამ მუსიკაზე ხალისიანად მიაბიჯებდა. ასეულის ბანჯგვლიანი, ნაცრისფერი ტრეზორკა, თითქოს უფროსი ყოფილიყო, კუდაპრეხილი, დაფიქრებული მირბოდა ბუტლერის ასეულის წინ. ბუტლერი მხნე, წყნარ და მხიარულ განწყობილებაზე იყო. ომი მისთვის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება იყო. შეიძლებოდა მოეკლათ კიდეც და ამით დაემსახურებინა ჯილდოებიც და როგორც აქაური ამხანაგების, ისე რუსი მეგობრების პატივისცემაც. ომის მეორე მხარე: ჯარისკაცების, ოფიცრების, მთიელების სიკვდილი და დაჭრა, რა უცნაურიც არ უნდა იყოს ამის თქმა, ვერც კი წარმოედგინა მის გონებას. ომზე თავისი პოეტური შეხედულება რომ არ გაექარწყლებინა, ბუტლერი არასოდეს არ უყურებდა მკვდრებსა და დაჭრილებს. ახლაც ასე იყო. ჩვენ სამი მოკლული და თორმეტი დაჭრილი გვყავდა. ბუტლერმა პირაღმა მწოლარე გვამს ჩაუარა და მარტოოდენ თვალი შეავლო სანთლისფერ ხელს, რომელიც უცნაურად იდო, თავზე მუქწითელ ლაქას კი არ დააკვირდა. მთიელები ბუტლერს წარმოედგინა მხოლოდ ცხენოსან ჯიგიტებად, რომელთაგან თავი უნდა დაეცვა.

- აი, როგორ არის აქ საქმე, ჩემო ძმაო, - ეუბნებოდა მაიორი, როცა სიმღერა მიწყდებოდა. - ისე კი არაა, როგორც თქვენთან, პიტერში: სწორება მარჯვნივ. სწორება მარცხნივ. აი, ცოტა გავისარჯეთ და შინ ვბრუნდებით. მაშურკა დაგვახვედრებს ღვეზელებს, კარგ შჩის. აი, ასეთი ცხოვრება მესმის! ხომ ასეა? აბა ერთი სჭექეთ „როგორ იბრწყინებს განთიადი!“ - მაიორმა თავისი საყვარელი სიმღერის დაწყება უბრძანა მომღერლებს.

მაიორი ქმარივით ცხოვრობდა ფერშლის ქალიშვილთან, რომელსაც ჯერ მაშკა ერქვა, შემდეგ კი მარია დმიტრიევნა გახდა. მარია დმიტრიევნა ლამაზი, ქერა, ჭორფლიანი, ოცდაათი წლის უშვილო ქალი იყო. მას როგორი წარსულიც არ უნდა ჰქონოდა, ახლა მაიორის ერთგული მეგობარი გახლდათ და ძიძასავით უვლიდა. ეს კი სჭირდებოდა მაიორს, რადგანაც ხშირად ისე თვრებოდა, რომ გონებას კარგავდა.

როცა ციხესიმაგრეში მივიდნენ, ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც მაიორი ვარაუდობდა. მარია დმიტრიევნამ მას, ბუტლერსა და რაზმიდან მოწვეულ ორ ოფიცერს მსუყე, გემრიელი სადილი მიართვა. მაიორი ისე გამოძღა და გამოიბრუჟა, რომ პირში ენას ვერ აბრუნებდა და დასაძინებლად გავიდა. ბუტლერმაც ასევე

დაღლილმა, კმაყოფილმა და, ცოტა არ იყოს, ღვინით ზედმეტად შეზარხოშებულმა, თავის პატარა ოთახს მიაშურა და ძლივს მოასწრო გახდა, რომ ლამაზ, ხუჭუჭთმიან თავქვეშ ხელი ამოიდო და მკვდარივით უსიზმროდ ჩაეძინა.

XVII

თავდასხმისას დარბეული აული სწორედ ის აული იყო, რომელშიც ჰაჯი-მურატმა რუსებთან გადასვლის წინა ღამე გაათია.

სადო, ვისთანაც ჰაჯი-მურატს უხდებოდა ხოლმე გაჩერება, ცოლშვილით მთებში მიდიოდა, როცა რუსები აულს უახლოვდებოდნენ. აულში დაბრუნებულ სადოს სახლი დანგრეული დახვდა. სახურავი ჩაქცეული, კარები და აივნის ბოძები - დამწვარი, შიგნით კი ყველაფერი წაბილწული. სადოს ვაჟი, სწორედ ის თვალებბრიალა, ლამაზი ბიჭუნა, აღტაცებით რომ შეჰყურებდა ჰაჯი-მურატს, მკვდარი მოიტანეს მეჩეთთან ნაბადგადაფარებული ცხენით. მისთვის ზურგში გაეყარათ ხიშტი. ის სანდომიანი ქალი, რომელიც ჰაჯი-მურატს ემსახურებოდა, ახლა თმაგაწეწილი, მკერდზე პერანგშემოხეული იდგა შვილის ცხედრის წინ, პერანგი ძლივს უფარავდა ბებრულ, დამჭკნარ გულ-მკერდს, სახეს ისე იკაწრავდა, რომ სისხლი სდიოდა და სულმოუთქმელად მოთქვამდა. სადომ წერაქვი და ბარი აიღო და ნათესავებთან ერთად შვილის საფლავის გასათხრელად წავიდა. მოხუცი პაპა ჩამონგრეულ კედელთან იჯდა, პატარა ჯოხს ჩორკნიდა და უაზროდ იცქირებოდა წინ. იგი ახლახან დაბრუნდა თავისი საფუტკრედან. იქ ორი ზვინი თივა დაეწვათ, მოხუცის ხელით დარგული და მოვლილი ჭერამისა და ალუბლის ხეები დაელეწათ და გაეჩანაგებინათ და, რაც მთავარია, ფუტკრის ყველა სკა ცეცხლისთვის მიეცათ. ქალების მოთქმა ისმოდა ყველა სახლში და მოედანზე, სადაც კიდევ ორი გვამი მიიტანეს. პატარა ბავშვები დედებთან ერთად ბღაოდნენ. ბღაოდა დამშეული საქონელიც, რომელსაც ვერაფერს აჭმევდნენ. მოზრდილი ბავშვები აღარ თამაშობდნენ და შეშინებული თვალებით მისჩერებოდნენ უფროსებს.

შადრევანი წაებილწათ, როგორც ჩანს, საგანგებოდ, ასე რომ, იქიდან შეუძლებელი იყო წყლის აღება. ასევე იყო წაბილწული მეჩეთიც და მოლა მუთალიმებთან ერთად ასუფთავებდა მას.

ოჯახის უხუცესები მოედანზე შეიკრიბნენ და ჩაცუცქულები თავიანთ მდგომარეობაზე ბჭობდნენ. რუსებისადმი სიძულვილზე არავინ იღებდა ხმას. გრძნობა, რომელსაც დიდიდან პატარამდე ყველა ჩაჩანი განემსჭვალა, სიძულვილზე გაცილებით ძლიერი იყო. ეს სიძულვილი კი არ იყო, არამედ ჩაჩნებს ეს რუსი ძაღლები ადამიანებად არც კი მიაჩნდათ და ისეთ საზიზღარ და სამაგელ არსებად ესახებოდათ უაზრო სისასტიკის გამო, მათი გაჟლეტის სურვილი, ისევე როგორც სურვილი ვირთაგვების, შხამიანი ობობებისა და მგლების გაჟლეტისა, ჩაჩნებისთვის თავდაცვის გრძნობასავით ბუნებრივი გრძნობა გახლდათ.

მცხოვრებთა წინაშე იდგა არჩევანი: ადგილზე დარჩენილიყვნენ მთელი ძალების დაძაბვით აღედგინათ ყველაფერი, რაც ასეთი შრომით მოაწყვეს და რაც ასე იოლად და უაზროდ გაუნადგურეს რუსებმა, და ყოველ წუთს დალოდებოდნენ იგივეს, ან რელიგიური კანონის საწინააღმდეგოდ, მიუხედავად რუსებისადმი ზიზღისა და სიძულვილის გრძნობისა, დამოჩილებოდნენ მათ.

მოხუცებმა ილოცეს და ერთსულოვნად გადაწყვიტეს შამილისთვის ელჩები გაეგზავნათ და დახმარება ეთხოვათ. გადაწყვიტეს ეს და მაშინვე შეუდგნენ დანგრეულ-გაჩანაგებულის აღდგენას.

XVIII

თავდასხმის მესამე დღეს ბუტლერი არცთუ ისე დილაადრიან უკანა პარმაღიდან გამოვიდა იმ განზრახვით, რომ გაესეირნა და სუფთა ჰაერი ჩაესუნთქა ჩაის დალევამდე. ის ჩაის ჩვეულებრივ პეტროვთან ერთად სვამდა. მზე უკვე მთებიდან ამოიწვერა და თვალს ჭრიდა ქუჩის მარჯვენა მხარეს მზით განათებული, თეთრად შელესილი ქოხები. სამაგიეროდ, როგორც ყოველთვის, სასიხარულო და დამამშვიდებელი იყო მარცხენა მხარეს ცქერა ტყეებით შემოსილი, შორს აღმართული შავი მთებისკენ და ხეობის გადაღმა მქრქალი, ერთმანეთზე გადაგრეხილი თოვლიანი მთებისკენ, რომლებიც, როგორც ყოველთვის, ცდილობდნენ თავი ღრუბლებით მოებურათ.

ბუტლერი უყურებდა ამ მთებს, ძალუმად სუნთქავდა და უხაროდა, რომ ცხოვრობდა, თანაც სწორედ ის ცხოვრობდა ამ მშვენიერ დედამიწაზე. ცოტათი უხაროდა, რომ გუშინდელ ბრძოლაში ასე კარგად ეჭირა თავი შეტევისა და განსაკუთრებით უკან დახევის დროს, როცა ბრძოლა საკმაოდ გაცხარდა, იმაზე მოგონებაც ახარებდა, რომ გუშინ, ლაშქრობიდან დაბრუნებულებს, მაშა, ანუ მარია დმიტრიევნა, პეტროვის საყვარელი გაუმასპინძლდა მათ და ყველას ალერსიანად და უბრალოდ ექცეოდა, მაგრამ, როგორც ბუტლერს მოეჩვენა, განსაკუთრებით მისდამი იყო ალერსიანი. მარია დმიტრიევნა გრძელი ნაწნავებით, ფართო ბეჭებით, მაღალი მკერდით და ჭორფლიან, კეთილ სახეზე გადაფენილი ღიმილით უნებლიეთ იზიდავდა ბუტლერს, როგორც ღონიერ ახალგაზრდა უცოლო კაცს. უფრო მეტიც, ბუტლერს მოეჩვენა, რომ მარია დმიტრიევნას მისი სიახლოვე სურდა, მაგრამ ბუტლერს ეს კეთილი და გულუბრყვილო მეგობრის შეურაცხყოფად მიაჩნდა და მარია დმიტრიევნას უბრალოდ, მოკრძალებით ექცეოდა, რაც ძალიან უხაროდა. ახლა ბუტლერი ამაზე ფიქრობდა.

მისი ფიქრები გაფანტა მტვრიან გზაზე ცხენების ფლოქვების ხშირმა თქარუნმა, თითქოს რამდენიმე მხედარი მის პირდაპირ მოჰქროდა. ბუტლერმა თავი ასწია და ქუჩის ბოლოს მოახლოებული მხედრების გუნდი დაინახა. ოცი კაზაკის წინ ორი ცხენოსანი მოდიოდა. ერთს ეცვა ჩოხა-ახალუხი და მაღალი ჩალმიანი ფაფახი ეხურა, მეორე - რუსთა სამსახურის ოფიცერი, შავგვრემანი, ცხვირკეხიანი მხედარი - ლურჯ ჩოხა-ახალუხში იყო და იარაღი და ტანისამოსი ვერცხლით უხვად ჰქონდა მოსევადებულ-მოსირმული. ჩალმიანი მხედარი იჯდა კოხტა ქურა ცხენზე, რომელსაც პატარა თავი და შესანიშნავი თვალები ჰქონდა. ოფიცერი კი მაღალ, კოხტა ყარაბაღულ ცხენზე იჯდა. ცხენების მოტრფიალე ბუტლერმა მაშინვე შეაფასა პირველი ცხენის ძალგულოვნება და შეჩერდა, მხედართა ვინაობა რომ გაეგო. ოფიცერმა ბუტლერს მიმართა.

- სამხედროს უფროსის სახლი ეს არის? - იკითხა მან ისეთი უშნო რუსულითა და გამოთქმით, რომ თავისი არარუსული წარმოშობა გაამჟღავნა და ივან მატვეევიჩის ბინაზე მათრახით მიუთითა.

- სწორედ ეს გახლავთ, - მიუგო ბუტლერმა.

- ეს ვინღაა? - ჰკითხა ბუტლერმა, როცა ოფიცერს მიუახლოვდა და ჩალმიან კაცზე თვალით ანიშნა.

- ჰაჯი-მურატია. აქეთ წამოვიდა, ჯარის უფროსის სტუმარი იქნება, - მიუგო ოფიცერმა.

ბუტლერს გაგონილი ჰქონდა ჰაჯი-მურატის რუსების მხარეზე გადმოსვლის ამბავი, მაგრამ სულ არ მოელოდა, თუ მას აქ, ამ პატარა ციხესიმაგრეში ნახავდა.

ჰაჯი-მურატი მეგობრულად შესცქეროდა მას.

- გამარჯობა, კოშკოლდი, - მიესალმა ბუტლერი შესწავლილი თათრული სიტყვებით.

- საუბულ, - მიუგო ჰაჯი-მურატმა და თავი დაუკრა. ცხენით მივიდა ბუტლერთან და გაუწოდა ხელი, რომლის ორ თითზე მათრახი ეკიდა.

- უფროსი ხარ? - შეეკითხა იგი.

- არა. უფროსი იქ არის. წავალ და დავუძახებ, - მიმართა ოფიცერტს ბუტლერმა, კიბეზე აირბინა და კარს ხელი ჰკრა.

„საპარადო პარმაღის“ კარი, როგორც მარია დმიტრიევნა ეძახდა, დაკეტილი აღმოჩნდა. ბუტლერმა დააკაკუნა, მაგრამ არავინ გასცა პასუხი და სახლს უკანა შესასვლელიდან მოუარა. დაუძახა თავის დენშჩიკს, მაგრამ რაკი არავინ გამოეხმაურა და ორი დენშჩიკიდან ვერც ერთი ვერ ნახა, სამზარეულოში შევიდა. თავსაფარწაკრულ და ლოყებშეფაკლულ მარია დმიტრიევნას თეთრ, ხორცსავსე ხელებზე სახელო აეკაპიწებინა და მისივე ხელებივით თეთრ, ფაფუკ ცომს პატარ-პატარა ნაჭრებად ანაწილებდა ღვეზელებისთვის.

- სად გადაიკარგნენ დენშჩიკები? - ჰკითხა ბუტლერმა.

- დასალევად წავიდნენ, - უთხრა მარია დმიტრიევნამ, - თქვენ რა გნებავდათ?

- კარის გაღება მინდოდა. თქვენს ჭიშკართან მთიელების მთელი ხროვაა. ჰაჯი-მურატი გვეწვია.

- იტყვით რაღა თქვენც, - ღიმილით შენიშნა მარია დმიტრიევნამ.

- არ ვხუმრობ, მართალს გეუბნებით. პარმაღთან დგანან.

- ნუთუ მართლა? - გაიკვირვა მარია დმიტრიევნამ.

- რა ძალა მადგა მოვიგონო? მიდით, ნახეთ, პარმაღთან დგანან.

- აი, სეირი თუ გინდა? - თქვა მარია დმიტრიევნამ, სახელოები ჩამოუშვა და მსხვილ ნაწნავებში სარჭები მოსინჯა. - მაშ, წავალ და ივან მატვეევიჩს გავაღვიძებ.

- არა, მე თვითონ წავალ. შენ კი, ბონდარენკო, კარები გააღე, - თქვა ბუტლერმა.

- ჰოდა, მით უკეთესი - უთხრა მარია დმიტრიევნამ ბუტლერს და საქმე განაგრძო.

ივან მატვეევიჩმა უკვე იცოდა, რომ ჰაჯი-მურატი გროზნოში იყო და მისი მოსვლა დიდად არ გაჰკვირვებია. წამოდგა, პაპიროსი გაახვია, მოუკიდა და ჩაცმას შეუდგა, თან ხმამაღლა ახველებდა და ბუზღუნებდა უფროსებზე, რომ „ეს ეშმაკი“ გამოუგზავნეს. როცა ჩაიცვა, დენშჩიკს „წამალი“ მოსთხოვა. დენშჩიკმა იცოდა, რომ ეს „წამალი“ არაყი იყო, და მაშინვე მიართვა.

- ნარევზე უარესი არაფერი არაა, - ჩაიბუზღუნა ივან მატვეევიჩმა, როცა არაყი გადაჰკრა და შავი პური დააყოლა. - აი, გუშინ ჩიხირი დავლიე და თავი მტკივა. ახლა კი მზადა ვარ, - დაამთავრა მან და სასტუმრო ოთახში გავიდა, სადაც ბუტლერს უკვე შემოეყვანა ჰაჯი-მურატი და მისი თანამგზავრი ოფიცერი.

ჰაჯი-მურატის თანმხლებმა ოფიცერმა ივან მატვეევიჩს გადასცა მარცხენა ფლანგის უფროსის ბრძანება: მიეღო ჰაჯი-მურატი, ნება დაერთო მისთვის მსტოვრების მეშვეობით კავშირი ჰქონოდა მთიელებთან, მაგრამ სიმაგრიდან კაზაკების ბადრაგის გარეშე არ გაეშვა.

ქაღალდის წაკითხვის შემდეგ ივან მატვეევიჩი დაჟინებით მიაჩერდა ჰაჯი-მურატს, მერე ისევ ქაღალდს დააცქერდა. ასე რამდენიმეჯერ გადაიტანა თვალები ქაღალდიდან სტუმარზე, ბოლოს მზერა ისევ ჰაჯი-მურატზე შეაჩერა და თქვა: იახში ბეკ-იახში! დაე, იცხოვროს. ასე გადაეცი, რომ ნაბრძანები მაქვს არსად გავუშვა. ხოლო რაც ნაბრძანებია, ის ზუსტად უნდა შესრულდეს. სად მოვათავსოთ, როგორ ფიქრობ, ბუტლერ? კანცელარიაში?

ბუტლერმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, რომ მარია დმიტრიევნამ, რომელიც სამზარეულოდან გამოსულიყო და კართან იდგა, ივან მატვეევიჩს მიმართა: - რატომ კანცელარიაში? აქ მოათავსეთ, საყონაღო და საკუჭნაო მივცეთ, ყოველ შემთხვევაში, თვალწინ იქნება, - თქვა მან და ჰაჯი-მურატს შეხედა, მაგრამ, როცა მის თვალებს შეეფეთა, სწრაფად შებრუნდა.

- მართლაც და, ჩემის აზრით, მარია დმიტრიევნა მართალია, - თქვა ბუტლერმა.

- აბა, აბა, მოეშვი, დედაკაცებს ამ საქმეში არაფერი ესაქმებათ. - შეიჭმუხნა შუბლი ივან მატვეევიჩმა.

მთელი საუბრის განმავლობაში ჰაჯი-მურატი ხანჯლის ვადაზე ხელჩამოდებული იჯდა და ოდნავი ზიზღით იღიმებოდა. მერე თქვა, ჩემთვის სულ ერთია სადაც ვიცხოვრებ, ერთადერთი, რაც მჭირდება და რისი უფლებაც მომცა სარდარმა, ისაა, რომ ახლო ურთიერთობა მქონდეს მთიელებთან და ამიტომ მსურს მთიელები ყოველთვის შემოუშვან ჩემთანო. ივან მატვეევიჩი ამის შესრულებას დაჰპირდა და ბუტლერს სთხოვა, სტუმრები გაერთო მანამ, სანამ მათ საუზმეს მოუტანდნენ და ოთახს მოუმზადებდნენ, თვითონ კი კანცელარიაში საჭირო ქაღალდების დასაწერად და განკარგულების გასაცემად გავიდა.

ახალ ნაცნობებთან ჰაჯი-მურატის ურთიერთობა ამთავითვე ცხადი გახდა. პირველი გაცნობიდანვე ჰაჯი-მურატმა ივან მატვეევიჩისადმი ზიზღი და სიძულვილი იგრძნო და ყოველთვის ქედმაღლურად მიმართავდა მას. მარია დმიტრიევნა, რომელიც საჭმელს უმზადებდა და მოჰქონდა, განსაკუთრებით მოსწონდა. მოსწონდა ამ ქალის უბრალოებაც და მისთვის უცხო ეროვნების განსაკუთრებული სილამაზეც. და მან შეუცნობლად იგრძნო ისიც, რომ მოეწონა მარია დმიტრიევნას. ჰაჯი-მურატი

ცდილობდა არ ეყურებინა მისთვის, არ ელაპარაკა მასთან, მაგრამ თვალები ძალაუნებურად მისკენ გაურბოდა და მის ყოველ მიხრა-მოხრას აკვირდებოდა.

ჰაჯი-მურატს მაშინვე, პირველი გაცნობისთანავე დაუმეგობრდა, ბევრსა და ხალისიანად ესაუბრებოდა, ეკითხებოდა მისი ცხოვრების შესახებ, უყვებოდა თავის თავგადასავალსაც და უამბობდა იმ ცნობებზეც, რომლებიც მსტოვრებს მოჰქონდათ მისი ოჯახის თაობაზე, და ხანდახან ეთათბირებოდა კიდეც, როგორც მოქცეულიყო.

ცნობები, რომელსაც ჰაჯი-მურატი მსტოვრებისგან იგებდა, სასიამოვნო არ იყო, ოთხი დღის განმავლობაში, რაც ის ციხესიმაგრეში მოვიდა, მსტოვრები ორჯერ მოვიდნენ მასთან და ორჯერვე ცუდი ცნობები მოუტანეს.

XIX

რუსების მხარეზე ჰაჯი-მურატის გადასვლის ცოტა ხნის შემდეგ, მისი ოჯახი დაპატიმრებული ჩაიყვანეს აულ ვედენოში, სადაც ელოდნენ შამილის განკარგულებას. ფატიმათი, ჰაჯი-მურატის ორი ცოლი და ხუთი პატარა ბავშვი ასისთავ იბრაგიმ რაშიდის სახლში ცხოვრობდნენ და გუშაგები ედგათ; ჰაჯი-მურატის თვრამეტი წლის ვაჟი იუსუფი კი დილეგში, ანუ ერთ საჟენზე უფრო ღრმად ამოთხრილ ორმოში იჯდა ოთხ დამნაშავესთან ერთად, რომლებიც მასავით თავიანთ განაჩენს ელოდებოდნენ.

განაჩენი კი არ გამოჰქონდათ, რადგან შამილი ვედენოში არ იმყოფებოდა. ის რუსების დასალაშქრავად იყო წასული.

1852 წლის 6 იანვარს, შამილი შინ, ვედენოში, ბრუნდებოდა რუსებთან ბრძოლის შემდეგ. ამ ბრძოლაში შამილი, რუსების აზრით, დამარცხდა და ვედენოში გაიქცა, ხოლო მისი და ყველა მიურიდის აზრით, გაიმარჯვა და რუსები გარეკა. ამ ბრძოლაში შამილმა თვითონ გაისროლა შაშხანა და ხმალშემართული პირდაპირ რუსების განლაგებაში აპირებდა შეჭრას, რაც იშვიათი შემთხვევა იყო, მაგრამ თანმხლებმა მიურიდებმა შეაკავეს. ორი მიურიდი იქვე, შამილის გვერდით მოკლეს.

შუადღე იქნებოდა, როცა შამილი თავის საცხოვრებელ ადგილას მივიდა. მას გარს ეხვია მოჯირითე მიურიდები. მიურიდები შაშხანებსა და დამბაჩებს ისროდნენ და განუწყვეტლივ მღეროდნენ - ,,ლა ილახა ილ ალა“.

დიდი აულის ვედენოს მთელი ხალხი თავისი მბრძანებლის შესაგებებლად გამოვიდა, ქუჩებსა და სახლის ბანებზე გამოეფინა და ზარზეიმის ნიშნად თვითონაც შაშხანებსა და დამბაჩებს ისროდა. შამილი იჯდა თეთრ არაბულ ცხენზე, რომელიც შინ მიახლოებისას გახალისდა და ლაგმის წაყრას ცდილობდა. მისი ცხენის მორთულობა ძალზე უბრალო იყო: არავითარი ოქრო-ვერცხლი მას არ ჰქონდა. ფაქიზად გამოყვანილი, შუაში ზოლგავლებული წითელი ღვედის აღვირი, ჭიქის მოყვანილობის ლითონის უზანგები და უნაგირს ქვევით წითელი ყაჯარი - ეს იყო და ეს. მაღალ, ახოვან ტანზე იმამს ყავისფერი მაუდგადაკრული ქურქი ეცვა, რომელსაც საყელოსა და სახელოზე შავი ბეწვი ეკერა. წერწეტა წელზე მაგრად ჰქონდა შემოჭერილი შავი ქამარ-ხანჯალი. თავზე ეხურა ბრტყელთავიანი და შავფოჩიანი მაღალი ფაფახი, რომლის ირგვლივ შემოვლებული იყო თეთრი ჩალმა, ჩალმის ბოლო

კისერზე ედებოდა. ფეხზე მწვანე წაღები ეცვა, წვივებზე კი მოუჩანდა უბრალო ზონრით ამოკერილი შავი პაჭიჭები.

საერთოდ, იმამს არ ჰქონდა არავითარი ბრჭყვიალა ნივთი, ოქროსი თუ ვერცხლისა. სადა ტანსაცმელში გამოწყობილი იმამის მაღალი, სწორი, ძალუმი ფიგურა, ძვირფასი სამოსით მორთული და ოქროვერცხლით ნაჭედ იარაღში ჩამჯდარი მიურიდებით გარშემორტყმული, ხალხზე სიდიადის სწორედ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორიც შამილს სურდა. მუდამ თვალებმოჭუტულ შამილს წითური შეკრეჭილი წვერით შემოქობილი ფერმკრთალი სახე ქვასავით გაშეშებული, სრულიად უძრავი ჰქონდა. აულში გავლის დროს გრძნობდა, რომ მას მისჩერებოდა ათასობით თვალი, მაგრამ თვითონ არავის არ უყურებდა. ჰაჯი-მურატის ცოლებიც თავიანთი ბავშვებითურთ დერეფანში გამოსულიყვნენ და ქოხის ყველა მკვიდრთან ერთად იმამის შემოსვლას უყურებდნენ. მხოლოდ ერთი, მოხუცი ფატიმათი, ჰაჯი-მურატის დედა, არ გამოვიდა გარეთ და ჭაღარა თმაგაშლილი იჯდა, გრძელი ხელები გამხდარ მუხლებზე შემოეჭდო და შავი, სუსხიანი, მოჭუტული თვალები ბუხარში მინავლებული ფიჩხისთვის მიეშტერებინა. ისევე, როგორც თავის შვილს, მუდამ სძულდა შამილი, ახლა კი უფრო მეტად სძულდა, ვიდრე უწინ, და არ უნდოდა მისი ნახვა.

შამილის საზეიმო შემოსვლას ვერც ჰაჯი-მურატის ვაჟი ხედავდა. მას მყრალ ორმოში მხოლოდ სროლა და სიმღერა ესმოდა და იტანჯებოდა ისე, როგორც იტანჯებიან თავისუფლებაწართმეული ახალგაზრდები, სიცოცხლით სავსე ადამიანები. მყრალ ორმოში უყურებდა მასთან ერთად დამწყვდეულ, მასავით უბედურ, ჭუჭყიან და ქანცგამოლეულ მსჯავრდადებულთ, რომელთაც მეტწილად ერთმანეთი ეჯავრებოდათ, და ძალიან შურდა ახლა იმ ადამიანებისა, ჰაერით, სინათლითა და თავისუფლებით რომ სარგებლობდნენ, თავიანთი მბრძანებლის ირგვლივ მარდი ცხენებით ჯირითობდნენ და ხმაშეწყობილად მღეროდნენ - „ლა ილახა ილ ალა“.

შამილმა აული გაიარა და შევიდა დიდ ეზოში, რომელსაც შიგნით მეორე ეზო ჰქონდა. იმ მეორე ეზოში მოთავსებული იყო მისი სერალი. ორი შეიარაღებული ლეკი შამილს პირველი ეზოს გაღებულ ჭიშკართან შემოეგება. ეს ეზო ხალხს აევსო. ვის არ ნახავდით აქ. შორეული კუთხეებიდან იყვნენ აგრეთვე გასამართლებისა და განაჩენის გამოსატანად თვითონ შამილის მიერ გამოწვეულებიც. ეზოში შამილის შემოსვლის დროს ყელა იქ მყოფი წამოდგა, მკერდზე ხელი მიიდეს და მოწიწებით მიესალმნენ იმამს. ზოგიერთმა მუხლზე დაიჩოქა და ასე იყვნენ მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ შამილი გარეთა ჭიშკრიდან შიგნითა ჭიშკართან არ მოვიდა. შამილმა მომლოდინეთა შორის შეიცნო ბევრი მისთვის არასასიამოვნო პირი და ზოგიერთი თავმომაბეზრებელი მთხოვნელიც, რომლებიც მის მზრუნველობას მოითხოვდნენ, მაგრამ იმათაც ისეთივე უცვლელი, გაქვავებული სახით ჩაუარა, შიგნითა ეზოში გავიდა და ჭიშკრის მარცხნივ თავისი ბინის დერეფანთან ცხენიდან ჩამოხტა.

ლაშქრობაში შამილი იმდენად ფიზიკურად არ იყო დაძაბული, რამდენადაც სულიერად. მართალია, ეს ლაშქრობა გამარჯვებად იქნა აღიარებული საჯაროდ, მაგრამ შამილმა იცოდა, რომ სინამდვილეში ეს იყო დამარცხება, რომ ჩაჩნების ბევრი აული გადაწვეს და ააოხრეს, რომ ცვალებადი ხასიათის, ქარაფშუტა ჩაჩანი ხალხი მერყეობდა, რომ რუსებთან ახლო მცხოვრებნი უკვე მზად იყვნენ მათკენ გადასასვლელად, - ყველაფერი ეს ძალიან აწუხებდა შამილს, ამის საწინააღმდეგო

ზომები უნდა მიეღო, მაგრამ ამ წუთში არაფრის გაკეთება არ უნდოდა, არაფერზე ფიქრი არ სურდა. ეწადა მხოლოდ ერთი რამ: თავისი ცოლებიდან ყველაზე უფრო საყვარელ, თვრამეტი წლის შავთვალა, ფეხმარდ, ტანწერწეტა ქისტის ქალ ამინეთთან დასვენება და ოჯახური ალერსი.

მაგრამ ახლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ფიქრი ამინეთის ნახვაზე, რომელიც აქვე, ღობის გადაღმა იყო. ეს ღობე ჰყოფდა შიგ ეზოში ქალების ბინასა და მამაკაცების განყოფილებას ერთმანეთისაგან. შამილი დარწმუნებული იყო, რომ ახლაც კი, ცხენიდან მის ჩამოქვეითებამდე, ამინეთი სხვა ცოლებთან ერთად ღობის ჭუჭრუტანიდან უყურებდა მას. მაგრამ შამილს არამცთუ ცოლთან მისვლა, დაღლილ-დაქანცულს ბალიშზე წამოწოლაც კი არ შეეძლო. საქმე ის იყო, რომ, უპირველეს ყოვლისა, შუადღის ნამაზი უნდა შეესრულებინა, ამის გუნებაზე კი სრულიად არ გახლდათ, მაგრამ ხალხის რელიგიურ წინამძღოლს არ შეეძლო თავი აერიდებინა ნამაზისათვის ისევე, როგორც არ შეეძლო უარი ეთქვა ყოველდღიურ საჭმელზე. ამიტომ განიბანა და ილოცა. ლოცვის დამთავრების შემდეგ მომლოდინე ხალხის მიღება დაიწყო.

პირველი შემოვიდა მისი სიმამრი და მასწავლებელი, მაღალი, ჭაღარა, კეთილსახიერი, თოვლივით თეთრწვერა და ლოყებღაჟღაჟა მოხუცი ჯემალ-ედინი. ჯემალ-ედინმა ჯერ ილოცა, მერე შამილს ლაშქრობის ამბები გამოჰკითხა და თავის მხრივ მოუყვა, მისი არყოფნის დროს მთაში რაც მოხდა.

ათასგვარ ამბებთან ერთად - რომლებიც ეხებოდა სისხლის აღების ნიადაგზე მკვლელობას, საქონლის ქურდობას, თარიკათის კანონის დარღვევას, თამბაქოს მოწევას და ღვინის სმას, - ჯემალ-ედინმა აცნობა: ჰაჯი-მურატმა კაცები გამოგზავნა თავისი ოჯახის რუსებთან გადასაყვანად, მაგრამ ეს ამბავი გაიგეს და ოჯახი გადმოიყვანეს ვედენოში; აქ კი გუშაგები მიუჩინეს და იმამის გადაწყვეტილებას ელოდებიანო. მეზობელ საყონაღოში მოხუცები შეკრებილიყვნენ ყველა ამ საქმის გასარჩევად და ჯემალ-ედინმა შამილს ურჩია ისინი დღესვე გაეშვა, რადგან იმამს სამი დღე ელოდებოდნენ.

სადილის შემდეგ შამილი საყონაღოში გავიდა. სადილი მას ცხვირწაწვეტილმა, შავგვრემანმა, უსიამოვნო შესახედაობის და უკვე მობეზრებულმა, მაგრამ უფროსმა მეუღლემ ზაიდათმა მიართვა.

ექვსი კაცი, შამილის საბჭოს წევრები, ჭაღარა, ნაცრისფერ და მწითურწვერიანი, ჩალმიანი და უჩალმო, ფაფახებსა, ახალ ახალუხებსა და ჩოხებში გამოწყობილი, ქამარ-ხანჯალ შემორტყმული მოხუცები შამილს ფეხზე წამოუდგნენ. შამილი მთელი თავით მაღალი იყო თითოეულ მათგანზე. მასავით ყველამ ხელისგული მაღლა აღაპყრო და თვალდახუჭულებმა წარმოთქვეს ლოცვები, მერე სახეზე და წვერებზე ჩამოისვეს ხელები და შეატყუპეს. ლოცვის დამთავრების შემდეგ ყველანი დასხდნენ, შამილი უფრო მაღალ ბალიშზე ჩამოჯდა შუაში და დაიწყეს საქმეების განხილვა.

ბრალდებულთა საქმეები შარიათის მიხედვით წყდებოდა: ორ კაცს ქურდობისათვის ხელების მოჭრა მიუსაჯეს, ერთს მკვლელობისათვის - თავის მოკვეთა, ხოლო სამი შეიწყალეს. მერე შეუდგნენ მთავარ საქმეს: რუსების მხარეზე ჩაჩანთა გადასვლის საწინააღმდეგო ზომების განხილვას. ამ გადასვლების აღსაკვეთად ჯემალ-ედინს შედგენილი ჰქონდა შემდეგი მიმართვა: ,,გისურვებთ ყოვლისშემძლე ღმერთთან

მარადიულ სიმშვიდეს. მესმის, რომ რუსები გეფერებიან და მორჩილებისკენ მოგიწოდებენ. ნუ დაუჯერებთ მათ და ნუ დაემორჩილებით, მოთმინება იქონიეთ. თუ ამისათვის ამ ცხოვრებაში ვერ დაჯილდოვდებით, ჯილდოს მომავალში მიიღებთ. მოიგონეთ, რა იყო წინათ, როცა თქვენ იარაღს გართმევდნენ, მაშინ 1840 წელს, ღმერთს რომ თქვენთვის არ შეეგონებინა, უკვე ჯარისკაცები იქნებოდით და ხანჯლების ნაცვლად ხიშტებით ივლიდით, ხოლო თქვენი ცოლები - უშარვლოდ ივლიდნენ და შეურაცხყოფილნი იქნებოდნენ. განსაჯეთ მომავალი წარსულის მიხედვით. ჯობს, რუსების მტრებად დაიხოცოთ, ვიდრე იცხოვროთ ურწმუნოებთან. იქონიეთ მოთმინება, ხოლო მე ყურანითა და ხმლით წაგიძღვებით რუსების წინააღმდეგ. ახლა კი სასტიკად გიბრძანებთ, არათუ განიზრახოთ, ფიქრადაც არ გაივლოთ, რომ რუსებს დაემორჩილოთ“.

შამილმა მოიწონა ეს მიმართვა, ხელი მოაწერა და გადაწყვიტა, დაეგზავნა იგი ჩაჩნებისთვის.

ამის შემდეგ ჰაჯი-მურატის საქმეც განიხილეს. შამილისათვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმე იყო. თუმცა არ უნდოდა ეღიარებინა, მაგრამ იცოდა, ჰაჯი-მურატი თავისი სიმარდით, გამბედაობითა და სიმამაცით მასთან რომ ყოფილიყო, შესაძლოა ისეთი რამ არ დამართნოდა, რაც ახლა ჩაჩნეთში მოუვიდა. კარგი იქნებოდა ჰაჯი-მურატს შერიგებოდა და მისი დახმარებით კვლავაც ესარგებლა, მაგრამ თუ ეს შეუძლებელი გახდებოდა, არც ის უნდა მოეთმინათ, რომ ჰაჯი-მურატი რუსებს დახმარებოდა. ამიტომ ყოველგვარი ღონე უნდა ეხმარათ, როგორმე გადმოეტყუებინათ იგი მოსვლისთანავე მოეკლათ. საამისო საშუალება იყო ის, რომ ან თბილისში უნდა გაეგზავნა კაცი, რომელიც ჰაჯი-მურატს მოკლავდა იქვე, ან გამოეტყუებინათ და აქ გასწორებოდნენ. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად შეიძლებოდა გამოეყენებინათ ერთი რამ - ჰაჯი-მურატის ოჯახი, უმთავრესად მისი ვაჟი. შამილმა იცოდა, რომ ჰაჯი-მურატს იგი ძალიან უყვარდა. ამიტომაც შვილის მეშვეობით უნდა ემოქმედათ.

როცა მრჩევლებმა ამაზე მოითათბირეს, შამილმა თვალები დახუჭა და გაჩუმდა.

მრჩევლებმა იცოდნენ, რომ ახლა შამილი წინასწარმეტყველის ხმას უსმენდა, რომელიც შთააგონებდა იმას, რაც უნდა გაკეთებინა. ხუთწუთიანი საზეიმო დუმილის შემდეგ შამილმა თვალები გაახილა, მერე კიდევ უფრო მეტად მოჭუტა და თქვა: - ჰაჯი-მურატის ვაჟი მომიყვანეთ.

- აქ გახლავთ, - უთხრა ჯემალ-ედინმა.

მართლაც იუსუფი, ჰაჯი-მურატის ვაჟი, გამხდარი, ფერმკრთალი, ჩამოფხრეწილ-ჩამოკონკილი და აქოთებული, მაგრამ მაინც ლამაზი თავისი სახე-ტანადობით და ბებია ფატიმათივით მწველი შავი თვალებით, უკვე იდგა გარეთა ეზოს ჭიშკართან და გამოძახებას ელოდებოდა.

იუსუფი არ იზიარებდა მამის გრძნობებს შამილის მიმართ. მან არ იცოდა ყველაფერი, რაც მოხდა წარსულში, ან თუ იცოდა, ვერ განეცადა იგი და ვერ გაეგო, რატომ ეწინააღმდეგებოდა ასე ჯიუტად ჰაჯი-მურატი შამილს. მას მხოლოდ ერთი რამ სურდა: როგორც ნაიბის შვილს კვლავ განეგრძო ის მსუბუქი და იოლი ცხოვრება, როგორსაც ხუნძახში ატარებდა და შამილისადმი მტრობა სრულიად ზედმეტად

ეჩვენებოდა. მამის წინააღმდეგ და სრულიად საპირისპიროდ მის განსაკუთრებულად ხიბლავდა შამილი და თაყვანს სცემდა ისე, როგორც ყველა სცემდა თაყვანს შამილს მთებში. იუსუფი ახლა მოკრძალების განსაკუთრებული გრძნობით შევიდა იმამთან საყონაღოში, კარებთან გაჩერდა და შამილის მოჭუტულ, დაჟინებით მომზირალ თვალებს შეეფეთა მისი თვალები, იუსუფი ერთხანს იდგა, მერე მივიდა შამილთან და მის გრძელთითებიან თეთრ ხელს ეამბორა.

- შენ ჰაჯი-მურატის შვილი ხარ?

- გახლავარ, იმამო.

- შენ იცი, რა ჩაიდინა მან?

- ვიცი, იმამო, და ვწუხვარ ამის გამო.

- წერა იცი?

- ვემზადებოდი, რომ მოლა გავმხდარიყავი.

- მაშ მისწერე მამაშენს, თუ ბაირამობამდე ისევ უკან გადმოვა ჩემთან, ვაპატიებ და ყველაფერი ძველებურად იქნება. თუ უარს მეტყვის და რუსებთან დარჩება, მაშინ, - შამილმა მრისხანედ შეკრა წარბები, - ბებიაშენს და დედაშენს აულებში ვათრევ, ხოლო შენ თავს წაგაცლი.

იუსუფის სახეზე ერთი ნაკვთიც არ შეთრთოლებულა. მან თავი დახარა ნიშნად იმისა, რომ შამილის სიტყვები გაიგო.

- დაწერე ასე და ჩემს რწმუნებულს გადაეცი.

შამილი გაჩუმდა და დიდხანს შეჰყურებდა იუსუფს.

- მისწერე, რომ შეგიბრალე და კი არ მოგკლავ, თვალებს დაგთხრი, ისევე როგორც ყველა მოღალატეს. წადი!

შამილთან ყოფნის დროს იუსუფი დამშვიდებული ჩანდა, მაგრამ, როცა საყონაღოდან გაიყვანეს, ეძგერა იმას, ვინაც მოიყვანა, ქარქაშიდან ხანჯალი ამოუძრო და უნდოდა თავი მოეკლა, მაგრამ ხელებში ეცნენ, შეკრეს და კვლავ ორმოში ჩააგდეს.

იმ საღამოს, როცა მწუხრის ლოცვა დამთავრდა და ბინდი ჩამოდგა, შამილმა თეთრი ქურქი მოისხა, ღობის იქით, ეზოს იმ ნაწილში გავიდა სადაც მისი ცოლები იმყოფებოდნენ, და ამინეთის ოთახისკენ გაემართა. მაგრამ ამინეთი იქ არ დაუხვდა. იგი უფროს ცოლებთან იყო. მაშინ შამილი ამინეთის მოლოდინში ოთახის კარს უკან დადგა, ცდილობდა არავის შეემჩნია. ამინეთი შამილზე გაბრაზებული იყო, რადგან მან აბრეშუმის საკაბე მას კი არა, ზაიდეთს აჩუქა. ამინეთი ახლა ხედავდა, როგორ გამოვიდა შამილი და შევიდა მის ოთახში, როგორ ეძებდა მას, მაგრამ ამინეთი განგებ არ შევიდა თავის ოთახში. დიდხანს იდგა ზაიდეთის ოთახის კართან, ჩუმად იცინოდა და უთვალთვალებდა თეთრ ფიგურას, რომელიც მის ოთახში ხან შედიოდა და ხან გამოდიოდა. ამაო ლოდინის შემდეგ შამილი შუაღამის ლოცვის დროს დაბრუნდა თავის ოთახში.

XX

ციხესიმაგრეში, ივან მატვეევიჩის სახლში, ჰაჯი-მურატმა ერთი კვირა იცხოვრა. მარია დმიტრიევნა, თუმცა ეჩხუბებოდა ბანჯგვლიან ხანეფის (ჰაჯი-მურატმა მხოლოდ ორი ნუქერი წამოიყვანა - ხანეფი და ელდარი) და ერთხელ სამზარეულოდან გამოაგდო კიდეც, რისთვისაც ხანეფიმ კინაღამ მოკლა იგი, მაინც განსაკუთრებული გრძნობით, პატივისცემითა და კეთილად იყო განწყობილი ჰაჯი-მურატისადმი. მართალია, მარია დმიტრიევნას ახლა აღარ მოჰქონდა სადილი ჰაჯი-მურატისთვის, რადგან ეს საქმე ელდარს გადააბარა, მაგრამ ყოველი შემთხვევით სარგებლობდა, რომ ენახა და ესიამოვნებინა მისთვის. მარია დმიტრიევნა ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ჰაჯი-მურატის ოჯახის თაობაზე მოლაპარაკებაში, იცოდა რამდენი ცოლი ჰყავდა მას, რამდენი ბავშვი, რა ასაკისანი იყვნენ და ყოველთვის მსტოვრის მოსვლის შემდეგ, ვისი დაკითხვაც შეეძლო, ეკითხებოდა მოლაპარაკების შედეგებზე.

ბუტლერი კი ამ ერთ კვირაში სულ დაუმეგობრდა ჰაჯი-მურატს. ხან ჰაჯი-მურატი შედიოდა ბუტლერის ოთახში, ხანაც ბუტლერი ესტუმრებოდა ხოლმე. ზოგჯერ ისინი თარჯიმნის მეშვეობით ლაპარაკობდნენ, ზოგჯერაც, როგორც შეეძლოთ - რაღაც ნიშნებით ლაპარაკობდნენ ღიმილით. ჰაჯი-მურატს, ეტყობოდა, შეუყვარდა ბუტლერი. ეს ჩანდა ბუტლერისადმი ელდარის დამოკიდებულებაშიც. როცა ბუტლერი ჰაჯი-მურატის ოთახში შევიდოდა, გახარებული ელდარი თეთრ, ქათქათა კბილებს გამოანათებდა, მაშინვე დასაჯდომად ბალიშს დაუდებდა და თუ ხმალიც თან ჰქონდა, ჩამოართმევდა.

ბუტლერი გაეცნო და ასევე დაუმეგობრდა ჰაჯი-მურატის ძმადნაფიცს, ბანჯგვლიან ხანეფისაც. ხანეფიმ მრავალი მთიულური სიმღერა იცოდა და კარგადაც მღეროდა მათ. ჰაჯი-მურატი ბუტლერის საამებლად ხანეფის დაუძახებდა და იმ სიმღერებს ამღერებდა, რომლებიც მას მოსწონდა. ხანეფის მაღალი ტენორი ჰქონდა და მღეროდა არაჩვეულებრივად მკაფიოდ და ოსტატურად. ჰაჯი-მურატს ერთი სიმღერა განსაკუთრებით მოსწონდა; ამ სიმღერამ ბუტლერი გააკვირვა საზეიმო-სევდიანი ჰანგით. ბუტლერმა თარჯიმანს სთხოვა, ეთქვა სიმღერის შინაარსი, და ჩაიწერა. სიმღერა სისხლის აღებას ეხებოდა, სწორედ ისეთს, როგორიც ხანეფისა და ჰაჯი-მურატს შორის მოხდა.

სიმღერის შინაარსი ასეთი იყო: ,,გახმება ჩემს სამარეზე მიწა და შენც დამივიწყებ, ჩემო მშობელო დედავ, წამოიზრდება საფლავზე სამარის ბალახი და ის მწუხარებას ჩაგიხშობს, ჩემო მოხუცო მამავ, ჩემს დას თვალებზე ცრემლი შეაშრება და დარდიც გადაეყრება გულიდან.

მაგრამ შენ ვერ დამივიწყებ, უფროსო ძმაო, სანამ ჩემი სიკვდილისთვის შურს არ იძიებ. არც შენ დამივიწყებ, ჩემო მეორე ძმაო, სანამ ჩემ გვერდით არ დაწვები.

ცხელი ხარ, ტყვიავ, და სიკვდილიც მოგაქვს, მაგრამ განა შენ არ იყავი ჩემი ერთგული მონა? შავო მიწავ, შენ დამეყრები გულზე, მაგრამ განა შენ არ გტკეპნიდი ჩემი ცხენით? ცივი ხარ შენ, სიკვდილო, მაგრამ მე ვიყავი შენი ბატონი. ჩემს ხორცს მიწა მიიბარებს, სულს კი ზეცა მიიღებს“.

ჰაჯი-მურატი ამ სიმღერას ყოველთვის თვალდახუჭული უსმენდა. როცა სიმღერა გაბმული, მინელებულ ხმით დამთავრდებოდა, ყოველთვის რუსულად იტყოდა: - კარგი სიმღერაა, ჭკვიანური სიმღერაა.

არაჩვეულებრივი, ძალუმი მთის ცხოვრების პოეზია ბუტლერმა ჰაჯი-მურატთან და მის მიურიდებთან დაახლოების შემდეგ კიდევ უფრო შეიყვარა. მან ჩოხა-ახალუხი და პაჭიჭები შეიძინა და ეჩვენებოდა, თითქოს თვითონაც მთიელი გახდა და ისევე ცხოვრობდა, როგორც ეს ხალხი.

ჰაჯი-მურატის წასვლის დღეს ივან მატვეევიჩმა რამდენიმე ოფიცერს თავი მოუყარა, რომ იგი გაეცილებინა. ზოგი ოფიცერი ჩაის მაგიდას მიუჯდა, მარია დმიტრიევნა ჩაის ასხამდა, ზოგიც - მეორე მაგიდას, სადაც არაყი, ჩიხირი და საუზმე გაეწყოთ, როცა იარაღასხმული სამგზავროდ გამზადებული ჰაჯი-მურატი სწრაფი, მსუბუქი ნაბიჯებით, კოჭლობით შემოვიდა ოთახში.

ყველა წამოდგა და რიგრიგობით ხელი ჩამოართვა მას. ივან მატვეევიჩმა ჰაჯი-მურატი ტახტზე მიიპატიჟა, მაგრამ მან მადლობა მოახსენა და ფანჯარასთან სკამზე ჩამოჯდა. ჰაჯი-მურატს მისი შემოსვლის დროს ჩამოვარდნილი სიჩუმე, ეტყობოდა, სულ არ აკრთობდა, ყველა ყურადღებით შეათვალიერა და მაგიდაზე დადგმულ სამოვარსა და საუზმეს გულგრილად შეხედა. გაბედულმა ოფიცერმა პეტროკოვსკიმ, რომელიც პირველად ხედავდა ჰაჯი-მურატს, თარჯიმნის მეშვეობით ჰკითხა, თბილისი თუ მოგეწონაო.

- აია, - მიუგო ჰაჯი-მურატმა.

- ამბობს, მომეწონაო, - უპასუხა თარჯიმანმა.

- მაინც რა მომეწონაო, - უპასუხა თარჯიმანმა.

ჰაჯი-მურატმა რაღაცა უპასუხა.

- ყველაზე უფრო თეატრი მოსწონებია.

- კი, მაგრამ, მთავარსარდალთან ბალი არ მოეწონა?

ჰაჯი-მურატმა შუბლი შეიკრა.

- ყოველ ხალხს თავისი ზნე-ჩვეულება აქვს. ჩვენთან ქალები ასე არ იცვამენ, - თქვა მან და მარია დმიტრიევნას გადახედა.

- მაინც რა არ მოეწონა ბალზე?

-ჩვენში იციან ერთი ანდაზა, - უთხრა ჰაჯი-მურატმა თარჯიმანს. - ძაღლი ვირს ხორცით გაუმასპინძლდა, ვირი კი თივით და ორივე მშიერი დარჩაო. - მან გაიღიმა, - ყოველი ხალხისათვის თავისი ზნე-ჩვეულებაა კარგი.

საუბარი აღარ გაგრძელებულა. ზოგმა ოფიცერმა სმა დაიწყო, ზოგმა ჭამა. ჰაჯი-მურატმა შეთავაზებული ჭიქა ჩაი აიღო და წინ დაიდგა.

- რას მიირთმევთ? ნაღებს თუ ფუნთუშას? - ჰკითხა მარია დმიტრიევნამ ჰაჯი-მურატს და ორივე მიაწოდა.

ჰაჯი-მურატმა თავი დაუკრა.

- მაშ მშვიდობით! - უთხრა ბუტლერმა და მუხლზე ხელი შეახო. - როდის შევხვდებით ერთმანეთს?

- მშვიდობით, მშვიდობით, - რუსულად უთხრა გაღიმებულმა ჰაჯი-მურატმა. - ყონაღ ბულურ. სულ შენი ყონაღი ვარ. დროა, ჰაიდა, წავიდე, - თქვა მან და თავი გაიქნია, თითქოს იქით ანიშნა, საითკენაც უნდა წასულიყო.

ოთახის კარში ელდარი გამოჩნდა. მას მხარზე საკმაოდ დიდი, თეთრი რაღაც ეკიდა და ხელში ხმალი ეჭირა. ჰაჯი-მურატმა მიიხმო იგი. ელდარი ფართო ნაბიჯებით მივიდა ჰაჯი-მურატთან და თეთრი ნაბადი და ხმალი მიაწოდა - ჰაჯი-მურატი წამოდგა, ნაბადი ხელზე გადაიკიდა, მერე მარია დმიტრიევნას გადასცა და თარჯიმანს რაღაცა უთხრა.

- ამბობს: რაკი ნაბადი შეაქე, აიღეო.

- რატომ? - გაიკვირვა მარია დმიტრიევნამ და გაწითლდა.

- ასეა საჭირო. ადათი ასეთია, - თქვა ჰაჯი-მურატმა.

- კეთილი, გმადლობთ. - თქვა მარია დმიტრიევნამ და ნაბადი გამოართვა. - ღმერთმა გამოგახსნევინოს ვაჟი; ულან იახში. - დაუმატა მან. - გადაუთარგმნეთ, რომ ვუსურვებ ოჯახის გამოხსნას.

- ჰაჯი-მურატმა მარია დმიტრიევნას გადახედა და მოწონების ნიშნად თავი დაუკრა. მერე ელდარს ხმალი გამოართვა და ივან მატვეევიჩს გაუწოდა. ივან მატვეევიჩმა ჩამოართვა ხმალი და თარჯიმანს უთხრა.

- გადაეცი, რომ ჩემი წაბლისფერი იაბო წაიყვანოს, მეტი არაფერი გამაჩნია.

ჰაჯი-მურატმა სახესთან ხელი გაიქნ-გამოიქნია, რითაც ანიშნა, მე არაფერი არ მჭირდება და არც არაფერს ავიღებო, მერე მთებსა და თავის გულზე მიუთითა და გასასვლელისკენ გაემართა. ყველანი უკან მიჰყვნენ. ოთახში დარჩენილმა ოფიცრებმა ქარქაშიდან ხმალი ამოაძრეს, ფხა გაუსინჯეს და ერთსულოვნად აღიარეს, რომ ეს ნამდვილი გურდა იყო.

ბუტლერი ჰაჯი-მურატთან ერთად პარმაღზე გამოვიდა. მაგრამ აქ მოხდა ერთი შემთხვევა, რასაც არავინ მოელოდა და ჰაჯი-მურატს გამჭრიახობა, გაბედულება და სიმართლე რომ არ გამოეჩინა, შესაძლოა, სიკვდილი არ ასცდენოდა.

ყუმუხთა აულის ტაშ-კიჩუს მცხოვრებლებმა, რომლებიც ჰაჯი-მურატს დიდ პატივს სცემდნენ და ხშირად მოსულან ციხესიმაგრეში, რომ მხოლოდ შეეხედათ სახელგანთქმული ნაიბისათვის, გამგზავრებამდე სამი დღით ადრე ელჩები გამოუგზავნეს, რათა პარასკევს მეჩეთში სწვეოდათ. ტაშ-კიჩუში მცხოვრებ ყუმუხ თავადებს ჰაჯი-მურატი ჭირივით სძულდათ, მისთვის სისხლი ემართათ და როგორც კი ეს ამბავი გაიგეს, ხალხს გამოუცხადეს, მას მეჩეთში არ შევუშვებთო. ხალხი აღშფოთდა და ხალხსა და თავადების მომხრეებს შორის გაიმართა ჩხუბი. რუსმა უფროსებმა დაამშვიდეს მთიელები და ჰაჯი-მურატს აცნობეს, მეჩეთში არ წასულიყო. ჰაჯი-მურატი ასეც მოიქცა და ყველას ეგონა, საქმე ამით დამთავრდაო.

მაგრამ სწორედ ჰაჯი-მურატის გამგზავრების დროს, როცა ის პარმაღზე გამოვიდა და ცხენები შესასვლელთან იდგნენ, ივან მატვეევიჩის სახლთან მოვიდა ბუტლერისა და ივან მატვეევიჩის ნაცნობი ყუმუხი თავადი არსლან-ხანი.

ჰაჯი-მურატის დანახვისას არსლან-ხანმა იძრო დამბაჩა და ჰაჯი-მურატს დაუმიზნა, მაგრამ არსლან-ხანმა გასროლაც ვერ მოასწრო, რომ ჰაჯი-მურატმა, კოჭლობის მიუხედავად, კატასავით ისკუპა პარმაღიდან და არსლან-ხანს ეცა. არსლან-ხანმა ესროლა, მაგრამ ვერ მოახვედრა. ამასობაში ჰაჯი-მურატმა ცალი ხელი ცხენის აღვირს უტაცა, მეორეთი ხანჯალი იშიშვლა და თათრულად რაღაც დაუყვირა.

ბუტლერმა და ელდარმა ერთდროულად მიირბინეს მტრებთან და ხელები გაუკავეს. სროლის ხმაზე ივან მატვეევიჩიც გამოვიდა.

- რა ჰქენი ეს, არსლან, რაღა ჩემს სახლში მოგინდა ამ სისაძაგლის ჩადენა? - უთხრა მან არსლან-ხანს, როცა საქმის ვითარება გაიგო. - ეს კარგი საქმე არ არის, ჩემო ძმაო. სხვაგან რაც გინდოდა ის გექნა, აქ რას მიწყობ ხოცვა-ჟლეტას?

არსლან-ხანი, პატარა, შავულვაშა კაცი, მთლად გაფითრებული და აცახცახებული დაქვეითდა ცხენიდან, გულღვარძლიანად შეხედა ჰაჯი-მურატს და ივან მატვეევიჩთან ერთად ოთახში შევიდა აქლოშინებული, ოდნავ მოღიმარი ჰაჯი-მურატი კი ცხენებთან დაბრუნდა.

- რატომ უნდოდა იმ კაცს შენი მოკვლა? - თარჯიმნის საშუალებით შეეკითხა ბუტლერი.

- ამბობს, ჩვენთან ასეთი კანონიაო, - გადასცა თარჯიმანმა ჰაჯი-მურატის სიტყვები, - არსლანმა სისხლი უნდა აიღოს და ამიტომაც უნდოდა ჩემი მოკვლაო.

- გზაზე რომ დაგეწიოს? - ჰკითხა ბუტლერმა.

ჰაჯი-მურატს გაეღიმა.

- რა გაეწყობა, მომკლავს. ასეთი ყოფილა ალაჰის ნება. მაშ, მშვიდობით, - თქვა მან კვლავ რუსულად, ცხენს ჯიდაოზე ხელი წაავლო, ყველა გამცილებელს თვალი გადაავლო და ალერსიანად შეხედა მარია დმიტრიევნას.

- მშვიდობით, დედილო, - უთხრა მან მარია დმიტრიევნას. - მადლობა.

- ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას, რომ ოჯახი დაიხსნა, - გაიმეორა მარია დმიტრიევნამ.

ჰაჯი-მურატმა ვერ გაიგო მისი სიტყვები, მაგრამ მიხვდა თანამიგრძნობსო და თავი დაუქნია.

- იცოდე, ყონაღი არ დაივიწყო, - უთხრა ბუტლერმა.

- უთხარი, რომ მე მისი ერთგული მეგობარი ვარ და არასოდეს არ დავივიწყებ მას, - მიუგო ჰაჯი-მურატმა თარჯიმნის მეშვეობით და, მიუხედავად ფეხის სიმრუდისა, როგორც კი უზანგს შეეხო, ელვის სისწრაფით მსუბუქად შემოახტა მაღალ უნაგირს, ხმალი გაისწორა, ჩვეულებრივი მოძრაობით დამბაჩა მოსინჯა და იმ გამორჩეული, ამაყი, მეომრული იერით, რომლითაც მთიელი ზის ცხენზე, ივან მატვეევიჩის სახლს

გაშორდა. ხანეფიც და ელდარიც შესხდნენ ცხენებზე, მეგობრულად დაემშვიდობნენ სახლის პატრონებს, ოფიცრებს და ჩორთით გაჰყვნენ თავიანთ მიურშიდს.

როგორც ყოველთვის, ახალგამგზავრებულებზე დაიწყეს საუბარი.

- ყოჩაღია!

- მგელივით არ ეცა არსლან-ხანს? სულ სხვანაირი გაუხდა სახე.

- მოგვატყუებს, დიდი თაღლითი უნდა იყოს, - თქვა პეტროკოვსკიმ.

- ღმერთმა ქნას და ბევრი რუსი იყოს ასეთი მატყუარა, - უცებ ჩაერია ლაპარაკში დანაღვლიანებული მარია დმიტრიევნა. - ერთი კვირა იცხოვრა ჩვენთან, კარგის მეტი მისგან არაფერი გვინახავს, თავაზიანია, ჭკვიანი და სამართლიანი.

- საიდან გაიგეთ ყველაფერი ეს?

- ალბათ გავიგე.

- შეგიყვარდა, არა? - შეეკითხა შემოსული ივან მატვეევიჩი. - ეს როგორც წესია.

- ჰო, შემიყვარდა, მერედა, თქვენ რაო? რატომ აგინებ ტყუილუბრალოდ, როცა კარგი კაცია. თათარია, მაგრამ კარგია.

- მართალი ბრძანდებით, მარია დმიტრიევნა! - უთხრა ბუტლერმა. - ყოჩაღ, რომ გამოექომაგეთ.

XXI

ჩაჩნეთის ხაზზე მეწინავე ციხესიმაგრეების ბინადართა ცხოვრება ძველებურად მიდიოდა. მას შემდეგ ორი განგაში მოხდა, რომლის დროსაც ასეულები გამოცვივდნენ, ამხედრდნენ კაზაკები და მილიციელები, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შეძლეს მთიელების შეჩერება. ისინი გარბოდნენ, ერთხელ მთიელებმა ვოზდვიჟენსკოეს წყალსალევიდან კაზაკთა რვა ცხენი გარეკეს და ერთი კაზაკი მოკლეს. უკანასკნელი თარეშის შემდეგ, რაც აული ააოხრეს, თავდასხმები არ ყოფილა, მხოლოდ დიდ ჩაჩნეთში მოსალოდნელი იყო დიდი ექსპედიცია მარცხენა ფლანგზე ახალი უფროსის, თავადი ბარიატინსკის დანიშვნასთან დაკავშირებით.

თავადმა ბარიატინსკიმ, ტახტის მემკვიდრის მეგობარმა, ყაბარდოს პოლკის ყოფილმა მეთაურმა, გროზნოში ჩამოსვლისთანავე რაზმი შეკრიბა, რომ გაეგრძელებინა ხელმწიფის იმ წინასწარდასახულობათა შესრულება, რაზედაც ჩერნიშევი ვორონცოვს სწერდა. ვოზდვიჟენსკოეში შეკრებილი რაზმი ქურის მიმართულებით გავიდა პოზიციაზე. იქ ჯარი იდგა და ტყეს ჩეხავდა.

ახალგაზრდა ვორონცოვი მაუდის საუცხოოო კარავში ცხოვრობდა, მისი მეუღლე მარია ვასილიევნა ჩამოდიოდა ბანაკში და ხშირად ღამეც რჩებოდა. არავისთვის საიდუმლო არ იყო ბარიატინსკის დამოკიდებულება მარია ვასილიევნასთან. ამიტომ უბრალო ოფიცრები და ჯარისკაცები უხეშად აგინებდნენ მარია ვასილიევნას, რადგან მისი იქ ყოფნის დროს მათ ღამის საგუშაგოზე აგზავნიდნენ. მთიელებს ქვემეხები ახლოს მოჰქონდათ და ბანაკს ყუმბარებს უშენდნენ. ეს ყუმბარები უმეტეს

შემთხვევაში მიზანს ვერ აღწევდა და ამიტომ ჩვეულებრივ დროს სროლის წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ იღებდნენ. მაგრამ მთიელებს რომ ქვემეხების უფრო ახლოს მიტანა არ შეძლებოდათ და მარია ვასილიევნა არ შეეშინებინათ, გუშაგებს აყენებდნენ. ყოველ ღამე საგუშაგოზე წანწალი იმისთვის, რომ ქალბატონს სიმშვიდე არ დარღვეოდა, შეურაცხმყოფელი და აუტანელი იყო, ამიტომ ჯარისკაცები და მაღალი საზოგადოებისაგან შორს მდგომი ოფიცრები სალანძღავი სიტყვებით ამკობდნენ მარია ვასილიევნას.

ამ რაზმში ჩამოვიდა ბუტლერიც თავისი ციხესიმაგრიდან შვებულებით. მას უნდოდა ენახა თავისი მეგობრები პაჟის კორპუსიდან, აგრეთვე თანაპოლკელები, რომლებიც ქურის პოლკში ადიუტანტებად და ორდინარეცებად იყვნენ. ჩამოსვლიდანვე ბუტლერი ძალიან მხიარული იყო. პოლტორაცკის კარავში გაჩერდა, სადაც ბევრი ნაცნობი შეხვდა სიხარულით. ეწვია ვორონცოვსაც, რომელთანაც ერთ პოლკში მსახურობდა და ასე თუ ისე იცნობდა. ვორონცოვმა ბუტლერი ძალიან გულთბილად მიიღო, წარუდგინა თავად ბარიატინსკის და მიიპატიჟა გამოსათხოვარ სადილზეც. სადილს ვორონცოვი უმართავდა გენერალ კოზლოვსკის, რომელიც ბარიატინსკის ჩამოსვლამდე მარცხენა ფლანგის უფროსი იყო.

სადილი ჩინებული იყო. ექვსი კარავი მოიტანეს და დადგეს მწკრივად. მათ სიგრძეზე გაშალეს სუფრა და დაალაგეს ბოთლები და ჭურჭელი. ყველაფერი პეტერბურგულ გვარდიულ ცხოვრებას მოაგონებდა კაცს. ორ საათზე სუფრას მიუსხდნენ. სუფრის შუაში ისხდნენ: ერთ მხარეს კოზლოვსკი, მეორე მხარეს - ბარიატინსკი. კოზლოვსკის მარჯვნივ იჯდა ვორონცოვი, მარცხნივ კი მისი მეუღლე. ორივე მხარეს მთელ სიგრძეზე ისხდნენ ყაბარდოსა და ქურის პოლკების ოფიცრები. ბუტლერი პოლტორაცკის გვერდით იჯდა, ორივე მხიარულად ლაზღანდარობდნენ და სვამდნენ გვერდით მსხდომ ოფიცრებთან ერთად. როცა მოხრაკული შემოიტანეს და დენშჩიკებმა ჭიქებში შამპანურის ჩამოსხმა დაიწყეს, პოლტორაცკიმ გულწრფელი შიშითა და სინანულით უთხრა ბუტლერს: - შერცხვება ჩვენი „როგორც“...

- რატომ?

- მან ხომ სიტყვა უნდა თქვას. ახლა განა მაგისი თავი აქვს?

-მართლაც, ძმაო, ეს ტყვიის თქეშში სიმაგრის აღება როდია, თანაც გვერდით ქალბატონი და კარისკაცები უსხედან. მართლაცდა საცოდავად გამოიყურება - ერთმანეთს ეუბნებოდნენ ოფიცრები.

დადგა საზეიმო წუთიც, ბარიატინსკი წამოიმართა, ჭიქა ასწია და კოზლოვსკის მოკლე სიტყვით მიმართა. როცა ბარიატინსკიმ სიტყვა დაამთავრა, კოზლოვსკი წამოდგა და საკმაოდ მტკიცე ხმით დაიწყო: მისი უდიდებულესობის უმაღლესი ნებით მე მივდივარ თქვენგან, გშორდებით თქვენ, ბატონო ოფიცრებო, - თქვა მან. - მაგრამ, ყოველთვის მიგულეთ, როგორც თქვენთან... თქვენთვის, ბატონებო, ცნობილია, როგორც ჭეშმარიტება - ბრძოლის ველზე ერთი მეომარი ვერაფერს გააწყობს. ამიტომ ყველაფერი, როგორც მე სამსახურში დამაჯილდოვეს, როგორც, ხელმწიფე იმპერატორმა უდიდესი სიუხვით ამავსო, როგორც, ჩემი მდგომარეობით, როგორც, ჩემი სახელით, როგორც... - აქ კოზლოვსკის ხმა აუკანკალდა. - მე, როგოც, დავალებული ვარ მარტო თქვენგან და მარტო თქვენგან, ჩემო ძვირფასო მეგობრებო - კოზლოვსკის დანაოჭებული სახე კიდევ უფრო დაუნაოჭდა. ასლუკუნდა და

თვალებზე ცრემლი მოადგა: - მთელი გულით მოგიძღვნით ჩემს, როგორც, ჭეშმარიტად გულითად მადლობას...

კოზლოვსკიმ მეტი ვერაფერი თქვა, წამოდგა და ხვევნა-კოცნა დაუწყო მასთან მისულ ოფიცრებს. ყველა აღელვებული იყო. კნეინამ სახე ცხვირსახოცში ჩამალა. თავად სემიონ მიხაილოვიჩს პირი მოეღრიცა და თვალებს ახამხამებდა. ბევრი ოფიცერიც აცრემლდა, ბუტლერმაც, რომელიც კარგად არ იცნობდა კოზლოვსკის, ცრემლი ვერ შეიკავა. ყველაფერი ეს ძალზე მოსწონდა. მერე შეისვა ბარიატინსკის, ვორონცოვის, ოფიცრების, ჯარისკაცების სადღეგრძელოები და შეზარხოშებული სტუმრები სუფრიდან აიშალნენ. ისინი მთვრალები იყვნენ ღვინითაც და მხედრული ზარ-ზეიმითაც, რომლისკენაც ისედაც იჩენდნენ მიდრეკილებას.

მშვენიერი ამინდი იდგა, წყნარი და მზიანი. ჰაერი გრილი და ხალისის მომგვრელი იყო. ყოველი მხრიდან ტკაცუნობდნენ კოცნები, ისმოდა სიმღერები. თითქმის ყველა რაღაცას ზეიმობდა. ბუტლერი უბედნიერეს ადამიანად გრძნობდა თავს და გულაჩუყებული წავიდა პოლტორაცკისთან. იქ ოფიცრები შეიკრიბნენ, გაშალეს ბანქოს მაგიდა და ადიუტანტმა ბანკში ასი მანეთი ჩადო. ბუტლერი ორჯერ გამოვიდა კარვიდან, შარვლის ჯიბეში ჩადებული საფულე ხელით მოსინჯა, ბოლოს ვეღარ მოითმინა და თავისი თავისა და ძმებისთვის მიცემული სიტყვის მიუხედავად, ბანქოს თამაში დაიწყო.

ერთი საათიც არ გასულიყო, რომ სახეაჭარხლებული, ოფლიანი, ცარცით მოსვრილი ბუტლერი ორივე ხელით მაგიდას დაყრდნობოდა და გადაღუნულ ბანქოს ქვეშ თავისი ფსონის ციფრებს წერდა. ისე ბევრი წააგო, რომ უკვე ეშინოდა იმის დათვლა, რაც მასზე ირიცხებოდა. დაუთვლელადაც იცოდა, რომ ვერც ჯამაგირით, რომელიც წინასწარ შეეძლო აეღო, და ვერც თავისი ცხენის საფასურით ვერ გადაიხდიდა წაგებულ თანხას, რაც უცნობმა ადიუტანტმა მის სახელზე ჩაწერა. ბუტლერი კიდევ ითამაშებდა, მაგრამ სახემოღუშულმა ადიუტანტმა თეთრი, სუფთა ხელებით ბანქო დადო და ბუტლერის მიერ ჩაწერილი სვეტების ამოკითხვას შეუდგა. ბუტლერმა დარცხვენით ბოდიში მოუხადა, ახლა რომ არ შეეძლო წაგებული თანხის მთლიანად გადახდა და შეჰპირდა შინიდან გამოგიგზავნიო. თქვა თუ არა ეს, შეამჩნია რომ ყველას შეეცოდა, რომ პოლტორაცკიმაც კი თვალი აარიდა. ეს იყო ბუტლერის უკანასკნელი საღამო. რომ არ ეთამაშა და ვორონცოვთან წასულიყო, სადაც სტუმრად ეძახდნენ, ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, - ფიქრობდა იგი. ახლა კარგად კი არა, ყველაფერს საშინელი ბოლო უჩანდა.

როცა მეგობრებსა და ნაცნობებს დაემშვიდობა, ბუტლერი შინ წავიდა, მისვლისთანავე გაიხადა, დაწვა და ზედიზედ თვრამეტი საათი ეძინა ისე, როგორც ჩვეულებრივ სძინავთ ხოლმე წაგების შემდეგ. მარია დმიტრიევნა ბუტლერის მოწყენილი სახის, მოკლე პასუხისა და იმის მიხედვით, რომ ბუტლერმა თავისი გამყოლი კაზაკისთვის ათშაურიანი სთხოვა, მიხვდა, რომ მან წააგო, და ივან მატვეევიჩს ეცა, რატომ გაუშვიო.

მეორე დღეს ბუტლერმა თორმეტ საათზე გაიღვიძა და გაახსენდა თუ არა თავისი მდგომარეობა, მოისურვა კვლავ მისცემოდა თავდავიწყებას, რომელსაც ის-ის იყო გამოეთიშა, მაგრამ ვერ შეძლო. რაიმე უნდა ეღონა უცნობი კაცის ვალის - ოთხას სამოცდაათი მანეთის გადასახდელად. პირველი, რაც მოიფიქრა, ის იყო, რომ წერილი

გაუგზავნა ძმას. ინანიებდა შეცოდებას და სთხოვდა უკანასკნელად გამოეგზავნა ხუთასი მანეთი იმ წისქვილის ანგარიშზე, რომელსაც, ჯერ კიდევ ფლობდა ორივე. შემდეგ ერთ ძუნწ ნათესავ ქალს მისწერა და სთხოვა, რა გინდა დიდი პროცენტიც არ ყოფილიყო, ხუთასი მანეთი გამოეგზავნა. მერე იგი ივან მატვეევიჩთან წავიდა. იცოდა, რომ მას, უფრო მარია დმიტრიევნას, ფული ჰქონდა და ხუთასი მანეთი სთხოვა.

- მე კი მოგცემდი... მიუგო ივან მატვეევიჩმა, - ახლავე მოგცემდი, მაგრამ მაშკა არ მოგცემს. ესენი, ეს დედაკაცები, ძალიან ხელმოჭერილები არიან, ეშმაკმა ნუ იცის მაგათი თავი. უნდა დაიძვრინო თავი, უნდა დაიძვრინო, დალახვროს ეშმაკმა, აი, იმ მუდრეგ მარკიტანტს არ ექნება?

მაგრამ მარკიტანტს ვერც დაესესხებოდი. ასე რომ, ბუტლერი ან ძმას, ან ძუნწ ნათესავ ქალს უნდა დაეხსნა.

XXII

ჰაჯი-მურატმა ჩაჩნეთში მიზანს ვერ მიაღწია, დაბრუნდა თბილისში და ყოველდღე დადიოდა ვორონცოვთან. როცა ვორონცოვი მიიღებდა, ყოველთვის ერთსა და იმავეს ემუდარებოდა - შეეკრიბათ მთიელი ტყვეები და გადაეცვალათ მის ოჯახზე. ჰაჯი-მურატი კვლავ ძველებურად იმეორებდა, უამისოდ ხელები შეკრული მაქვს და არ შემიძლია როგორც მინდა, ისე გემსახუროთ და შამილი გავანადგუროო. ვორონცოვი ბუნდოვნად ჰპირდებოდა, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლიაო, მაგრამ პირობის შესრულებას სულ სხვა დროისთვის სდებდა და ამბობდა, საქმეს მაშინ გადავწყვეტ, როცა თბილისში გენერალი არღუთინსკი ჩამოვა და მოველაპარაკებიო. მაშინ ჰაჯი-მურატმა სთხოვა, ნება დაერთო დროებით წასულიყო და ეცხოვრა ნუხაში, ამიერკავკასიის პატარა ქალაქში. მისი ვარაუდით, იქიდან უფრო მოსახერხებელი იქნებოდა შამილთან და თავის ერთგულ ხალხთან ოჯახის გამოსყიდვაზე მოლაპარაკება. გარდა ამისა, ნუხაში, ამ მაჰმადიანურ ქალაქში, მეჩეთი იყო, სადაც უფრო კარგად შეეძლო მაჰმადიანური კანონით საჭირო ლოცვების შესრულება. ვორონცოვმა ამის შესახებ პეტერბურგში მისწერა, იქიდან პასუხის მოსვლამდე კი მაინც ნება დართო ჰაჯი-მურატს გადასულიყო ნუხაში.

ვორონცოვს, პეტერბურგის ხელისუფალთ და რუსების უმრავლესობას, რომელთაც ჰაჯი-მურატის ისტორია იცოდნენ, ეს ამბავი კავკასიის ომში ან ბედნიერ შემობრუნებად, ან უბრალოდ საინტერესო შემთხვევად მიაჩნდათ. ჰაჯი-მურატისთვის კი ეს იყო, განსაკუთრებით ბოლო ხანს, საშინელი გადატრიალება ცხოვრებაში. მთებიდან ნაწილობრივ თავის გადასარჩენად, ნაწილობრივ შამილის სიძულვილით გამოიქცა და როგორი ძნელიც არ იყო გამოქცევა, მაინც მიაღწია მიზანს და პირველ ხანებში ეს წარმატება ისე ახარებდა, რომ შამილზე თავდასხმის გეგმის შედგენასაც კი შეუდგა. მაგრამ გამოირკვა, რომ ოჯახის გადმოყვანა, რაც ერთი შეხედვით იოლი ეჩვენებოდა, უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. შამილმა გაიტაცა მისი ოჯახი, დაატყვევა და იმუქრებოდა - ქალებს აულებში ათრევდა, ხოლო შვილს ან თავს მოკვეთდა და ან თვალებს დათხრიდან ახლა კი ჰაჯი-მურატი ნუხაში იმ განზრახვით გადმოვიდა, რომ დაღესტანში თავისი მომხრეების მეშვეობით შამილისთვის ოჯახი გამოეგლიჯა ან მოხერხებით, ან ძალით. უკანასკნელად მოსულმა მსტოვარმა აცნობა, რომ ჰაჯი-მურატის ერთგული ავარიელები ემზადებიან

მისი ოჯახის მოსატაცებლად და ოჯახთან ერთად რუსების მხარეზე გადმოსასვლელად, მაგრამ ასეთი ხალხი ძალიან ცოტაა და ამის გაკეთებას ვედენოში, სადაც ოჯახია დატყვევებული, ვერ ბედავენო.. სამაგიეროდ, საამისოდ მზად არიან იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს ვედენოდან სხვა ადგილას გადაიყვანენო. ამ საქმის მოგვარებას მხოლოდ გადაყვანის დროს, გზაში შეძლებენო. ჰაჯი-მურატმა მსტოვარს დაავალა გადაეცა თავისი მეგობრებისთვის, რომ ოჯახის გამოხსნისთვის ის სამი ათას მანეთს გაიღებდა.

ნუხაში ჰაჯი-მურატს ხუთოთახიანი პატარა სახლი მიუჩინეს მეჩეთისა და ხანის სასახლის ახლოს. იმავე სახლში ცხოვრობდნენ მისთვის მიჩენილი ოფიცრები, თარჯიმანი და მისი ნუქრები. ჰაჯი-მურატი მთელ დღეებს მთიდან წამოსული მსტოვრების მოლოდინსა და მიღებაში ატარებდა ან ნუხის მიდამოებში ცხენით სეირნობდა, რისი ნებაც ჰქონდა.

8 აპრილს სეირნობიდან დაბრუნებულმა ჰაჯი-მურატმა გაიგო, რომ მისი არყოფნის დროს თბილისიდან მოხელე ჩამოსულიყო. მას ძალიან სურდა გაეგო, რა ამბავი ჩამოიტანა მოხელემ. ამისთვის იმ ოთახში უნდა შესულიყო, სადაც ბოქაული და მოხელე ელოდებოდნენ, მაგრამ ჰაჯი-მურატი თავის ოთახში შევიდა და შუადღის ლოცვა შეასრულა: ლოცვის შემდეგ მეორე ოთახში გავიდა, რომელიც სასტუმროც იყო და მისაღებიც. თბილისიდან ჩამოსულმა ჩასუქებულმა მოხელემ, სახელმწიფო მრჩეველმა კირილოვმა ჰაჯი-მურატს აცნობა ვორონცოვის სურვილი, რომ თორმეტი რიცხვისთვის ჩამოსულისო თბილისში არღუთინსკისთან შესახვედრად.

- იახში, - გაბრაზებით ჩაილაპარაკა ჰაჯი-მურატმა.

მოხელე კირილოვი მას არ მოეწონა.

- ფული ჩამოიტანე?

- ჩამოვიტანე, - უპასუხა კირილოვმა.

- ორი კვირისა წინასწარ მომეცი, - უთხრა ჰაჯი-მურატმა და ათი თითი და კიდევ ოთხი უჩვენა.

- ახლავე მოგცემთ, - უთხრა მოხელემ და სამგზავრო ჩანთიდან საფულე ამოიღო. - რისთვის სჭირდება ფული? - შეეკითხა იგი რუსულად ბოქაულს, ეგონა, ჰაჯი-მურატი ვერ გაიგებსო, მაგრამ ჰაჯი-მურატმა გაიგო და გაბრაზებით შეხედა კირილოვს. როცა კირილოვი საფულედან ფულს იღებდა, მან ჰაჯი-მურატთან გასაუბრება მოინდომა, რომ დაბრუნებისას ვორონცოვისთვის მის შესახებ რაიმე ეამბნა და თარჯიმანის მეშვეობით ჰკითხა - ხომ არ მოგწყინდაო აქ ყოფნა? ჰაჯი-მურატმა ცერად ზიზღით გადახედა პატარა, მსუქან, უიარაღო, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ კაცუნას და არაფერი უპასუხა. თარჯიმანმა კითხვა გაუმეორა.

- გადაეცი, რომ მასთან ლაპარაკი არ მსურს. ფული მომცეს. - თქვა ჰაჯი-მურატმა და ისევ მიუჯდა მაგიდას, ფული რომ დაეთვალა.

როცა კირილოვმა ოქროები ამოიღო და შვიდ სვეტად ათ-ათი ოქრო დაუწყო (ჰაჯი-მურატი დღეში ხუთ ოქროს ღებულობდა), ისინი ჰაჯი-მურატისკენ წასწია. ჰაჯი-მურატმა ოქროები ჩოხის სახელოში ჩაიყარა, წამოდგა, სრულიად მოულოდნელად

სახელმწიფო მრჩეველს მელოტ თავზე ხელი დაჰკრა და კარებისკენ გასწია. სახელმწიფო მრჩეველი წამოხტა და თარჯიმანს უბრძანა გადაეცა ჰაჯი-მურატისთვის - მე პოლკოვნიკის ჩინი მაქვს და როგორ ბედავს ასე მოქცევასო. ბოქაულმა იგივე დაუდასტურა. მაგრამ ჰაჯი-მურატმა თავი დაუქნია, ეს ვიციო, და გავიდა ოთახიდან.

- რას გააწყობ მასთან, - თქვა ბოქაულმა. - ჩაგცემს ხანჯალს და მერე უყარე კაკალი. ვხედავ, ამ ქაჯის ნაშიერებთან საერთო ენას ვერ გამონახავ, როგორც ვატყობ, ცოფდება.

როგორც კი შებინდდა, მთიდან მოვიდა ორი მსტოვარი, რომლებსაც შემოხვეული ყაბალახებიდან თვალებიღა უჩანდათ. ბოქაულმა ისინი ჰაჯი-მურატის ოთახში შეიყვანა. ერთი მსტოვარი საკმაოდ ჩასუქებული, შავგვრემანი თავლინელი იყო, მეორე - გამხდარი მოხუცი. მათ არასასიამოვნო ცნობები მოუტანეს ჰაჯი-მურატს. მეგობრები, რომლებიც ოჯახის დახსნას ჰპირდებოდნენ, ახლა პირდაპირ უარს აცხადებენ შამილის შიშით, რადგან შამილი საშინელი წამებით ემუქრებოდა ყველას, ვინც ჰაჯი-მურატს დაეხმარებოდა. ჰაჯი-მურატმა, როცა მსტოვრებს მოუსმინა, ხელები გადაჯვარედინებულ ფეხებზე დააყრდნო, ფაფარიანი თავი დახარა და დიდხანს დუმდა. ჰაჯი-მურატი ფიქრობდა, ფიქრობდა დაძაბულად. იცოდა, რომ ამჟამად უკანასკნელად ფიქრობდა და აუცილებლად რაიმე გადაწყვეტილება უნდა მიეღო. მან თავი ასწია, ორი ოქრო ამოიღო, მსტოვრებს მისცა დაა უთხრა: - წადით...

- რა პასუხს გვაძლევთ?

-პასუხი ის იქნება, რასაც ღმერთი ისურვებს. წადით!

მსტოვრები წამოდგნენ და წავიდნენ, ჰაჯი-მურატი კი ისევ ხალიჩაზე იჯდა მუხლებზე ხელებდაყრდნობილი. ის დიდხანს იჯდა ასე და ფიქრობდა.

,,როგორ მოვიქცე? დავუჯერო შამილს და დავბრუნდე მასთან? - ფიქრობდა ჰაჯი-მურატი. - მელაა, მომატყუებს. რომც არ მომატყუოს, არასგზით არ შემიძლია ამ წითურ მატყუარას დავემორჩილო. არ შემიძლია იმიტომაც, რომ რუსებთან ყოფნის შემდეგ უკვე აღარ მენდობა‘‘.

მას მოაგონდა თავლინური ზღაპარი შავარდენზე, რომელიც დაიჭირეს, ადამიანებთან ცხოვრობდა და მერე მთებში დაუბრუნდა თავისიანებს. ის დაბრუნდა, მაგრამ ბორკილგაყრილი იყო, ხოლო ბორკილებზე ეჟვნები ჰქონდა და შავარდნებმა აღარ მიიღეს. ,,გაფრინდი იქ, - უთხრა მას, - სადაც ვერცხლის ეჟვნები შეგაბეს. ჩვენთან არც ეჟვნებია და არც ბორკილები‘‘. შავარდენს არ უნდოდა სამშობლოდან წასვლა და დარჩა, მაგრამ სხვა შავარდნებმა ახლოს არ გაიკარეს და დაკორტნეს.

,,ასე დამკორტნიან მეც‘‘, - ფიქრობდა ჰაჯი-მურატი.

,,აქ დავრჩე? დავუმორჩილო რუს ხელმწიფეს კავკასია, მოვიხვეჭო სახელი და დიდება, ჩინ-მედლები, სიმდიდრე?‘‘

,,ეს შესაძლებელია‘‘ - გაიფიქრა მან, როცა ვორონცოვთან შეხვედრები და მოხუცი თავადის ფარისევლური სიტყვები მოიგონა.
,,მაგრამ ახლავე უნდა გადავწყვიტო, თორემ ის ოჯახს დამიღუპავს‘‘.

ჰაჯი-მურატს მთელი ღამე ძილი არ მიკარებია და ფიქრობდა.

XXIII

შუაღამისას ჰაჯი-მურატს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება. მან გადაწყვიტა, გაქცეულიყო მთებში, ერთგულ ავარიელებთან ერთად შეჭრილიყო ვედენოში და ან მომკვდარიყო, ან გაენთავისუფლებინა ოჯახი. გადმოიყვანდა ოჯახს რუსებთან, თუ გაიქცეოდა ხუნძახში და იქიდან გაუმართავდა ბრძოლას შამილს, - ჰაჯი-მურატს არ ჰქონდა გადაწყვეტილი. მან მხოლოდ იცოდა ის, რომ ახლა რუსებისგან როგორმე თავი უნდა დაეღწია და მთებში გაქცეულიყო. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას ჰაჯი-მურატი მაშინვე შეუდგა. მან ბალიშის ქვეშ ამოდებული შავი დაბამბული ახალუხი გამოიღო და ნუქერების სადგომში წავიდა. ისინი დერეფნის ბოლოს ცხოვრობდნენ. როგორც კი გაღებული კარიდან დერეფანში გამოვიდა, ჰაჯი-მურატმა მთვარიანი ცვრიანი ღამის სიგრილე იგრძნო და რამდენიმე ბუმბულის სტვენა და გალობა შემოესმა სახლთან გაშენებული ბაღიდან.

ჰაჯი-მურატმა დერეფანი გაიარა და ნუქერების ოთახის კარი შეაღო; ამ ოთახში სინათლე არ იყო, მხოლოდ ნამგალა მთვარე იჭყიტებოდა ფანჯარაში. კუთხეში მაგიდა და ორი სკამი იდგა, ხოლო ოთხივე ნუქერი ხალიჩაზე იწვა ნაბადმოხურული. ხანეფის გარეთ, ცხენებთან ეძინა. კარის ჭრიალზე გამზალო წამოდგა, ჰაჯი-მურატს შეხედა და როცა იცნო, კვლავ დაწვა. ელდარი კი, რომელიც მის გვერდით იწვა, წამოდგა და ბრძანების მოლოდინში ახალუხის ჩაცმას შეუდგა. ყურბანსა და ხან-მაგომას ეძინათ. ჰაჯი-მურატმა ახალუხი მაგიდაზე დადო. ახალუხის რაღაც მაგარმა ნაწილმა მაგიდის ფიცარზე ბრახუნი მოადინა. ეს მხრებში ჩაკერებული ოქროები იყო.

- ესეც ჩააკერე, - უთხრა ჰაჯი-მურატმა ელდარს და ახლახან მიღებული ოქროები გაუწოდა.

ელდარმა ოქროები აიღო, მაშინვე განათებულ ადგილას მივიდა. ხანჯლის ქვემოდან დანა ამოაცურა და ახალუხის სარჩულის გარღვევას შეუდგა. გამზალო წამოიწია და ფეხმოკეცილი დაჯდა.

- შენ კი, გამზალო, ბიჭებს უბრძანე, იარაღი გასინჯონ, დამბაჩები გატენონ, ტყვიები გაამზადონ, ხვალ შორს გავემგზავრებით, - უთხრა ჰაჯი-მურატმა.

- თოფის წამალი გვაქვს, ტყვიები გვაქვს, მზად ვიქნებით, - მიუგო გამზალომ და რაღაც გაუგებრად ჩაიბურტყუნა.

გამზალო მიხვდა, რისთვის დაავალა ჰაჯი-მურატმა იარაღის გატენა. ის თავიდანვე და შემდეგაც ერთ რამეზე ოცნებობდა - რაც შეიძლება მეტი გაეჟლიტა, დაეჭრა ეს რუსი ძაღლები და მერე მთებში გაქცეულიყო. ახლა მიხვდა, რომ ჰაჯი-მურატსაც ეს უნდოდა და კმაყოფილი იყო.

როცა ჰაჯი-მურატი წავიდა, გამზალომ ამხანაგები გააღვიძა და ოთხივენი მთელი ღამე სინჯავდნენ შაშხანებს, დამბაჩებს, საპირისწამლებს, ტალებს, ცვლიდნენ უვარგისს, ახალ თოფისწამალს ყრიდნენ ფალიაზე, ქილებში ყრიდნენ ყანთაქილას და ტენიდნენ ტყვიებით, რომლებიც ზეთიან ჩვრებში იყო გახვეული, ლესავდნენ ხმლებს და ხანჯლებს და ქონით უპოხავდნენ პირს.

გამთენიისას ჰაჯი-მურატი კვლავ გავიდა დერეფანში, რომ განსაბანად წყალი წაეღო. განთიადის წინ დერეფანში წუხანდელზე უფრო ხშირად და მკვეთრად მოისმოდა ბულბულების გალობა, ხოლო ნუქერების ოთახში რკინის თანაბარი შიშინი და სტვენა ისმოდა, - სალესზე ხანჯალს ლესავდნენ. ჰაჯი-მურატმა გეჯადან წყალი ამოიღო და როცა უკვე თავის კარს მიუახლოვდა, მიურიდების ოთახიდან ლესვის ხმაურის გარდა ხანეფის წვრილი ხმაც მოესმა, ხანეფი ჰაჯი-მურატის ნაცნობ სიმღერას მღეროდა. ჰაჯი-მურატი შედგა და ყური მიუგდო.

სიმღერაში ნათქვამი იყო, ჯიგიტმა ჰამზათმა თავისი ვაჟკაცებით როგორ მოსტაცა რუსებს თეთრი ცხენების რემა. მერე თერგს იქით როგორ დაეწია მას რუსი თავადი და ტყესავით დიდი ლაშქრით შემოერტყა ირგვლივ. ჰამზათმა კი დახოცა ცხენები, მათ სისხლიან გვამებს ამოეფარა თავის ჯიგიტებთან ერთად და მანამდე ებრძოდა რუსებს, სანამ თოფში ტყვია ჰქონდა, სანამ ქამარზე ხანჯალი ეკიდა და ძარღვებში სისხლი უჩქეფდა. მაგრამ ვიდრე მოკვდებოდა, ჰამზათმა ცაზე ფრინველები შენიშნა და შეჰყვირა მათ: „თქვენ, გადამფრენო ფრინველებო, მიფრინდით ჩვენს სახლებში და ამცნეთ ჩვენს დებს, დედებსა და თეთრ ქალიშვილებს, რომ ყველანი დავიხოცენით ჰაზავატისთვის. ამცნეთ, რომ ჩვენს სხეულებს არ ეღირსება საფლავში წოლა, ჩვენს ძვლებს დაიტაცებენ და დაღრნიან ხარბი მგლები, ხოლო შავი ყორნები თვალებს დაგვთხრიან“.

ამ სიტყვებით თავდებოდა სიმღერა. ამ უკანასკნელი სიტყვების ნაღვლიანი კილოთი წარმოთქმულ ბგერებს შეუერთდა მხნე ხმა მხიარული ხან-მაგომასი, რომელმაც სიმღერის დამთავრებისთანავე ხმამაღლა შეჰყვირა: „ლა ილახა ილ ალა“ და ყურთასმენის წამღებად დაიწივლა. მერე ყველაფერი მიწყნარდა; ბაღიდან კი კვლავ მოისმოდა ბულბულების სტვენა, ხოლო წინკარიდან - თანაბარი შიშინი, ხანდახან კი ქვაზე სწრაფად ანასხლეტი რკინის ღრჭიალი.

ჰაჯი-მურატი ისე ჩაფიქრებულიყო, რომ ვერც კი შენიშნა როგორ გადახარა სურა და იქიდან წყალი იღვრებოდა. საკუთარი თავისადმი საყვედურით თავი გადააქნია და ოთახში შევიდა.

როგორც კი დილის ნამაზი შეასრულა, ჰაჯი-მურატმა გასინჯა იარაღი და ლოგინზე ჩამოჯდა. მეტი საქმე აღარ ჰქონდა. ქალაქგარეთ ცხენებით გასასეირნებლად ბოქაულის ნებართვა იყო საჭირო, მაგრამ გარეთ ჯერ კიდევ ბნელოდა და ბოქაულს ეძინა.

ხანეფის სიმღერამ ჰაჯი-მურატს დედამისის შეთხზული სიმღერა მოაგონა. ამ სიმღერაში გადმოცემული იყო ნამდვილი ამბავი, რომელიც დედამისის გადმოცემით ჰაჯი-მურატის დაბადების დღეს მოხდა.

სიმღერა ასეთი შინაარსისა იყო: „შენმა ფოლადის ხანჯალმა გააპო ჩემი თეთრი მკერდი, მე კი ჭრილობაზე მივიკარი ჩემი მზე, ჩემი ბიჭუნა, რომელიც ჩემივე ცხელი სისხლით განვბანე და ჭრილობა ისე მოვიშუშე, რომ ბალახი და ფესვები არ დამჭირვებია. არ მშინებია სიკვდილისა და ნურც ჩემს ჯიგიტ ბიჭუნას შეეშინდება მისი“.
ამ სიმღერის სიტყვები ჰაჯი-მურატის მამას ეხებოდა და სიმღერის აზრი ის იყო, რომ ჰაჯი-მურატის დაბადებისას ხანის მეუღლესაც შეეძინა კიდევ მეორე ვაჟი უმა-ხანი და ძიძად მოითხოვა ჰაჯი-მურატის დედა, მისი უფროსი ვაჟის აბუნუნცალის

გამზრდელი. მაგრამ ფატიმათს არ უნდოდა ამ შვილის დატოვება და უარი შეუთვალა. ჰაჯი-მურატის მამა გაბრაზდა. უბრძანა წასულიყო, მაგრამ, როცა დედამ კვლავ უარი უთხრა, ხანჯალი ჩასცა და უსათუოდ მოკლავდა, რომ არ მიშველებოდნენ. ასე არ დატოვა დედამ შვილი და თავისი ვაჟი თვითონვე გამოზარდა. სწორედ, ამაზე შეთხზა ეს სიმღერაც.

ჰაჯი-მურატმა მოიგონა დედა, როცა იგი მიწურის ბანზე თავის გვერდით დასაძინებლად აწვენდა შვილს ქურქში და ამ სიმღერას უმღეროდა. ჰაჯი-მურატმა მაშინ დედას სთხოვა ეჩვენებინა ის ადგილი გვერდზე, სადაც ჭრილობის ნაკვალევი აჩნდა. ახლა ჰაჯი-მურატი დედას თითქოს თვალნათლივ ხედავდა, ისე სახედანაოჭებულს, გაჭაღარავებულს და კბილებჩაცვივნულს კი არა, როგორც ამას წინათ დატოვა, არამედ ახალგაზრდას, ლამაზსა და ისე ღონიერს, რომ ხუთი წლის უკვე დამძიმებულ ჰაჯი-მურატს კალათში ჩაისვამდა, ზურგზე მოიკიდებდა და პაპასთან მიჰყავდა, გადადიოდა მთებს.

მოაგონდა აგრეთვე სახედამჭკნარი, ჭაღარაწვერებიანი ოქრომჭედელი პაპა. მოაგონდა როგორ ჭედავდა იგი ვერცხლს დაკოჟრილი ხელებით და შვილიშვილს აიძულებდა ელოცა. მოაგონდა მთისძირა შადრევანიც, სადაც წყალზე მიჰყვებოდა დედას და მისთვის შარვალზე ჩაეჭიდა ხელი. მოაგონდა გამხდარი ძაღლიც, სახეს რომ ულოკავდა. განსაკუთრებით კი კვამლისა და მაწვნის სურნელება და გემოც, როცა უკან მისდევდა ფარდულში მიმავალ დედას, სადაც იგი ძროხას წველიდა და რძეს ადუღებდა. მოაგონდა როგორ გადაპარსა დედამ პირველად თავი და კედელზე ჩამოკიდებულ სპილენძის ელვარე ტაშტში გაოცებულმა როგორ დაინახა თავისი მრგვალი, პატარა მოლურჯო თავი.

როგორც კი თავისი პატარაობა მოიგონა, გაახსენდა საყვარელი ვაჟი იუსუფიც. მას თვითონ გადაპარსა თავი პირველად. ახლა კი იუსუფი უკვე ახალგაზრდა, ლამაზი ჯიგიტი იყო. ჰაჯი-მურატს თავისი ვაჟი ისეთად წარმოესახა, როგორიც უკანასკნელად ნახა. ეს ის დღე იყო, როცა ცელმესიდან გამოვიდა, შვილმა ცხენი მიუყვანა და გაცილების ნებართვა სთხოვა. იუსუფი გამოწყობილი და შეიარაღებული იყო და თავისი ცხენი აღვირით ეჭირა. მისი ღაჟღაჟა, ახალგაზრდული, ლამაზი სახე, მოხდენილი, მაღალი ტანი (იუსუფი მამაზე მაღალი იყო) ახალგაზრდული სიმამაცითა და სიცოცხლის სიხარულით სუნთქავდა. ახალგაზრდობის მიუხედავად, განიერი მხარბეჭი, ძალზე ფართო ყმაწვილური მენჯი, მოხდენილი და მაღალი ტანი, გრძელი, ღონიერი ხელები და ძალა, მოქნილობა, სიმარდე ყოველგვარ მიხრა-მოხრაში, - ყველაფერი ეს ახარებდა მამას და ყოველთვის ტკბებოდა თავისი ვაჟის მზერით.

- უმჯობესია დარჩე. ოჯახში მარტო შენა ხარ ახლა. მოუარე დედასა და დიდედას, - უთხრა ჰაჯი-მურატმა.

ჰაჯი-მურატს ახსოვდა ის ახალგაზრდული სიამაყე, რომლითაც სიამოვნებისგან გაწითლებულმა იუსუფმა უთხრა: სანამ ცოცხალი ვარ, ვერავინ ვერაფერს დაუშავებს დედასა და დიდედას. იუსუფი მაინც შეჯდა ცხენზე და მამა ნაკადულამდე გააცილა. ნაკადულიდან იუსუფი უკან გაბრუნდა და მას შემდეგ ჰაჯი-მურატს არც ცოლი, არც დედა და არც შვილი არ უნახავს.

აი, სწორედ ეს ვაჟი უნდა დაებრმავებინა შამილს! ხოლო თუ როგორ მოექცეოდნენ ცოლს, ამაზე ფიქრიც კი არ უნდოდა.

ამ ფიქრებმა ისე ააღელვა ჰაჯი-მურატი, რომ ადგილზე ვეღარ გაძლო, ზეზე წამოხტა, კოჭლობით სწრაფად მიიჭრა კართან, გამოაღო იგი და ელდარს დაუძახა. მზე ჯერ არ ჩანდა, მაგრამ კარგა გათენებული კი იყო. ბულბულები კვლავ გალობდნენ.

- წადი, ბოქაულს უთხარი, რომ გასეირნება მინდა და ცხენებიც შეკაზმეთ, - გასძახა მან ელდარს.

XXIV

იმ დროს ბუტლერის ერთადერთი ნუგეში გახლდათ მხედრული პოეზია, რომლითაც ის გატაცებული იყო და არა მარტო სამსახურში, პირად ცხოვრებაშიც. ბუტლერი ჩოხა-ახალუხში იყო გამოწყობილი, ჯირითობდა ცხენით და ორჯერ ბოგდანოვიჩს საფარში წაჰყვა, თუმცა ვერც ერთხელ ვერც ვერავინ დაიჭირეს და ვერც ვერავინ მოკლეს. ეს გამბედაობა და ვაჟკაცობით სახელგანთქმულ ბოგდანოვიჩთან მეგობრობა ბუტლერს სასიამოვნო და მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა. მან ებრაელისაგან დიდი პროცენტით ნასესხები ფულით ვალი გადაიხადა, ესე იგი, მხოლოდ დროებით გადასწია ვადა და თავი აარიდა გამოუვალ მდგომარეობას. ცდილობდა არ ეფიქრა, მომავალში რა მოხდებოდა და თავდავიწყებას, მხედრული პოეზიის გარდა, ღვინის სმითაც ლამობდა, ბუტლერმა სმას უმატა, და დღითი დღე ზნეობრივად ეცემოდა. მარია დმიტრიევნასთან ახლა უკვე აღარ იყო მშვენიერი იოსები, პირიქით, მას უხეშადაც დაუწყო არშიყობა, მაგრამ, მისდა გასაოცრად, სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა, რამაც ძლიერ შეარცხვინა.

აპრილის დამლევს ციხესიმაგრეში მოვიდა რაზმი. იგი ბარიატინსკიმ აქამდე მიუვალად მიჩნეულ ჩაჩნეთში ახალი ბრძოლებისთვის დანიშნა. აქ იყო ყაბარდოს პოლკის ორი ასეული, რომლებიც კავკასიაში მიღებული ადათ-წესების მიხედვით ქურში მდგარმა ასეულებმა სტუმართმოყვრულად მიიღეს. ჯარისკაცები ყაზარმებში დანაწილდნენ და მათ არა მარტო ვახშმით, ფაფითა და ძროხის ხორცით, არყითაც უმასპინძლდებოდნენ: ოფიცრებმაც ოფიცრები მონახეს და აქაური ოფიცრები მოსულებს უმასპინძლდებოდნენ.

გამასპინძლება ღრეობითა და სიმღერებით დამთავრდა. ძალზე მთვრალი, წითელი კი არა, მკრთალი ნაცრისფერი ივან მატვეევიჩი სკამზე გადამჯდარიყო, ხმალი ეშიშვლებინა და თავის მიერ წარმოდგენილ მტერს ხოცავდა, ხან იგინებოდა, ხან ხარხარებდა, ხანაც ვიღაცას ეხვეოდა, ხან კი ცეკვავდა თავისი საყვარელი სიმღერის ჰანგებზე: „აჯანყება დაუწყია შამილს გასულ წლებში, ტრაი-რაი-რატატი, შამილს გასულ წლებში“.

ბუტლერიც აქ იყო. ის ცდილობდა ამაშიც მხედრული პოეზია დაენახა. თუმცა გულის სიღრმეში ეცოდებოდა ივან მატვეევიჩი, მაგრამ მისი გაჩერება შეუძლებელი იყო. ბუტლერმა იგრძნო რომ თავში აუვარდა ღვინო, ჩუმად გავიდა და შინისკენ გასწია.
სავსე მთვარე დაჰქათქათებდა პატარა თეთრ სახლებსა და ქვებს. მიდამო ისე იყო გაჩახჩახებული, რომ გზაზე მოჩანდა ყოველი კენჭი, ნამჯა, ნეხვი, სახლთან ბუტლერს თავშალმოხვეული მარია დმიტრიევნა შემოხვდა. მას შემდეგ, რაც მარია

დმიტრიევნამ ბუტლერს წინააღმდეგობა გაუწია, ბუტლერს, ცოტა არ იყოს, რცხვენოდა და მასთან შეხვედრას გაურბოდა. მაგრამ ახლა მთვარის შუქზე ღვინით შეზარხოშებულს გაუხარდა, რომ მარია დმიტრიევნა შეხვდა და კვლავ მოუნდა მასთან ალერსი.

- საით მიიჩქარით? - ჰკითხა ქალს.

- ჩემი მოხუცი უნდა ვნახო, - მეგობრულად უპასუხა მარია დმიტრიევნამ. მან სავსებით გულწრფელად და გადაჭრით აქცია ზურგი ბუტლერის არშიყობას, მაგრამ არც ის სიამოვნებდა, ბოლო ხანებში სულ რომ ჩამოშორდა ბუტლერი.

- რად უნდა ნახვა, მოვა.

- რა ვიცი, ვითომ მოვა?

- თუ არ მოვა, მოიტანენ.

- განა ეს კარგია? - შეწუხდა მარია დმიტრიევნა, - მაშ, არ წავიდე?

- არა, არ წახვიდეთ. უმჯობესია, შინ წავიდეთ.

მარია დმიტრიევნა შებრუნდა და ბუტლერთან ერთად შინ წავიდა. მთვარე ისე ანათებდა, რომ გზის გვერდით მათ ჩრდილებთან ერთად თავების გარშემო შექმნილი ნათელი შარავანდედი მოძრაობდა. ბუტლერი უყურებდა თავისი თავის გარშემო შექმნილ შარავანდედს და უნდოდა ეთქვა, რომ მას უწინდებურად მოსწონდა მარია დმიტრიევნა, მაგრამ არ იცოდა, როგორ დაეწყო. მარია დმიტრიევნა კი იმის მოლოდინში იყო, რას ეტყოდა ბუტლერი. ასე ჩუმად მიდიოდნენ და უკვე მიუახლოვდნენ სახლს, როცა მოსახვევთან ცხენოსნები გამოჩნდნენ. ოფიცერი მოდიოდა ბადრაგთან ერთად.

- ეს ვიღა ეშმაკებია, - თქვა მარია დმიტრიევნამ და მომავლებს გზა აუქცია.

მთვარე ზურგიდან დანათოდა მხედარს, ასე რომ, მარია დმიტრიევნამ მხედარი მხოლოდ მაშინ იცნო, როცა იგი თითქმის გაუსწორდა მას და ბუტლერს. ეს იყო ოფიცერი კამენევი. კამენევი წინათ ივან მატვეევიჩთან მსახურობდა და ამიტომ მარია დმიტრიევნა იცნობდა მას.

- თქვენ ბრძანდებით, პიოტრ ნიკოლაევიჩ? - მიმართა მარია დმიტრიევნამ.

- სწორედ მე გახლავართ, - მიუგო კამენევმა. - აჰ, ბუტლერ, გამარჯობა, ჯერ კიდევ არ გძინავთ? მარია დმიტრიევნასთან დასეირნობთ? იცოდეთ, გიჩვენებთ სეირს ივან მატვეევიჩი. თვითონ სადღაა?

- აგერ, გესმით, - უთხრა მარია დმიტრიევნამ და ხელი იმ მხრისკენ გაიშვირა, საიდანაც ტულუმბასის ხმა და სიმღერები მოისმოდა. - ქეიფობენ.

- ეს რა, თქვენები ქეიფობენ?
- არა, ხასავ-იურთიდან ჩამოვიდნენ და უმასპინძლდებიან.

- ო, ეს კარგი საქმეა. იქნებ მეც მივუსწრო. სულ ერთი წუთით შემოვიარე მასთან.

- რაო, საქმე გაქვთ? - ჰკითხა ბუტლერმა.

- ჰო, სულ პატარა საქმე მაქვს.

- კარგია თუ ცუდი?

- გააჩნია ვისთვის! ჩვენთვის კარგია, ზოგიერთისთვის კი - ცუდი, - და კამენევმა გაიცინა.

ამ დროს ქვეითებიც და კამენევიც ივან მატვეევიჩის სახლს მიადგნენ.

- ჩიხირევ! - დაუყვირა კამენევმა კაზაკს. - მოდი აქ!

დონელი კაზაკი სხვებს გამოეყო და მიუახლოვდა კამენევს. მას ჩვეულებრივი დონური ფორმა, ჩექმები და ფარაჯა ეცვა, უნაგირზე კი ხურჯინი ჰქონდა გადაკიდებული.

- აბა, ერთი, ამოიღე - უთხრა კამენევმა და დაქვეითდა.

კაზაკიც დაქვეითდა და ხურჯინიდან ტომარა ამოიღო. კამენევმა კაზაკს ტომარა გამოართვა და შიგ ხელი ჩაჰყო.

- მაშ, გიჩვენოთ? ხომ არ შეგეშინდებათ? - მიმართა მან მარია დმიტრიევნას.

- რისი უნდა შემეშინდეს? - მიუგო მარია დმიტრიევნამ.

- აი, ესეც, - თქვა კამენევმა, კაცის თავი ამოიღო და მთვარის შუქზე დაიჭირა. - იცანით?

ეს გაპარსული თავი იყო. თვალებთან ქალაამობურცული ჰქონდა შავი, შეკრეჭილი წვერი და ულვაშები, ცალი თვალი ღია იყო, მეორე - დახუჭული, ცხვირზე შავი სისხლი შეხმობოდა, თავის ქალა დაჩეხილი იყო, მაგრამ ბოლომდე არა, კისერზე გასისხლიანებული პირსახოცი შემოეხვიათ. მიუხედავად თავზე ამდენი ჭრილობისა, გალურჯებულ ტუჩებზე ბავშვური, კეთილი გამომეტყველება შეიმჩნეოდა.

მარია დმიტრიევნამ შეხედა თავს, ჩუმად შემობრუნდა და სწრაფი ნაბიჯით შევიდა შინ.

ბუტლერმა თვალები ვერ მოაშორა ამ საშინელ თავს. ეს სწორედ იმ ჰაჯი-მურატის თავი იყო, რომელთანაც ამას წინათ მეგობრულ საუბარში ატარებდა საღამოებს.

- ეს როგორ მოხდა? ვინ მოკლა? სად? - მიაყარა კითხვები კამენევს.

- გაქცევა უნდოდა, დაიჭირეს, - უთხრა კამენევმა და მოჭრილი თავი კაზაკს გადასცა, თვითონ კი ბუტლერთან ერთად სახლში შევიდა.

- ვაჟკაცურად კი მოკვდა, - თქვა კამენევმა.

- მერე, როგორ მოხდა ყველაფერი ეს?
- აი, ცოტა მოითმინეთ, ივან მატვეევიჩი მოვა და ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვებით. მე ხომ ამისთვის გამომგზავნეს. ეს თავი დამაქვს ციხესიმაგრეებში, აულებში და ვაჩვენებ ხალხს.

ივან მატვეევიჩთან კაცი გაგზავნეს. მოვიდა მთვრალი, მასავით გალეშილ ორ ოფიცერთან ერთად და მაგრად გადაეხვია კამენევს.

- მე კი თქვენ, - უთხრა კამენევმა, - ჰაჯი-მურატის თავი მოგიტანეთ.

- სტყუი, მოკლეს?

- ჰო, გაქცევა უნდოდა.

- მე ხომ ვამბობდი, გაგვაცურებს-მეთქი. სადაა მერე თავი? მაჩვენე ერთი.

დაუძახეს კაზაკს, რომელმაც ტომარაში ჩაგდებული თავი შემოიტანა. თავი ამოიღეს და ივან მატვეევიჩი მთვრალის თვალებით დიდხანს უყურებდა მას.

- რაც მართალია, მართალია, ვაჟკაცი იყო! - თქვა მან. - მომეცი ერთი, ვაკოცო.

- მართალია, გულადი კაცი იყო, - თქვა ერთმა ოფიცერმა.

როცა ყველამ დაათვალიერა თავი, ისევ კაზაკს მისცეს. კაზაკმა თავი ტომარაში ჩადო და იატაკზე ფრთხილად დაუშვა, რომ მაგრად არ დაცემულიყო.

- რაო, კამენევ, როცა თავს აჩვენებ, თან რა სიტყვებს აყოლებ? - ეკითხებოდა ერთი ოფიცერი.

- არა, მომეცი, უნდა ვაკოცო, მან ხმალი მაჩუქა. - ყვიროდა ივან მატვეევიჩი.

ბუტლერი პარმაღზე გამოვიდა. მარია დმიტრიევნა კიბის მეორე საფეხურზე იჯდა. მან ბუტლერს შეხედა და მაშინვე მიაბრუნა პირი.

- რა დაგემართათ, მარია დმიტრიევნა? - ჰკითხა ბუტლერმა.

- თქვენ ყველანი ვერაგები ხართ. მეტის ატანა აღარ შემიძლია, ნამდვილი სალახანები ხართ, - თქვა და წამოდგა.

- ასეთი რამ ყველას შეიძლება შეემთხვეს, - თქვა ბუტლერმა. რომელმაც არ იცოდა, რა ეთქვა. - ასეთია ომი.

- ომი! - შეჰყვირა მარია დმიტრიევნამ, - რომელი ომი? ულმობელი ხართ, მორჩა და გათავდა. მკვდარი მიწას უნდა მიაბაროთ, თქვენ კი იღრიჭებით. ნამდვილი ვერაგები ხართ, გაიმეორა მან, პარმაღიდან ჩამოვიდა და უკანა შესასვლელიდან შინ შევიდა.

ბუტლერი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა და კამენევს სთხოვა დაწვრილებით ეამბნა, როგორ მოხდა ყველაფერი.

კამენევმაც დაიწყო.

აი, როგორ მოხდა ეს ამბავი.

XXV

ჰაჯი-მურატს ცხენით გასეირნების ნება ჰქონდა დართული ქალაქის ახლოს, ოღონდ უსათუოდ კაზაკების ბადრაგის თანხლებით. ნუხაში კაზაკების ნახევარი ასეული იდგა, ამათგან ათი კაცი მეთაურებს ემსახურებოდა, დანარჩენებს, თუ ათ კაცს გააგზავნიდნენ, როგორც ნაბრძანები იყო, ყოველ მეორე დღეს მოუწევდათ

განაწესში ყოფნა. ამიტომაც პირველ დღეს გაგზავნეს ათი კაზაკი. მერე კი გადაწყვიტეს ხუთი კაცი გაეგზავნათ, თანაც ჰაჯი-მურატს სთხოვეს ყველა თავისი ნუქერი არ წაეყვანა, მაგრამ 25 აპრილს ჰაჯი-მურატმა გასასეირნებლად ხუთივე თან გაიყოლა. იმ დროს, როცა ჰაჯი-მურატი ცხენზე ჯდებოდა, სამხედრო უფროსმა შენიშნა, რომ ხუთივე ნუქერი ჰაჯი-მურატთან ერთად წასასვლელად იყო მომზადებული და გააფრთხილა, რომ მას ამის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ ჰაჯი-მურატმა ვითომ ვერ გაიგონა, და ცხენი დასძრა. სამხედრო უფროსსაც ძალა არ დაუტანებია. კაზაკებს მეთაურობდა ურიადნიკი ნაზაროვი - გიორგის ჯვრის კავალერი, თმაშეკრეჭილი, სისხლითა და ხორცით სავსე, ღონიერი ქერა ახალგაზრდა. ის ყველაზე უფროსი იყო ღარიბ ძველმორწმუნე ოჯახში, უმამოდ გაიზარდა და მოხუც დედას, სამ დასა და ორ ძმას არჩენდა.

- თვალყური ადევნე, ნაზაროვ, შორს არ გაუშვა. - დაუყვირა უფროსმა.

- მესმის, თქვენო კეთილშობილებავ! - მიუგო მხარზე თოფგადაკიდებულმა ნაზაროვმა, უზანგზე შედგა და ჩორთით მიუშვა თავისი კეთილი, დიდი, წაბლისფერი, ცხვირკეხიანი იაბო. მას უკან მისდევდა ოთხი კაზაკი: ფერაპონტოვი, მაღალ-მაღალი, გამხდარი, გავარდნილი ქურდი და ყაჩაღი, სწორედ ის, გამზალოს თოფისწამალი რომ მიჰყიდა; იგნატოვი, არც ისე ახალგაზრდა კაცი, ჯანმაგარი გლეხი,
რომელსაც სამხედრო სამსახურის ვადა უთავდებოდა და თავისი ღონით ტრაბახობდა; მიშკინი, უღონო, მცირეწლოვანი ბიჭი, რომელსაც ყველა დასცინოდა, და პეტრაკოვი, ქერა, დედისერთა, მუდამ მხიარული და ალერსიანი ახალგაზრდა.

დილიდანვე ბურუსი იდგა, მაგრამ საუზმობის ხანს გამოიდარა და მზე სხივებს აფრქვევდა ახალგაშლილ ფოთლებსაც, ლორთქო ბალახსაც, პურის ჯეჯილსაც და სწრაფი მდინარის ჭავლებსაც. გზის მხარმარცხნივ რომ მოჩანდა.

ჰაჯი-მურატი ნაბიჯით მიდიოდა. კაზაკებიც და ნუქერებიც მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ, ნაბიჯითვე გამოვიდნენ გზაზე და ციხესიმაგრის გარეთ. ცხენოსნებს გზადაგზა ხვდებოდა თავზე კალათადადგმული ქალები, ოთხთვალაზე დამჯდარი ჯარისკაცები და კამეჩებშებმული ჭრიალა ურმები. ორიოდე ვერსის გავლის შემდეგ ჰაჯი-მურატმა ისე გააქროლა თავისი ყაბარდოული თეთრონი, რომ ნუქერები ჩქარი ჩორთით მისდევდნენ. ასევე მიჰყვებოდნენ კაზაკებიც.

- ეჰ, რა კარგი ცხენი ჰყავს, - თქვა ფერაპონტოვმა, - მაშინ რომ შემხვედროდა, როცა ჩვენი მტერი იყო, ჩამოვსვამდი ცხენიდან.

- მაშ, ძმაო, მაგ ცხენში თბილისში სამას მანეთს აძლევდნენ.

- მე კი ჩემი ცხენით გავუსწრებ, - თქვა ნაზაროვმა.

- როგორ არა, გაასწრებ, - მიუგო ფერაპონტოვმა.

ჰაჯი-მურატი სულ უფრო და უფრო უმატებდა სიჩქარეს.
- ეი, ყოჩაღო, არ შეიძლება მაგრე, ცოტა ნელა! - დაუყვირა ნაზაროვმა, როცა ჰაჯი-მურატს წამოეწია.

ჰაჯი-მურატმა ერთი მოიხედა და ხმა არ ამოუღია, ისევე სწრაფად მიაჭენებდა ცხენს.

- ეტყობა, რაღაც განიზრახეს მაგ ქაჯებმა. - თქვა იგნატოვმა, - შეხე, როგორ მიქრიან.

ერთი ვერსი ასე გაიარეს მთების მიმართულებით.

- არ შეიძლება-მეთქი! - კვლავ დაუყვირა ნაზაროვმა.

ჰაჯი-მურატს არც მოუხედავს და არც ხმა გაუცია, უფრო უმატა სვლას და ცხენი მთელი სისწრაფით გააქანა.

- ტყუილად ცდილობ, ვერსად წამიხვალ! - დაუყვირა ნაზაროვმა, რომელსაც ძალიან ეწყინა ეს ამბავი.

მან მათრახი გადაუჭირა თავის ქურანა იაბოს, შედგა უზანგზე, გადაიხარა წინ და მთელი ძალ-ღონით მიუშვა იგი ჰაჯი-მურატისკენ.

ცა იყო ისე მოკრიალებული, ჰაერი ისეთი სუფთა, ნაზაროვის ხელში ისეთი ხალისით ფეთქავდა სიცოცხლის ძალა, რომ როცა კარგ, ძლიერ ცხენთან ერთად ჰაჯი-მურატის კვალდაკვალ სწორ გზაზე მიჰქროდა, თავში აზრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლებოდა ბოროტებას, მწუხარებას ან საშინელ რამეს გადაყროდა. უხაროდა, რომ ყოველი ნახტომით ჰაჯი-მურატს ეწეოდა და თანდათან უახლოვდებოდა. ჰაჯი-მურატი კაზაკის დიდი ცხენის ფლოქვების ხმაურზე მიხვდა, რომ მას უახლოვდებოდნენ და საცაა დაეწეოდნენ, ამიტომ მარჯვენა ხელით დამბაჩა იძრო, ხოლო მარცხენათი ოდნავ დააოკა თავისი გახელებული ყაბარდოული, რომელსაც უკანიდან ცხენის თქარუნი ესმოდა.

- გეუბნები, არ შეიძლება-მეთქი! - შეჰყვირა ნაზაროვმა, როცა თითქმის გაუთანასწორდა ჰაჯი-მურატს და ხელი გაიშვირა, რომ მისი ცხენის აღვირი ჩაებღუჯა, მაგრამ აღვირისთვის ხელის წავლება ვერ მოასწრო, და სროლის ხმა გაისმა.

- რას სჩადიხარ? - შეჰყვირა ნაზაროვმა და გულზე ხელი იტაცა, - დასცხეთ მაგათ, ბიჭებო! - ესღა მოასწრო, შეირხა და უნაგირის ტახტაზე გადაიწია.

მაგრამ მთიელებმა კაზაკებზე ადრე მოიმარჯვეს იარაღი, ესროდნენ დამბაჩებს და ხმლებით ჩეხავდნენ. ნაზაროვი კისერზე ეკიდა დამფრთხალ ცხენს, რომელიც ამხანაგების ირგვლივ დააქროლებდა. იგნატოვის ცხენი დაეცა და პატრონი ცალი ფეხით მოიყოლა ქვეშ. ორმა მთიელმა ხმალი იშიშვლა და ცხენიდან ჩამოუსვლელად თავსა და ხელებზე დასცხეს მას. პეტრაკოვი გაექანა ამხანაგებისკენ, მაგრამ ორი ტყვია მოხვდა - ერთი ზურგში, მეორე გვერდში, და ტომარასავით ჩამოცურდა ცხენიდან.

მიშკინმა ცხენი შეაბრუნა და სიმაგრისკენ გაქუსლა. ხანეფი და ხან-მაგომა გამოუდგნენ, მაგრამ ის უკვე საკმაოდ შორს იყო და მთიელები ვერ დაეწივნენ.

როგორც კი მიხვდნენ რომ კაზაკის დაწევა აღარ შეეძლოთ, ხანეფი და ხან-მაგომა თავისიანებს დაუბრუნდნენ. გამზალომ ხანჯლით ბოლო მოუღო იგნატოვს,ნაზაროვიც ცხენიდან ჩამოაგდო და ისიც გაათავა. ხან-მაგომამ დახოცილებს ტყვიებიანი ჩანთები აართვა. ხანეფის უნდოდა ნაზაროვის ცხენი

წაეყვანა, მაგრამ ჰაჯი-მურატმა დაუყვირა, საჭირო არ არისო. და ჭენებით გაუდგა გზას. მიურიდებიც ჭენებით გამოუდგნენ, თან პეტრაკოვის გამოდევნებულ ცხენს იგერიებდნენ. უკვე სამი ვერსით იყვნენ დაშორებული ნუხას, როცა კოშკიდან საგანგაშო სროლის ხმა გაისმა.

პეტრაკოვი პირაღმა იწვა მუცელგამოფაშვული, ახალგაზრდული სახე ზეცისკენ მიეპყრო, თევზივით სულს ღაფავდა და კვდებოდა.

- ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ხედავთ, რა ჩაუდენიათ! - წამოიყვირა და თავზე ხელები წაიშინა ციხის უფროსმა, როცა ჰაჯი-მურატის გაქცევა გაიგო, - ყელი გამომჭრეს! ხელიდან გაუშვეს ყაჩაღები! - ყვიროდა იგი, თან მიშკინის პატაკს უსმენდა.

ყველგან განგაში ატეხეს და არა მარტო იქ მყოფი კაზაკები დაადევნეს გაქცეულებს, შეკრიბეს ყველა მილიციელი, ვისი შეკრებაც კი შეიძლებოდა მშვიდობიანი აულებიდან. ათას მანეთს დაპირდნენ მას, ვინც ცოცხალს მოიყვანდა ან მკვდარს მოიტანდა ჰაჯი-მურატს. ორი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც მეგობრებთან ერთად ჰაჯი-მურატი კაზაკებს გაუსხლტა და ორასზე მეტი ცხენოსანი უკვე მიჰქროდა ბოქაულებთან ერთად გაქცეულების მოსაძებნად და დასაჭერად.

შარაგზაზე რამდენიმე ვერსის გავლის შემდეგ ჰაჯი-მურატმა დაიოკა მქშინავი და ოფლისაგან განაცრისფერებული თეთრი ცხენი და შეჩერდა. გზის მარჯვნივ მოჩანდა ქოხები და აულ ბელარჯიკის მინარეთი. მარცხნივ ყანები იყო, მათ ბოლოს კი მდინარე ილანდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მთებისკენ გზა მარჯვნივ იყო, ჰაჯი-მურატმა მარცხენა, მოპირდაპირე მხარეს შეუხვია, რადგანაც ფიქრობდა, მდევრები სწორედ მარჯვნივ წავლენო. იგი ფონს არ მოსინჯავდა, ისე შეიჭრებოდა ალაზანში, გავიდოდა შარაგზაზე, სადაც არავინ არ მოელოდა, გზას ტყემდე გაჰყვებოდა, მერე კვლავ გადმოლახავდა მდინარეს და ტყით გასწევდა მთებისკენ. ეს გადაწყვიტა და მარცხნივ გაუხვია. მაგრამ მდინარემდე მისვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. ბრინჯის ყანა, რომელიც მათ უნდა გაევლოთ, როგორც ამას გაზაფხულზე აკეთებენ ხოლმე, წყლით იყო მორწყული და ჭანჭრობად გადაქცეული. ამიტომ ცხენები კოჭებამდე იფლობოდნენ ტალახში. ჰაჯი-მურატი და მისი ნუქერები ხან მარჯვნივ მიდიოდნენ, ხან მარცხნივ, რომ მშრალი ადგილი ეპოვათ, მაგრამ ის ყანა, სადაც ისინი მოხვდნენ, თანაბრად იყო მორწყული და წყლით დატბორილი. ცხენებს ისეთი ხმაურით ამოჰქონდათ წებოვან ტალახში ჩაფლული ფეხები, თითქოს საცობის ბათქი გაისმისო. გაივლიდნენ რამდენიმე ნაბიჯს, შებინდებამდე და ჯერ კიდევ ვერ მიეღწიათ მდინარემდე. მარცხნივ ახლახან შეფოთლილბუჩქებიანი პატარა კუნძული იყო. ჰაჯი-მურატმა გადაწყვიტა ამ ბუჩქებში შესულიყო, მოქანცული ცხენები დაესვენებინა და დაღამებამდე გაჩერებულიყო.

შევიდნენ თუ არა ბუჩქებში, ჰაჯი-მურატი და მისი ნუქერები დაქვეითდნენ, ცხენები დაბორკეს და საბალახოდ მიუშვეს, თვითონ კი თან წამოღებული ყველითა და პურით დანაყრდნენ. ნამგალა მთვარე თავდაპირველად ოდნავ რომ ანათებდა, მთებს მიეფარა და კუნაპეტი ღამე ჩამოწვა. ნუხაში განსაკუთრებით ბევრი იყო ბულბული. ამ ბუჩქებშიც ორი ბუდობდა. სანამ ჰაჯი-მურატი ბუჩქებში შედიოდა თავის ნუქარებთან ერთად და ხმაურობდა, ბულბულები ხმას არ იღებდნენ. მაგრამ როცა სიმყუდროვე ჩამოვარდა, ისინი კვლავ გალობით გაეხმიანენ ერთმანეთს,

ჰაჯი-მურატი ყურს უგდებდა ყოველ გაფაჩუნებას და ძალაუნებურად უსმენდა ბულბულებს.

ბულბულების სტვენამ ჰაჯი-მურატს გამზალოს ის სიმღერა მოაგონა, რომელიც წინა ღამეს მოისმინა, წყლის წასაღებად რომ გამოვიდა. ახლა ყოველ წუთში შეიძლებოდა ჰამზათის მდგომარეობაში ჩავარდნილიყო თვითონაც. გაიფიქრა, რომ ასეც მოხდებოდა და გული შეეკუმშა. ჰაჯი-მურატმა ნაბადი გაშალა და ნამაზი შეასრულა. ის იყო დაამთავრა ნამაზი, რომ ბუჩქებთან მოახლოებული ხმაური შემოესმა. ეს იყო ფეხის ხმა უამრავი ცხენისა, რომლებიც ჭინჭრობებში მოაბოტებდნენ. თვალსწრაფი ხან-მაგომა ერთ ბუჩქს ამოეფარა და სიბნელეში ცხენოსნებისა და ქვეითების ბნელი ფიგურები შენიშნა. ისინი ბუჩქებს უახლოვდებოდნენ. მოდიოდა ყორღანოვი, მაზრის სამხედრო უფროსი თავის მილიციელებთან ერთად.

,,რას იზამ, ჰამზათივით ვიბრძოლებთ‘‘, - გაიფიქრა ჰაჯი-მურატმა.

განგაშის ატეხვისთანავე ყორღანოვი მილიციელების და კაზაკების ასეულით ჰაჯი-მურატს გამოეკიდა, მაგრამ ვერც მას მიაგნო და ვერც მის ნაკვალევს. ყორღანოვი უკვე უიმედოდ ბრუნდებოდა შინ, როცა საღამოს ერთი მოხუცი თათარი შემოხვდა. ყორღანოვმა ჰკითხა, ექვსი მხედარი ხომ არ გინახავსო? მოხუცმა უპასუხა, ვნახეო. მას დაენახა, როგორ ტრიალებდა ექვსი მხედარი ბრინჯის ყანაში და მერე შესულიყვნენ იმ ბუჩქებში, სადაც იგი შეშას აგროვებდა. ყორღანოვი უკან დაბრუნდა, მოხუციც თან გაიყოლა და დაბორკილი ცხენების ნაკვალევის მიხედვით დარწმუნდა, რომ ჰაჯი-მურატი აქვე იყო. ამიტომ ღამე ბუჩქებს ალყა შემოარტყა და დილამდე დაიცადა, რომ ჰაჯი-მურატი ან ცოცხალი ან მკვდარი ხელთ ჩაეგდო.

ჰაჯი-მურატი როგორც კი მიხვდა, რომ ალყაშემორტყმული იყო, ბუჩქების შუა ადგილას ძველი თხრილი მონახა, გადაწყვიტა, იქ ჩასაფრებულიყო და ებრძოლა მანამდე, სანამ ტყვია-წამალი და ძალ-ღონე არ გამოელეოდა. ეს უთხრა მან ამხანაგებს და უბრძანა ახლავე გაეკეთებინათ თხრილებში საფარი. ნუქერები მაშინვე შეუდგნენ ტოტების ჩეხვას, ხანჯლებით მიწის თხრას და თხრილზე მიწაყრილის კეთებას.

როგორც კი ინათა, მილიციის ასეულის მეთაური ბუჩქებს მიუახლოვდა და ხმამაღლა დაიყვირა: - ჰეი, - ჰაჯი-მურატ! დაგვნებდი! ჩვენ ბევრნი ვართ, თქვენ კი ცოტა!

ამის პასუხად თხრილიდან კვამლი ავარდა, შაშხანამ გაიტკაცუნა და ტყვია პირდაპირ მილიციელის ცხენს მოხვდა. ცხენი შეტორტმანდა და დაეცა. ამას მოჰყვა შაშხანების ტკაცატკუცი მილიციელებისა, რომლებიც იქვე ბუჩქების მახლობლად იდგნენ. ტყვიები სტვენითა და ზუზუნით სხეპავდა ტოტებსა და ფოთლებს, ხვდებოდა საფარს, მაგრამ საფარში მსხდომთ ვერაფერს აკლებდა. მხოლოდ გამზალოს გაქცეულ ცხენს მოარტყეს ტყვია. ცხენი თავში დაიჭრა, არ დაცემულა, მაგრამ პალვანდი გაწყვიტა, ბუჩქების ლაწალუწით სხვა ცხენებთან მიიჭრა, მიეტმასნა და სისხლით რწყავდა ლორთქო ბალახს. ჰაჯი-მურატი და მისი ამხანაგები მხოლოდ მაშინ ისროდნენ, როცა რომელიმე მილიციელი წინ წამოიწევდა, და იშვიათად აცდენდნენ მიზანს. სამი მილიციელი დაჭრილი იყო და მილიციელებს არამცთუ ვერ გადაეწყვიტათ პირისპირ შებმოდნენ ჰაჯი-მურატს და მის ხალხს, არამედ სულ უფრო შორდებოდნენ მათ და ალალბედზე მხოლოდ შორიდან ისროდნენ.

ასე გაგრძელდა საათზე მეტ ხანს. მზე შუბის ტარზე იდგა. ჰაჯი-მურატი უკვე ფიქრობდა ცხენზე შემჯდარიყო და მდინარისაკენ ბრძოლით გაეღწია, როცა ახალმოსული უფრო დიდი რაზმის ყვირილი გაისმა. ეს იყო მეხთულელი ჰაჯი-აღა თავისი ხალხით. ისინი ორასამდე იქნებოდნენ. ჰაჯი-აღა ოდესღაც ჰაჯი-მურატის ყონაღი იყო და ერთად ცხოვრობდნენ მთებში, მაგრამ მერე რუსების მხარეზე გადმოვიდა. მასთან იყო ახმედ-ხანი, ჰაჯი-მურატის მტრის შვილი. ჰაჯი-აღამ ისევე, როგორც ყორღანოვმა, საქმე იმით დაიწყო, რომ დაუყვირა ჰაჯი-მურატ დაგვნებდიო, მაგრამ როგორც პირველად, ამჯერადაც ჰაჯი-მურატმა სროლით უპასუხა.

- ხმლები, ბიჭებო! - იყვირა ჰაჯი-აღამ, და თვითონ ერთ-ერთმა პირველმა იშიშვლა ხმალი. ჰაჯი-აღას ძახილს ასობით კაცი გამოეხმაურა და ყიჟინით ეძგერნენ ბუჩქებს.

მილიციელები ბუჩქებში შეიჭრნენ, მაგრამ საფარიდან ზედიზედ მოისმა თოფების ჭახაჭუხი. სამი კაცი უსულოდ დაეცა მიწაზე. თავდამსხმელები შედგნენ და ბუჩქებს ამოფარებულებმაც დაიწყეს სროლა. ისინი ისროდნენ და თან ბუჩქებიდან ბუჩქებზე გადარბენით წინ მიიწევდნენ საფარისკენ. ზოგიერთები ასწრებდნენ გადარბენას, ზოგიერთები კი ჰაჯი-მურატისა და მისი ხალხის მსხვერპლი ხდებოდნენ. ჰაჯი-მურატს არც ერთი ტყვია არ დაუცდენია. ასევე გამზალოც იშვიათად თუ ააცდენდა მიზანს და ყოველთვის მხიარულად შეჰყვირებდა, როცა დაინახავდა, რომ მიზანში მოარტყა. ყურბანი თხრილის ნაპირას იჯდა და მღეროდა: „ლა ილახა ილ ალა“, აუჩქარებლად ისროდა, მაგრამ მიზანს იშვიათად ახვედრებდა. ელდარი კი, მტრებში ხანჯლით შეჭრას მოწყურებული, მთელი ტანით ცახცახებდა, ხშირად და ალალბედზე ისროდა, განუწყვეტლივ ჰაჯი-მურატს შეჰყურებდა, თან თავსაც წამოყოფდა საფარიდან. ბანჯგვლიანი ხანეფი ხელებდაკაპიწებული აქაც მსახურის როლს ასრულებდა. ის თოფებს ტენიდა, რომელსაც ჰაჯი-მურატი და ყურბანი აწვდიდნენ, რკინის ზუმბით ბეჯითად ჩურთავდა გაზეთილ ტყვიებს და საპირისწამლედან მშრალ თოფისწამალს ყრიდა ფალიაზე. ხან-მაგომა სხვებივით თხრილში არ იჯდა, არამედ თხრილიდან ცხენებთან გარბოდა, ნაკლებად საშიში ადგილისკენ მიერეკებოდა მათ, თან განუწყვეტლივ ყვიროდა და ისროდა უსადგაროდ. ის პირველი დაჭრეს. ტყვია კისერში მოხვდა, დაჯდა, სისხლს აფურთხებდა და იგინებოდა. მერე ჰაჯი-მურატიც დაიჭრა. ტყვიამ ბეჭში გაატანა. ჰაჯი-მურატმა ახალუხიდან ბამბა ამოიღო, ჭრილობაში ჩაიჩურთა და სროლა განაგრძო.

- ხმლებით ვეკვეთოთ! - მესამედ ამბობდა ელდარი.

მან საფარიდან თავი ამოჰყო და მზად იყო მტერს სცემოდა, მაგრამ იმწამსვე ტყვია მოხვდა, შებარბაცდა და გულაღმა დაეცა ჰაჯი-მურატის ფეხზე. ჰაჯი-მურატმა სახეზე დახედა. ელდარის უწყინარი, მშვენიერი თვალები დაჟინებით ვედრებით მისჩერებოდნენ ჰაჯი-მურატს. ელდარი პირს აცმაცუნებდა, ზედა ტუჩი ბავშვივით გამობურცული ჰქონდა, მაგრამ ვეღარ აღებდა. ჰაჯი-მურატმა ფეხი გაითავისუფლა და კვლავ განაგრძო სროლა. ხანეფი დაიხარა ელდარის გვამზე და მისი ჩოხიდან სასწრაფოდ დაიწყო გაუსროლელი ტყვიების ამოღება. ამასობაში ყურბანი სულ მღეროდა, თოფს ნელ-ნელა ტენიდა და ისროდა.

მტრები ბუჩქიდან ბუჩქისკენ ყიჟინით და კივილით გადარბოდნენ და სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდნენ. ჰაჯი-მურატს კიდევ მოხვდა მარცხენა გვერდზე ერთი

ტყვია. ის ჩაწვა თხრილში, ისევ გამოაძრო ახალუხიდან ბამბა და ახალ ჭრილობაში ჩაჩურთა. გვერდითი ჭრილობა სასიკვდილო იყო და ჰაჯი-მურატი გრძნობდა, რომ კვდებოდა. მის წარმოდგენაში მოგონებები და სახეები გასაოცარი სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს. მას ხან ღონიერი აბუნუნცალ-ხანი ეჩვენებოდა, რომელსაც ჩამოთლილი და ჩამოკიდებული ლოყა ეჭირა ცალი ხელით, ხოლო მეორეთი მტერს ებრძოდა ხანჯლით, ხან კი დაუძლურებულ, სისხლნაკლულ მოხუც ვორონცოვს ხედავდა, ხედავდა მის ცბიერ, თეთრ სახეს და ჩაესმოდა მისი ტკბილი ხმა, ხანაც შვილი იუსუფი წარმოუდგებოდა თვალწინ, ხან მეუღლე სოფიათი, ხან კი გაფითრებული, წითურწვერიანი და თვალებმოჭუტული თავისი მტერი შამილი.

ყველა ეს მოგონება მის ცხოვრებაში ისე გარბოდა, რომ არავითარ გრძნობას არ იწვევდნენ - არც სიბრალულის, არც სიბრაზისა და არც არავითარი სურვილისას. ყველაფერი ეს არარაობად ჩანდა იმასთან შედარებით, რაც იწყებოდა და უკვე დაიწყო კიდეც მისთვის. ამ დროს ჰაჯი-მურატის ღონიერი სხეული დაწყებულ საქმეს განაგრძობდა. ჰაჯი-მურატმა უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, საფარიდან წამოდგა, მისკენ წამოსულ კაცს დამბაჩა ესროლა და ტყვია მოარტყა. კაცი დაეცა. მერე ჰაჯი-მურატი მთლიანად ამოვიდა ორმოდან და ხანჯალშემართული, კოჭლობით პირდაპირ წავიდა მტრის შესახვედრად. გაისმა რამდენიმე გასროლის ხმა, ჰაჯი-მურატი შებარბაცდა და დაეცა. რამდენიმე მილიციელი გამარჯვების ყიჟინით ეცა დაცემულ სხეულს, მაგრამ ის სხეული, რომელიც მათ მკვდარი ეგონათ, უცებ შეირხა. ჯერ წამოიწია სისხლით მოსვრილი, უფაფახო გაპარსული თავი, მერე წამოიმართა ტანიც, ჩაებღაუჭა ხეს და მთლიანად წამოდგა ჰაჯი-მურატი. ისეთი საშინელი სანახავი იყო, რომ თავდამსხმელნი შედგნენ. ჰაჯი-მურატი უცებ შეტორტმანდა, მოწყდა ხეს, მოთიბულ ბირკასავით მთელი ტანით პირქვე დაეცა და აღარც განძრეულა.

ჰაჯი-მურატი არ იძროდა, მაგრამ მგრძნობიარობა ჯერ კიდევ შერჩენოდა. როცა მასთან პირველად მისულმა ჰაჯი-აღამ დიდი ხანჯალი დაჰკრა თავში, ჰაჯი-მურატს მოეჩვენა, თითქოს ჩაქუჩებს ურტყამენო, მაგრამ აღარ ესმოდა ვინ აკეთებდა ამას და რატომ. ეს იყო ჰაჯი-მურატის შეგნების უკანასკნელი კავშირი მის სხეულთან. მერე აღარაფერს გრძნობდა. მტრები კი ჭრიდნენ და თელავდნენ იმას, რასაც მასთან უკვე არავითარი კავშირი არა ჰქონდა. ჰაჯი-აღა პირქვე დამხობილ ჰაჯი-მურატს ფეხით შედგა ზურგზე, ორი დარტყმით მოჰკვეთა თავი და ფრთხილად, წუღები სისხლით რომ არ გაესვარა, ფეხით გადააგორა. კისრის არტერიებიდან ალისფერმა სისხლმა და თავიდან შავმა სისხლმა ითქრიალა და ბალახი მორწყა.

ყორღანოვი, ჰაჯი-აღა, ახმედ-ხანი და ყველა მილიციელი, როგორც მონადირე მოკლულ ნადირთან, ისე შეგროვდნენ ჰაჯი-მურატისა და მისი ხალხის (ხანეფი, ყურბანი და გამზალო შეკრეს) ირგვლივ, ბუჩქებში მდგარ თოფისწამლის კვამლში მხიარულად ბაასობდნენ და გამარჯვებას ზეიმობდნენ.

სროლის დროს ხმაგაკმენდილმა ბულბულებმა კვლავ დაიწყეს გალობა, ჯერ ერთმა სულ ახლოს, შემდეგ სხვებმაც მოშორებით.

აი, სწორედ ეს სიკვდილი მომაგონა გადახნულ ყანაში გათელილმა ბირკამ.

1896-1904 წწ.

[1] ბოლოს და ბოლოს, მეტყვი თუ არა, რა

ამბავია? - მაგრამ ძვირფასო...

- რა შუაშია აქ „ძვირფასო“! რა თქმა უნდა, მსტოვარი იყო, ხომ? (ფრანგ.).

[2] მით უმეტეს, არ შემიძლია გითხრა.

- არ შეგიძლია? მაშ მე გეტყვი.

- შენ? (ფრანგ.).

[3] ეს ძვირფასი ნივთია (ფრანგ.) [4] უნდა მოვძებნოთ შემთხვევა, რომ სამაგიერო ვაჩუქოთ რამე (ფრანგ.).

[5] აი, შემთხვევა მოგვეცა! აჩუქე საათი (ფრანგ.).

[6] გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ შინ დარჩენილიყავი, ეს ჩემი საქმეა და არა შენი (ფრანგ.).

[7] შენ ვერ დამიშლი გენერლის მეუღლე ვინახულო (ფრანგ.).

[8] ჩინებული, ძვირფასო მეგობარო (ფრანგ.).

[9] სემიონს ბედმა გაუღიმა (ფრანგ.).

[10] რა საშინელებაა (ფრანგ.).

[11] ომი ომია (ფრანგ.).

[12] ეს თქვენი წყალობაა (ფრანგ.).

[13] მას ცოტა უსიამოვნება ჰქონია ციხესიმაგრის კომენდანტთან. სემიონი არ იყო მართალი (ფრანგ.). მაგრამ ყველაფერი კარგია, რაც კარგად დამთავრდება (ინგლის.).

[14] მეტიჩარა (ფრანგ.).

[15] იმპერატორი? (ფრანგ.).

[16] მისი უდიდებულესობა ეს არის დაბრუნდა (ფრანგ.).

[17] აქ. ვიღაც არის (ფრანგ.) [18] პოლონეთი და კავკასია რუსეთის ორი დიდი მუწუკია. ჩვენ სულ ცოტა ასი ათასი კაცი გვჭირდება თითოეულ ამ ქვეყანაში (ფრანგ.).

[19] თქვენ ამბობთ, პოლონეთიო. (ფრანგ.).

[20] ო, დიახ, ეს მეტერნიხის ნაცადი ფანდი იყო, რომ ჩვენ სიძნელეების წინაშე დავეყენებინეთ (ფრანგ.).

[21] აბა ნახეთ, აბა ნახეთ, ეგერების ვაჟკაცობა!